

114
1944/2



მნათობი

3

თბილისი
1944



ენათობი

სრულიად-საქართველოს სამქალაქო მწერლობის
კავშირის ყოველთვიური სალიტერატურო,
სასკოლო და საბავშვო-სამშენებლო
ქრება

წელიწადი მომდებარე

4013 11997

3



19

მ ა რ ბ ი
ს ა ხ ე ლ ბ ა შ ი

44

საქართველოს
კომუნისტური
პარტია

სარედაქციო კოლეგია:

ბგაშიძე ირაკლი
ასათიანი ლევან
ბაგსახურობა კონსტანტინე
კალაძე კარლო
გაგაშვილი ალიო (პ/მგ. რედაქტორი)
გოსაშვილი ილო
ტაბიძე ბალაჭტიონ
ჭიაბელი ლეო
შენგელაია დიონა.

ზელმოწერილია დასაბეჭდად 29/VI-44 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 10 ფ.
შეკვ. № 975. შპ 08059, ტირაჟი 5350.

სახელგამის ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, ვოროსის ქ. № 5.
რედაქციის მისამართი: მაჩაბლის № 13, შვერალთა კავშირი, ტელეფ. 3 — 04 — 64.

ნიკო ლორთქიფანიძე

ქედუხაეცნი*

მ თ ს რ თ შ ა

განათლების დასამთავრებლად საზღვარგარეთ ხანგრძლივი მოგზაურობიდან დაბრუნებული ედიშერ ჯიმშერას—ე აბქანდაძე ადრე დილით დედაქალაქში ჩამოვიდა. მოდიოდა და დიდის დაკვირვებით გარემოს სინჯავდა.

ახალგაზრდა ქაცი, ტანზე თავისუფლად მომდგარ ლურჯ ჩოხაში გამოწყობილი, — როგორც მამინ ხელოვანი ატარებდენ, — ფერმკრთალი და დიდ თვალებიანი, თითქმის უიარაღო (შაეტარიანი პატარა ხანჯლის მტეი არაფერი ეკიდა), ნელა მიდიოდა ქალაქის ქუჩაში და ყურადღებით ათვალიერებდა მიდამოს. ვიწრო, ბინძურა ქუჩები არ აკვირებდა, — ასეთი იყო აღმოსავლეთისა და დასავლეთის მოგზაურობის დროს ნანახი ყველა ქალაქიც. სწყინდა, რომ ცოტა სიანდა ხალხი და ვინც ხვდებოდა, მასაც მოწყენილი და უღიმიამო სახე ჰქონდა.

მეფის სანახლეს რომ მიუახლოვდა, შეჩერდა, დიდხანს უცქერდა.

— დიდა და ულაზათო, — ფურქობდა ყმაწვილი, — მძიმედ დასწოლია მიწას. არ ჰგავს ჩვენებურ ნაგებობას — ნათელს, მსუბუქს და გარემოსთან შეხამებულს. მასალა მტეია დახარჯული, ვიდრე შედეგია მიღწეული, ნაფიქრი უფროა დადების შთაბეჭდილების მოსახდენად, ვიდრე შექმნილია გულის ნადების გამოსახატავად.

ქიშკარში დარაჯმა შეუშვა ყმაწვილი, სასახლის კიბესთან შეკარეებმა შეზღუდვი უხმოდ გადახლართეს. მხოლოდ გვერდის ბნელი დერეფნიდან ვიღამაც დაძახა:

— გამოუშვით! — და წინ შეეგება კარისკაცი, — მობრძანდით, ბატონო ედიშერ, მობრძანდით, კეთილი იყოს თქვენი ჩამოსვლა!

ედიშერმა დამხდური ვერ იცნო.

— გმადლობთ, ბატონო, ზომ შეიძლება მეფეს ვეახლო? წესიც ასეთია, მგონი, ეხლა შემოდებული.

— ეი, ბატონო ედიშერ, მობრძანდით, განკარგულება უკვე მომცა სახლ-უხუცესმა. ცდა დაკვირდებით ოღონდ: ჯერ მეფე არ გამობრძანდება, — დარბაზის კარებამდე მიაცილა. — ველარ მიცანით, ბატონო ედიშერ!

ედიშერი დააკვირდა:

— ოღესლაც თქვენთან ვსწავლობდი გელათის მონასტერში.

*) გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 1—2.

— გიორგი, შენა? რაღა ბატონობით მომმართავ? ვერ გიცანი სწორედ-
რას შერები, როგორა ხარ?

— ვახლავარ, როგორც შეეფერება ჩემს სწავლას, გვიანს, მაგრამ არა
გულსა და ოდინდელ ოცნებას.

ელიშერიმა სიფრთხილით მიმოიხედა.

— თქვენ კი მოიარეთ ქვეყანა, განათლდით და ეხლა შესაფერსაც მოი-
მოქმედებთ. ახლა კი მიბრძანდით. განაზეთ, თუ ნებას მომცემთ.

— უსათუოდ, უსათუოდ მნახე. ეხლა სოფელში მივდივარ და რამდენიმე
დღის შემდეგ ჩამოვალ.

— ნახვამდის!

— გამარჯობა! — და ელიშერი შევიდა დარბაზში.

დარბაზის კედლებს გასწვრივ მიჰყვებოდა გრძელი ტახტები. მათ წინ აქ-
იქ იდგა შავიდა, რომელთა წინ ზოგი იდგა, ზოგი ირგვლივ იჯდა და თავა-
ზიანად და თავდაჭერით მუსაიფობდნენ. ელიშერის თვალები ყელზე საბელ-
გადადებულმა განმარტოებით მჯდომმა კაცმა მიიპყრო.

ვაეკაცობას არ იყო გადაცილებული და უკვე მოხუცების იერი დასტყო-
ბოდა: შავი, სქელი წარბები შეყრილიყვნენ. თვალები წყნარად, დაკვირვე-
ბით მიმოიხიროდნენ. სახეს ფერი გაშავებოდა და ახლად გაკრეპილ წვერ-
ულვას ფუფუნება არ ემჩნეოდა — უღვაშები აღარ იყო დაგრეხილ-გაწყა-
ბული, როგორც თანამყოფთ ჰქონდათ. წელში მოხრილი იჯდა და იატაკზე
ყავარჯენს უსვამდა; ზოგჯერ ხაზაედა, სწერდა და შემდეგ ნაჩქარევად
შლიდა, თუმცა, რა თქმა უნდა, ყავარჯენი კვალს ვერ დასტოვებდა.

დამხდურებმა ფარულად დაუწყეს მოსულს შეფასება.

— ა, შეხედეთ, ეგერ ჯიშშერ აბჯანდაძის ვაჟი მობრძანდა, ელიშერი.

— მამასავით თავზედი უნდა იყოს, არც იარაღი ჰკიდია და არც მხლებ-
ლები ახლავს.

— მგოსანიო, თუ მზატვარი.

— ქვეყანა კი მოუვლია, ოღონდა თუ რამე ჩამოიტანა.

— გაინჯავს მეფე-მწყალობელი, ზიტჩენს თავის ადგილს...

— მამა თუ ეჭიშობას არჩევდა, შვილს რა უქირს იკალატოზოს.

ზოგი ოქრომკედელს ეხვეოდა, რომელსაც მეფისათვის წურწუმა და მო-
კედილი ყანწები მოეტანა.

შემართება იცი შუბის ვინც შემართა წვერი შუბის,

და მიიღე ჯილდო მეფის. მას ებოძოს ჯილდო მეფის.

ჯირითისთვის მიწყალობა

იღლე-გრძელა იყოს მეფობა.

ამოიკითხეს ყანწებზე და წურწუმაზე.

— უჩვენე დიდ ოსტატს, — ურჩია ოქრომკედელს ვალაცამ.

— რა მაგის თავი აქვს, თავისი ცეცხლი სწავს.

— შაინც უნდა ვაჩვენო.

ხუროთმოძღვრისკენ წავიდნენ.

ელიშერაც გაჰყვა.

ოსტატმა შეხედა წურწუმას, მათები აჩენა.

— წურჭუმე პირასბანი წყლის დასასხმელი ჭურჭელია. ის უჭირავს ჯერ უმწითარ ფარეშს, უფრო ხშირად კი ახალგაზრდა ქალს. წყლიდან ჩვენი ქალი წურჭუმას—კი გოლაითი თუ დაიჭერს. მაშ რილასი მაქნისია? ანუ მაქნისია? ან ფუნდუკის აბრად კიშკარზე, ან ბაღის აუზში, თუ წურჭუმას შიგ შადრევანსაც მოუწყობ. ყანწები კარგი იქნებოდა, რომ ეს საშინელი ლექსები არ მიგეწერა.

— მე მოშაირე არ ვარ და უკეთესი არავინ დამიწერა. სამი ბათმანი ვერცხლი მომიცეს და მიიხრეს, მთელი ამ ვერცხლის გააქეთეო. რაღას ვიზამდი?

— შენ, შეილო, ამბობ როკორე ხელისანი. ხოლო ხელოვანი საკუთარი გონებისა და გრძნობის კარნახით მუშაობს. ვინც შრომას დაგიკვეთს, მან მხოლოდ სურვილი უნდა გამოთქვას და არა გადასწყვიტოს, თუ როგორ შესრულდეს...

კარისკაცები ჩამოშორდენ მათ, რომ კადნიერი სიტყვების მოწმენი არ ყოფილიყვნენ.

შეირიკმა ოქრომჭედელს აცნობა, მეფე შენის ნახელოვნებით გეძახისო.

— ბედნიერ ბრძანდები, ცოლშვილი არ უყავს, — წასვლის დროს უკანასკნელად თავის გასამართლებლად უთხრა ხელოსანმა ოსტატს.

— შეიძლება მართალს ამბობდენ... ბუნებითი ნიჭიც გქონია და შრომის უნარიც, მაგრამ საქმის სიყვარული გკლებია და აი რას აკობიტებ, — ღმობიერად უბასუხა ოსტატმა მომავალ ოქრომჭედელს და ისევ ფიქრებს მიეცა. დარბაზში შესვლისთანავე ედიშერს ამ ყაეარჯნიანისკენ ჰქონდა პირი.

— სალაში თქვენდა დიდო ოსტატო!

ყაეარჯნიანი ერთ წამს უგრძნობლად უყურებდა მოსულს.

— ჰმ დიდი!

— ეერ მიცანით — ედიშერ აბეანდაძე?

— აჰ, გაგიმარჯოს, ედიშერ! — წამოღვომა სკადა, გაუჭირდა და ისევ ჩაჯდა.

— მომიტევეთ!

— ბრძანდებოდეთ, ბრძანდებოდეთ! როგორ გიკითხოთ?

— რაღა საკითხავია?!

ედიშერმა მხოლოდ ეხლა შეამჩნია, რომ მობაასეს მარჯვენა ფეხი და მარცხენა ხელი არ ჰქონდა.

— მამატიეთ, მე არა ვიცოდი რა...

— არ გეცოდინებოდათ, ეს ორი წლის წინ მოხდა.

— მე დღეს მოვალწიე ქალაქს. აქ გამოცხადებაც არ მინდოდა, ისე უნდა წავსულიყავ სოფელში, მაგრამ დედა-ბატონის ბართი დამხვდა, მეფეს უუკველად გამოეცხადეო. სახლთუხუცესმაც დამარწმუნა ასეთი ჩვეულება შემოიღესო.

— და რა მოგაჩქარებდა!

— სამშობლოში?

— ჰო, სამშობლო კარგია, ვისაც აქვს, და არა სატანჯო.

— რაც არ უნდა იყოს, ჩვენც ჩვენსავე ზურგზე უნდა გადაიტანოთ. უბედურება ყოველთვის შესაძლოა, მაგრამ მოთმინება და ისევ თავისი ხელობით დაკმაყოფილება, — ვითომდა ანუგეშებდა ედიშერი.

— ეს უბედურების შედეგი კი არ არის, არამედ სამშობლოა კანონისა თუ უკანონობის, — და რადგან ედიშერს სახეზე სრული გაუგებრობა ვერაფერია, დაუმატა: — ორჯერ ჩამოინგრა ჩემი აშენებული ციხე დასაფარველად ხელფეხის მოქრა. მაგრამ ყოველივე ამას შედეგ ვაიგებ, ასე ერთის თქმით გაუგებარია. მეტს ჩემზე ნუ ვილაპარაკებთ, აღარ ღირს. ეხლა თქვენი მითხარით, რა მოიტანეთ, რა აზრით მოდიეთ?

— ჯერ სოფლად მინდა წავედე, მაშაყაც მოკლებულ ოჯახს ბევრი რამ აერია უსათუოდ. ყმა და საპატრონოც დაუძღურდა უეჭველია და მინდა ყოველივე ფეხზე წამოვყენო. მერმე კი შევეცდები ჩემი ცოდნით ჭეყანასაც გამოვადგე.

— კარგია, კარგი! მაშაყენი ჩემი მწყალობელი და მეგობარა იყო, სანამ მე მეფის კარად არ დავიწყე მუშაობა და იგი კი სოფელში გადაბრძანდა. შენც, ახალგაზრდავ, მომიგონებდე და მწყალობდე, თუ სადმე შეგხვდება.

— ეხლა რა გნებავთ?

— მეფეს ვთხოვე ცალკე მოესმინა ჩემთვის, მხოლოდ ამიტომ ეს საბელოც გადავიგდე, რომ ცოტათი მაინც მისი სურვილი დაწესი ამესრულებია. მაგრამ ეტყობა, მაგალითისთვის საჯაროდ უნდა დამტუქსოს და სათათბაროში არ მღებულობს.

გაიღო კარი და კარისკაცმა საზეიმოდ განაცხადა:

— დიდი ბატონი მობრძანდება!

ლიმილი გაქრა; ბაასი შეწყდა.

ჩქარის ნაბიჯით, მშფოთვარე მიმოხრით გამოვიდა ნაღელიანი სახის პატარა კაცი, ოდნავ თავის დახრით მიესალმა ღრმად თავდახრალ საზოგადოებას და ყავარჯნიანს მიმართა შორიდან:

— რა გააკეთეთ უკვე?

— გამანთავისუფლეთ!

— კადევ არ დავიწყეთ მუშაობა?! — აღშფოთებით წამოიძახა მეფემ, — მეორე ხელსაც დაპკარავ და სიცოცხლესაც.

— რაც გნებავთ, ოღონდ არ შემოძლია...

— რა გიშლის ხელს?

— თქვენი — იყვირა უკვე ხუროთმოძღვარმა. — სამაგ ყველას ეს თქვენი ციხე, პგონათ, რომ მტრის მაგიერ შიგ მათვე ჩაახრჩობთ... — საბელი მოიგლაჯა და გადააგდო.

— დილეგში! — ეხლა კი სრულიად მშვიდად უთხრა მცველების უფროსს მეფემ, შებრუნდა და თავის შიდა ოთახებში მიიშალა.

ყველანი ასე გაუჩინარდნენ, თითქოს ქარიშხლის დროს აბედის კვამლი ყოფილიყვენ.

მხოლოდ ედიშერი გაფითარებული და აღელვებული ამშვიდებდა:

— დაწყნარდით, ნუ იღუბავთ თავს... ჯერ კიდევ რამეს მოეახერხებთ.

— დილეგში სჯობია თქვენს კარზე ყოფნას! — უფრო და უფრო ყვიროდა ხუროთმოძღვარი და ახალგაზრდის მუდარას ყურადღებას არ აქცევდა, სანამ მხლებლებმა არ გაიყვანეს. მცველების უფროსი მეფესთან შევიდა. მეფემ მაგიდიდან აღებული თითბრის მუშტი გადასცა და უთხრა:

— გესმის?

— მესმის, ბატონო.

— მხოლოდ უხმოდ.

ასე გააქრეს ზურთომთმღვარა.

დამწუხრებული, აღშფოთებული და ჩაფიქრებული ედიშერი კმინდურს მოდიოდა, როცა კარისკაცი დაეწია და მოახსენა, მეფე გთხოვთ, ოთახში მობრძანდეთო.

ედიშერმა თავი დაუკრა და შებრუნდა.

— კარგ ღრის მომისწართ, — პირდაპირ მიზართა მეფემ, — თქვენისთანა კაცი სწორედ ესაა მჭირდება. ციხის აგებაში უნდა დამეხმაროთ, მღვდმარეობა დაყოვნებას ვერ ითმენს. მშენებლობას მე თვით უხელმძღვანელებ; თქვენ ჩემი დამხმარე და ამ საქმეში მოადგილე იქნებით.

— მეფეო, როგორ შეგკადრო უარი, მაგრამ ციხის შენება ჩემთვის უცხო რამაა.

— თქვენ ესეც გისწავლიათ უქვევლია, ტყუილად ხომ არ ათვლიერებდით ასეთის დაკვირვებით კრემლსაც და ტაურინსაც.

„ჯამუშები კარგი ჰყოლია... თუმცა ასეთ წევრ ღმანებს თუ ატყვევდნ ყურადღებას, ნამდვილი და საჭირო გამორჩებოდათ“, — გაიფიქრა ედიშერმა.

— საქმეს ეხლავე შეუდექით, დრო ისედაც მცირეა, ჩვენ ცნობები გვაქვს, რომ მტერი ემზადება და დღეს თუ ხვალ დაძვრება ადგილიდან. ნახაზებს ეგზირი მოგართმევსთ და გაარჩიეთ, შეასწორეთ. კირის საწვავი, ქვას სატეხი თქვენ პირადად აირჩიეთ. ჩასაკარავ ადამიანს შენ გვიშოვი, ვეზარო.

— როგორ? — უცრად კიდევ უფრო შეკრთა ედიშერი. — ჩასაკარავი ადამიანი, მეფე მწყალობელი?!

— მო, ადამიანი უნდა ჩავეიროთ ვალაქანში... არ დამიჯერა ოსტატმა და კიდევ თავზე დაენგრა ორგზის ეს კედელი...

— მეფეო, რაღაც ასეო კი მსმენია საღდაც შორის ჩვენის ქვეყნიდან, მაგრამ ჩვენში ასეთი რამ არ ყოფილა.

— იმითმაც ამ ქვეყანას ანგრევეს და აწიოკებს ყოველი გამგლევი ძლიერი და ზოგჯერ უძლურაც. ცახე უნდა გვექნეს ურყევი და მამინ ზალხიც იქნება უძლვეი.

— მეფეო, კადევ მამატიე კადნიერება, მაგრამ სვეტიცხოველსა და ბოლის ვერაფერი დააკლო საუტყუნემა.

— ეს ჩვეულება რაღაც შელოცვაა თუ ჯადოსნობა, იგი ძველია, როგორც საქართველო, და მიკვირს, მამათქვენის შეილი როგორ უარყიფთ!

— აოც მამისაგან, არც ვისმესგან ასეთი რამ მე არ მსმენია... ასეთი სისასტიკე არც შეეფერება ქართველის ხასიათსა და სხვა ჩვეულებებს...

— ასეთი ჩვეულება რომ არსებობს, თქვენმა ნალეკარმაც დადასტურა, — დაახმარა სიტყვა მეფეს ვეზირმა.

— მამ ეხლა წახვალთ, დედა-თქვენა ქალბატონს ეახლებით, ჩემგანაც მოიკითხავთ, გადახედეთ თქვენ ნამულს და მალე მობრძანდით.

მეფე შებრუნდა და ჰარამხანასკენ წავიდა, გზა და გზა მხლებელს უბრძანა, მოცეკვაუები და მომღერალნი მოიყვანეთ.

ღრმად თავდახრით ვეზირა და ედიშერი უცდიდენ, სანამ მეფე არ მიიშალა.

— თქვენ, ვეზირო, შართლა ვითხრათ ჩვენმა ნალეკარმა, ადამიანის კედელმა მსხვერპლად ჩაქარვა ქართული ჩვეულებაა?

— მე თვით არ მომიხმენია ნალეკარის ნათქვამი, მაგრამ როცა ოსტატმა უარი სთქვა, ამისათვის ხელი მოაჭრეს, აქ ჩოჩქოლი ატყუდა, ჩვენს ყველას დავეციოთხეთ, სხვათა შორის ნალეკარსაც და მან გაგზავნა და მან დასაწყისს უთხრა, დიახ, მართალია, ასეთი ჩვეულება არსებობდაო, ოღონდ დიდი და დიდი ხანაა, რაც გადაეარაღო.

ელიშერი ღრმად ჩაფიქრებული ჩადიოდა კიბებზე, რომ ბავშვობის ამხანაგს გიორგის შეხვდა.

— გიორგი, თვალყური გეჭიროს ბენედიქტე ოსტატზე, — ფრთხილად უთხრა ელიშერმა.

— ვიცი, — მოკლედ მოუპრა გიორგიმ, — მე უთხოვენლადაც ყველაფერს მოვიმოქმედებ.

— უნდა მაჩვენო...

— ვეცდები, თუმცა არ დავიმაღა უდიდეს საფრთხეში იგდებ თავს და შეც მავდებ...

არც კი შეუმჩნევია, რომ ჭიშკართანვე უცდიდენ მსახურნი, ჭაღარა შერეული უფროსი ძიძვილით, რომელმაც საყვედურით შეხედა, რად არ გამოიჩყოლე თავიდანვე და თავი შეიკავებოდა ამ ციხის შენება არ იყო მისთვის სასურველი. არც ხალხს უნდოდა იგი, და ოსტატის სიტყვების შემდეგ თვითონაც იჭიანობდა, ვაი თუ ჩვენივე საპატიმროდ გადიქცესო. შშენებლობა სსახელო იყო. მართალია, ციხის შშენებლობა არ იყო მისი სპეციალური საგანი, მაგრამ საკმაოდ მაინც ჰქონდა შესწავლილი. ძლიერ ბევრი გულდასმითაც დაეთვალაიერებია. როგორც ოსტატი ამ შშენებლობას არ ერიდებოდა. პირიქით, როცა თავს ადარებდა იმ პირებს, რომელთაც შესაძლებელი იყო მინდობოდა ეს საქმე, ის თავის თავს შალა აყენებდა, სრულიად გულწრფელად და პირუთვნელად. მაგრამ, თუ კარგი გამოედა, მეფე თავის თავს მიაწერა, თუ რამ ცუდი შეეშთხვა, ელიშერს მოახვევენ თავზე და თუმცა ისე ადვილად ვერ გაუბედავენ მოსჭრან ხელი ან ფეხი, როგორც შდაბით ოსტატს უყვეს, მაგრამ როგორ დასჯის, როგორ მოეპყრობა მეფე — გაურკვეველი და მეტად სახიფათო სჩანდა.

კიდევ ეს საშინელებაც ემატება, — ცოცხალი კაცის ჩაქირვა. ბრძოლაში ბტრის, თუნდაც გამშაგებულ გულზე შეურაცყოფელის, მოკვლა არაფერია სხვა საშეაღება რომ აღარსად არის, იქ შალულად ხანჯლის ჩაცემა ან საწამლაფის ჩასხმა, ამასაც თითქმის ურიგდებოდა ელიშერი, მაგრამ ცოცხალი ადამიანის ჩაქირვა... ელიშერს თვალწინ უდგებოდა, როგორ იბრძვის კბილებით, ზელებით კაცი, როგორ შალით სტენიან გამოროტებული ქუშები ადამიანს. იქვე კი გდია გაფოფრილი დედა, და, ცოლი, ბავშვები.

მიუბრუნდა და მხლებელს უბრძანა:

— გაიარე ჩქარა და მოამზადე... საღამოსვე წავალთ შინ.

— ვერ მოვასწრებთ, ბატონო: აქლემები უკანვე უნდა დავაბრუნოთ და შათი საპალნეები ცხენის საპალნედ შევკრათ. ჩვენ ცხენები არ გვეყოლია და მოქალაქეთა ცხენებს ვჭირაობთ. მათ კი დაქედვა დასჭირდება.

— ზვალამდი არ მოესწრება?

— არა, შუალამისათვის მოვასწრებთ.

— კარგი... თუ არ შეიძლება...



— მთვარეც ამოვა. ხვალ სიცხეს გამოქვამბულში გადავიჩრდილებთ და სალამოს ქალბატონს ვეახლებით.

ედიშერმა ისაღილა, მოისვენა და ისევ ქალაქის დასათვალისწინებლად მოვიდა. შუალამემდე ბევრი დრო დარჩენოდა. საღლაც განაპირას მაღლობიდან ქვევით მიმავალ ქუჩას გადაადგა. ქუჩაზე მეურმეები ჩამომსხდარიყვნენ, მთვარის მოლოდინში ჩირაღდანს აენთათ და პურ-ლეინოს შეეძქეოდნენ. ყური დაუგდო:

...და რა ყოფილა მერე... ყველაფერი მიუხვლია პირში თამამად, დალაგებით. ხალხს ყველაფერი შეუძლია, ოღონდ შენი არ სწამსო. ვერ ამოურჩევია, შენ, შინაური მტარვალი, სჯობინხარ თუ სათარეშოდ მოსულა უცხო მტერიო. მუშაც გამოინახება და თავდადებულიც. დორბლებს ჰყრიდა თურმე. მეფეს დილეგში ჩაუგდია... იქ გველებია, თურმე კოჭებამდე წყალა სწუდება, სახეზე ვირთხები დაუდის... დაბრმავებულა კიდეც, მაგრამ ვერ დაითანხმა მეფემ მაინც, ცოცხალი კაცი საძირკველში მოაქციოს.

— ეჰ, ძია, მშვენიერი ცხოვრებისათვის...

— რა მშვენიერი, ბიჭო?

— აბა დაუქვირდი: თუ რამე მოიყვანა მიწან, — მით მოაქვთ, რადგან სარჩენი ჰყავთ ბევრი. კარგი ცხენი მეფეს მიჰყავს — ჯარისთვის და კარგი ვოგო თუ დაიბადა, დიდი ხელმწიფე წაიყვანს — მისი რჯული ნებას აძლევს ბევრი ცოლი იყოლიოს. და ჩვენ რათ გვინდა პური — სარჩენი, თავისთავის მეტი არაინ გვეყავს! ცხენს კინ მოგვეცემს — ჯარი ხომ არა გვეყავს, რჯული ბევრი ცოლის ყოლის ნებას არ გვაძლევს და ერთი ბრუტიანი განა არ გვეყოფას..

— და მერე რა ჰქნა ხალხმა?

— ვოგო გადაარჩინეს. საწყალი ტაკიმასბარა დაჭრილიაო.

— ეჰ ჩალით არას დახურული ქვეყანა!

— ჩალით კი არა, ანწლით, ბაბუა, ანწლით!

— თუ ანწლითაა, აქარით ხელი და აარღვიეთ ის წყველი სახურავის! ჯველები არა ხართ?

— შენს პირს შექარი! მაგრამ ამის დროც დადგება... რია, რია გავიტანო ყველაფერს!..

ყველგან ცუდი ნიშნებია, — ფიქრობდა ედიშერი, — მწუხარება დიდია; უსამართლობა კიდევ მეტი. და ეს დუღილი მეფეს თუ მიწვედა მარტო, ხომ კარგი, თორემ ჩვენც შეიძლება ზედ მიგვაყოლოს.

(გაგრძელება შემდეგ ნომერში)

ხარიბონე შარდლოშვილი

ყიჩიბს

ბევრი იგემე წამების დღენი,
მაგრამ ვერ გძლია საკვდილის ცელმა.
მზიურო მხარეე, გმირობა შენი
საუჯუნებს ვადაეცემა.

ცეცხლის ღეართქათით იყაე ფარული,
ბრძოლის გრიალით დრკებოდნენ მთები,
მაგრამ არ შედრკენენ, ლეგენდარული,
სევეასტოპოლის გოლიათები.

ვერაგ ურდოთა უამრავ ლეშით
აავსეს ზღვა და ხმელეთი ვრცელო,
ხალბთა გმირობის მატთანეში
სისხლით ჩასწერეს წმინდა სახელი.

გმირო ყირიმო, აწ ვერ ვაგთელავს
უგბილი მტერი, აღსავსე რისხვით.
სხვა ძმებთან ერთად შენს დაახსნელად
ქართლის შეილებმაც დაღვარეს სისხლი.

გამარჯვების მზემ დიად ნათელით,
შენს ცაზე რსევ გაიკაშკაშა.
ყირიმო, ლხენის დღეები გელის,
შენს ღამხსნელ გმირებს დიდება, ვაშა!

ღენიგზაღს

ზარ კლდესავით მტკიცე, დაურღვეველი,
 მტერს ავემე რისხვის მეხი საზარი,
 დაიჭუბე, ზეცამ იწყო ზანზარი,
 ვერ დაგიწვა ცეცხლმა შეკრდი მძლეველი!
 დიდ ლენინის დროშა ძირს არ დაჰხარე,
 შენს ბჭეებთან მტერმა ჰპოვა სამარე.

მძლე ოქტომბრის გიციავს გმირთა კრებული,
 ბრძოლის აღში გამოწრთენილი ლაშქარი,
 ფერფლად იქცა, დაილეწა ჯავშანი —
 შენს ტინობზე ზათქით დაჯახებულო.
 დაკპრეს, მაგრამ ვერ გაგტეხეს ძლიერი,
 კვლავ გუგუნებ გოლიათურ იერით.

არ დაინდო მხეცი დამამზობელი,
 არ უმუხბოლო გმირულ გამბედაობას!
 დიდ ლენინის და სტალინის თაობავე,
 წინ, არ შედრკე, იხაენ დედა მშობელი!
 დიდება შენ, რომ დასძლიე წყუდიადი,
 არ ჩააქრე ლენინის მზე — დიადი!



შენი სხოჯაბა

გიყვარს გუგუნი ველური ქარის,
 აისის სხივებს ზედები სიმღერით.
 შენი ცხოვრება არის სიზმარი,
 იღუმალი და ბურუსისფერი.

მართალი გულის დიდ მდღეღვარებას
 მტკვარის ნელ შრიალს უერთებ დღესაც.
 გზიბლავს ბრწყინვალე მზის ელვარება
 და მშობლიური მთაწმინდის ზეცა.

აქ ჰყვავას შენი ფიქრის ზღაპარი
 და შთაგონება სამარადჟამო,
 როდესაც მთვარე, მიუსაფარი,
 მიწას დააფრქვევს სხივებს საამოს.

გითენებია რამდენი ღამე
 მოგუადოებულს ცის ბრწყინვალეებით,
 და გიბარია, რომ ხარ მოწამე
 თბილისის დღეთა ფერისცვალების.

რომ წარღვნის ცეცხლში გამოვლილ ქალაქს,
 კვლავ იფარავენ მკერდით გმირები,
 და კვლად შესწევს უშრეტო ძალა
 აყვავების და აღორძინების.

რომ ისევ მტკიცედ დგას ნარიყალა
 ირაკლის ხმალის ელვის მნახველი,
 რომ არ მოკვდება, იცოცხლებს მარად
 თბილისისა და ქართლის სახელი.

1942 წ.

შერმადინი

I

სოფელში მეტსახელად მას „ამირანს“ ეძახდნენ. დადიოდა ღინჯად და მძიმედ. მის მჭუხარე ხმაშიაც სიღინჯე ასმოდა. იშვიათად თუ ნაბიჯს აღჩქარებდა. ასევე აღჩქარებული იყო სიტყვაში, რაიმე საკითხის გადაწყვეტაში, გაცილებლაში, გაჯაჯრებაში. მთელს მის არსებაში სიღინჯე იყო დამკვიდრებული. გულის მოსვლა მან არ იცოდა, მაგრამ თუ მოხდებოდა სასწაული და გაბრაზდებოდა, მშინ მის ახლოს ყოფნა ისევე საშიში იყო, როგორც ლომის ბუნავში შესვლა.

ეს ვიწებრთელა, კლდესავით შეკრული ადამიანი, გულკეთილობის ბურჯად ჩამდგარიყო თავის სოფელში. მის დანახვაზე მეზობლებს ხასიათი ეწმინდებოდათ, თათქოს სათნოებებს სხივებმა მიამუჭესო. განსაკუთრებით მოხუცები და ბავშვები ზარობდნენ. ალბათ იმიტომ, რომ შერმადინს განსაკუთრებით უყვარდა ისინი. ბავშვები ჩიტებივით აჟრიალდებოდნენ და მივსეოდნენ, მოხუცები ჭვემ-ჭვეშ ღიმილით მიესალმებოდნენ, კმაყოფილების გრძნობით რამეს ეტყოდნენ და შერმადინს იმედიანი სიტყვებით გულს გაითბობდნენ. ეს მშვიდი ქმნილება ამ სოფლის ასევე მშვიდ ბუნებას წარმოეშვა, მისი სახით ბუნება ცხოვრებაში შემოსულიყო.

ამხანაგებში ყველაზე მეტად სიყრმის მეგობარი შოთა უყვარდა. ესეც, ალბათ, იმიტომ, რომ შოთა ყველაზე უკეთ უკრავდა ჩონგურს, ხოლო ჩონგურის წკრაალი იყრობდა შერმადინს. რაც უფრო ნაზი იყო ჩონგურის ხმა, რაც უფრო მეტი ძალა ჰქონდა დამორჩილების, მით უფრო ედებოდა იგი შერმადინის გულს.

თითონ შოთას-კი ჩონგური მას შემდეგ შეჰყვარებოდა, რაც ერთი სოფელი ქალი გულს ჩავარდნოდა. მაგრამ ყველაფრიდან აშკარად ჩანდა, რომ ის ვიღაც ასული, რომლის ვინაობას შოთა არ ამხელდა, თანაგრძნობას არ უცხადებდა. ასე ცალმხრივი სიყვარულით დამწვარი შოთა გულის დარდს მხოლოდ ჩონგურს უმხებოდა. სიმების წკრაალს სეველას თან ატანდა. ამიტომაც მას „უიმიდოდ შეყვარებულს“ ეძახდა შერმადინი და ხშირად ეტყოდა: — აბა, უცნობ მხეთუხაბაზე უიმიდოდ შეყვარებულს, ერთი დაუკარ და აკვამენე.

შოთაც მეგობრულად გაუღიმიებდა, შემდეგ ჩონგურს მოიმარჯვებდა, დაუკრავდა და გულში ჩამწვდომი ხმით უფრო ხშირად სატრფიალო ლეკვს დაამღერებდა.

შერმადინი სხვის საქმეში არ ერეოდა. თუ ჩაერეოდა, იშვიათად, ისიც მხოლოდ მაშინ, როცა მისი ჩარევა საქმეს შეელოდა. თუ სოფლის ჭირვარამზე მეზობლებში ჩხუბი ატყდებოდა, შერმადინი წაყურებდა, წერილმანიაო ან მორიდებდებანო, იტყოდა და ხელს ჩაიჭნევდა, მაგრამ სიფრთხილი-

სათვის შორიასლოს შეჩერდებოდა. თუ ჩხუბს დაცხრომის ნიშნები დაეცყობოდა, აქაურობას გაშორდებოდა. თუ საქმე გამწვანდებოდა, ხელნართულ შეტაკებად გადაიქცეოდა, შერმადინი მიუახლოვდებოდა, თავის ვეებერთელა ხელს შარვლის ჯიბიდან შეუმჩინეულად ამოიღებდა და მთავარ შოჩხუბარს მიაშურებდა.

— ნუ ხუმრობ, ძამიაე! — ეტყოდა, ხელში ბავშვივით აიტაცებდა, შეჯიბრებულ ხალხს გააშორებდა.

როცა თვით მოჩხუბარი გოლიათის მკლავებში აღმოჩნდებოდა, ნირდაკარგულო სახეში შეხედავდა, დაცხრებოდა, მორჩილების ნიშნად ნაძალადევად გაუღიმებდა.

— აქ სუფთა პაერია, ძამიაე, სიცხე გაცივლის, — მშვიდა ხმით ეტყოდა შერმადინი. თითონაც ფართოდ გაუღიმებდა, შემდეგ პაპიროსს გამოართმევდა, გააბოლებდა, — ერთ ჩხუბად ქე ღირდა და სხვაი შენ იცი! — ეტყოდა და გაშორდებოდა.

შერმადინით გატაცებული ქალიშვილები ხშირად ღობეს ან ბუჩქს მოეფარებოდნენ, ჩუბად უთვალთვალდნენ და თინაც ურთიერთს შერმადინზე ქებას ჩასჩურჩულდნენ. მხოლოდ ერთს სდუმდა მათს შორის. — მარო, რად სდუმხარო, — ეტყოდნენ ტოლები. მაგრამ მაროს ერთ სიტყვასაც კი შერმადინის შესახებ ვერ დააცდენდნენ, თუმცა საკმარისი იყო შერმადინის მხოლოდ სახელის ხტენება და მაროს სახეზე მოწითალო ტალღები გადაივლიდნენ, თვლებშიაც სხივები იელვებდნენ, მაგრამ თითქოს გულას ტბაში დაძირული სიტყვები აღარ იპროდნენ. თითონ შერმადინი-კი არავისადმი არავითარ განსაკუთრებულ გრძობას არ ამხელდა, ყოველ ქალს ერთნაირს სიმშვიდით უყურებდა, მხოლოდ საქმეზე თუ ეტყოდა რამეს. ასევე საქმიანი იყო მისი სახანს ვაიმეტყველება, თითონ საუბრის კილო და საგანი, მაგრამ სადაც ძალ-ღონის გამოჩენა იყო საქმრო, იქ შერმადინი თათქოს საგანგებოდ აბადებოდა, და უყოყმანოდ თავის საქმეს თვით მიაგნებდა.

ერთხელ უჩვეულო თქეში და ნიაღვარი მოვიდა სოფელში. აღიღებულმა მღინარემ ვზები დაძფარა, ზიდები წალეკა და ვეებერთელა ხეებს ძირფესვიანად დაუწყო გლეჯა. რაც უფრო გაძლიერდა ნიაღვარი, მით უფრო იმატა ხალხის ჩოჩქოლმა. აქ-იქ ქალებას კივილიც გაისმა.

საღამო იყო და შერმადინი ყველაზე ბოლოს ბრუნდებოდა მინდვრიდან (ის მუშაობის დამთავრების შემდეგ დაჯდებოდა ხის ძირას, პაპიროსს გააბოლებდა, ამ დღის ნაჯაფარს კმაყოფილებით მიაჩერდებოდა, შემდეგ მიძიმედ წამოდგებოდა და შინ წავიდოდა). შეეცარი ნიაღვარი რომ მოვიდა, შერმადინმა ოღნავ აუჩქარა ნაბიჯს. წისქვილთან ქალებისა და ბავშვების კივილი გაისმა. მისთვის ყველაფერი ნათელი გახდა. წამათ შეჩერდა, შემდეგ წინ გაქანა. წისქვილთან მისასვლელი ვზება და მთელი მოედანი წყალს დაეფარა. მხოლოდ მცირე ბეჭობზე ქაოები და ბავშვები მომწყვდეულაყვნენ. ქალებს ხელები ცისაყენ აღებყროთ და ჰკიოდნენ, ბავშვები ტიროდნენ და დედებს კალთებზე ებლაუჭებოდნენ. წყალი აზრდებოდა, ძლიერდებოდა, ამ ჰცირებეჭობსაც წალეკით ემუჭრებოდა.

შერმადინმა შორიდანვე გასძახა მათ:

— გულა დაიმშვიდეთ, ნუ გეშინიათ!

შერმადინის მხოლოდ ხმის გაგონება იყო საკმარისი, რომ ვარაუდლოდ ვულში იმედის სხივი გაჩენილიყო.

— შერმადინ, შერმადინ!

— აქეთკენ მოდის!

— ღმერთო უშველე!

იძახდნენ გამხნივევული დედაკაცები. ბავშვებმაც შეაჩერეს ტირილი და ბაჭიებივით თვალი დააჭყიტეს.

შერმადინი შარავნაზე გადასულ წყალში 'გევიდა. მოჩალებული ჩქერი აწებოდა, ეტანებოდა, მაგრამ, თითქოს ფოლადისაგან ჩამოსხმულს, წყალი ვერ ძრავდა. ვადალახა გზაზე გადასული მდინარე და ბეჭობს წაღწია. ბავშვებმა ყვირილი მორათეს:

— ბიძია შერმადინ, ბიძია შერმადინ! — ხელები აღმეყრით და აყვანა სთხოვდნენ.

— შემესიეთ, ბიძიებო, ჰო! — მოუწოდა შერმადინმაც.

ოთხი ბავშვი აიკიდა მხრებზე, კისერზე, ჩაახველა და გამობრუნდა. გზაღმა ამხნივებდა პატარებს:

— აგრე, ბიძია, ჰო, არზეინად იყავით!

მერე ქალებს მიეშველა შერმადინი და ყველანი სამშვიდობოზე გაიყვანა.

— მეტი სიფრთხილე გმართებთ, ქალებო! — დაასვენა და ოფლი სანელოთი ჩამოიწმინდა.

შინსაკენ ერთად წავიდნენ.

ნაღვარი ბობოქრობდა, ძლიერდებოდა.

უცრად მდინარის ვალმიდან ხმაური მოისმა. ისინი წისქვილთან დარჩენილი ქალებთან და ბავშვების მისაშველებლად გამორბიანთ, გაიფიქრა შერმადინმა. ამიტომ აუჩქარებლად განაგრძო გზა. მაგრამ როცა მდინარის გადასასვლელს მიუახლოვდა, უფრო საშიში სურათი დაინახა: ხიდი წყალს წაქლო და ვალმით შემფოთებული ხალხი შეჯარულიყო. შერმადინმა ბავშვებს თვალი შეაგლო და მტკაცედ წამოიძახა:

— ნუ გეშინიათ!

ქალებისა და ბავშვების წინაშე შერმადინის სახე ზორცმესხმული იმედით წარმოისახა.

შერმადინი ქვევით დაჰყვა მდინარეს.

„ნეტავი სად მიდის?“

თი შეჩერდა. შემდეგ ეკლნართან მთანარეზე ვადებულ ხილზე გავიდა. იქ ჩახერგილ ნამორს ჩასკიდა ხელი და, აბა, მიითრევს. ნეტავ რა ნახა?

„საიდან გაჩნდა შერმადინი?“

„სადაც ჰირია, იქ ლზინად ჩნდება!“

„ზრივადარიც ასეთი უნდა!“

„ამირანია!“

ასეთი სიტყვები ისმოდა მდინარის ვალმიდან. მაგრამ რადესაც შერმადინმა მორი მიითრია და გადასასვლელთან მიწაზე დაავლო, იღვრათფანების ყიფინა ატყდა.

— ყვირილს შემდეგ, ახლა თოკი მესროლოთ იქნებ — საყვედურით გასძახა შერმადინმა თავშეყრილ მეზობლებს, და ახლოს შეჩერებულ ბავშვს დილით უთხრა: — ბიჭუნო, ცურვა იცი? ჰო-და, ახლა შენ უნდა გამოიყვანო მდინარის ვალმა.

ბიჭუნას გაცინა, სხეებიც აპყვნენ.

აი თოკი მიაშველეს შერმადინს. ათიოდე წუთში ხიდი მზად იყო და გადამყვანას შეუღვენენ.

შერმადინს ყველაზე გაბედულად ერთი ტანჩამოსხმული, თვალუბკარხნა-ლა ქალიშვილი წამოეშველა. ის ბავშვებს წიწილებივით მიაარბენინებდა და-კიდულ ხიდზე.

— შერმადინს მეტოქე გაუჩნდა, ხალხო!

— ეს მაროა ნეტავა?

— ამფერუმ, ქალო!

— შერმადინი ჩვენი სოფლის ხიდია, — ისმოდა ხალხში.

გადმოყვანა რომ მოათავეს, შერმადინმა ხალხის შექებას ყური არ ათხოვა. შეჩერდა მაროსთან და ხელი მისცა:

— კარგი დღეა იქნები, მარო, — უთხრა და მაროს შრომის აღში ნაწრთობი თითები ვეებერთელა ხელში ჩაბლუჯა.

მარო წამოწითლდა, აინთო და აფეთქებასავით ავარდნილი კისკისით გასცა პასუხი.

ამის შემდეგ ისე მშვიდად, უღარდელად გაემართა შინისაკენ, თითქოს ყოველივე ეს ჩვეულებრივი ამბავი და წვრილმანი ყოფილიყო.

აღფრთოვანებული ხალხი მოწონების შეძახილებით და ყრიაპულათ აედევნა.

— დაჩუმდით, ჰო, გეყოფათ ახლა! — აჩუმებდა შერმადინი ხალხს და უკანმიუხედავად გზას განაგრძობდა, თანაც ახლოს მიმავალ მაროს ზოგჯერ რაღაც სიამით გადახედავდა.

11

შერმადინი ლხინის ან თამაშის დროსაც იყო საჭირო.

როცა სოფლის მიწას ვაზაფხულის ხავერდი გადაეკროდა, როცა შემთბარი ჩიტები ელურტულს იწყებდნენ და ფერადი ყვავილები მოლურჯო ცას გაულიმებდნენ, ადამიანებში სიხარული მეტის ძალით იღვიძებდა. ახალგაზრდები უქმე დღეებში სოფლის მოედანზე შეგროვდებოდნენ და ბურთს ვაგდებდნენ. დიდის გატაცებით ფრქვლდებოდა ბურთის თამაში. იქვე თავშეყრილ მოხუცებსა და ბავშვებში იჯდა შერმადინი. მას, როგორც ძალუმს, მფრთის თამაშის ნება არა ჰქონდა. არც თითონ ეტანებოდა. მისთვის ესეც „წვრილმანი“ იყო. მაგრამ როგორც ბავშვს, ისე აინტერესებდა მოხუცების მონათხრობი ძველი ამბები. იჯდა, უსმენდა, თანაც მუხლებზე იცემდა ხელს და იძახოდა:

— ერთიც, ჰო, ერთაც და აგვაშენე!

მოხუცები განაგრძობდნენ ამბის თხრობას. პატარებიც ეჭვე ისტდნენ და გატრუნულნი ყურს უგდებდნენ, შოთაც იქ იყო.

აი მოხუცებმა დაასრულეს ამბები. ახლა შოთას მიუბრუნდა შერმადინ და ძმურად სთხოვა:

— აბა, ჰე, შოთა, ერთი შენებურად, მხოლოდ საგმრო!

— ეჰ, რა გაეწყობა, — მიუგო შოთამ, ჩონგური მუხლზე დაიდო, ააყენესა და კრიალა ხმით დაამღერა:

„სისონაი დარჩია,

ნაქებია ბიჭობაში,

მივიდა, მზავი იტირა,

არ შეშინდა იმდენ ჯარში“.

ამდგომდა შოთა, ხოლო შერმადინი ხარობდა ველთ.

— პო, პო, პო! მთლად არ აატირა და არ აგვაშენა! — ამბობდა დედასა და მამასა ლეზზე ხელებს იცემდა.

მაგრამ აი მობურთავეთა შორის ჩონჭოლი ატყდა. საჭირო იყო შეჩერება, რომ ბურთაობა უმედურებად არ გადაქცეულიყო, და როგორც ყოველთვის, შერმადინს სთხოვეს:

— გეიშველე, შერმადინ: ბურთი ქვეშ ჩაიგდეს და ვინმეს აუცილებლად გამოაზრხობენ!

შერმადინი დინჯად წამოიღვა. შეყრილ ხალხს თვალი შეავლო, სახელოები დაიმკლავა, ჩაახველა და გაემართა.

— შერმადინ მოდის! — დაიძახეს აქეთ-იქიდან.

მყისვე იკლო ჩონჭოლმა მობურთავეთა შორის. პატარეებმა ტაში შემოკრეს და ახითხითდნენ:

— ბიძია შერმადინ მოდის და უტიფეთ!

მიადწია თუ არა, უცნაო ცვლილება მოხდა: ვინც შენიშნა, თავის ნებთვ მიატოვა „ბრძოლის ასპარეზი“ და უკან დადგა. დანარჩენები შერმადინმა გამოაფხინლა: ვეცებრთელა თათებში ჩაიგდო ბურთი, და შადლა ასწია. გონს მოსული მობურთავენი, ეს რა მღვევი დაგვეტაკაო, გაოცებით შეჰყურებდნენ შერმადინს; მაგრამ შერმადინმა განთავისუფლებული ბურთი შორს გადისროლა:

— მისდით ბიჭებო! — წამოიძახა და თითონ წავიდა.

მობურთავენი ბურთს გამოუდგნენ, ხოლო ბავშვები შერმადინს შემოეხვედნენ, ყივილი მორთეს. შერმადინმა ხელში აიყვანა, ზოგი მხრებზე დაისვა და გზა განაგრძო.

თითქოს რაც მოხდა, ესეც „წერილმანიაო“, თითქოს შერმადინი ამისათვის არ არის გაჩენილიო, უფრო დიდ ამბებს ელოდებო, იქითკენ მადისო. და იმ მადლოდა.

„მიდიოდა“ მაშინაც, როცა მუშაობდა ან ისვენებდა.

ხიდა რომ მიადწია, ბავშვები ჩამოშორდნენ, მიმოიფანტნენ, ხოლო თათონ იქვე მორზე ჩამოჯდა და მდინარის ჩხრიალს ყური დაუგდო. წყნარად, თითქოს უღარდელად ჩხრიალებდა პატარა მდინარე. შერმადინი მდინარის ფსკერზე წვრილი თევზებივით მიმოფანტულ ქვიშას ჩასჩერებოდა. მიწიზსუნს ვრძობდა. გული სიამით უტოკავდა. მთელს სხეულშიაც ასეთივე სიამის ერუანტელი უვლიდა ვაჟაკს. უეცრად მდინარეში თითქოს მაროს სახე გამოჩნდა. გული შეუტოკდა, შეაეროლა, მიმოახტდა: მართლაც, ხილზე მოედინიდან მომავალი მარო შენიშნა. ვერ მოითმინა და მიიძახა:


— მარო, დაიცა!

მარო შეაერთო ან დაძახილმა. შეუცნობელი ვრძობის ალი მოქდო, შეწრიოლა, ნაბაჯი ველარ გადასდგა, სიტყვა ველარ დასძრა და იქვე გაშვდა. შერმადინი წამოიღვა, რატომღაც მარჯვენა ხელის გულზე დაიხედა, თითქოს რაღაც გადასწყვიტო, და აჩქარებულის ნაბიჯით წინ გაემართა.

მარო მონუსხულივით კვლავ ხილზე აღგა, და რაც უფრო უახლოვდებოდა შერმადინი, მით უფრო წითლდებოდა სახეზე.

აი შერმადინი სულ ახლოს მივიდა. თითქოს წითლდებოდა სახეზე. წაეტანა და დინჯად უთხრა:

— არ გადაეარდე. გადავიდეთ, მარო.



შერმადინის ხელმა მთლად დაუკარგა მაროს ძალ-ლონე, ვადლიწია, კან-
დამ ვაღვიარდა ხიდიდან. უცბად გაფიქვარდა.

შერმადინმა უფრო შავრა ჩასკიდა ხელი. მირისპირ შესდგნენ შერმადინის
აჩქარებით სუნთქვება მარო ვაჟკაცის მკერდთან, თუმცა სიტყვას ვეღარ
ამბობდა, მაგრამ მისი სუნთქვის სიახლოვე შერმადინის გულს უკვე ათ-
ბობდა.

თითქოს შერმადინსაც წაერთო სიტყვაო, ისიც ხმის ამოუღებლად იდგა
ცოტა ხანს. უნებლად ჩასჩერებოდა მაროს ამოღებულ მკერდსა და უკვე
აღმოცდებულ სახეს.

— შენც მოედინიდან ზოდისხარ, მარო? — როგორც აყო ჰკითხა შერმადინმა
და გაუღიმა.

— დიალ... მე ვაგალ... თითონ, — მიუგო მარომ. თითქოს გამოფხიზლდყო,
მკვირცლად ვაბრუნდა.

წინ წასულ მაროს შერმადინიც გაჰყვა.

შინსავე ერთად წავიდნენ.

ცოტა ხნის შემდეგ შერმადინმა გადაჭრით უთხრა:

— მომწონხარ, მარო, უნდა გამოვიტყდე, და შენს პასუხს ველი...

მარო მთლად დაიბნა. არ იცოდა, რა ეპასუხნა. დათანხმებულყო? ოო,
როგორ ვთქვა ის, რაც გულში ედგა?

მაგრამ აქაც ისევ შერმადინი წამოეშველა.

— იტყვიან, დღმილი თანხმობას ნიშნაესო. ხომ მართალია?

— არ ვიცი... მაგრამ შენ უკეთ ვაიგებ და მიხედუბი, შერმადინ, — ეს სიტ-
ყვები რაღაც თავისთავად წამოსცდა მაროს. თითქოს შეაკრთეს ხაკუთარმა
სიტყვებმა. მოახლოებული მგზაერებიც შენაშნა გზაზე. რაღაც უფრო ახლ-
ბელი ადამიანის გამომეტყველებით მიჩერდა შერმადინს, შეზღვე მოსწყდა
ადგილს და შინ გაიქცა.

სულ მალე დაქორწინდნენ ისინი. მაგრამ ერთი რამ აკვირებდა შერმა-
დინს: რატომღაც შოთა არ ეკარებოდა, გაუბრბოდა, სალამსაც-კი აღარ აძ-
ლევდა.

სწუბდა შერმადინ. სატყეთესო მეგობარი დაკარგა. ხოლო შოთა ღბშორე-
ბის მიზეზსაც არაფის არ უმსელდა და გულწაფხრობილი დადაოდა.

გავიდა დრო. შოთამაც შეირთო ცოლი. შეიღები გაუჩნდნენ. ბედნიერად
სთვლიდა თავს, მაგრამ შერმადინს ახლო არ ეკარებოდა, სახეში არ უღმე-
როდა, კვლავ გაუბრბოდა.

III

დილით ალაქეთი ნებქმნეს ძაღლებმა: ჰყვფდნენ, ყმთოდნენ, იღრინე-
ბოდნენ.

— ძაღლების იერიშმა ხომ არ დაიწყო? — იცთხა ეზოში გამოსულმა შერ-
მადინმა და ჩვეულებრიბამებრ შარვლის ჯიბეში ხელეზმჩაწყობილი ჭიშკრე-
საკენ გაემართა. მაროც თან გაჰყვა.

ჭიშკარში რომ გავიდნენ, გზაზე ხმაურით მომავალი ხალხი შენიშნეს. აი
თითქოს შერმადინის გამოჩენაზე შოთა ხალხს გამოიყო და იმ გზას შორა-
დან შემოუღარა. თითონ შერმადინმა კი ხალხს ვასძახა:

— ქვაბივით რომ ადუღებულხართ, რა მოხდა ასეთი?

— გერმანია დაგვესხა, შერმადინ, და თემში მივდივართ, — მიუღო შებლა-
მა, რომელიც ყველაზე წინ მიდგოდა.

— ოჰო! — შესაძახა შერმადინმა, სახეზე აღისფერმა ვადაქრა, მაროს ვი-
ჩერდა, შემდეგ დაასკვნა: — მე მართალი ვყოფილვარ, მარო!

მარო უსიტყვოდ მისჩერებოდა, თითქოს მას შერმადინის შეცვლილი სახე
უფრო აკვირვებდა, ვიდრე თითონ ომის დაწყება.

დღემდის არავის არ ენახა შერმადინის ასეთი გარდაქმნა. მისი უცვლელი,
გულკეთილობის შექმით განათებული სახე თითქოს ამ დღეს ელოდა, რომ
ახლა მთელი სისრულით ემცნო ყველასათვის, თუ რას ნიშნავს ომი. შესაძ-
ლოა ამიტომაც დღემდის ყოველი დამბრკოლება წვრილმან ამბად მიაჩნდა
შერმადინს, რომ მისი სული უფრო დიდ ამბებს ელოდა და ამ თითქოს ამ
ამბების მაჯნას მიადწიარ და გარდაიქმნა კადეც. გამოიკოცხლდა, მაროს უფ-
რო დაკვირვებით მიაჩერდა. მისი სიტყვებიც უფრო გარკვეული, დაწმენდი-
ლი და მტკიცე გახდა.

— შერმადინ, წავიდეთ შინ, — კარგა ხნის შემდეგ უთხრა მაროს და მო-
ვერცხლილ ქამარში ხელი ჩასჭიდა.

— შინ? — თითქოს გაკვირვებით იკითხა შერმადინმა, მაგრამ შემდეგ თი-
თონვე განაგრძო: — ჰო, ახლა შინ. შენ მართალი ხარ!

...ხუთი წუთიც არ გასულიყო, რომ ოინი ახლაც ერთად მიდიოდნენ სოფ-
საბჭოსაკენ. მიდიოდნენ უხმოდ, თითქოს ნიავი რაღაც საიდუმლოთ ჩასჩურ-
ჩულვებდა, თუმცა იმ ჩურჩულას შინაარსი ორთაუესათვის ნათელი იყო. ხშირ
ამოუღებლად გაიარეს კარგა მანძილი. შერმადინს თითქოს რაღაც მოაგონა
დათ. უცბად შეჩერდა, მაროს მიაჩერდა სახეში და სინანულის გრძნობით
წარმოსთქვა:

— ალბათ, შენც შენიშნე, მარო: შოთამ შორიდან შემოგვიარა.

მაროს თვალებმა რაღაც იდუმალი გაანრება გამოამტკიცა. კარგა ხანს
უცქირა შერმადინს. შემდეგ თითქოს გულში ჩაეტილი, უკანასკნელი საი-
დუმლოების კარი გააღოვო, მშვიდად წარმოსთქვა:

— მე მას ვუყვარდი!

გაზაფხულმა შეაღო სოფლის კარები.

ბუნებას უცვლელი კანონები აქვს და მასში ყველაფერი თავისებური
უცვლელი წესრიგით ხდებოდა: გაზაფხული ათბობდა მიწას, ყვავილები ბავ-
შეებივით იბადებოდნენ. მიწის წიაღიდან თითქოს ტალღასავით წამოსულ
სიმწვანე იპყრობდა მთებს, ველებს, მდინარეებშიაც კი იდგებოდა და თით-
ქოს თვით მიწა ხელმეორედ იბადებოდა. ხალხის ცხოვრებასაც იმავე გზით
სიარული ეწვია. ყველაფერი აქეთკენ ეძახდა მას, მაგრამ... არა. აქ რაღაც
შეცვლილა, გართულებულა და სხვა გზით მიდის. ამ სოფ-შარაზე გაროსუ-
ლან, სადღაც მიდის.

ეთი საბილო ირმების რემეში, შერმადინი მიმავალთა შუაში ჩამდგარა და
სადღაც მიდის.

ქალები, ბავშვები, მოხუცები ვაჟაცაა ჯგუფს ასდევნიებიან. რაღაც ყრუ,
მამივ საჩუქეს მხოლოდ ნაბიჯების ხმაური არღვევს. შეჩერდნენ. შერმადინი
მაროს წინაშე წარსდგა, შეათვალღერა, შემდეგ მაროს წინწამოწეულ მუცელს

მიდაყრო თვალი, ჩაახველა და თითქოს აღსარებას კითხულობდა, წარმოასტევა:

— ამირანს შეძახდნენ, მაგრამ ეს ხუმრობა იყო. თუ ვაჟი ჩემონ, მამა და არქვი, — უთხრა, მოუხვია, მაგრა დაპოცნა, შეიშმუნა და გზა განაგრძო. გვერდით მიმავალი შოთა შენიშნა, რომელსაც ჩონგური მხარზე ჩამოვადია. მიუახლოვდა და გაუღიმა.

— მივიღივართ და გულიც მიგვეყება! — უთხრა და ჩონგურს ისეთის თვალთ გადაჰხედა, თითქოს გული თითონ ის ჩონგური ყოფილიყევს.

შოთა მიანერდა შერმადინს, უცქირა ცოტახანს, შემდეგ გაუღიმა, მივარდა და მოეხვია...

— მაპატიე, შერმადინ, ძმები ვართ ჩვენ!

— ჩემო სულელო! — შესძახა შერმადინმა და ხელმეორედ შეძენილი მეგობარი გულში ჩაიკრა: — რად დამიმალე?

— ფანა შენ იცი?

— გვიან გავიგე.

— რამ შეგვეართა?

შერმადინმა პასუხის მაგიერ ასევე ჩონგურს შეავლო თვალი, სიშს თითოეულს ვაკრა, ააწკრიოლა და ამით ყველაფერი ამცნო მეგობარს.

შოთა შეჩერდა, ახლა თითქოს რაღაც სხვა გრძნობამ შეიპყრო ის, და შერმადინს უთხრა:

— ჩონგურსაც დაავიწყდა ძველი სიმღერა. ამიერადან ჩვენთვის იმღერებს მხოლოდ.

შერმადინმა მოჰხვია ხელი, გაუღიმა და წინ გაიტაცა.

ზაფხულის სითბომ გააღვიძა ქვეწარმავალი. ყველა ტზა, ბილიკი, მდინარე იმ ქვეწარმავალთა წივილმა შესძრა. ზღვაზე და ცაში მათი შემადრწუნებელი წივილი გაისმა. ქარავენებად შეჯარულაყვნენ, თავი აეღირათ, კბილებიდან შხამი სდიოდათ და წინ მოჰქროდნენ. ბევრი ცეცხლი უღრჩოლეს ჩვენებმა, ბევრსაც თავი წააცალეს და მათი ბილწი სისხლით ააღიდეს მდინარეები, მაგრამ გადაჩინილნი უფრო შმაგდებოდნენ და მოიწევდნენ. ბოლოს ეს ქვეწარმავალნი კავკასიის ქედებს ეკვეთნენ თავით. დიდებული კვკასიონის კლდეკარებთან უამრავი შხამი ანთხიეს, მაგრამ თითონ კავკასიონი ქვეწარმავალთა სიბილწეს არ იკარებდა, თითქოს მთამ უკვდავი მთის კარი გააღო, ამირანმა იმ მთის გულიდან ცადამწვდენი ხმალი გამოანათა, რაც ბნელმა საუკუნეებმა ხმა ჩაუწყვიტეს, ერთ ხმაში დაჰქექა და შეუტია. აქვე გამოჩნდა ახალი ღროის კავკასიელი, — კაცი ქართველი, მან ამირანას ხმლის ელვარებას დიდი გონების ნათელი პვინა: ხმალს მისცა სიბრძნე და ქვეწარმავალთა რიგები შედრკნენ, შეწრილდნენ. თავის შავს სისხლში ჩაიხრჩო მრავალი.

და დასავლეთისაკენ, შორს დატოვებული ბუნაგისაკენ პირი იბრუნეს.

IV

ბლიეს მიიწურა ზაფხული. შემოდგომა ჯერ ნელა სუნთქავდა. შეყვითლული ფოთლები ფრთამოტეხილი მოლალურებივით ეცემოდნენ მიწაზე,

თითქოს ამბობდნენ: გვეყოფა, ერთი სიცოცხლე დავასრულეთო. მშაურს უმატებდნენ შავი ზღვის ტალღები, მარადიული მოძრაობით გაქცეულნი. მთის ფერდობზე ისხდნენ, ბლანდაჟში, რომლის ხერხელებიდანაც ზღვას გასცქეროდნენ.

ზღვისა და ცის უსასრულობა, სიცოცხლის უსასრულობაზე ჰქმნიდა ოცნებას. ზღვაზე მზის ჩასვლას უთვალთვალდებდნენ, და ეს სურათი უფრო ამწეა-ვებდა სინამდვილის გარდუვალ კანონს: სად დაეწევა სიცოცხლე სივრცეს და ზღვის სიშორეს, ვით დაეტოლება იგი უსასრულობას!

ჩავიდა მზე და ჩაჰქრნენ სხივები. თითქოს ზღვაშიც სიმშვიდე იგრძნო, რომ ჩამავალი მზის მწუხარებას ბოლო მოეღო.

შერმადინი მეგობართ შორის იჯდა. ისაც ბლინდაჟის ხერხელიდან ზღვას გასცქეროდა.

თითქოს დღემდის გამოვლილი ყველა ბრძოლის სურათი დაუდგა თვალწინ. ზღვაზე ზეირთების მოძრაობა ბრძოლაში ჩაბმულ ადამიანთა მოძრაობად წარმოიდგინა. შერმადინის ფიქრი შეაჩერა მეგობრის ხელმა, რომელიც მის მხარს შეეხო:

— ზღვაზე რას უცქერი, შერმადინ? ერთა ჩვენც მოგვხედე, ამ ღამის ფიქრები გადაგვიშალე, — ის შოთა იყო.

— ამ ღამის ფიქრები? — მიუგო შერმადინმა, — ნუ გენაღვლება, მაგრამ თქვენ ერთი ეს მითხარათ, ბიჭებო, რა მოხდა ასეთი: აქამდე თუ გამოიბო-და თავმოგლეჯილი, კავკასიონთან რად დაგვიკოტლდა ჰიტლერი?

მებრძოლებს სიცილი აუტყდათ. კრავჩენკომ ქაშარი გაისწორა და ამაყად სიტყვა:

— ყველა ხერხელში თავა ჰქონდა შეყოფილი, მაგრამ ტანი ვეღარ ას-წია და გაეჩხირა.

— არა, ბიჭებო, — წარმოსთქვა მეთათრმა, რომელიც ბლინდაჟის შემოსასვლელთან იჯდა და ხშირად მჯგის საათს ათვალეირებდა: — შორს დაუ-მიზნა ბელადმა. ჯერ სტალინგრაიდთან გასტეხა წელში, ბოლო აქ ასევე ჩვენი კავკასიონის არწივი წამოგვამველა. ხალხის გმირობაც მისწედა დიდ მიზანს, და ჰიტლერმა იწყო კოქლტბა, მოიხარა და მირი იბრუნა.

— როგორ? ნუთუ აქ იყო? — იკითხა შოთამ.

— ჰა! — სიტყვა შერმადინმა და რალაც შექი გადაეფინა სახეზე. წამოი-წია, მაგრამ ბლინდაჟში ვერ გაიმართა, ევიწროვა და გარეთ გავიდა. თავი-სუფლად ამოსუნთქვა ძლივს მოასწრო, მაგრამ უცებ შემოესმა:

— არ შეიძლება!

ახლა გაახსენდა შერმადინს, სად იყო, გამოერკვა, დასწია თავი და გამო-ბრუნდა. ბლინდაჟში რომ შევიდა, სახეზე განსაკუთრებული შუქი შემოაჰყვა თან.

— მაშ ეუტყვით, ჰა? — წარმოსთქვა და ამხანაგებს რალაც განსაკუთრე-ბულის გრძნობით შეავლო თვალი, თითქოს მოეწონათ ამხანაგების ახლანდე-ლი განწყობილება და გაიღიმა, შემდეგ თავის ავტომატს, ვით ცოცხალ არსე-ბას, თვალებით მაუაღერსა. ბოლოს დოღბანდით შეხვეულ მარჯვენა ხელზე დაიხედა, ეს არაფერიაო, გაივლო გულში და იქვე დაჯდა.

ზღვაზე ფრთხილად ეშეებოდა სიბნელე, თითქოს ახლოვდებოდა ტალღე-ბის შრიალი, ზმას იმალლებდა, რომ ღამე დაეფრთხო.

— შერმადინ, მოსვენება აჯობებდა ამელამ... ხელში კრილობა, ფეხში კრილობა, სად წახვალ ასე?

— ჰე-ჰე! — ჩაიცინა შერმადინმა, — ამით მან საკუთარ ჭრილობებზე დას-
ცინა და ატრიალბინა მეთაურს, რომ მისთვის ევ ჭრილობებზე დასაწყობდა,
რომ მათ არავითარი მნიშვნელობა არა აქვთ. (დღეს ერთმა ჯიქილმა უკვე
დაცინა“-ო, ამბობდა შერმადინ მსუბუქი ჭრილობების მიღების გამო და
აღწიდა).

— ამხანაგო მეთაურო, ასეთ რამეს შერმადინის შეჩერება რომ შესძლე-
ბოდა, აქამდე სამუდამოდ მუზეუმში იქნებოდა გადაგზავნილი, — წარმოსთქვა
შოთამ.

ასეთ განმარტებასაც სიცილი მოჰყვა.

— არ იქნა და ტყვიამ ვერც ერთხელ ძვალი ვერ უბოვა შერმადინს,
გაურბენს რბილში და ის კა არ იცას, ვისთან აქვს საქმე, — დაუმატა პირ-
ტიტველა ცხრამეტ-ოცი წლის კაბუტმა, რომელიც მხარეთქობზე იყო წამოწო-
ლილი და აქამდე ზმას არ იღებდა.

— შენ მაშინ ხარ? — ჰკითხა შოთამ და მიაჩერდა, — მიხარია, შენც გამო-
ფიზილდი, ჩემო შამია... თუ მოიცალა, წამოწევა მხარეთქობზე, გამუდმებით
დღედაღე ფიქრობს... მხოლოდ ბრძოლაში იცის გამოცოცხლება, ვეღარ ვცო-
ბილობ.

შამია სახეზე წამოწითლდა, თვალი აარიდა მცობრებს, მიწას დააჩერდა,
ტუჩებზე ბავშვურმა ღიმილმა გაჰკრა.

— ნუ არცხვენ, შოთამ, — ჩაერია ლაპარაკში შევეგრძელები, ჩაფსკენილი
ეაქცია, — ახალგაზრდაა. იფიქროს დღედაღე, შამიაზე, შეყვარებულზე. თავისი
წება. ყველანი საკუთარი ფიქრისა და გულის სარკეში უნდა იხილოს, ყვე-
ლაფერი, მთელი ქვეყანა საკუთარი გრძობების ცეცხლში გადააღწოს, გადა-
ადუღოს, გული იჯეროს. კანა ჩვენ ვიცით, რომ ხვალ კიდევ ვიხილავთ
შუქს?

— ფილოსოფოსი ყოფილხარ, სერგო. მეც გეთანხმები. — მიუგო შოთამ,
თითონაც მხარეთქობზე წამოწევა და მშობლიური სოფლის სახუკვარი სურა-
თები წარმოიდგინა: აი მისი შეყვარებული, ცქრიალა მერა. ერიდება, გაურ-
ბის. შემდეგ გაახსენდა მისთან ვატარებულნი ზღაბრული საღამოები, მთვარე,
ჩონგური, სიყვარულა. დაქორწინების ტკბილი ბურანი. ყვავილები, შვილე-
ბი, და...

— შერმადინ, შერმადინ! — მოისმა და ბლინდავის შემოსასვლელში ფოს-
ტის დამტარებელი ახალგაზრდა ქალი მარუსია ბერდიჩევა გამოჩნდა. მან
შერმადინს ბარათი გადასცა: — წაიკითხე, დასტები და მეც მომიგონე, —
დაუმატა გოგონამ და სწრაფად გაბრუნდა.

შერმადინმა დახურული კონვერტი ვეებერთელა ხელბეჭი შეაბრუნა, შე-
მოაბრუნა. შიშობდა, კონვერტის გახსნაზე თითონ ბარათიც არ გამეხსნო.
შემდეგ როგორც იყო შშვიდობიანად გახსნა კონვერტი. ხელფარანი დაამუ-
ქა, თავი დახარა და ბარათის კითხვა დაიწყო.

— როგორ მერცხალავით დაფრინავს და კიკიკიებს ევ ჩვენი მარუსია.

— გულში სხივი თუ ჩაგიჭრა, ნახე მარუსია და გაცოცხლდება.

— სულ სხვა ნააფი დააქვს მარუსიას და ყველგან არის, — ამბობდნენ და
მართლაც მარუსიას მიერ მიტანილი სიბთბო ჯერეუც კიდევ იღვა ბლინდავის.
შერმადინი თავისთავი განაგრძობდა ბარათის კითხვას, მის სახეზე თით-
ქოს შეინიდან წამოსული შუქი ძლიერდებოდა. დაასრულა. წამოიღვა, ბლინ-
დავის ხერკლიდან ზღვის გაჰხედა და ხშირად სთქვა:

— დაღამდა, ბიჭებო? არა, გათენდა! — გამობრუნდა, გამოვლინდა ბარათი შოთას გაღმსცა, ხელფარანი დააშუქა და თითოთ არეგნა.

განსჯილნი

— აი ეს ადგილი გადაიკიხე.

შოთამაც ხმამაღალი კითხვა დაიწყო:

„ჩემო შერმადინს! ჩემი შუება შენზე ფიქრია. ყველაფერს შენს სურვილს ვფუარდებ. სხვა სიხარული არც მინდა მერგოს. პაერშიაც შენა ხარ. შენა ველით ვარ დაფარული. ვაფიშვილი მეყოლა და შენის სურვილით სახელად...“

— ოჰო! მას მომილოცავს! — დანიძაბა შოთამ და წამოვარდა. გადაჰკოცნა შერმადინ, რაღაც კიდევ უნდოდა ეთქვა, მაგრამ ცხელი ნაკადი მოაწვა თვალებს.

— აი სიხარული!

— კაცი კვდება და შეუი რჩება.

— მასადაამე, კაცი არ კვდება.

— ბიჭებო, ჩვენი მეგობრების შვილებაც ჩვენი სიცოცხლს ვაგრძლებს წარმოადგენენ, — დაასკენა მეთაურმა. მერე მივიდა შერმადინთან და გადაჰკოცნა.

ულოცავდნენ, ხარობდნენ ყველანი. თუმცა თითონ შერმადინი ისეთი გამოუთქმელი გრძნობათ იყო შეაყრთბილი, რომ მაღლობის თქმასაც ვერ ახერხებდა. კარგა ხანს იდგა ასე. შენობრუნდა, ისევ შოთას შეაგლო თვალი და ძლივს წარმოთქვა:

— შოთა, დაუქარ.

სიწყინარე ჩამოვარდა.

მამიამ დააცეცა თვალები, რომლებსაც ჩონგურისა და შოთას შუწყობილი ხმები ყოველთვის განუსაზღვრელ სიხარულს აგრძობინებდნენ. ამ ხმებს კი არ მიჰყავდა ია, — თითონ მშობლიური სოფელი, თავისი კარმიდამო, საყვარელი მშობლები და რათსაფები მოჰყავდათ აქ.

შოთამ ხმის ამოუღებლად ხელი აწვია, ბლინდავის კედელზე ჩამოკიდებული ჩონგური ჩამოიღო და ააქლერა:

„კარგი ყრმა მაშინ კარგია, ხმალი რომ შეიქმს ელვასა,

მოკაქულობდეს ისარი, შუბი აგდებდეს ენასა“, —

წყინებდა ჩონგური, ხოლო შოთა ბნადაბლა დამდევოდა. უსმენდნენ გატაცებით. ეს ხმება თითქოს მათ ძარღვებში შედიოდნენ.

— ჰო, ჰო, ჰო, მთლად არ აატირა და არ აგვაშენა! — როგორც ყოველთვის, წარმოსთქვა შერმადინმა და სიომის ნიშნად სახეზე ხელი დაისცა.

სოლოს სატრფიალო ლექსებზე გადავიდა შოთა. ჩონგური ეფრო მსუბუქი გახდა:

„ნეტავი წყლის პირს მაძინა,

ზედ გულზედ ქვიშა მაძინა,

ლამაზი ქალის მკლავზედა

ცხრა დღე და დამე მაძინა“

სიცილი წასცდათ. გაიცინა შოთამაც და ჩონგური გვერდზე გადასდო.

შერმადინმა პაპიროსი გააბოლა.

— ყველაფერი აგერაა, ბიჭებო, ეს ჩონგური თითონ ამბობს ყველაფერს, თითქოს შინა-ვართ და მეტი რა განდათო, — წარმოსთქვა მან და დიდა,

შრობიერი საყვარელის გრძნობით წიაპრო თვალი ახალგაზრდა მამიას. შემდეგ ისევ შოთას გადახედა და გაუცანა: — ა, შოთა, შენცაა მისივე შინა, შენი უბადლო შეყვარებულის იქვეა და ტკბილად დუღუნებთ...

სინამდვილეში შოთა ბლონდავი. შემდეგ სულ ახლოს ზარბაზნების სროლა გაისმა. შერმადანი წამოდგა. გახედა ზღვას, რომელზედაც შექურების სვეტები იდგნენ.

შეთაურმა საათს დახედა:

— დიად, დრო არის! — წარმოსთქვა და ისიც წამოდგა.

შერმადინმა ფარაჯი ჩაიკვა, ავტომატი აიღო, ხელყუმბარები ქეზირზე და ჩანთებზე ჩამოიკიდა, თავზე ქუდი ჩამოიფხატა. ახლა შენიშნა, რომ ამხანაგებაც შხად იყვნენ. რატომღაც შოთაზე შეაჩერა თვალები. უცქირა ცოტახანს, შემდეგ უთხრა:

— შენ დარჩი, შოთა. მე ვანსაკუთრებული ნებართვა მაქვს: რადგან ამირანი მოსულა, შერმადინს შეუძლია წავიდეს. შენ-კი ჩონგურით მოახლები ბიჭებს.

— ვანა აქ მერჩონგურედ გამომგზავნენ? — წყენით სთქვა შოთამ და ავტომატი გვერდზე მოიგდო. — სიმღერას დრო გაუვადა! ახლა ავტომატმა დაუჯრას და იმღეროს კიდევ!

შერმადინმა ცოტა ხნით იფურია. პაპიროსს უკანასკნელი ამოსუნთქვა გამოცალა და ბოლოს დაასკვნა:

— პო-და წავიდეთ!

ოთხი მებრძოლი გაპყვა შერმადინს.

შეთაურმა თვალი გაადევინა მტკიცე ნაბიჯებით მიმავალ შერმადინს და თითქმის თავის თავს ეუბნებოა, წარმოსთქვა:

— უცქერ და ვიკვირს, ასე რა ძალა იზიდავს ამ კაცს. მის კურადღებას ჯალღობითაც კი ვერ მიიპყრობ. ყველა ორდენი დოლბანდის ნაჭერში აქვს შესვეული და შენახული. შერმადინ, საბჭოთა კავშირის გმირობას მოვილოცავ-თქვა, მე გაუვადებინე. მან მხოლოდ გაიღიმა, პაპიროსი ამოიღო და გააბოლა, — ეს იყო სულ.

V

კავკასიონს მთვარემ შეგვიანებით შეენათა. ქვეყანას ნათელი დააფრქვია და ყველაფერი თითქმის სხვა გახდა.

მხვერაგები ტყით მიდიოდნენ. უკვე მტრებს ზურგში იყვნენ. ფრთხილად მიადგამდნენ ტყეში ნაბიჯებს. ყველაფერს უთვალთვალებდნენ, რაღაცაინიშნავდნენ, იწერდნენ.

ტყე თითქმის მთვარის შექმზე ტანს იბანდა. მხოლოდ აქა-იქ სწვდებოდა მიწას მთვარას ნათელი და მხვერაგებიც სწორედ იმ ადგილებს უთვალთვალებდნენ.

იღამიანის ხმა მოისმა ტყეში.

— ახლოს არიან. ვინ წავა იქ? — იკითხა შერმადინმა.

— მე, — მიუგო მამიამ და წინ გამოვიდა.

— შენ? არა, სადაც მე არა ვარ, იქ შენ ვერ გავიშვებ, — უთხრა შერმადინმა და სხევებს გადახედა.

— მე წაველ, შერმადინ, აქაური ამბები მე უკეთ ვიცი! — წარმოსთქვა სერგომ.

— სერგო? ჰო, კარგი. აფხაზი ხარ და აქ ქიანჭველების გუნებას გაიგნებ, — გაამხნევა შერმადინმა.

სერგო სწრაფად მოშორდა მათ.

ისი ფუსფუსე ჩამოჯდა შერმადინი, პაპირისი ამოიღო, მაგრამ რაღაც მოაგონდა და პაპირისი ისევ ჯიბეში ჩაიღო.

— უჰ, სულ მაგიწყდება! — წარმოსთქვა და ამხანაგებს შეავლო თვალი: — დასდით, ბიჭებო. მშვენიერი ღამეა, რა ქვეყანაა! ცხოვრება და სიკვდილი ერთადაა მოთავსებული... ხუმრობა იქით იყოს, ბაჭებო, მაგრამ ვინაც სურს ჩემი დღევანდელი შეება გაიზიაროს, ამდღამ სასწაულებიც უნდა დაატრილოს. დანარჩენი ჩემზე იყოს, გადაგიხდით.

— სასწაულების ოსტატი შენა ხარ, შერმადინ, ჩვენ რა გვეთქმის — მიუგო შოთამ.

— მე ანგარაში ჩასაგდები არა ვარ, ყველაფერი თქვენა ხართ, ბიჭებო, თქვენ! — სთქვა შერმადინმა და ფიქრს შეეცა.

ტყე იღუშალად გარინდულიყო. უმოძრაო სინუშებს შეედუღებინა მიწა და სტრცე, გაქევაებინა თითქოს ჰაერიც. მაგრამ ამ სინუშეში, ვან იცის, რამდენი საშიში მხეცრ და ცეცხლი ბუღობდა. ალბათ, ერთი სიტყვა იყო მაკმაო, რომ ყველაფერა უეცრად გამოცვლილიყო და ცეცხლმოღებული ტყის ღელვა გაშმაგებული ზღვის ღელვას დამსგავსებოდა.

ცოტახნის შემდეგ ბურჭი შეიჩხა, ადამიანის თავი გამოჩნდა. მან დაასწრო ამხანაგებს და თვით დაიძახა:

— სერგო ვარ, ბაჭებო!

— სასიხარულოა და სასიამოვნო. მაშ. მოგვიყუე! — მიუგო შერმადინმა და ახლოს მივიდა.

— მცირე მინდორია. ტყისპირას ორმოცდაათ თვითმფრინავამდე იქნება ჩამალული.

— კეთალი, — მიუგო შერმადინმა, ბლოკნოტი ამოაღო, ხელფარანი დააშუქა და რაღაც ჩასწერა.

წაიღვნენ. ამ ღამეს ტანკების, ავტოებისა და ჯარის მრავალი სადგომი აღნიშნეს. შემდეგ, ტყის განაპირას გზა გადასკრეს და მოულოდნელად ტაფობს შეადგნენ. ასევე მოულოდნელად მოისმა შეძახილი:

— Wer ist!

და ცოტა ხნის შემდეგ თოფიც გაეარდა. გერმანელი გუშაგი იყო.

შოთამ შთელის ძალით ატაკა ზიშტი. გუშაგი უხმოდ დაეცა ძირს, მაგრამ ახლა შთელი ბანაკი წამოიშალა.

— დააცხეთ! — დაიძახა შერმადინმა და, პირველი ხელუშმაბრა ცაროლა ბანაკს.

ისროლნენ სხვებიც. გერმანელთა ბანაკს ცეცხლი მოედო.

— ჩემთან! — დაიძახა ისევ შერმადინმა.

გზაზე გერმანელთა ჯგუფა შენიშნეს, რომლებიც თოფებსა და ტყვიამფრქვევს ისროლნენ, მაგრამ შერმადინმა ტყისაკენ აიღო გეზი და ამხანაგებიც თან გაიყოლა.

ტყისპირას სერგო ფეხში დაიჭრა; ტიტოვი მიეშველა. ძლივს აიტაცა და ტყვა შეუერთდნენ.

მამია იმ გერმანელს მივარდა, რომელმაც სერგოს თოფი ვერცხვით

— ადუქი, ძაღლი!

გერმანელი

გერმანელმა ქართული შეძახილის ვერაფერი გაიგო, თუმცა მიხვდა, რა ათხოვდნენ მისგან, თოფი დააგდო და მწვერავს გააყვა.

სერგოს ტყეში შეუხვიეს კრილობა. შერმადინმა ზურგზე შეისვა და წინ გაიწაეს.

ბელბეგარული გერმანელი მამიას წინ მიჩანჩალებდა.

— ანლა ზევით, მთისაკენ, ძმებო! — დაიძახა შერმადინმა და აღმართს შეუდგნენ.

სერგოს აწუხებდა ტყვილი, მაგრამ ხმას არ იღებდა.

ამხანაგებმა სთხოვეს შერმადინს, შეგეცულებითო, მაგრამ შერმადინი უარს აცხადებდა:

— ნუ ჩამომჩნებით და ევაც დიდი სამსახურა იქნება, ბიჭებო!

თი ქონს ყელს მიადგნენ. ამ ყელის მარცხნივ კლდე იყო პიტალო, მარჯვნივ — უფსკრული. სხვა გასწვლელი აქ არსად იყო.

შერმადინმა ცა შეხედა და ხმამაღლა სთქვა:

— მალე გათენდება ბიჭებო, უნდა ვიჩქაროთ. დამალვა არ შეიძლება. აქ თუ მაგ ინდოურებს გადავყარეთ — ან ჩვენ ან ისინი. ამ ადგილს თითონ მოუტრია დათმობის გზები. ეს ხომ ჩვენდ ბრალი არ არის?

სერგო ოდნავ მოამჯობინდა, თუმცა მარჯვენა ფეხა გაშეშებოდა. „აღარ მიწადა აყვანა, ცალი ფეხით შევსძლებ ნიარულსო“, — განაცხადა. მაგრამ შერმადინმა ნება არ მისცა: „სათამაშოდ არა მცალიაო“, მიუგო და კვლავ იჩქარა ფეხს. დადღის შავიერ, რაც მალე იწვედა, თბილს უფრო ემატებოდა ძალა, უფრო მაჰქროდა.

— ჰა, სულ ცოტა-ლა დარჩა. მალე ტყეში ვიქნებით და მოვისვენებთ! — გაახსენევა ამხანაგები.

ტყვე გერმანელი ვაკვირებით მისჩერებოდა შერმადინს.

მაგრამ აი მან ანის ძაღლში სუნთქვა მოისმა.

— ახლა კა შესვენება აჯობებს, — სთქვა შერმადინმა და იქვე შესდვა.

— ერთი საბარგო მანქანა. ფრიცები მაყავს, — განმარტა შოთან.

— ფრიცებია თუ მუკები, ეგ სულ ერთია. ახლა სიცოცხლე თუ სიკვდილი ჩვენზეა დამოკიდებული. მაშ, შშადად, ბიჭებო! — დაიძახა შერმადინმა და სერგო ძირს დაუშვა: — შენც აქ ცოტა ხნით გაერთე, სერგო, არ დაგვიწყებთ.

— რად მიცქერი? — რაღაც მიზეზით გამოცოცხლებულ ტყვე გერმანელს შესძახა ტიტოემა და მრთხანედ მიაჩერდა სახეში.

— თუ ერთი გაშალოს, ერთი ტყვიაც საკმარისია! — ბრძანა შერმადინმა ტყვე გერმანელის შესახებ, თანაც თათონ ტყვეს ზელით უჩვენა: — დაქმხვე პირქვე, აი მიწა, ქვასთან, და მიწას ეგედრე!

გერმანელმა იფიქრა, მკლავენო, აღმაო, საცოდაოდ დაიმანჭა, დაეცა მუხლებზე და აკრუსუნდა.

— ჩემთან რა გინდა, აი მიწა, პირქვე! — განუმეორა კვლავ შერმადინმა.

მიუხედავად გერმანელი და იმ წამსვე პირქვე დაეშო.

მიწანა მოახლოვდა. შერმადინი უეცრად მიწაზე გაწეა, ჩუმად წარმოსთქვა:

— ქვებს ამოუფარეთ!

თითქოს თითონ მანქანამ იგრძნოვო საფრთხე, სვლა შეანელა.

— ეინ არის მანქანა?

— აი პასუხი! — დაიქუხა შერმადინმა და შემორჩენილი ხელყუმბარა ესროლა ავტოს.

ამხანაგებმა ავტომობილები ააშუშავეს. ისროდა სერგოც.

შოტორს ცეცხლი ეკიდებოდა.

ცოტახნის არეუ-დარევისა და ხმაურის შემდეგ საბასუხო სროლა გაისმა. რადგან მეტი გასაქანა არ იყო, გერმანელები ავტოდან ისროდნენ და მხოლოდ თრი თუ სამი კაცი გადმონტა ძირს.

შერმადინმა შენიშნა: ჯერ მამიამ, შემდეგ ტიტოვმა სროლა შესწყვიტა, და ეს ცუდად ენიშნა. უფრო ვაფთვრდა, შეიშშუნა, წამოიწია, ფერდობზე დაიდებულ მანქანას მივიარდა, ხელი ჩასვიდა და ჰვევითეც უბიძგა.

უფსკრულში გადაჩებულ ავტოს დამაყრუებელი ხრიალი გაისმა.

შერმადინმა ერთი შევებით ამოისუნთქა, მაგრამ უცერად შენიშნა გერმანელი, რომელიც წამომდგარ შოტას თოფს უმიხნებდა. შერმადინი გადაიხარა, ხელი ჰკრა შოტას და იქით გაავლო. თოფიც გაეარდა. გაეარდა მეორეც, ეს ტიტოვმა ძალა, ჩააქუმა ის გერმანელი. მაგრამ თითონ შერმადინი ნელ-ნელა დაეშვა, მიწაზე დაჯდა და მშვიდად წარმოსთქვა:

— კმაყოფილი ვარ.

შოთა მივიარდა, სახეში ჩაახედა. თრთოლვით შესძახა:

— შერმადინი შენა? შე უნდა მოგეკალ! რად ჩაიდინე?

— მშვენიერად ვარ! მხოლოდ აი... — და მან ძირს უხმოდ გაწოლილ მამაზე უჩვენა.

— მამია, მამია! — ბბლა მამიას ჩასძახა შოთამ და შეარხია.

მამიამ თვალები გაახილა, ჩურჩულით სთქვა:

— დედას უთხარი...

— რას ამბობ, მამია? შენ თითონ ეტყვი! — უთხრა და გააისხლიანებულ მკერდზე ღილი გაუხსნა.

ხუთ მეგობარში მხოლოდ შოთა აღმოჩნდა დაუბრელი. ყველას ის უხვევდა კრილობებს, აუშცა თითონ დაკრილებიც ეხმარებოდნენ.

შერმადინი ავტომობილზე დაყრდნობილი წამოდგა. კარგა ბლომად ჩაისუნთქა გრილი ჰაერი და შოტას უთხრა:

— ჩამაბარეთ, მამია. შენ ტიტოვს მავშეველე. სერგო მაგ გერმანელმა წამოიკიდოს. მოკლულ ოფიცერს საბუთები ექნება რაშე.

— შე თითონ წამოვალ შერმადინ! — წარმოსთქვა სერგომ და ცალ ფეხზე შესდგა.

— მით უკეთესი, მამ გერმანელმა დაკრილები ის იარაღი წამოაღოს, — მიუღო შერმადინმა, ავტომობილზე გადაიკიდა, უფრო ამძინებელი ნაბიჯით მივიდა მამიასთან, ჰავშევიით იყვანა და წინ წავიდა.

იმ ყელს რომ გაშორდნენ, შერმადინმა თვალებში ჩაახედა მამიას. მამიაც ხმის ამოუღებლად მისჩერებოდა, მაგრამ თვალა ეხუქებოდა.

— გეჩინება, მამია? შენ იფხიზლე, შეილო, შე დამეძინებ, — უთხრა, შეაჩეროლა და გზა განაგრძო.

კრილობები თითქოს სიმძიმედ იქცა: ძლივს მიაღწამდნენ ნახევს.

სისხლი წვეთავდა, მაგრამ კენესა აქ არ ისმოდა. როდესაც ტყეში მიუახლოვდნენ, შერმადინმა გადახედა იარაღის სიმძიმით მოხრილ და დაღლილ სთქვა:

— სიტყვის კაცი ყოფილა ეს გერმანელი, პირქვე რომ დაემხო, აღარ დგებოდა, სამაგიეროდ ენა გრძელი ეჭნება.

გერმანელი მიხვდა, ჩემზე ამბობსო, მთლად მოიხარა, ნაძალადევედ გაიღიმა და ქოშინს უმატა.

ამ ლაქუცა, თავდამცირებულ არსებას შერმადინმა სანანულით შეაეღო თვალი.

თავის მხრივ შოთა შერმადინს მისჩერებოდა. გულში ამბობდა: „ისევ ჩვენ, გვამხნევეს მძიმედ დაჭრილი, კაცი კი არა, ზღვა არის!“ კვლავ მოესმით ავტოების მოახლოებული სუნთქვა. ტყეში შევიდნენ. გაიარეს კარგა მანძილი, უგზოდ მიდიოდნენ. ბოლოს ერთ ფერდ-მოფლეთალ კონცხთან შეჩერდნენ. შერმადინი სხივმინათებულ მწვერვალებს მიამერდა. შემდეგ ქვემოთ, ვრცელ ველს მიაპყრო თვალი.

— ჩვენ უკვე გავედით, ბიჭებო, ჩვენები აქ მოვლენ. დაველოდოთ.

ყველას სახეზე შეგებას ღვილინა გადაიქროლა. მაგრამ ამ დროს მამიამ წყალი ითხოვა და უეცრად შეკრთნენ.

— არა, მამია; ცოტა კიდევ და შამანიურს გადაგაკერევიანებ, — უთხრა შერმადინმა.

მამია ფრთხილად ძირს დაუშვა, წელში გაიმართა. მაგრამ სიმსუბუქის მაგიერ სიმძიმე იგრძნო. მის თავში რაღაც ზუზუნა გაისმა, თვალებში საგნები წაიშალნენ, გაერთიანდნენ, ბურუსად იქცნენ და შერმადინი ნელა დაეშვა მიწაზე.

— შოთა აქ არის? — სთქვა და შოთას ხელით რაღაც ანიშნა. ამით უნდოდა ეთქვა, რომ ჩანაწერები ჩანთაში მაქვსო. პირადმა ვაწევა. ყველაფერი დაუსრულებელ „სიზმარს“ მიეცა.

მეორე დღეს დილით ახალ ბლინდაეში იწვა შერმადინი.

სიწყნარე იყო. სასათუმალთან დაცარიელებულა ვაზნების ყუთზე შოთა ჩამომჯდარიყო. ფიჭვს მისცემოდა.

ყველა დაჭრილისათვის ღამით ოპერაცია გაეკეთებინათ. შერმადინი ჯერ კიდევ უგრძნობლად იყო.

შოთა მთელ ღამეს არ მოშორებდა. რა არ იღონეს, მაგრამ შერმადინი თვალს არ ახელდა, სუნთქავდა მხოლოდ. ეს ევებერთელა ვაჟაკი უძრავად იდო. სახის გამომეტყველებით თითქოს ამბობდა: კმაყოფილი ვარო.

ზოგჯერ მედიცინის და დახედავდა შერმადინს, მაჯას ან სიცხეს გაუსინჯავდა, თვალებში თითქოს შიში გაუელვებდა, მოიწყენდა და გავიდოდა.

ასე მიდიოდა წუთები, საათები.

უეცრად შერმადინმა თვალები გაახილა. შოთა სიხარულით ზე წამოიჭრა: — შერმადინ, შერმადინი — ჩასმება მეგობარს.

შერმადინმა კარგა ხანს უცქირა, შემდეგ თითქოს შეგება იგრძნო და გაღვიძდა.

— ჩემო შერმადინ, გამახარე, მითხარი რამე! — თრთოლვით ჩასძახა შოთამ.
 შერმადინი კვლავ ღამილით მისჩერებოდა. ცოტა კიდევ და ბაზანა

ძრავა:

— პაპიროსი, — წარმოსთქვა მან.

შოთა წამოვიარდა:

— ძმავო! — დაიძახა, ჩანთას ეცა, პაპიროსი ამოიღო, ერთი ცალი ხელში
 ჩაუღო და ყვირილით გარეთ გაეკარდა:

— ექიმო, ექიმო! — გასძახა.

თითონ ისევ შიგ შეშობრუნდა. ახლა გაახსენდა ასანთი, ამოიღო და შერ-
 მადინთან მივიდა.

— შერმადინ, ასანთი! — შიადახა, მაგრამ შერმადინი ასანთს აღარ საჟი-
 რობდა, პაპიროსიც გაეგდო ხელიდან, თვალები დაეხუჭა და ფერი წასვლო-
 და ტუჩებზე იგივე ღამილი შერჩენოდა, უძრავა ღამილი.

გულგამეხილი შოთა მეგობრის წინ დაიხარა, სახეში ჩააჩერდა. მაგრამ სა-
 ხიდან წამოსული სიცივის შეხება იგრძნო და ისიც გამეშდა.

ეს სიცივე სიკვდილის ნიავს შემოეტანა.

— არ დაეიჯერებ! — იყვირა შოთამ, — პაპიროსს მოხოვდი, ეგ იყო ყვე-
 ლაფერი, რაც ისურვე უკანასკნელად?

შევედნენ ექიმი, მედიცინის და, მეთაური, ამხანაგება.

შოთა ისევ თავდახრილი იდგა გაცივებული მეგობრის წინაშე. ცრემლი
 ღვარად ჩამოდიოდა თვალთაგან.

მეთაურმა ძალა მოიკრიბა და სთქვა:

— იცი თ ვინ იყო? — სთქვა ეს და ველარ განაგრძო, მივიდა, დაიხარა,
 შუბლში აკოცა.

ნელა ირბოდა შავი ზღვა. ამაყად მკერდს იმალოებდა, სუნთქავდა, შრი-
 ლებდა, ციმციმებდა. ზემოდან თავისუფალი კავკასიონი სპეტაკი შუბლით,
 უძლეველობის სიღინჯით დასჩერებოდა: მტერი შორს, დასავლეთში გადაე-
 რეკათ, — გამარჯვებათა ნაკვლევი აჩნდა მიწას, მაგრამ ამ მიწას კრილობაც
 აჩნდა: ძმათა სასაფლაო მოსჩანდა ზღვასთან. უკ წინანდელი ბრძოლებისა და
 ცეცხლის ადგილას სიმშვიდე იყო.

ბრძოლების შემდეგ იმ დღეს ჩამოვიდნენ დასასვენებლად.

აი ეხლაც მებრძოლი, შიადწია თუ არა სასაფლაოს, შეათვალიერა იგი, მე-
 რე ერთი საფლავის წინაშე შესდგა და დააჩერდა. დიდხანს უცქირა. მეგობ-
 რის დასაფლავების დღეს წარმოთქმული სატყუები ახლაც მოესმა. მაშინ იმ
 სიტყვების მთელი ძალა ზარბაზნების გრილმაც დაადასტურა. იგივე გრი-
 ლი თითქოს ახლაც განმეორდა შოთას ყურებთან, გულში, თავში, მთელს
 არსებაში. უხმოდ გადმოჰყარა ცრემლები. შემდეგ მუხლებზე დაეშვა, ქუდი
 მოიხალა, თავი დახარა.

უბრაყდა ნიავი. ფოთლების ღვარს მიჰყვებოდნენ შოთას ცრემლები, მო-
 გონებათა ქრუანტელი და მანაზებული ტალღების ნელი, შრიალი.

გიორგი შატავაშვილი

ბეკლე მეზის პლეკი

„მე ვარ თოფი — მუსაიფი, ცახო-ბატონის ერეკლესი“.
წარწერა ერეკლე მეფის თოფზე.

არ მიყვარდა მუსაიფი, შირების, ზმების ტყორცნა,
მტრების სისხლმა ეს მარჯვენა ხმლის ველასთან შეაბორცა,
წინ მიძლოდა, მამხნევებდა მოციქული დაუნდობი,
პირდაპირი, მაგრამ ავი მუსაიფი ჩემი თოფის.
დაედოდი, ჩაუბლოდი სისხლის წვეთებს, როგორც ხარი.
ჩემი მტრების სისხლით მოვრწყე — ჩემი ძმების ნასისხლარი,
რამდენიც ვკარ და ვაძგერე სატევარი აბეზართა,
მათი სისხლის დანახვაზე სიძულვარი გამეზარდა...
საქართველოს ამაყ მხედრებს ჩვენს ტკბილ მიწას ვაფიცებდი,
ასე ვზარდე შე ვაქაცნი, არაგველნი, ასპინძელნი,
პურმარილის მამა ვიყავ — მტრისთვის ავი მასპინძელი.
მად მეცალა მე სალექსოდ, საიგავოდ, საარაკოდ.
ჩემი სისხლის წვეთებია საიფროს თუ საარაგვოს,
მიღით, ნახეთ ის წვეთები ქსნის პირას თუ თრიალეთზე,
მოძებნეთ, რომ ჩემი სისხლი თქვენს ძარღვებში თქრიალებდეს,
მიღით, ნახეთ, გაიოცეთ, როგორ ჩახმა, გასალულდევდა,
დაყნოსეთ და მტერს შეებით, თუ მოგადგეთ ასაკლებად!
დაყნოსეთ და თქვენი მტერის სიძულელია დაითურათ,
შეიყარეთ, ჩემს ხმალს პკითხეთ, როგორ მძულდა ჩემი მტერი!
ასე მზრდიდნენ პაპიპაპა დაუიდი და გორგასლანი,
ამ სიმღერით მოვიარე ინდოეთიც, ხორასანიც,
ეს ხმა არის ჩემი ტკბილი დიდიდედის თამარისა,
ამ ჭართულით ვაგებდი ღირსი სვეტიცხოელს სამარისა!..

ზ ე რ ი

წვიმა თავამეტებით უშენდა. მატარებლიდან სადგურში მიავლანდო მოლიანად დაგველდი. სადგურის დარბაზში შესვლისთანავე საბეჭდო მუცა აღაპიანთა სველი ტანსაცმლიდან ანადენი ორთქლი.

ზემოდანი კუთხეში მივდი. ზედვე ჩამოვჯექ. თვალი მოვატეე დარბაზს. მგზავრები აქა-იქ სთვლემდნენ. ახალგაზრდებს კუთხეში მოეყარათ თავი. ხმადაბლა ლილინებდნენ. მატრობა ვიგრძენი. სველამ შემოიპყრო. კარები დია იყო. სავრცეს გაგსცქეროდი. ღრუბლები ამნელენდნენ გარემოს. ძლიერი ელვა ხანგამოშვებით ნათელს პფენდა არე-მარეს.

ცოტა პნას შემდეგ წვიმა თანდათან შინელდა. ბოლოს სრულიად შეწყდა. გარეთ გამოვედი.

თენდებოდა. წვიმის შემდეგ სიჩუმეს მოცევა მიღამრ. ხანგამოშვებით მაძლას ყივილი არღვევდა მყუდროებას.

რელი ნაბიჯით მივდიოდი პურის ყანებს შორის. ჩემს გულს სიხარულით ავსებდა ჩვენი ქვეყნის ცაზე დილის მზით ანთებული ხანძარი და მეც ვტკებობოდი ქართლის ველების დიდებული სანაბობით.

წვიმის შემდეგ სხივებით გაბრწყინებული პურის თავთავი ღიმილით ხელებოდა ღღის სინათლეს. აქა-იქ მორცხვად გამოიყურებოდნენ შეხბლიანი ყაყაჩოები.

ჯერ ისევ შორიდან დაენახე სახლები. პურის ყანებიც თანდათან თხელდებოდნენ.

„სკოლა“ — ვკითხვლობ ორსართულიან ხის სახლზე გაყრულ აბრას. ეზო ცარსელია. ამ დროს აბა ვინ უნდა იყოს აქ? ჩამწყრივებულ კვლებში ციმციმებენ დაცვარული ყვავილები.

მოაჯირს დავეყრდნე. სოფელს გადავხედე. წერილი ხმა ვაბძით მოუხმობს ღსაპურებელ ქათმებს. ამ ხმას გოგის მყვიტინი უფროდნდა.

ხის კიბე აჭრიალდა. თვალი შევაველე მასზე ამომსვლელ შაღლი ტანია ქალს. ის შიშველ მოაბიჯებდა. მის ფეხქვეშ საფეხტრები იზნიქებოდა.

— გამარჯობა, — ნელი ხმით მითხრა მან. მისი დაბალი ხმა საღდაც შორს, სიერცეში იკარგებოდა.

— გავიმარჯვოთ, მე ახალი მასწავლებელი ვარ. — შეკითხვა აღარ დაეცალე მოსულს.

— ახალი მასწავლებელი? — თითქმის თავისთვის გაიმეორა ქალმა და თავით-ფეხებამდე ჩამათვალიერა. შერე გაღიმებულმა თვალბში შემომხედა.

— ო, როგორი ახალგაზრდა ხარ. მე კი მოწაფე შეგონე.

გულს დაწყდა, ჯერ კიდევ ძალზე ახალგაზრდა ვიყავი და ვერ ვაფასებდი ჩემს ასაკს.

— ვერე სეგობია, ჩემი მიჭიც ახალგაზრდაა, მავრამ, — აღარ დაამთხრა ქალმა, კიბეზე ამომაჯალ მამაკაციისკენ მობრუნდა.

— აი, ჩვენთვის ახალი მასწავლებელი გამოუგზავნიათ.

უბერხულობა ვიგრძენი. მოხუცი კაცი სათვალეს შემოსდნის შემსუქლოვ-
ებდა.

ოთახში მიმიწვიეს, მოხუცი სკოლის გამგე იყო. გამოკითხვა დამიწყო. მის-
მა ტკბილმა ხმამ თანდათან შემიჩვია.

— მე მგონი, მარიამი დათანხმდება თქვენ მასთან იცხოვროთ. შვილის
წასვლის შემდეგ მარტო დარჩა.

სალამოა. მე უკვე მარიამის აივანზე ვხივარ. სინეშა. შორიდან წყაროს
გამჟღერი ლუკლუკი ისმის. გვერდით მარიამი მიზის. მისი დაბალი ხმაწყლის
ხმაურს უერთდება და თითქოს შორეულ ზღაპრს მომითხრობს.

— აი, ეს ხეები ჩემი ბიჭის დარგულია. უყვარს სახლში მუშაობა. სულ
მიჯავრდებოდა: „ყოველ ღესს ნუ შემოიტან-ფაჩში, შერჩევა უნდა ხეხილ-
სო“. პატარაობიდან შეეჩვიე მუშაობას. მთელი დღე ჩაეჩირინებდი: ხარო-
მე, ისწავლე, სხვების წახედვა არ გარგებს, თბოლი ხარ, შენი ვაზა შენვე
უნდა გაიკვლიო-მეთქი. მართლაც კარგი ბიჭი მყავს, დედა ენაცვალის, ჯა-
რიდან დაბრუნდება თუ არა, ქორწილს გავაჩაღებ, — ღიმილით გდამომხედა
მარიამმა — აი, ჩამოვა, ნახავ, იქნებ შენც მოგეწონოს?

მარიამი ოთახში შევიდა. შვილის წერილების მთელი გროვა გამოიტანა.
ყოველ მათგანს კმაყოფილებით ფურცლაქს და მიკითხავს.

— ხედავთ, რა ამბავშია ჩემი ბიჭი, დედა ვარ მისი, მიკვირს. პატარაობი-
დან გულჩვილი იყო. მახსოვს, პატარას ახლადგამოჩეკილი წიწილების და-
ნახვა ახარებდა, ყოველ მათგანს მიუალურსებდა, გულში იყრავდა. ეზოში
ჩასულიყო, ჩვილი წიწილი დაეჭირა. ზედმეტი აღერხით შემოკვდომოდა.
იქვე ჩამგდარიყო, მკვდარი წიწილა მუხლებზე ედო. ცრემლები ღეარღვა-
რით ჩამოსდიოდა.

— ეს რა გიჭნია, შვილო? — შეშინებული წიწილას ზელს ევლარ პკიდებ-
და: პატარა იყო, ლამაზაკიც არ შეეძლო. დაუყვავე, შინ წავიყვანე. სიკვ-
დილს შეეშინებია პატარა. — მარიამი მოგონებამ გაიტაცა.

— აი, ეს უკანასკნელი წერილია. — განაგრძობდა მარიამი, — დიდხანს
არ მიმიწერია მუშაობა რომ განვაბლდე. მეგონა ეწყინებოდა. მაგრამ აი რა-
სა მწერს: „სამშობლოს ვაჭირვება აღვია, ყველანი ისე უნდა დავეხმაროთ,
როგორც შეგვიძლია“. მეც სხვა რა შემიძლია ავადმყოფ დედაკაცს. ისევე ჩემ
საქმეს დაგუბრუნდი. ამ საქმემ გამაზრდევინა ჩემი ბიჭი. ამ საქმითვე ვესმა-
რები ჩემს ქვეყანას. და როცა ზარს ჩამოკრავ, ასე მეგონია ჩემ შვილს ვე-
ძახი, ამ ხმაზე ისიც სკოლისაკენ გამოიჭეკვა, ისევე, როგორც პატარაობისას.
მე და მარიამი დავმეგობრდით. მარიამს დაუსრულებლად უყვარს თავის
შვილზე საუბარი. მეც შევეჩვიე, ზოგჯერ ვხედავ კიდევ მის აზრდელს, ვის-
ზედაც მთელი დღე მესაუბრება მარიამი.

ღილით სკოლისაკენ მიმავალი, შორიდან ვხედავ აივანზე მდგარ მარიამს.
ზარის ბაწარი უჭირავს ზელში, არავის უთმობს დიდის ზარის შემოკვრას
და ისე შემოკვრავს ზარს, თითქოს ალაპარაკებო ცივ ლითონს. აივანზე
ასულს მისი მოღიმარი თვალები მეუბნებიან: „შვილს ვესაუბრებოთ შო-
რიდან“.

ზამთრის ერთელ ღამეებში დიდხანს ვზივართ ბუზრის წინ. ჩვესტქერფუჟა
გაღვივებულ ცეცხლს. მივყვებით საკუთარ ფიქრებს. მარიამი ყოველჯამს
ყურს მიუგდებს. ნაღვლიანად იტყვის:

— ჩემი ბიჭის ფეხის ხმა მომჩვენა. — თითისტარს თვალს ააყოლებს. მეც
ჩემად ჩავსტყერი ცეცხლს, ყურს ვუგდებ მარიამის ხმას.



კვლავ გუზგუზებს ბუზარი. ჩვენ აღარ ვზივართ მის წინ. მარიამი ავად
არის. ბალიშებზე მიყრდნობილი ხანგამოშვებით გაახელს თვალებს. მისუს-
ტიბული ხმით დამეფითებდა:

— ფოსტალიონი არ მოვიდა? — ერთი ჩანია წერილმა დაიგვიანა. ამიტომ
შფოთავს.

გული შემომკვნის, უცნაურად მაშინებს ღამე. ნეტავ მალე გათენდებო-
დეს. ბუზრის წინ მდგარი კალათიდან მატყლის ფთილები და თითისტარი
ნაღვლიანად გამოიძვირებინან. სიკვდილი მელანდებდა ყოველი კუნჭულიდან.
მინდა გავიქცე, ვიყვირო, ქვეყანას მოუხმო: „ნუ მოკლავთ მარიამს, შეილს
ელოდება“.

— ნუნუ! როგორ გგონია, ჩემი ბიჭის მოსვლამდე მოგვკვდები?

შეგერთი, ხელზე ხელი მოვკადე: მინდა ვანუგეშო, მაგრამ ენა დამება.

— მე ხომ დიდხანს სიცოცხლეს არ ვთხოვლობ, მხოლოდ ჩემი ბიჭი ვნა-
ხო. არ მინდა ჩემმა სიკვდილმა შინ მოსეღა გაუმწაროს.

მკოლის ზარის ხმა შემომესმა, შეგერთი. სულ სხვა ხმაზე ეღერდა ზარი.
სახარული აკლდა მას, ის სიხარული, რომლითაც დედა მოუხმობდა შეილს.

ფანჯარასთან მივედი, თოვლით დაფარულ გზას გავხედე. შორიდანვე შე-
ვამჩნიე გზაზე მომავალი ფოსტალიონი. „გადმოუხვევს, არ გადმოუხვევს“ —
ენერჩულე და ჩემივე გულის ხმაური მესმის.

— გადმოუხვია, — წამოვიყვირე აღტაცებულმა. მარიამი შეირხა, ძლივს
წამოიჩურჩულა:

— ჩქარა!

გარეთ გავვარდი. კიბე ჩაფიბინე. ფოსტალიონს კიშკარში შევეგებე. წე-
რილი გამოვტაცე. დავხედე: „თქვენი შეილი გმირულად დაიღუპა ბრძოლის
ველზე“ — თავბრუ დამესწა, სახლისაკენ გავიხედე. აივანზე მარიამი დგას,
მოაჯირს დაყრდნობია, დასუსტებული. ქარა ნამქვრს აყრის სახეში. მივვარ-
დი, ხელი მოვხვიე, ლოფინთან მივიყვანიე. მივაწვინე, ვედრებით მიყურებენ
მისი თვალები. ბარათს ხელს ვუჭერ, ასე მგონია ამით გავაქრობ სინამ-
დილეს.

— წამიკითხე, — ძლივს გავიგონე მისუსტებული ხმა. და ამ ხმასთან ერ-
თად უცნაურმა გრძნობამ იფეთქა ჩემში.

— „საყვარელო დედა, მომილოცე გამარჯვება“ — ეკათხულობ აკანკალებ-
ული ხმით.

მარიამს არც ერთი სიტყვა არ წარმოუთქვამს, მხოლოდ ცრემლები ჩამოს-
დის ფერმკრთალ ლაწვებზე. მისი სახე კი უდიდეს ბედნიერებას გამოხატავს.

აკაკი გენაძე

გმირის სიკვდილი

ფრონტზე წასული შვილის
წერილს მოელის დედა.
კარებს ხშირ-ხშირად აღებს
და კვლავ მწუხარედ კეტავს.

გადის დღე, მოლოდინი
დღეს ახალ დღეზე აბამს,
და ვერ გებულობს იგი
საყვარელ შვილის ამბავს.

ნიათის ქროლვა ამბობს,
რაც შვილის თავზე მოხდა:
— იგი მკაცრ ბრძოლიან ცეცხლში
გმირის სახელით მოკვდა.

ხე — ველად აღმართული —
ლამაზად გადაშლილი,
ნელი შრილით ამბობს:
— გმირულად მოკვდა შვილი.

მდინარეც ამბობს: — იგი
სამშობლოს შეეწირა,
და მეტრძოლთ გულში უკვდავ
სახელად ჩაეკირა.

უდრეკი გმირი იყო
და ის კვლავ გმირი არი,
ვინც ხალხის გულში ცოცხლობს
იმას არ ეთქმის მკვდარი.

მომქმედი არაია.

ანდრო ლომიძე

ახალი გრძნობა

შელამებული აყო. ქუჩის შესახვევთან მაღალი ტანის მთავარი თენგიზ შამგია და გრძელწამწამებიანი გოგონა ქეთევან გელოვანი შესდგნენ...

გოგონამ გაუღიმა.

შავი, გრძელი წამწამებით შემობურთულ, ზღვისფერ თვალბედან ნაზი ალერსი იღვრებოდა, თენგაზს იდუმალ სიხარულიან ერთად ტკივილს აგრძნობინებდა.

ქეთევანი დაემშვიდობა, ქუჩაზე ჩამწყრივებულ რკინა-ბეტონის მაღალ ბოძებს გაჰყვა, თენგიზს თვალთავან გაუჭრა. უცებ რკინა-ბეტონის ბოძებზე ელნათურების შუქი აკიაფდა, ქეთევანაც გამოჩნდა.

ქეთევანი თავის სახლთან გაჩერდა, პირი თენგიზისკენ იბრუნა, ბელი დაუქნია.

თენგიზმა მარჯვენა მხარი აამოძრავა. სურდა უსახლდრო სიყვარული ქეთევანასადმი ხელის დაქნევით განოეხატა.

წუთით გაოცდა ჰერში პორიზონტალურად გაწვდილი საკუთარი მკლავი რომ ვერ იხილა. თავი მიატრიალა; ცარიელი სახელო ქარში ქანაობდა.

დალონდა.

••

„ცული ინეინერი არ ვიყავი, — თავის თავს ამხნევებდა გზაზე, — მარცხენა ხელით წერა უკვე ვისწავლე, ჩემს ქვეყანას მომავალშიაც გამოვადგები. დარდი და ნალველი ველარ დამიბრუნებს მარჯვენა მკლავს. მაგრამ ვაი თუ ვეცოდები ქეთევანს და ამისთვის მომეყება ცოლად?“

ქეთევანის სახე წარმოიდგინა და დაშვიდდა. «ვეყვარვარ, იქნებ ვეცოდები, მაგრამ რაც მთავარია — ვეყვარვარ“.

ამ ღამეს ესიზმრა: ციმციმა-ვარსკვლავზე ცისფერ შუქისავან მოქსოვილი ბაღე ეყიდა... ბაღეში გახვეული იყო თენგიზის გული. მინდვრად, ნამიან იებზე შიშველ ფეხებით იდგა ქეთევანი, თენგაზის გულს კენჭებს ესროდა. ყოველი კენჭის მოხვედრაზე ფართხალებდა გული. გულიდან სისხლი ჟონავდა. სისხლის წვეთი გულს მოწყვდებოდა, ვარდას თეთრ, სურნელოვან ფოთლად იქცეოდა და ქეთევანს ხშირ, შავ ხეუქუა თმაზე, წამწამებზე და მხრებზე ეფინებოდა.

კენჭმა ბაღე გახია. გული ლოდზე მძიმედ დაეცა, სისხლად გაიშალა. ქეთევანი სისხლიან ლოდს დაჰყურებდა, უკვირდა სად დამეშალა გულით. როცა შინისაკენ გზას გაუდგა, ლოდიდან შერემა «მაყვარხარ“...



საქართველოს

განმანათლებლებს

ქეთევანის დაი რუსულდანი აღელვებული იყო. სავარძელში იჯდა, მომწვანო თვალეხი შიშით აფსებოდა.

— სახლში იყავი, ნუ დასეირნობ, — დატუქსვის კილოთი უთხრა რუსულდანი.

ქეთევანს გული მოუვიდა.

— ეს შენ არ გეხება, — მიუგო და მეორე ოთახში გავიდა.

— ნუ ცხარობ, ყური გამოგდე, სანდრო ჩამოსულა. დღეს მეზღვალრთა კლუბში ენახე. სანამ ჩვენ ნალმოსანს არ შეაკეთებენ, აქ უნდა ვიყოთო, ქეთევანს მოკითხვა გადაეცეო.

— თუ თენგიზს გაპყევი ცოლად — მოგკლავთ, დამემუქრა სანდრო, მაგრამ, მომკლავს? — გულუბრყვილოდ იკითხა ქეთევანმა.

— მართლაც ბავშვი ხარ, ბავშვი. ტყუილად გწყინს, ბავშვს რომ გიწოდებს თენგიზი. რამდენი კაცი დაასახიჩრა, მაგ ჩხუბას თავმა ომში წასვლამდე გულქვა იყო, ახლა ხომ უარესი იქნება! როგორ არ გეშინიან?

ლოგინში ჩაწვინდა.

— სინათლე ჩაეაქრო?

— ნუ ჩააქრობ, რუსულდანი.

წვიმას წვეთი თანჯრის მინაზე დაეცა. ქეთევანი შეერთა, გვერდით მწოლარე დას გადახედა და ჩაეხუტა.

— თენგიზი რომ მოჰკლას სანდრომ?

— გაათრთხილე თენგიზი.

— თენგიზმა იცის სანდროს რომ ვუყვარვარ, ვერ ვეტყვი — სიკვდილით მემუქრება — თქო.

ქეთევანმა წარმოიდგანა: „სანდრომ თენგიზი ქუჩაზე შეაჩერა:

„თავი დაანებე ქეთევანს, თორემ საქმე ცუდად წავივა“, თენგიზი გაბრაზდა, თავის დაეცა მოინდომა, მაგრამ უხელომ ვერ აჯობა სანდროს. თენგიზი დაეცა და სულთმობრძავემა ქეთოს სახელი ამოიკვნესა“.

თენგიზი შეებრალა, თვალი ცრემლით ავესო.

ლღღის ზის ძირას დაგებულ ნოხზე ისხდნენ ქეთევანი და თენგიზი.

მზე აცხუნებდა.

თენგიზი ქეთევანს შეჰყურებდა და ფიქრობდა: გაივლიან წლები, თეთრი, ხავერდოვანი სახის კანი დაუნაოჭდება, თმა გაუთეთრდება, წელში მოიხრება, ჩიფჩიფს დაიწყებს.

თენგიზს ქეთევანი შეეცოდა, ხელათ შიშველ მკლავზე შეეხო ჩაფიქრებულს.

— რისთვის მოგიწყენია ქეთო? რა გაწუხებს? მე ხომ არ ვიშლი ხელს?

ზღაპარივით მიმზიდველმა, მომზიბლავემა ღიმილმა ბაგე გაუბო, თავი აწვია, მღურვით შეხედა თენგიზს.

— დღეს უგუნებოდ ვარ, მელაპარაკე, ციგების განწყობილება გამომიკეთდეს.

— კეთილი და პატროსანი, ქეთო ერთ რომანში ასეთი რამ ამოვიკითხე: „შევეყურებდი მეტეორს და გული მწყდებოდა. იქნებ მეტეორი უხეყობდა გული, სიყვარულმა მნათობს მოსწყვიტა გული და ჩააქრა?“

ქეთევანის თვალეში აღტაცება გამოიხატა.

— მართლაც კარგად, მოხდენილად უთქვამს. იქნებ მნათობებსაც შეუძლიათ სიყვარული?

ქეთევანს ფერი გცვალა, კიშკრისკენ გაახედა.

სანდრო ეზოში შევიდა, ორთავეს მიესალმა, თენგიზს თავს წამოადგა, რამდენჯერმე ღრმად ამოისუნთქა, ნაღვლიანი შავი, ელვარე თვალეში მოწყურა, დაიხარა და თენგიზს შუბლზე აკოცა.

— აყავით ბედნიერი — ძლივს გასაგონად სთქვა, ზურგი აქცია, მეტორტმანდა და მტკიცე ნაბიჯით წავიდა.

სანდროს თვალეში ცრემლი შენიშნა თენგიზმა. მოიწყინა, სასწრაფო საქმე მოიმიზეზა და გამოემშვიდობა.

გულნატკენი ქეთევანი კარგა ხანს გასტკეროდა მიმავალ თენგიზს. აწუხებდა: მაშინ მიატოვა თენგიზმა, როცა თავდავიწყებით სწყუროდა მისი სიახლოვე. ამიერიდან თენგიზისა და ქეთევანის ბედნიერებას არავინ ემუქრებოდა.



ექვსმა დღემ განვლო, თენგიზს ქეთევანთან არ შეუვლია.

ქეთევანი ლელავდა. შებინდებოსას გულის ფართქალით შეალი კიშკარი.

თენგიზის მამამ მოხუცმა დიმიტრი შამუგიამ შინ შეიპატიჟა.

კიბეზე ქეთევანს მუხლები ეკეცებოდა, სირცხვილის გრძობას შელახული თავმოყვარეობას გრძობაც ერთვოდა. გულში ნანობდა — თავი რისთვის დავიმეორეო, მაგრამ გვიან იყო. სკამზე ჩამოჯდა, მეორე ოთახის კარებისაკენ ივალეზს აცეცებდა, სმენადქცეული ყოველ წუთს ელოდა თენგიზის ხმას.

— ამ რამდენიმე დღის წინათ, — სევდიანად მიმართა დიმიტრიმ, — თენგიზი დადარდიანდა, ძილშიც ვერ ასვენებდა, სანდროს ახსენებდა, ხან ემუქრებოდა, ხანაც ეფერებოდა. გულში ჩემოდანი გასტენა თავისა ტანისამოსით: „გერმანელების მიერ დანგრეულ ჩვენს ქალაქებს აღდგენა ესაჭიროებო, დიდი ხნით მივემგზავრებო“. მოხუცებულა კაცი ისევ მარტო დამტოვა, შეილო. იქნებ შენ იცოდე — როდის დაბრუნდება?

ჰაფიზატ ცაღასა
დაღესტანის სახალხო პოეტი

სამაგულო ომის მეგობრებს

ძმებო, სამშობლო იმაცობს
თქვენი გმირული ომებით,
მოსულ მტრების ურდოებს
ეძგერეთ როგორც ლომები,

კვლავ გაუქმდება ბრძოლებით
ძველა დიდება ხუნძახის...
შთიდან სიმღერით აშუღიც
გმირებს საომრად უძახის!

ხმალი ნემსი დაგიჟანგდებათ
ომში ვაჟაკურ ქნევითა,
დაღესტანის მთების შვილებო,
მტერზე გაპყოფოთ ძლევეთა!

სტალინის დროშით წინ გასწით!
დაბრუნდით გამარჯვებულნი,
მოგელით ხალხას მადლობა —
სახელით ეაბრწყინებული!

თარგმანი ვ. გორგაძისა.

ს. თაყაიძე

კავკასიონის კარავთან¹

რ თ ვ ა ნ ი

XVIII

სიცოცხლის ჰიმნი

ეთერმა ავთანდილი კბოდის ძირას, მდინარას მახლობლად დააწვინა. უნდოდა გზა გაეგრძედა, მაგრამ ავთანდილს პირიდან სისხლი წასკდა, მოძრაობას ვეღარ იტანდა.

ბევრი დაჭრილი, ბევრი მომაკვდავი უნახავს ეთერს. ზოგიერთის სახე სამუდამოდ ჩაჩნა ხსოვნაში. ეს ქაბუჯა კი თითქო ყველასაგან გამოირჩევა თავისი ნაზი ელფერიო.

პირზე სისხლი მოსწმინდა, სველი დაღბანდი ლოყებზე და თვალის უბეებში ზოუსვა, თავქვეშ თავისა ჩანთა ამოუღო. შერე გვერდით მიუჯდა, შუბლზე ხელი დაადვა.

ავთანდილმა თვალი გაახილა, წამსვე დახუჭა, სახე მოედრებლა, თითქო რაღაც საზარი მოეჩვენათ. ამოიოხრა. ოღნაე გასაგონი ხმით ჩაილაპარაკა:

„ღედა... ნუ გეშინია... ღედა...“

ეთერმა გამოცდალეებით იცოდა, რომ ავთანდილი ახლა ბურანში იყო, ქაეშეცნეულად აზროვნობდა. საჭირო არ იყო მისი გამოფხიზლება. „ფილტვება და გულას არე უნდა ჰქონდეს დაზიანებული. ახლა ამისთვის მდელგარება საბედისწერო აქნება“, — ფიქრობდა ეთერი. თან იმაზე სწუხდა, რომ აქ დაყოვნება არ ივარგებდა, დაჭრილს გამოცდალი ჭირურვა ესაჭიროებოდა.

„წავალ, სანიტარს მოვიყვან, საკაცეზე დავაწვენთ,“ — გადასწყვიტა ბოლოს და წამოიმართა.

ავთანდილა შეერთა, თვალი აღაპყრო, ეთერს მიამტერდა.

— მოიცა... არ დამტოვო.

მეტის თქმა ვერ შესძლო, თხელი ტუჩები აფთრთიოლდა. თვალით ანიშნა — დაჯექი, სათქმელა მიქვსო.

ეთერი ჩაიმუხლა.

— დამშვიდდი, ძამია, ნუ გეშინია, შე აქა ვარ, — წყნარი ხმით უთხრა ავთანდილს. უნდოდა კიდევ ეთქვა რაიმე, მაგრამ თავი შეიკავა, რომ დაჭრილი ბურანიდან არ გამოეყვანა.

¹) გაგრძელება. იხ. „მნათობი“ № 1—2.

ავთანდილმა მცირე ხანს აუტჩა. მერე ჯამდენჯერმე ამოიკვებეს. სახე გაუფითორდა, თვალები ისე დაახამხამა, თითქო რაღაცა სასამინდრომ დაეხრჩვე-
ნათ.

— ოჰ, არა, შენ ველარ გაცოცხლები! — ჩაილაპარაკა თავისთვის და ეთერს მიანერდა. შემდეგ ისე განაგრძო, თითქო საიდუმლოება უნდა გაანდოს: — იცი... მე ის მოვკალი... ხომ გესმის, ის მოვკალი... ვერასოდეს ვერ აღვება... ერთი კი არ იყო, ბევრნი აყვნენ, ბევრი მოვკალი... ისე ჩემი სიცოცხლე ჩაღად არ ეღირებოდა... თქვენ არ მიცნობთ... მე ავთანდილი ვარ, ბელაძე... კი მინდოდა შინ მისვლა... დედა...

ანაზღად სახეზე სისხლი მოაწვა, ფეხება მოეკრუნხხა, შემადრწუნებლად დაიგმინა. დაიწყო ის, რისიც ეთერს ეშინოდა: მომაკვდავი გამოერკვა, სიცოცხლის წყურვილმა შეიპყრო.

ამ დროს ცასიერში გერმანელების თვითმფრინავები შემოზრიალდნენ, საზარი სტვენით დაეშვნენ. ერთი მეორის მიყოლებით შეუღგნენ ყუმბარების ჩამოყრას. ავთანდილი დადუმდა, ისეთი თვალებით შეაქცერდა ეთერს, თითქო სიკვდალის მიღმა გადაიხედავ.

ერთი ყუმბარა მორევეში დაეცა, ძალიან ახლოს. წყალი მდვრივ შადრევანებით აჩქრიალდა. ეთერსა და ავთანდილს მსხვილი მხეფები შეესხურათ, თან მძლავრ ტალღასავით მოხვდათ აზვირთებული ჰაერი.

ავთანდილი წამოიწია, მყისვე მოსწყდა. უკანასკნელად ამოიხრა. გული აღარ უქცემდა, თვალებში-კი კარგა ხანს უღვივოდა სიკვდილთან შეუპირებელი სხივი.

ეთერას წინ მიცვალებული ესვენა. ირგვლივ ყუმბარები სკდებოდნენ. იქვე ახლოს, სულ რაღაც სამას მეტრზე, სიცოცხლეზე უძვირფასესი ადამიანი ეგულებოდა. იცოდა, რომ მას ყოველ წამს სიკვდილი მოელოდა, თვითონაც საბედისწერო საფრთხეში იყო, მაგრამ გაქცევებლივით მიყუყულოყო კბოდეზე და ისე გამოაყურებოდა, თითქო ამ ქვეყნის არაფერი აღარ გაეგებო.



თვითმფრინავება რომ ყუმბარების ჩამოყრას მორჩნენ და ცის სიღრმეში მიიშალნენ, გერმანელებმა იერიში აღარ დააყოვნეს.

სამსონი დაარწმუნებული იყო, რომ მტერს დამხმარე ძალა მოეშველა. თანაც ფრონტის მოსაზღვრე უზნიდან ტანკების რახარახი მოიხმოდა. უთუოდ აქაც გამოჩნდებოდნენ. ჯაგმანმსხვრეველი თოფები კი არა პქონდათ. მიუხედავად ამისა, რაკი ავთანდილის მეტი არაფერი გამოაქვლებათ და ვაზნები და გრანატები კვლავ მოებოვებოდათ, სამსონს ექვი არ ებარებოდა, რომ ამ იერიშსაც უკუაქცევდნენ.

— აბა, ვეფხვებო, ჩვენებურად. ქართველურად დავხვდეთ მავ წუნკლებს! — გასძახა მებრძოლთ თავისი მძლავრი ხმით.

— ჯაერი ნუ გაქვს, კულით ქვას ვასროლიებთ! — გაეხმაურა სხვებთან ერთად ლადიმე გიორგაძე.

თანდათან ემატებოდა ლადიმეს ბრძოლის ზალისი. არასოდეს არ ყოფილა ასე კმაყოფილი თავისი თავით. ორჯერ რომ რიცხვმარავალი მტრის აერიში მოიგერიეს, ამან ფრთები შეასხა.

მხოლოდ ხანდახან შესვენების დროს, ჩაფიქრდებოდა მცირე ხნით. უცბა გადაუტროლებდა კავკასიონის ქედს და თავის სოფელში მიმოიხედავდა. უცბა ლაზე უწინ ნაძვანარს მოჰკრავდა თვალს, მთის მწვერვალზე კლდის ქვეშეშე თვით მჩინარეს. შემდეგ ზევს გაჰყვებოდა, ნაცნობ ოღებსა და ეენახებს მიესალმებოდა, თავის კარმიადამოს გაუღივებდა.

აგერ მოხუცი დედა სახლის წინ, ტოტებდახუნძულ ხეჭუჭური მსხლის ძირას ზის. თალიკო მუხლებზე დაუსვამს და ეალერსება. ეუბნება:

„ეჰ, ბებუკო, უფროოდ მოუსპეს დღე საწყალ ბაბუა-შენს. იმისთანა ვაჟკაცი ამ სოფელში ერთი ჯერ ვაივლიდა... ახლა მამა-შენიც იმ გოროტებს ებრძვის... მოგიკვდეს, შეილო, დედა, ვინ აცის, სად ხარ ახლა“...

გარკვევით ესმის ლაღიმეს დედის სატყუები, მაგრამ არ ძალუძს ბოლომდე უსმინოს, არა სცალიან, ყანებისაგენ მიეშურება, იქ მუშაობს ახლა მისი ცოლი...

სწრაფად განერიდებოდა ხოლმე ლაღიმე ასეთ წარმოსახვას. მკვირცხლად მიმოიხედავდა, საბრძოლო იარაღს, ვაზნებს, გრანატებს მოხერხებულად დაილაგებდა. ყოველ წამს მზად იყო მტერს პირასპირ შეებოდა.

მტერი კი გაცოფებული იყო: ამდენი მსხვერპლი ვაიღეს, ამდენი ყუმიბარა დააყარეს ამ ზღუდეს, რომელსაც ასე მცირერიცხოვანი რაზმი აცავს და ჯერ კიდევ ვერ გაარღვიეს!

ახლა დამხმარე ძალა მიიღეს, მესამედ დაიძრნენ საიერიშოდ.

სამსონი სროლითა და ყიყინით ამხედრებულ გერმანელთა წყობას დააკვირდა. „ერთი-ორად გამრავლებულანო“, გაიანგარიშა და გადასწყვიტა, ცეცხლი ადრე გაეჩაღებინა, მტრის რიგებში არეუ-ღარევა შეეტანა, მერე უფრო ახლო მიეშვა და ხელყუმბარებით შეგებებოდა.

კოლიამ კარგად იცოდა, რომ ახლა ამ უბანზე მის ერთადერთ ტყვიამტრქვევს ვადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონო. პირდაპირ სასწაულსა ჰგავდა, ამდენი ყუმბარებისაგან რომ გადაარჩინა და თვითონაც თავისა მეორე ნომრით ცოცხალი დარჩა.

— აბა, ახლა მიყურეთ, თქვე წუნკლებო! — ჩვეულებისამებრ შესძახა სამსონის ბრძანებისთანავე და ზუსტად დამიზნებული ტყვიამტრქვევი ამუშავა.

ვარდენ სიხარულითემ ახალი ლენტი მიაწოდა. არც-კი დაუკუნესია, ისე დაუვარდა თავი მაწაზე. ვარდენის თავში გავლილი ტყვია ტყვიამტრქვევს გაეკრა, აირეკა, კოლიას სულ ახლოს გაუტროლა. ხელი არ შეეჩერებოდა კოლიას, მხოლოდ თვალები გაუშტერდა. „მომიკლეს ბიჭი მაგ წყეულებმა“, — ვაივლო გულში და გამშავდა, ტყვიამტრქვევი გაასწორა, სანახევროდ ჩაწოლილ გერმანელების ცეღვას შეუღგა. მაგრამ ოციოდე ვაზნის დახარჯვისაც ვერ შესძლებდა, რომ ირაკლის არ დაენახა ბეკობთან ამოცოცებული გერმანელ სნაიპერი, რომელიც ვარდენის შემდეგ კოლიას იღებდა მიზანში. იგი ისე შენიღბულა იყო, ისე მოხერხებულად მიბარულიყო, რომ ერთი წამი კიდევ და კოლიას წყობიდან გამოიყვანდა. ირაკლიმ მოასწრო და სწორედ იმ დროს გაუხვრიტა შუბლი, როდესაც მან თავი ოღნავ ასწია, რათა კოლია მიზანში ამოელო.

ეს იერნში ძვირად დაუჯდათ გერმანელებს. მალე ყველანი ჩაწვნენ და უკან ვახოხდნენ.

რადაც იღუმლად მშფოთვარე სიწყნარე დამყარდა ბრძოლის ამ უბანზე. საღვთარია, ამ დღემილში ყველამ — სამსონმა, დავითმა, ლაშქარმა და ირაკლიმ — თითქმის ერთსა და იმავე დროს გაიფიქრეს: „დავიხორცილოთ და აქედან უკან არ დავიხევოთ. სიკვდილი კი, როგორც სჩანს, აქ არ აგვეშორდება“.

კოლიამ მკვდრის გვერდით ყოფნა ვერ აიტანა, ფრთხილად მოხვია ხელი ვარდენს, ისე ფრთხილად, თითქო ეშინიან, არაფერი ვატყინოთ, და სანგრის კუთხეში დაასვენა. ტყვიამფრქვევის შესანიღბავად მიტანილი ფოთლებიანი ტოტები დააფარა.

„მოისვენე, ძამიავ, მშვიდად მოისვენე“, — ბუტბუტებდა თავისთვის კოლია... არ შეუძნენვია თვალთაგან რომ ცრემლები გადმოსცვივდა და ცვარიკათ დაგორდა ფოთოლზე. ისეთი განცდა დაეუფლა, როგორიც ეწვევა ხოლმე აღაპიანს, როცა იგი შორს, რადაც ბუნდოვანი ნისლის მიღმა ხედავს თავის თავს, ამქვეყნიური ცხოვრებიდან საესებით მოწყვეტილს, თითქმის არარად ქმნილს, ზედავს და ეცოდება, ძალა-კი არ შესწევს, რომ მიუახლოვდეს, სიცოცხლის გზაზე გამოიყვანოს.

თავი ასწია. ცას ახედა. შზემ თვალი მოსჭრა. მოუთმენლად მოესურვა ვისმეს გამოლაპარაკებოდა. ყველაზე უფრო ახლოს ირაკლი იყო. მასთან გახიხდა.

— ირაკლი, რაეც ვატყობ, აქ გეიწერია საკვდილი... მოდი...

— რას ამბობ, კავო? — მკაცრად შეაწყვეტინა ირაკლიმ: — სიკვდილი მაშინ იქნებოდა, იმ წუნკალისათვის რომ მზე არ დამებნელებინა. გაჰხედე... ავე, სად გეპარებოდა.

— ჰოო, იმან მომიკლა ვარდენი, — ჩაილაპარაკა კოლიამ და უცებ შევიდა დროს რომ იცოდა, ისე გაშალა ხელი: — მაშ გცოცხლობთ, ირაკლი ჯან მოიტა ხელი. გენაცვალე სულში!

სამჯერ აკოცა. თავისი სანგრისაკენ გაეშურა გამხნევებული.

ყანებიდან მოტორების ჩახჩახი მოესმათ.

„აჰ, ტანკები მიუვიდათ. ახლა გეპართებს ვეკაცობა“, — სთქვა გუნებამ: სამსონმა. მერე მებრძოლთ ვასძახა:

— მოამზადეთ გრანატების კონები!

დავითმა ხელყუმბარები ურთიერთზე მიაწყო, შეკვრას შეუდგა. არა ჩქარობდა.

„ახლა უნდა შემოაწმდეს ჩემი დებულება, — ამბობდა დავითი: — ამ ვერავტთან ბრძოლაში სიკვდილი სიცოცხლეს უდრის-მეთქი, ვამბობ მე. ამას დანახვა უნდა, რა კარგია, რომ შეიძლებოდავს საფლოვიდან გამოხედვა და ჩვენი თავგანწირვის ნაყოფის დანახვა! არა, ეს სულმოკლეობაა... მე ახლა, სანამ სული მიდგას, გიძღვნით სალამს, თვალესაც გიკოცნით ყველას, ვინც იცოცხლებთ და იბედნიერებთ ჩვენს სამშობლოში ამ საშინელი ომის შემდეგ... ყველას, ვინც ჩვენს იდეებს განაზორციელებს... ვასწით, ძმებო, წინ ჩაჰკიდეთ ხელი ჩემს ბიჭუკოს... აგერ, დიდი ხნის შემდეგ მოვედი მგონია მე და ჩემი ბიჭის თვალებით ვხედავ ჩვენს აყვავებულ მთაყანას, ჩვენს ლამაზ მოეხსა და ველებს...“

ვანახლებული ძალღონით წამოიშართა დავითი, ბრძოლის ველს გაჰხედა.

სწორედ ამ დროს გადათელა სიმინდებია ვეება ტანკმა. ზორთუმევით ამოძრავებდა ზარბაზნის ლულას.

„ერთი ყოფილა. ამას ვავუძღვებო“, — სთქვა დავითმა და ავლავ მრ-
სინჯა ზელით გრანატების კონა.

ტანკმა მარცხნივ გადაუხვია. ცხადი იყო, გვერდიდან აბირდა მარჯვნივ
ასვლას.

ამ მხარეს განაპირა სანგარში ლადიმე გიორგაძე იმყოფებოდა. ნაწინვე
მიხვდა, რომ ტანკთან ბრძოლა ბირველად მას მოუწევდა. შეჩქვიფდა. ტუჩე-
ბი მოეკუშა, თვალემა გაუშტერდა.

მალე გაითვალისწინა: ტანკი რომ აქამდე მოუშვას, ამხანაგები საფრთხე-
ში ჩაეარდებიან, ამ ზღუდესაც გაარღვევს. სჯობს ტანკს ბორცვზე ამო-
სასვლელთან შეევებოს.

ავტომატი ზურგზე გადაივიდა, ქამარი გაისწორა, ხელს გრანატებს კო-
ნას დაავლო. ვეფხვის სიმარლით აცურდა სანგრიდან. ისე მკვირცხლად მოძ-
რაობდა, გვეგონებოდათ, ფრიად გაწრთენილი ტანმოვარჯიშეაო ეს ქალარა
კოლმეურნე.

ჯერ დავითმა და სამსონმა დაინახეს სანგრიდან აცოცებული ლადიმე, მე-
რე ირავლიმ და კოლიამაც მოჰკრეს თვალი. განზრახვას მიუხედავად, სული
განაპეს.

გულისწამლები გრუხუნათ მოიმართებოდა უზარმაზარი ჯაგმნიანი ურჩ-
ხული.

განა შეიძლება მას ხორციელი ადამიანი დაუდგეს წინ? მაგრამ ახლა ლა-
დიმეც გაიზარდა მებრძოლთა თვალში. იგი უბრალო მომაცვლავა როდია ამ
წამს. არც ქალარა მამაა, თავის გოგონაზე საუბრის დროს რომ თვალთაგან
გულჩვილობის შუქი გამოუერთებოდა ხოლმე, — ყოველად ძლიერი, სიკვდი-
ლას დამორგუნველი გოლიათია.

შემაერთებელ შუქად აენთნენ წუთები. სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძო-
ლის მოლოდინში.

ლადიმე ბორცვს მოფარებული მიხიზავდა. არაფერზე არ ფიქრობდა,
მთლად ერთ სწრაფვად იყო გადაქცეული. იმ წამს მის წარმოდგენაში სიკვდი-
ლი არ არსებობდა. იყო მხოლოდ შეუპოვარი ბრძოლა სიცოცხლისათვის.

ტანკს ვერა ხედავდა, ხმაზე ატყობდა, რომ მიუახლოვდა. არაფერია, მო-
ვიდეს. ლადიმეს არ უმტყუნებს თვალი და მკლავი.

ბექობის ქიშს მიუახლოვდა, ფერდობზე ამომავალი ტანკის კოშკური დაი-
ნახა. მონადირეს რომ სჩვევია, ისე ინსტინქტურად დასწია თავი, მაგრამ
უმაღლე წინ წაიწია, გრანატები მოიმარჯვა, წამოიპართა და ზედ მომღვარი
ტანკის მუხლუხობებს ქვეშ შეაგდო. უკან გადახტომა არ ესწრებოდა, მიწას
გაეკრა.

სახე ბალახში ჰქონდა ჩამალული. ვერაფერს ვერ ხედავდა. მხოლოდ ისე
აზრიალდა მთელი ქვეყნიერება, რომ ვამის ეს ერთი ნაწყვეტი მთელ მას
სიცოცხლეს აიწონიდა.

მიკროსკოპით ერთ ქიქა წყალში სიცოცხლის უამრავ ნაწილაკებს დაინ-
ხავთ. ლადიმე გიორგაძის ცხოვრების იმ უკანასკნელ წუთში რომ ვისმეს
გრძნობიერი თვალით ჩაეხიზნა, იმდენ რამეს ახილავდა, რომ მის აღწერას
მთელი წიგნი დასჭირდებოდა. უმთავრესი-კი აი რა იყო: ცეცხლოვანი მო-
ლოდინა, მწვავედ შეკუმშული გულის მრავალხმიანი ძახილი. შინაგანი შუ-
ქი ელვის სისწრაფით უხატავდა სულის ეკრანზე მახლობლად მყოფ ამხანა-
გებს, რომლებიც ახლა უთუოდ მას შესცქერიან, მასზე ფიქრობენ. მათი გუ-

ლოდან გადმოშავალი ელვარება ლაღიმეს ისეთ სამტკიცეს განაცხადებდა, რომ შეუძლიან უფრო შორს გაიხედოს: აგერ ეზო ზევის პირად, უფროდებზე, ძველი ოდა, წაბლის ფიცრით ნაშენი, ხეხილა, მარანი. დედასთან ერთად, თალიკო არ ასვენებს, ცელქობს, ზანუწყვეტლად ეკითხება რაღაცას. დედა გაუღიმებს ზოლზე თალიკოს, მაგრამ მის ღიმილშიაც სევდა გამოსჭვივებს. ცოლი შინ საღამომდის ვერ დაბრუნდება, ყანაში მუშაობს... და ისევ თალიკო, რომელსაც თითქო ძახილი მოესმა და საღდაც შორს, კავკასიონის გადაღმა, სიკვდილის პირად მყოფ მამისაკენ გაიხედა... აქ გაწყდა ძაფი, ქათისისფერი ჩრდილი დაეფანა ეკრანს სულისას..

იფეთქა, ივრიალა.

ყუმბარის ნამსხვრევები ცეცხლის ტალღასავით შეენარცხნენ ლაღიმეს, მალა აისროლეს, ნაკუწ-ნაკუწად აქციეს. სამოსის ნაფლეთები ბუჩქზე ჩამოეკიდნენ.

ამ სურათის შემყურე დავითმა თვალი დახუჭა. მოეჩვენა, თითქო არა მართო ლაღამე ჩანთა კვამლისფრად აზვირთებულმა სივრცემ, არამედ დამყრუებელი ნაღმით აფეთქებულმა მღვრეუ მორევმა დაძვარა შთელი არემარე. იმ წამს დავითს არ შეეძლო სიცოცხლის გამოცნობა, რადგან აღარ ახსოვდა, თუ რა ფერისა იყო იგი. სამსონის ძახილმა გამოარკვია.

— დავით, ოც ნაბჯზე ვახოხდი. გრანატები! — შეორედ ვასძანა სამსონმა, მაგრამ დავითა რომ არ გამოეხმაურა, თვითონ აცოცდა სანგრინად.

ამ დროს დაინახა იგი დავითმა. მიხვდა, რომ იმ საქმეზე, რაც მას უნდა გაეკეთებინა, სამსონი მიდიოდა. სიმწრის ოფლმა დაასხა დარცხენილს. მყისვე წამოიმართა, მაგრამ სამსონმა ზელით ანიშნა, მანდ იყავი, ნე მაცალეო.

სამსონმა ვონების თვლით მოხაზა ის ადგილი, სადაც ბექობს მოფარებულნი, მუხლუხებ-დამსხვრეული ტანკი და მისი ეკიპაჟი უნდა ყოფილაყო. მარჯვედ მოიქნია გრანატების კონა. აფეთქების ტალღამ რომ გადაიარა, ავტომატი მოიმარჯვა და კიშისაკენ გაბოხდა.

ტანკს მოქმედება აღარ შეეძლო. ერთი ტანკისტი სამსონის მიერ ნასროლ ყუმბარას მოექლა, დანარჩენები გარბოდნენ, ისე შორს იყვნენ, რომ სროლა არა ღირდა.

სწრაფად დაბრუნდა სამსონი თავის სანგარში. გრძნობდა, რომ მოახლოვდა დრო, როდესაც დღევანდელი ბრძოლის ბედი უნდა გადაწყვეტილიყო. ლაღიმე გიორგაძე აღარ ჰყავდა. მალე ვახნებიც შემოეღოოდათ. მესამე საათია სამეთაუროსთან კავშირი ვერ გააბა. რაღაც ცუდი ამბავია იქ, თორემ ალექსი აქამდის ხმას მიაწვდენდა. შალვა ყიდშიძეს რა მოუვიდა? რატომ არსად არა სჩანს დღეს? იქნება მკლავი ვაუმიზებდა და საველე ჰოსპიტალში იმყოფება...

„რაღა დასამალავია, ცუდადია, ძამიან, საქმე, ცუდად, — გაეხმაურა თავის თავს სამსონი. მერე უნებლიედ გააბა ნაღვლიანი ფიქრი: ეთერი მინც მენახა... რა უზემად გავაგდე... მაშ რა მექნა? ის მინც დარჩეს ცოცხალი... რა შესანიშნავი იდამიანია ეგნატე! ეთერმა უნდა იცოცხლოს, რომ ამ ნათელი სულის პატრონ კაცს უკანასკნელი იმედი არ ჩაუკლას... მე კი... ეპ, ჩემო დედიკო, ვიცი, ვერ გადაიტან ჩემს დაქარგვას... რა გაეწყობა, ასე ინება პედმა...“

კიდევ კარგახანს გაჰყვებოდა სამსონი ამ კაეშნიან ფიქრს, რადგან იგი სასოწარკვეთილებამი კი არ ავდებდა, მოსიყვარულე ქირისუფალი მისი მიმრებდა და მხნობას მატებდა, მაგრამ უცებ ეშუსლულიანი ნაღმსატყორცნი აღრიალდა, ცეცხლოვანი ღმუილი მზოდო სივრცეს.

— აბა, ვეფხვებო, სისხლის უკანასკნელ წვეთამდე! — გასძახა ბიჭებს და სანგარს მიეფარა.

ისე გადათხარეს ნაღმებმა ირგვლივ მიწა, რომ მებრძოლებმა აღარ იცოდნენ, ვის რა მოუფიდა. იმსაც ნათლად ხედავდნენ, რომ თვითული მათგანის სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა.

ერთი ნაღმი სამსონის სანგართან აფეთქდა. ირგვლივ ყველაფერი კვამლნარევეა მტვერმა დაჰფარა. სამსონს კოლბოხი ესეთის ძალით მოხვდა თავში, რომ მხრების შებრუნება-ღა მოასწრო, თან ელვასავით გაურბინა ფიქრმა: „მორჩა!“ ეს სიტყვაც ისე ჩაჰქრა, თითქო სანათს სული შეუბერესო. გული წაუფიდა, პირაღმა დაეცა. მიწა წელამდის გადაეფარა.

ნაღმსატყორცნიდან სროლა ისევ გრძელდებოდა, როცა ანაზღად მებრძოლთა ზურგს უკან, მარჯვენა ფრთიდან ქვემეხები აგრიოდნენ.

ეს მაიორ მიხეილ ოდიშელის არტილერიისტები იყვნენ. როგორც იქნა მოიციალეს ამ უბნისათვის. მალე ჩაახშეს მტრის ნაღმსატყორცნების ცეცხლი. „გენაცვალეთ სულში — ფიქრობდა მოკლულას მახლობლად მიყუდული კოლია ბარბაქაძე. — რაღა ჩვენთვის მოიციალეს, სჩანს, იქით კარგად ყოფილა საქმე. ახლა მალე მოგვეშველებიან“.

მართლაც, ბრ გასულა ხანი, რომ ყოყინა მოესმა. წამოიშართა, ტყვიამფრქვევზე დაყრილი მიწა გადახვეტა და არემარე მოათვალიერა.

„ქე არ დაველუბივარ კაცი იმ წუნკლებს — წამოიძახა გაშფარებულმა. — ამას რაღა აამუშავებს! ვაი თქვენს დედას, თქვე ღორებო! არაფერია, ჩამივარდებით ხელში!“

ამ მუქარის შემდეგ სხვა რომ ვერაფერი მოისახრა, ირაკლის გასძახა:

— რაეა ხარ, ირაკლი? ცოცხალი ხარ, ბიჭო? ხომ ვესმის, ჩვენება მოდიან.

ამ დროს კიდევაც გამოჩნდა პირველი რაზმეული, მზისაგან გარუჯული ქართველი ვაეკაცები. აგერ მეორე რაზმიც მოასწრაფის, წინ შალვა ყოფშიძე მოუძღვის. მარცხენა ხელი დაშვებული აქვს შალვას, მარჯვენათი მხარ-ილიაზე ჩამოკიდებული ავტომატი უჭირავს. თავის პრიალა ქამარზე გრანატები ჰკიდა. ახლაც, უსასტიკესი ბრძოლის ეჟის, სამოსი ტანზე კოხტად ადგია. ოდნავ წინ წახრილი მიეშურება, თითქო მთელი მისი ლამაზად ჩამოსხმული აღნაგობა ერთ სწრაფვად ქცეულაო. მაღალი ცხვირი და ბასრი თვალები ცისიერიდან მიწისაკენ დაშვებულ არწივის გამომეტყველებას აღ-ლევენ.

კოლიამ ავტომატს დაავლო ხელი და სანგრიდან ამოხტა, რომ იერიშზე მიმაველთ შეერთებოდა. უცებ შედგა, ამხანაგებს მიჰხედა. „სამსონი რატომ არა სჩანს? არ დავადუბოთ, არაფერი მოსვლოდეს!“

ადგილიდან მოსწყდა. სანგრის პირთან შესდგა ზარდაცემული. იმდენი ხანი მკვდრის გვერდით იყო, ყველგან თვალჩამჭრალი ვარდენი ელანდებოდა და ახლა, სამსონს რომ დახედა, მის გაფითრებულ სახეზე სიცოცხლის ნიშანწყალი ვეღარ ამოიკითხა, ხმა ვერ ამოიღო გაქვავებულმა. შურისძიების

ცეცხლი შემოენთო. მწუხარე თვალებით გაჰხედა მისკენ მაცქერალ ამხანაგებს და ხელის ჩაქნევით ანიშნა მათ, რომ სამსონი ცოცხალად არ არის. პირველი ნაბიჯი ისე გადადგა, თითქო რაღაცაზე ჭოჭმანობსო. შემდეგ წინ გადაიხარა და მთელი სისწრაფით აღდეგნა იერიშზე მიმავალ რაზმს. ირაკლი და დავითიც მას მიჰყვნენ.

ყუმბარების გრიალი და ტყვიების ზუზუნი რომ შენელდებოდა ხოლმე, ეთერი თავშესაფარს სტოვებდა, სანგრებისაკენ მიზობავდა. მაგრამ სამსონთან მიახლოვებას ეერა ჰბედავდა და უკან ბრუნდებოდა. ამის მიზეზი ის როდი იყო, რომ მისი შრისხანებისა ეშინოდა. პირაქით, ეს უფრო იზიდავდა მისკენ, რადგან კარგად იცოდა, თუ რა აშმაგებდა სამსონს. ბრუნდებოდა იმიტომ, რომ არ უნდოდა ბრძოლის ეამს ხელი შეეშალა.

მეტის-მეტად ძნელი კი იყო ეს ეთერისათვის. შეყუდებოდა კბოღესთან დასვენებულ აეთანდილის მახლობლად გამოქვამულში და ყუმბარასა და ნაღმის ყოველ აფეთქებაზე გული ესერებოდა. ხანდახან უნებლიედ გაექცეოდა თვალი ბედშავი აეთანდილის გვამისაკენ და მოეჩვენებოდა, თითქო ქვეყნად ხოცვა-ყლეტისა, დაჭრილებისა და მკვდრების მეტი აღარაფერი აღარ დარჩენილაო.

ბოლოს, ჩვენები რომ კონტრშეტევაზე გადავიდნენ, ეთერი გაბედულად გაეშურა სანგრისაკენ. როცა მიუახლოვდა, შედგა, სული მოითქვა.

სანგრებიდან არავითარი ჩქამი არ აჰმის. ყველანი გადაჩინილან, მოიერიშეებს გაჰყოლიან.

მაინც გადადგა ფეხი, რომ ენახა ის ადგილი, სადაც სამსონი იმყოფებოდა. ამდენი ხნის განმავლობაში. ამ წამს ეთერისათვის სამსონის ნაკვალევიც ძვირფასი იყო.

სანგრის პართან სული შეეკრა. რა არის ეს, სიკვდილი თუ... გამოცდილება მ უშველა შრავალშირნახულს, სანგარში ჩაეშვა, დაიხარა, სამსონს პირზე ყური დაადო. მერე სწრაფად მოუფათურა ხელები წელს ზევით, ყველგან, სადაც მიწა არ ჰქონდა დაყრილა.

სული მოითქვა. „მძიმე კონტრუზია არ უნდა იყოს“, — ანუგეშა თავისი თავი და ჩამონგრეული მიწის გადაფოცებას შეუდგა. მალე ირგვლივ მიმოიხედა, ბარი დაინახა, ხელი დაავლო და ორიოდე წუთში გაუნთავისუფლა ფეხები სამსონს. კრილობა არსად არ აღმოაჩნდა. მხოლოდ თავი ჰქონდა დაშავებული. მცირეოდენი სისხლი გადმოსდენოდა. სახეზე არავითარი შინაგანი წუხილი არ ემჩნეოდა. თვალბიც ისე დაეხტა, თითქო მშვიდად სძინავსო.

ეთერმა ვაფთრებულ ბრძოლის ბმაურს შიაცურა. აქ დარჩენა არა ღირსო, დაასვენა და სამსონს ხელები მოჰხვია, აიყვანა, სანგრის პართან დააწვინა. თვითონაც ახტა. შეეძლო მახარაზე დაუწვინა და ისე წაეჩოჩებინა, მაგრამ ნადრევი გამოღვიძება აწყენსო, გაითაქრა და კვლავ ასწია. უფრო მძიმეც რომ ყოფილიყო, არ გაუქირდებოდა, მხოლოდ ის აშინებდა, ფეხი არატერს წაეკრა და სამსონს არ ვაენოო.

მღანარესთან ბეტობზე მიაწვინა.

სამაონა უკვე ჩამდენიმე წამია გრძნობს მოალერსე ხელების შეხებას, მაგრამ თვალის გახელა ეძნელება. უცნაურ სიზმარში ჰგონია ~~საგანსაგანს~~ ორგვარი გრძნობითაა შეპყრობილი: ერთის მხრივ, თავს გაქმნის უკვე უკვე ყრუ ტკივალა უმძიმებს, ჰგონია, მთელი ტვინი ამღვრეული მამესო. იმავე დროს ვინ არის ეს, ასე ნახად რომ უსვამს პირზე რაღაც რბილსა და საამოს? იქნებ დედაა... მაგრამ ეს ხმა... მოიცა...

შოულოდნელი გრიგალივით გადმოარღვია სივრცე ქვეა-ქუხილმა, მერე უცებ დღევანდელა ბრძოლა წარმოუდგა. ლაღიმე ვიორგაძის სამოსის ნათლეთები მოეჩვენა და თვალი მწვავე ტკივილით გაახილა. წამსვე იკითხა:

— რა მოხდა? გაარღვიეს?

— არა, შენი ჭირიმე, სამსონ: ჩვენება გადავიდნენ შეტევაზე, უუაქცაეს... სამსონმა თვალეზი კვლავ დახუჭა. ოდნავ შესამჩნევმა ღიმილმა შეურხია ტუჩება.

და იმ ერთმა სიტყვამ, რომელიც პირზე მოადგა და კარგახანს ვერა სთქვა. მეტად შორა გზა გამოატარა. ბოლოს თავისი არსებობის დედაზრიც იმ ერთ სიტყვაში ჩააქსოვა, თანაც გარკვევით გაიგონა, რომ იმ სიტყვაში ედერდა სიკვდილის დამთრგუნველი ჰიმნა სიცოცხლისა და სიყვარულისა:

— ეთერ!

— ჰო, მე ვარ, შემოგველე, სამსონ, მე! — წამოიძახა ეთერმა და მგზნებარედ დაუკოცა თვალეზი, შუბლი, ტუჩები.

XIX

ილილიუსი დღეები

მედიკურ-სანიტარული ბატალიონი დაჭრალებს ფრონტისპირა სოფელში იღებდა. ეს სოფელი თუმცა ბრძოლის ხაზს ათი-თხუთმეტი კილომეტრით იყო დაშორებული, მაგრამ აქაც ისეთივე დაძაბული განწყობილება სუფევდა, როგორც ბრძოლის ველზე. ადგილობრივი მცხოვრებლებიც საერთო ფერხულში იყვნენ ჩაბმულნი. ყველანი ერთ საგონებელს შეეპყრო. ეს იყო მეტის-მეტად მოახლოებული საფრთხე, ისეთი საფრთხე, რომელიც სიკვდილივით უღმობელი განადგურებით იმუქრებოდა. ვარდა იმისა, რომ აქ ხშირად ისმოდა ქვემეხების გრუხინი, ღამით მოწყვეტილი ვარსკვლავებივით ერთბოლოდ სივრცეში მამხალეები, მტრის თვითმფრინავებიც ყოველდღე სვავებივით დაფართავობდნენ, ვარდა ამასა, ხანდახან გეგონებოდათ, ყორნების გუნდებივით გადაუქროლო სოფელს ზარდამცემი საშიშროების შეებედითმა ბურუსმა. ასეთ წამს კაცს უნებლიედ მოეჩვენებოდა, თითქო ყველაფერი ბეწვზე ჰყვდიო. საკმაოა გადააჭრას ის გზა, რომელიც კავკასიონის ამ მხარეს დარიალთან და დარუბანდთან აერთებს, და მაშინვე ეცხლოვანი ურჩხული პირს დაადებსო.

იმ დღეს, ეთერა რომ სამსონი მედიკურ-სანიტარულ ბატალიონში მიჰყავდა, ახლო-მახლო მცხოვრებლები სოფლის პირად გამოდგენილიყვნენ, ტანკ-საწინააღმდეგო ორმოსა საზრიდნენ. ესენი აყვნენ შინდარჩენილი, ხანდახმული ოსი მამაკაცები, უმთავრესად კი — ტანადი, პირნათელი, სიცოცხლით საესე ოსი ქალები და ქალაშვილები.

ორმო, მდინარიდან მოყოლებული, ვრცელ ტაფობს სერავდა. მყოფუშავეებს თვალი ძლივს სწევდებოდა. ყველანი გულმოდგინედ მუშაობდნენ. მსოფლიო ხანდახან გაისმოდა აქ-იქ ქალიშვილების საცილი. ესენი, ასე მრავლად თავშეყრილ ხალხს რომ ხედავდნენ, უნებლიედ ენთებოდნენ იმ ეშხით, რომელიც ჯარში გამოსულ გასათხოვარ ქალს ამშვენებს ხოლმე. ასეთ წუთებში მათთვის და მათ ირგვლავ მყოფთათვისაც უჩინარი ხდებოდა ის შავი საფრთხე, რომელიც მძიმე ღრუბლებავით თავს დასტრიალებდათ. განსაკუთრებით მაშინ იელვებდა ამ ტურფა, მკერდსავეს ქალიშვილების თვალბში მიმზიდველი შუქი, როდესაც გზად გავლილ მხედრებს გაესაუბრებოდნენ ხოლმე, გამარჯვებასა და შინ მშვიდობით დაბრუნებას უსურვედნენ. არა ერთსა და ორ ქართველ ვაჟაცას გაჰყოლა მათი სახეებიდან გამომკრთალი სიამაყისა და ბრძოლის ხალისის აღმძვრელი ნათელი.

ეთერმა მანქანა შეაჩერებინა. სამსონი უკვე მოსულიერებული იყო. მანქანა რომ დადგა, თავი წამოსწია, წამოჯდომა მოანდომა, მაგრამ ეთერმა ნება არ მისცა.

— იწევი ნუ მოძრაობ! — ბრძანების კილოთი უთბრა და ძირს ჩახტა. გარსშემოხვეულ ქალებს ავადმყოფისათვის წყალი სთხოვა.

რამდენიმე ქალმა ერთად გაიშვარა ხელი მათარისავეს. ეთერმა მათ შორის უნებლიედ ის ახალგაზრდა ქალი აირჩია, რომელსაც ინტელიგენტური გამომეტყველება ყველაზე მეტად ემჩნეოდა. არ მოსტყუვდა: იგი ადგილობრივი პედაგოგიური ტექნიკუმის მასწავლებელი აღმოჩნდა.

— ჩემო ძვირფასო, — მიმართა, მას ეთერმა რუსულად: — თქვენ ერთ რამეში უნდა დამეხმაროთ.

ახალგაზრდა ქალს ქერა სახეზე მზრუნველობა აღებეჭდა.

— ბრძანეთ. თუ კი შესაძლებელია, თავს არ დავხოვავ.

— იცით რა... მედსანბატს ზევრი დაჭრილი ჰყავს. ბინებში სივიწროვეა, ჩემს ავადმყოფს კი მყუდროება ესაჭიროება. წინასწარ ვიცი, ექიმის დისკვნაც ასეთი იქნება. ევებ თქვენ...

— ევ ძალიან ადვილი საქმეა, — სწრაფად მიუგო ქალმა. — ჩემი ბინა ახლოსაა. აი, მეც თქვენთან ერთად წამოვალ.

— გმადლობთ. — უბასუხა ეთერმა ჯა სამსონთან ავიდა. ხოლო მასწავლებელი ქალი შოფერთან მოთავსდა.

მზრუნველობის, გულისხმიერებისა და თანაგრძნობის მადლს მხოლოდ ის დაატასებს ღირსეულად, ვისაც დიდი გაჭირვება და მწუხარება განუცდია. ამიტომ გადაიჭრდა ახლა ეთერმა მადლიერი თვალებით ფართო ტაფობში მომუშავეებს, რომელთაც დასავლეთისავეს გადახრილი მშის დაჯდა შუქი ეფინათ.

„რა გულშემატყვიანნი არიან!“ ჩაილაპარაკა თავისთვის და იგრძნო, რომ ეს სურათი: შეყვითლებულ ბალახიანი ქალა, მდინარიდან გორაკის კალთამდის გაღლებული ღრმა ორმო და მის გასწვრივ გაფენილი ხალხი არასოდეს ირ დაეიწყებოდა.

ბოსელივით გრძელი სახლის წინ შესდგა მანქანა.

ეთერმა მალე მოიყვანა მადალი, შეეგვრებინა ექიმი — ვალიკო ჯავრი-შვილი.

ვალიკომ სამსონს გული გაუსინჯა, თვალბში ჩაჰხედა, შეხვეულ თავზე ხელი მოუფათურა.

— თავი ზომ ძალიან დამავეებული არა აქვს? — შეეკითხა ეთერს.

— არა... მხოლოდ არ ვიცი კონტუზია როგორ გავლენას მოახდენს ტუჩებზე.

— ეგ მე უკეთესად ვიცი. — ჩაერია საუბარში სამსონი. — ჯაგრა ნუ გავქვთ, ეჭიმო, თავს ძალიან კარგად ვგრძნობ.

— ბედი გქონია, ძმობილო, გადარჩენილხარ. ისე კი ორიოდ დღის მოსვენება აუცილებელია. — დაასვენა ჯაგრიშვილმა. — მხოლოდ აქ, დაპირილებში მაგის მოთავსება არ ივარგებს.

— მაგაზე ნუ შესწუხდებით. აგერ ამ აღამიანმა... გაიცანით. აქაური მასწავლებელია. ამან დამითმო ადგილზე თავის ბინაში. — უთხრა ეთერმა.

— ჩინებულა. წამალს დაეაშხადებინებ და მოიკითხებ.

ამ დროს მანქანასთან ქეთომ მიიღობინა. წინა დღით ნახა ეთერი, მაგრამ ახლა, როგორც კი თვალი მოჰკრა, გულმა არ მოუთმინა, წამსვე გამოეშურა. თეთრი ხალათი ეცვა, თავზე თეთრი დოღბანდი ჰქონდა გადაკრული. სულ არ შეცვლილიყო ფრონტზე წამოსვლის შემდეგ. მკვირცხლად გამოიყურებოდა. მხოლოდ მხედრულ ჩეჭმებსა და სრულ ხალათში ოდნავ უფრო ტანმორჩილი მოსჩანდა. თანაც მის ცისფერ თვალებს, ისე ზმირად რომ უბრაწყინდებოდა ღიმილის სხივით, ახლა თითქოს რაღაც მწუხრისებური ბინდი ჩამფენოდა. ეს უთუოდ უკანასკნელი დღეების ანარეკლი იყო. მიძღებ განმანაწილებელში მუშაობდა, დღედაღამე განუწყვეტლად ახალ-ახალ დაპირილებს ხედავდა.

ბორბალზე შესდგა ქეთო და ეთერს მოეხვია, ლოყაზე აკოცა. მერე დაქრილს დაჰხვდა. შეჩქეივდა. სულ არ მოელოდა, რომ იგი სამსონი იქნებოდა მეტად ფერმკრთალი მოსჩანდა თავშეხვეული, თვალებამოღამებული. იფიქრა, მიძღებ არისო დამავეებული და ეთერს წრფელი თანაგრძნობით მიიპყრო კაეშინანი თვალები. მაგრამ ეთერმა რომ გაუღიმა, მიხვდა — საშინო არაფერიო, სახე გაუნათდა, მეგობარს მივხუტა და ისე შეეკითხა, თითქოს საიდუმლოების განდობას სათხოვს:

— როგორ არის?

— არა უშავს. მსუბუქი კონტუზიაა.

ქეთო კვლავ სამსონს დააქცერდა, უნდოდა ეთქვა რაიმე მისთვის, მაგრამ ვერ მოახერხა. ისევ ეთერს გაუზიარა თავისი სიხარული:

— იცი, გოგო, რა ბედნიერი ქალი ხარ შენ!

ეს ისეთი ზმით უთხრა. რომ კაცი იფიქრებდა — შემურსო მეგობრის ბედნიერება, მაგრამ ეთერი მყისვე მიხვდა, თუ რა ნატერა ათრთოლებდა ახლა ქეთოს გულს: აგერ მესამე თვეა თავდავიწყებით უყვარს ქეთოს შალვა ყიფშიძე, უნდა როგორმე აგრძნობინოს ეს შალვას, მაგრამ ვერ მოუხერხებია. ახლა უნებლიედ გაეცლა გულში: „ნეტავი ოდესმე თუ მოგვწერები, რომ მეც ასე მოვემსახურო შალვასო“.

თავი გაიქნია, ეთერს ჩუმად შეეკითხა:

— ის ზომ არ გინახავს?

— ნუ გეშინია, ცოცხალია.

მანქანა ტიშკართან შეჩერდა. სამსონმა, მაწაზე რომ ფეხი დაადგა, დაუხმარებლად გაელა მოისურვა, მაგრამ თავში ისეთმა ტკივილმა დაჰკრა, ეგონა ტვინი რამდენიმე წაწილად გაიბზარაო. თითქო დედამიწა გადაფერდდა, ჰაერი გულსამარვე ზვირთებლად შემოესხურა და თვალთ დაუბნელდა.

ეთერი და დიასახლისი მხარებში ამოუდგნენ, აიენიანი საბლის დაბალ კიბეზე აიყვანეს.

მყუდრო და სუფთა ოთახში გაშალა დიასახლასმა ლოგინმა *საქონლის* ეთერმა სამსონს ჩექმები გაჰხადა. ხალათისა და შარვლის გახდახდაც უშველა.

რბილი საბანი გაუსწორა, გვერდით მიუჯდა. კარს გახედა — დიასახლისი ხომ არ მოდისო. მერე სამსონისაკენ დაიხარა საამბოჩებლად. ამ წამს სულ არ ახსოვდა, რომ იგი დაშავებული იყო, ბრძოლის ველზე ხილული სურათებიც თვალს მიეფარა; მარტოოდენ ტრფილით ანთებული გულმა ტკბილ თრთოლვას გრძნობდა. მაგრამ როგორც კი დახედა სამსონს ტყვიულებსაგან დაწურულ სახეზე, შეკრთა, შეწფოთდა.

— როგორა ხარ, შემოგველე? ძალიან გტკივა?

— არა... წადი, მოსიყვანე. — ჩაეარდნალი ხმით უბასუბა სამსონმ და თვლი მიიმეღ დახუჭა.



შუადამედიის არ ჩასძანებია სამსონს. ტყვილი რომ შეუნელდებოდა, უცნაური ზმანებები არ ასვენებდნენ. ყველაზე მეტად ისა სტანჯავდა, რომ ლაღიმე გაორგაძის სხეულის ნაფლეთები თვალწინ ედგა. გული მოსდიოდა გაშმაგებულს: „რა მოხდა, მებრძოლი ვარ, განა ასეთმა რამემ უნდა ამირიოს გონება?“ მაგრამ ძალა არა ჰყოფნიდა, რომ გამოფატრული გულმეკრდისათვის და ბუჩქზე ჩამოკიდებული სამოსის ნაფლეთებისათვის არ ეცქირა. ძალიან რომ დაიღლებოდა, ვიღაცა თითქო ჩასჩურჩულებდა: არც სიკვდილს, არც სიცოცხლეს, არაფერს არავითარი ღირებულება არა აქვსო, ყველაფერი ამაოება არისო, გირჩევენია სულ მოშორდე ამ ქვეყანას, განერიდო ამდენ წუხილსა და ვაიუბედურებასო.

ხოლო როდესაც ეთერის დამამშვიდებელი ხმა ჩასწვდებოდა გულში, მაშინ ისეთი რამ მოელანდებოდა, რომ ერჩია — სულ არ გაეგონა იგი.

საოცარია: ეთერი მასთან იყო, უფელდა, თავს ევლებოდა, სამსონი კი შორს იყურებოდა, ნათლად ზედავდა სასაყვარულოდ განმარტოებულ ეთერსა და შალვას, ზედავდა, როგორ ელაციცებოდა შალვა ეთერს, როგორ უღინოდნენ ურთიერთს მათი თვალები.

ეს იმდენად აშფოთებდა სამსონს, რომ სახე ემანჭებოდა, კბილებს აღრქავალებდა.

— კარგი. დამშვიდდი, შემოგველე, სამსონ. ეხლა შენთვის მთავარა წამალი ძილია. — ეტყოდა ხოლმე ეთერი, და ნაზად დააყრდნობდა ხელს დობანდით შეხვეულ შუბლზე.

— მთვალე... არ მინდა, არა! — ამიზებულა ბავშვივით წამოიძახებდა სამსონი და ხელს გაასავსავებდა.

„რა მეშველება? ტვინის ანთება არ მოუვიდეს“, ვაიფიქრებდა დაზაფრული ეთერი და გაირინდებოდა.

თაბრუდახვეული, გაწამებული სამსონი კი თავის თავს ეკითხებოდა: „რა ოხრად მინდა ასეთი სიტუაცია? ვინ მოწამლა ასე მთელი ჩემი ახალგაზრდობა? ნუ თუ ყველაფერს, რაც მიყვარს, ვისთვისაც თავს არ ვზოგავ, გა-

თელილსა და შეგინებულს უნდა ვხედავდე?“... ამ ფიქრასაგან რომ თავი დაეღწია, ზეიადად გაძხედავდა თავის გუნებაში მთელს ქვეყანას და მსულტრით იტყოდა: „ღამაცადეთ! აედგები და ყველას გაგისწორებინებ, სულ ყველას“...

ბოლოს, როგორც იქნა, ჩაეძინა. ეთერმა შევებით ამოიხუნთქა, ფეხის თითებზე შესდგა და ფანჯარასთან მივიდა.

გარეთ სიჩუმე იყო. კრიალა ტბაში ჩაფენილ ლანდებივით მოსჩანდნენ ხეხილის ტოტები.

— მეტისმეტად სათუთია ადამიანის ტვინი... ვინ იცის...—გაიფიქრა ეთერმა. რამდენიმე წუთის შემდეგ სასოებით დასძინა: „არა, ბედი არ გამწირავს. სამსონი გაუძლებს“.

ავადმყოფთან მიბრუნდა. კარგა ხანს უცქირა სახეზე. მერე ტახტზე წამოწვა გაუხდელად. მალე დაეძინა.

ოთახში ფანჯრიდან მზის შუქი შეაპკრა. ეთერი თვალის გახელისთანავე წამოხტა.

სამსონს კვლავ ეძინა. მშვიდად სუნთქავდა.

„იძინე, შემოგველე, იძინე. ეს კარგი ნიშანია“,—წარმოსთქვა გახარებულმა ეთერმა დაასახლისთან გავიდა, ხელპირი დაიბანა.

ამ დროს ქეთომ მოარბინა. „როგორაა?“—შეეკითხა ეთერს, მაგრამ პასუხს არ დაუცადა; სამსონთან შევიდა ფეხაკრეფით, სახეზე დაძხვდა. შემობრუნდა და კართან გაჩერებულ ეთერს გაუცინა, თითი დაუქნია. მიაშურა, მოეხვია, აკოცა.

— ხედავ, რა კარგად არის? სახე დანშვიდებია, ფერი მოსვლია, აწი ნურაფრის გეშინია. — გამოცდილი ექიმებივით უთხრა ეთერს. მერე დასახლისის მკერდზე გაწყობილ სუფრისკენ მიიხედა.

— მობრძანდათ, ჩაი მიირთვიეთ. — მიიპატიჟა სტუმრები დასახლისმა.

— ო, ეს დიდებულია! — რუსულად წამოიძახა ქეთომ და ეთერი გაიყოლია, მაგიდას მიუჯდა. ჩაით სავესე ჭიქა წინ დაიდგა, პური და ყველი ააღო.

— იცი, გოგო, გუშინსაქვით არაფერა მიჭამია. არც მიძინია. მთელი ღამე ფეხზე გავითენე. — ილუკმებოდა და ისე ლაპარაკობდა ქეთო—დიდი ბრძოლა ყოფილა. ბევრი დაჭრილი მოიყვანეს. ჩვენა ერთი ქვეგანაყოფი გარემოცვაში მოხედარალა. ძლივს გაურღვევიან. ბევრი დაღუპულა... რას მიყურებ? შალვას ამბავი თუ გავიგე? როგორ არა. მასთან რომ იყო ბრძოლაში, იმან მიამშო. საკვირველი კაცი! რა პირობებშია? არ უნდა მოხედესო, რამდენადაც არ უნდა უჭირდესო, გამარჯვებას მაინც მიაღწევსო... ეპ, ნეტავა რგი ვადაშირჩებოდეს და...

ერთ წამს ჩაფიქრდა ქეთო, თვალი გაუშტერდა. მერე უცებ გამოერკვა, ჩაი მოსვა. დღმილი ვერ აიტანა.

— წუხანდელი ღამე მაინც...—დაიწყო ისევ. — ბევრი დაჭრილი იყო. ბოლოს ერთი მძიმედ დაჭრილი მოიყვანეს. ნაღმის ნამსხვრევი გულმკერდის არეში ჩარჩენილია. გარემოსთან კავშირი გაწყვეტილი ჰქონდა. მკრძნობიარობა კი... ვინ იცის, ადამიანი ასეთ პირობებში რასა გრძნობს! ასე ორმოცი წლის იქნებოდა. კახელი იყო. შავი უღვაშება ჰქონდა, შავი თვალწარბი. ისე შემომაცქერდა, თითქო მუნჯურად მელაპარაკებო. ბოლოს, როგორც იყო, ხმა ამოიღო, მუდარით მითხრა, — არ მომშორდეთ. გავყვეი. სისხლის გადასხმის დროს თავზე ვადგე... ექიმმა მაჯა გაუსინჯა, ხელი უმე-

დოთ ჩაიქნია. ამ დროს, როცა ყველას გვეგონა რომ ეს სულთმარობები კაცია ამ ქვეყნიურს ვერაფერს გრძნობსო, საცაა სენტეჟა ექვეყნადილო, უცებ მკაფიოდ, სიცოცხლით საესე კაცივით ამოიგვინა: „განჯ ჩემო სენად შეილოო“. გოგო, ეს ისეთი ხმით ამოიძახა, რომ გრუნტელმა დამიარა. არა მარტო მე, შევატყვე, ექიმსაც თვალი ცრემლით აეესო... უნებლიედ წარმოვიდგინე კახეთი, მომაკედავის სახლკარი და ცოლ-შვილი. შო-და, გოგო, ისეთი ხმით დაიძახა იმ ბედშავმა სიკვდილის წინ, რომ...

— კარგი, გეყოფა, — უთხრა ეთერმა. — წადი ახლა და გამოიძინე. მაგისტანა ფიქრს არასოდეს არ უნდა აყვე.

— მართალი ხარ. მივდივარ... შენ სამსონი არ გააღვიძო, იძინოს, მოუბღება.

შეთერთმეტე საათი იყო, სამსონმა რომ გაღვიძება დაიწყო. თვალი გაახილა. შალე დახუჭა. ვერ გაერკვა. ტკივილს არა გრძნობდა. მხოლოდ ასე ეგონა, რაღაცა ჩალისფერი ბურუსი დასწოლიათ ირგვლივ ყველაფერს. უცნაური ტალღებივით იგრავნებო, რომ გარს შემომგდინოს და უძარო მორევში ჩამოთრიალოს. გაუკვირდა, წინააღმდეგობის უნარი რამ დამიკარგავა, და შეშფოთდა.

ეთერი მიეახლა, დაიხარა, ოდნავ შეახო ლოყაზე ხელი.

თვალს არ დაუჯერა სამსონმა, ხმაზეა ეგონა. ამოიოხრა. თვალი ისევ დაპნარა.

— სამსონ, შემოგველე...

ახლა მძლავრად შეიჩინა სამსონი, ეთერს შეაშტერდა. რამდენჯერმე გაქრა თავში მკარფოდენმა ტკივილმა და გამოფხიზლდა, დიდიხნის ნაგავდმყოფარივით გაუღიმა ეთერს.

ამის შემდეგ ორი დღის განმავლობაში, ვიდრე სამსონი საესეებით მომჯობინდებოდა და ბრძოლის ველს დაუბრუნდებოდა, თავს მეტად ბედნიერად გრძნობდნენ. მათთვის ეს იყო რაღაც იდილიური განმარტობა, როდესაც ყოფიერებას მარტოდენ სიყვარულის შუქი ჰპურავს და თვალებს ისახსწყურია მხოლოდ, რომ სიცოცხლეზე მეტად ტკბილ არსებას უცქიროს, ხოლო გული დაფუტრომლად ისწრაფვის — იუბნოს რაც კანუცდია, რასაც ესოდენ ნეტარებით შეჰხარის.

საამბობი კი ერთობ ბევრი აღმოაჩნდათ. უსაზღვროდ უხაროდით, ურთავრთს რომ განცილსა და ნააზრევს უზიარებდნენ. მხოლოდ ერთ რაიმეს არ შეჰხებდნენ. ეს იყო შალვა ყიფშიძე. სამსონი თავის თავს სტუქსავდა: როგორ ვკადრე ეთერს ის უმსავსესო ექვით. ეს რაღაც ავადმყოფობისნაირი რამ იყო და, რაკი შევიცანი, ამიერიდან აღარ აფეყებო. ამას რომ გაიფიქრებდა, მთხანანიებლად ეთერს ხელზე ეამბორობოდა და თავს ეტყოდა: „სირცხვილი შენი, ასეთ უმანკო აღამიანს რომ ცილი დასწამეო“.

ეთერი შალვაზე არაფერს ამბობდა იმიტომ, რომ თავს რატომღაც დანაშაუგედ სთვლიდა. ვადაეპარბეო, სამსონის გასაჯავრებლად ისეთი ორპაროვანი თამაში არ უნდა დამეწყოს. რა დროს ევ არისო, ყოველ წამს სიკვდილის წინაშე ვდგევართ და საარშიყო მანჭვა-გრეხისათვის საღა გეცალიო. შერე კიდევ, ვინ იცის, შალვამ რა არ წარმოიდგინა, იქნება მართლა ჩაესახა იმედი, რომ მის გრძნობებს შერე ეიზიარებო. თანაც, დასწყევლოს ღმერთმა ქალის გაჩენა, რატომ არ მენარება, ის კი არა, რატომ მსიამოვნებს, შალვა რომ მომეაღვრსებაო? ამიერიდან ეს აღარ უნდა კანმეორდესო.

ასე არიგებდა თავს ეთერი და სამსონს გულს ფიანდაზად უწოდებდა. უწოდებდა უწოდებდა.

— ნეტავა ეამი შეჩერდებოდეს, სულ ასე ვიქნებოდეთ! — ინატრა ეთერმა იმ დღეს, როდესაც სამსონი ბრძოლის ველზე უნდა წასულიყო. ინატრა და მოეხვია.

— გახსოვს, ეთერ, რა მითხარი ერთხელ?

— რა, შემოგველე?

— ჯერ გავიმარჯვოთო და მერე...

— პო, ეგ მართალია. ჯანა არ ვიცი, რომ ძსე ჩვენი ბედნაერება შეუძლებელია?

— მაშინ ეამის შეჩერებას კი არ უნდა ვინატრობდეთ. პირიქით, ყოველი საათი ციცხლად უნდა ვაქციათ, რომ მტერი შევმუსროთ.

— ეგვეც მართალია, შემოგველე, მაგრამ დღებმა და თვეებს ვინ დაეწევა, მიდიან. ჩვენ კი...

— ჩვენ ხომ მთლიანის ნაწილი ვართ, ჩვენს ნაჭუქში ხომ ვერ ჩაეიკეტები?

— პო, მესმის..ა

სამსონს გულა ისეთი უნაბირო სიყვარულით შეუერთოლდა, რომ სიტყვის თქმა ვერ მოახერხა, ეთერს ხელი მოჰხვია, მკერდზე მიიყრდნო, მოეფერა. ანაზღად ოთახში ქეთო შეიქრა, საფრონტო გაზეთი დროშასავით შეაფრიალა. შესდგა, შემკრთალ სამსონსა და ეთერს მიაცქერდა.

— ქვეყანაზე რა ამბებია, ესენი კი მტრედებავეით ჩახეტებულან! — წამოიძახა და ფანჯრისაკენ გასრიალდა. თეთრი ხალათი არ ეცევა. გახუნებულ გიმნასტურაში მკერდი აზვირთებოდა; ვერცხლის წყალივით ტოკავდა ეს ტანმორჩილი, სიცოცხლით საესე ქალიშვილი.

გაზეთი გაშალა. კითხვის დაწყებამდის დარცხვენულ ქალ-ვაჟისაკენ თვალი გააპარა.

— მართლა არ შეიფერეს?! — წამოიძახა და გადინარხარა. მერე კვლავ გაზეთი ასწია. — იცი, რა სწერია ამაში?

— რა?

— მომისმინეთ. — გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის ფრონტზე სარდლობის საბრძოლო დაეაღებათა სანიმუშოდ შესრულებისათვის და ამასთან მამაცობისა და გულადობის გამოჩენისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სახელით ფრონტის სამხედრო საბჭომ დააჯილდოვა: წითელი ღროშის ორდენით, პირველი, კაპიტანი მიხეილ ისიდორეს-ძე ბუხაიძე... მოიცათ (ქეთომ რამდენიმე ბჭკარი გამოსტოვა და მერე მღელვარე ხმით წაიკითხა): „შალვა გრიგოლის-ძე ყიფშიძე“..

გაზეთი მაღლა ასწია ქეთომ, თავდავიწყებით წამოიძახა:

— ენაცვალე მე ამას.

— მერე, გოგო, მერე?

ქეთომ ეთერსა და სამსონს მიჰხვია.

— უკაცრავად! — დამნაშავესავით ჩაილაპარაკა და გაზეთი ჩათვალიერა. წამსვე ძსევე შეტოკდა.

— არა, თუ მიხედებით აბა, ვინაა კიდე დაჯილდოვებული?

— ნუ ვაწყალე, გოგო, გულა! წაიკითხე! — წამოიძახა ეთერმა და ქეთოს მიამურა, ხელი გაზეთისაკენ გაიშვირა.

— კარგი, მაცალე. — „წითელი ვარსკვლავის ორდენით — ლეიტენანტი სამსონ ილიას-ძე ლომთაძე“.

ეს რომ სთქვა, ადგილიდან მოწყდა, სამსონთან მიიჭრა, მოეწვია, აკოცა.

— მომილოცავეს, ძმაო! კიდევ მრავალა დაგეშსახურებინოს!

მყისვე შებრუნდა, საზეგაბრწყინებულ ეთერს გაუღიმა.

— რა, შეგშურდა?.. მოიცა, შენთვისაც მაქვს შემონახული ერთი ამბავი. მოდი, ნახე, რა წერია აგერ:

— შედლით „შამაცობისათვის“ — სანინსტრუქტორი ეთერ ეგნატეს ასული შარგალიტაძე“.

ახლა ეთერს ჩაეკონა ქეთო, ზედიზედ აკოცა.

აღელვებულმა სამსონმა ქეთოს გახეთი გამოართვა, დაჯილდოვებულთა სია შეათვალიერა.

— ვაშა გენაცვალეთ, ბიჭებო!.. ეს დიდებულია! — წამოიძახა და ხმა-მადლა წაიკითხა: „ლადიმე ნესტორის-ძე გიორგაძე, დავით ჯონდოს-ძე ჯამბია, კოლია ამბერკის-ძე ბარბაქაძე, ირაკლი საბას-ძე კარაშვილი...“

თავისი თანაგებრძოლები რომ ახსენა, სამსონმა მოზღბეებული გრძობები ენით ვერ გამოსთქვა, ეთერსა და ქეთოს მკლავები მოჰხვია, რათა მათთვისაც გაეზარებინა ამ მაღალი ჯილდოთი გამოწვეული ზიხარული, რომელიც შარგვანდღღვით გარს ეფინებოდა ასე მყუდროდ გატარებულ დღეებს.

XX

ფოლადზე უმტკიცესი ჯავშანი

ფრონტზე მყოფს ხანგრძლივად გლოვა და წუხილი არ ძალუძს. აქ სიცოცხლე ბეწვზე ჰკიდია. ყოველი წამი ელვასავით ენთება. ასევე გაიღვებს ხოლმე მეომრის გულში დიდი ვარამი მეგობრის, ნათესავის, თანამებრძოლის დაღუპვის გამო. გამოვლილ ტანჯვასა და წამებისაც ჩრდილი ეფინება. სიცოცხლისათვის ბრძოლის მზე ამოანათებს და ამ ჩრდილს თვალი ვეღარ აჩინებს.

სამსონმა და ეთერმა ბევრი რამ სამწუხარო განაცადეს, საშინელი წამებაც გამოიარეს, მაგრამ იმ დღეს ერთობ ბედნიერნი იყვნენ. ჯერ ჯალდოს მიღებით აღფრთოვანდნენ, ხოლო მცირე ხნის შემდეგ შინიდან წერილები მიიღეს. ერთი ეგნატესაგან იყო. ეტყობოდა, ამ ბარათზე ეგნატეს დიდხანს ემუშავნა, ჩვეულებისამებრ შავად შეედგინა და მერე გადაეთთრებინა.

მდინარისაკენ გაიხიერნეს. ვეება ლოდის ჩრდილში დასხდნენ.

ახალი შემოდგომის უღრუბლო დღე იყო. ხეხილის ბალებიდან და ბოსტნებიდან ნიაფს სიმწიფის სურნელება მოჰქონდა.

ეთერმა მამის წერილი გაშალა, აქა-იქ მოავლო თვალი სტრიქონებს.

— არა, ამას დიდხანს მოეუნდები. მოიტა, ჯერ შენი წავეიკითხოთ.

— აჰა, ვნახე თუ გააჩრევე ნინას ზელს. მეტისმეტად ჩქარია, ლამაზად წერა ვერ იწავლა.

„ყოველ წამს მოსაგონარო, საყვარელო ძმაო... — დაიწყო ეთერმა კითხვა. — ჩვენ ყველანი კარგად ვართ, მხოლოდ“...

ამის შემდეგ რაც ეწერებოდა, სამსონმა წინასწარ იცოდა, ამიტომ ეთერის ხმას ვაჟყვა და თვალნათლივ დაინახა თავისი სოფელი. სექტემბერში დასულა და ეზოში ხეები ყურძნის მტევნებითა და ბევრითული. მწიფე მსაღებნი და ვაშლის ტოტები მიწამლის სწედებიან. სამზარეულოს სახურავზე ვოვრის ფოთლებითა და თარული, შიგ აქ-იქ მოსჩანან ვრძელ-გრძელი, ცისფერი ვოვრები. მაღალი, ფართოდ გაფართოებული კაქალი მოურეკიათ, ყანები კი ჯერ მოტეხილი არაა.

„ჯერ სერზე დგას თითქო სამსონი და უხვი ნაყოფით სავსე ხევის გაწვრივ — ჯარნალებსავე იცქირება.“

რა წარმტაცი, რა მდიდარი ქვეყანაა? რა ლამაზად ბიბინებს მშრომელ აღმდინთა ნაამაგარი ამიტომ მიიწევს იქით მტერი ასე გაათრებულად, მაგრამ ვერ მოესწრება, აქ, ამ მთების ძირში მოტყდება წელი... ბევრი მებრძოლი დაეცა, შეიძლება მეც... არა, რა დროს ეგაა...

— იცი, რას გეტყვი, — შეაწყვეტინა ეთერს კითხვა, — ხომ ძალიან გვიჩივს, მაგრამ არასოდეს არ ვყოფილვარ ისე დარწმუნებული, როგორც ახლა, — მტერი ვერ შესძლებს საქართველოში შემოსვლას.

ეთერმა ბარათს თვალი მოსწყვიტა, სამსონს გაუღიმა, მერე ისევ განაგრძო:

„...დღეა ზანდაზან შეშლილი გეგონება, ისე გაშეშდება. როცა გამოერკვევა, ჩვეულებსამებრ თავისთვის ჩაილაპარაკებს: „ვინ შენს ღედას, შეილო, ვაი შენს ღედას“. მაინც მხნედ არას, შესვენებულს ვერ ნახავ, გამუდმებით შრომობს. ბიძიას კი ქალიდან ამოყოლილი ციებ-ცხელება მოერია, ლოგინად ჩააგდო. ზანდაზან იტყვის ხოლმე: „ერთი ჩემი სიწვრით გამოზრდილი ბიჭები მანახვა და მერე მოგვკდე, არ ვჩივიო“. ზომ იცი, რა გულკეთილია, ბიკოლასთან და ქალიშვილებთან თავს იკავებს, არ უნდა, რომ ისინი შეაწყუბოს. სხვას რომ მოწყენას შეამჩნევს, საოხუნჯო ამბავს მოჰყვება, რომ ისინი გაამხნოს. ჩვენს მებრძოლებში ბიძიას მაინც ყველაზე მეტი მოუღიდა. აგრე რამდენიმე ზანი ვადის და სამი ვაჟკაციდან ერთს მაინც მოეწვდინა რაიმე ცნობა“...

სამსონს ეთერის ხმა ბუნდოვნად ესმოდა. ფიქრმა შეიბყრო.

— სამსონ, რა მოგაეიდა? სახეზე გემჩნევა, რომ არ მისმენ.

— აჰ... მართალი ხარ... ფიქრმა გამიტაცა... ჩემს მებრძოლ ამხანაგებზე ვფიქრობდი... რამდენიმე დღის წინ ლადიმე გიორგამე ჩემს გვერდიუ ლომივით იბრძოდა, ახლა კი... მაგრამ აბა დაუკვირდი, — მას ელოდებიან დღეა, ცოლი, შვილი, ნათესავები და მეგობრები, მათთვის ლადიმე ცოცხალია. გაივლის დრო და ლადიმე აღარ მივა... რა მოხდა? გაქტრა სამუდამოდ? არა მგონია, რაღაც უთუოდ რჩება... იცი რა? მთელი სამშობლო, ვადარჩენილი, აუოხრებელი, და ის საქმე, ის ღვაწლი, რომელიც ლადიმეს მიტეძვას. ვესმის, მიუძღვის. მიდის სამშობლო წინ და მასთან ერთად ლადიმეც მიბაჯდება... ჰო, რაზე მოგყევი ეს? ბიძაჩემის გამო. იცი, რა გულმართალი კაცია? მთელი თავისი ახალგაზრდობა მოჯამაგირეობაში გაუტარებია. შვილები მართლა სიმწრით გამოზარდა. ახალმა დრომ მოუსწრო. თხზმა მუსა ზელმა ოჯახი ფეხზე დააყენა. ორსართულიანი სახლი დაიდგეს. კრამიტით გადასურეს. ვაწყობას რომ შეუღდგენ, ომი დაიწყო. ახლა, როგორც ზჩანს, ბიძაჩემი ვეღარ ადგება, ბიჭებიც შეიძლება აღარ დაბრუნდნენ. მაშინ ვინღა გაახაროს ალალი შრომით აშენებული ოჯახი? მოხუც ქალს რა შეუძლია? ნუ თუ

ბიძაჩემას მიმართ არ უნდა გამართლებულიყო თქმულება: „კარგი ბებნი, ქვამზე დასდევ, გაიარე, წინ დაგბედეზაო?“ აი, კვ არის საჭირომდისმდის მჭიდროდ, ის რწმენა, რომელიც შორს იცქირება და ხედავს იმას, რაც ჩვენს შემდეგ დარჩება. შეიძლება სწორედ ბიძაჩემისა და მისი შვილების, ამ ალალი, უანგარო აღამიანების მსხვერპლი ესაქიროება სამშობლოს, რომ სიმართლისა და პატიოსნების შექმნა შეეგებოს საუკუნეებს.

— რა კარგად ლამაზაკობ, შემოგველე! ასე მაიმამი მოჰყვება ხოლმე... აგერ მისი წერილაც აქა გვაქვს. უყურე, როგორ იწყებს:

„ჩემო მონატრებულ შვილებო, ეთერ და სამსონ!

დღეს თქვენი ნაწილიდან ჩამოსული მხედარი შემხვდა, ზეგ მოდის. ამ ხარათს იმას გამოვატან, თუმცა ვინ იცის, მოაცილით კი თქვენ, რომ იგი წაიკითხოთ? მაინც გწერ. ჩემი სული თქვენთანაა. თქვენს მეტს ვისდა გავუზიარებ ჩემს ფიქრებს ამ მრისხანე დღეებში.

აშვითად ყოფილა ჩვენი ქვეყანა ისეთი სასიკვდილო საფრთხის წინაშე, როგორც ამჟამად. თქვენ ბრძოლის უშუალო მონაწილენი ხართ და ვერ წარმოიდგენთ, თუ რა დიდი პასუხისმგებლობა დაგაკისრათ სამშობლომ.

ამას იმიტომ როდი გწერთ, შვილებო, რომ თქვენში მოვალეობის შეგნება გავძლიერო. არც ვასამხნევებლად გწერთ ამას, თქვენ მტერს პირისპირ უღატებართ, ბრძოლის ცენტლში იმყოფებით. უკვე გავრცელდა ცნობა, რომ თქვენი ნაწილი გმირულად იბრძვის. მეც ვიწვი. მინდა თქვენთან ვიყო, მაგრამ რაკა ეს არ ხერხდება, ფიქრს მაინც გავიზიარებთ.

შემიპყრობს ხოლმე ნატურა და, როცა კავკასიონის ქედი გადაწმენდილია, გული ფრინველავით სტრეებს ამ განკამს, ამ ორთმტრიალს და თქვენსკენ მოფრინავს, ჩემო სახელოვანო შვილებო!

გაბსოვს, ეთერ, ჩვენი ბინის აიენიდან საგურამოს მთებსა და ზედაზენს რომ დაგანახებდნი, მერე მყინვარწვერს მივაცქერდებოდათ და შენ აღტაცებით წამოიძახებდნი: უყურე, მამა, უყურე რა ლამაზია!

ახლა რაღაც ახალი ბრწყინვალეებით აღიმართება ხოლმე ჩემს თვალწინ მყინვარი, და უფრო ღრმად მწედება გულში დიდებული მოხუცის სიტყვები:

„მარად და ყველგან, საქართველოვ, მე ვარ შენთანა,
მე ვარა შენი თანადევი, უკვდავი სული“...

დღეს სადაა, ვინაა ეს „უკვდავი სული“?

იგი თქვენშია, შვილებო, განსახიერებულა.

არ ვიცი, დაკვირვებინხართ თუ არა ზღვის ტალღათა დენას. თი მოიგრაგნება ერთი, მეორე, მესამე... დაუსრულებლად ინჩქრევიან ნაპირზე. ზღვას კი არა აკლდება რა. მხოლოდ თითოეულ ტალღას თავისებური ელფერი ექნება ისე, როგორც ყოველ აღამიანს, თუნდაც ერთი დედის მიერ შობილს. ესაა სიცოცხლის მრავალსახეობა.

ამჟამად ჩვენი ხალხის უახლოეს სახეს, მის უკვდავ სულს მე თქვენში ვხედავ.

ახლა უკვე ღამეა. დიდხანს ვიდექი ივიანზე, მაგრამ მთაწმინდის დღემილში ერთი სიმიც არ შერხეულა. ვერც თქვენ მოგკარით თვალნი, თუმცა მთვარის სინათლეში მყინვარწვერი ოცნების კომქივით მოსჩინას. სადა ხართ ახლა, შვილებო, როგორა ხართ? არა მგონია, რომელიმე თათბას მოსწოდეს

იმაზე მეტი სიძიმის ზიღვა, რაც თქვენ დღეს სამშობლომ დაგაკიარათ. უნდა გაუძლოთ, უნდა იმარჯვოთ, თქვენშია ახლა მთელი ჩვენი მომავალი... აქნება მეტისმეტად შემოიპყრო ნატერამ, სული თქვენთან გადმოფრინდა.

დღეს დღითაც ატყდა განგაში, ქვემეხების სროლა კარგა ხანს გაგრძელდა, მაგრამ ეს დღე ისეთი ნათელი ელფერიტ გამოიყურება, გეგონება ჩვენმა დედაქალაქმა ფოლადზე უმტკიცესი ჯავშანი ჩაიცვაო.

რა მოხდა?

ფრონტებზე კვლავ ერთობ დამაბული მდგომარეობაა. მრისხანე საფრთხე ისევ გვემუქრება. აქ კი ჰაერშიც ვაიგო, რომ სამშობლომ ენერჯია გაიორკეცა, დამრავლავი ძალა მოიშველია.

ქუჩები უფრო გამოცოცხლდნენ. გამვლელ-გამოვლელთ, განსაკუთრებით მხედრებს, სიმკვირცხლე მოემატათ, ბრძოლაგამოვლილი რაზმეულება უფრო მწყობრად მიემართებიან.

ვინ აჩქროლა ასე ცხოვლად თბილისის გული? ვინ მიმოფანტა საუკუნეთა სიღრმადან ამოტანილი დროშის ელვარება ჩვენი ქვეყნის მთებსა და ველებს, იმ დროშისა, რომელიც ჩვენი გმირი წინაპრების გულებიდან გადმონაყური სისხლივით ბრწყინაფს? ასე მოველინებოდა ხოლმე ჩვენს სამშობლოს სამინელი განსაცდელის უამს სულთ ძლიერი მესვეური და სასოწარკვეთილების წყევლიადშიაც იმედას სხივს ანთებდა.

მიანც ვინ გაუორკეცა დედაქალაქს ეს სიმწყობრე? ვინ ჩააცვა ფოლადზე უმტკიცესი ჯავშანი?

ზმა დიარზა, რომ ჩამოვიდაო ჩვენი დიდა მშენებელი, ის აღამიანი, რომლის სახელთანაც დაკავშირებულია ჩვენი ყველა დიდი წამოწყება, წინსვლა და აღორძინება საქართველოს ყოველ კუთხეში“...

— მიხვდა ვისზე ამბობს? — შეაწყვეტინა ეთერს კითხვა სამსონმა.

— ამას რა მიხედობა უნდა. ლაერენტი ბერია ჩამოსულა.

— ჰო, აქი ვიამბე: ჩვენ ეს აღეჭი საჯაიამ გვაზარა.

„...მკვირცხლად შემოიბერტყა დედაქალაქმა ბურუსი. — განაგრძო კითხვა ეთერმა. — მართალია, საერთო მდგომარეობა ისევ დამაბულია, მაგრამ გამარჯვების რწმენით აგავსო ქართული ხალხის წილში შობილმა გმირმა. ნეტავი ერთის წამით თქვენთან გავჩნდებოდე, რომ მოგეხევაოთ და ეს ჩემი იმედი ფოლადზე უმტკიცეს ჯავშნად ჩავაცვათ, ჩემო მონატრებულო შეილებო!“

(გავრძელება იწყება)

ათასნი ღაეხეიან¹

(გაბრძელობა)

მწარე დღეები გამოვიარეთ. მაგრამ ის კიდევ არ იყო ყველაზე უარესი. უფრო უარესი წინ მოგველოდა.

სოფლის მახლობლად ჩვენ, ხუთი კაცი — ვაგო, დეზი, სენკევიჩი, თურქი, სახელად რაფიელ ალიტო და მე — უპატრონოდ მიტოვებულ საბარგო მანქანას წავაწყდით. ალიტომ, პროფესიით ავტომობილების მექანიკოსმა, მოახერხა მოტორის ამუშავება. მიუხედავად ბოლქოვნიკ ლანდრის პროტესტისა, რომელიც მოითხოვდა ქვეითად ეარათ როგორც ავადმყოფებს, ისე ჯანსაღთალებს, არავის დაფანტვით ძველი მანქანა და თვალის ჩინივით გუფლიდით მას.

მარტო ჩვენ როდი ესარგებლობდით იმ მანქანით: მულამ ესვამდით მასზე თხუთმეტ-ოც ავადმყოფს. რა თქმა უნდა, ავადმყოფი ბევრად მეტი იყო, მაგრამ მეტის წაყვანა არ შეგვეძლო. საკმაოდ მოქველებული ჩვენი მანქანა გათვალისწინებული იყო მხოლოდ ექვსი-შვიდი მგზავრისთვის. ჩვენი-კი იმდენი ვუსზღებოდი, რომ ძველი „რენო“ ძლივს მიიზღავნებოდა კრაპუნით. რეზინის საღებები იმდენად ჰქონდა მოცვეთილი, რომ ქვეით მოგებულ ქუჩაზე დაეგწეოდა. ჩვენი ბედი ალიტოს ხელში იყო, ალიტო მართავდა ამ საშუალო საუკუნისებურ ეტლს. უიმისოდ ადგილიდან ვერ დავიძვრებოდი, რადგან არაქათ-გამოლეული მანქანა წამდატყუმ ჩერდებოდა და საჭირო იყო ალიტოს მთელი ოსტატობა, რომ კვლავ ამოძრავებულაყო. ასეულში, ჩვენი მანქანის არდა, სხვა მანქანა არ იყო, და გული გაკედებოდა, როცა ხედავდი, როგორ ეცილებოდნენ ყოველი ადგილისათვის ერთმანეთს გამჩერების დროს ავადმყოფ-დაუძღვრებულნი (ერთად-ერთი არმული საბარგო მანქანა ახალმა ბოლქოვნიკმა სამზარეულოს გადასცა მას შემდეგ, რაც მე და სენ-ბრისის მიერ ნაპოვნი „რენო“ ბუნებრივი სიკვდილით გამოგვესალმა). ჯარისკაცებს ფეხებზე კანი ჰქონდათ ვადამძვრალი, ამასთან ისე ძლიერად, რომ ზოგჯერ სრული წინდებიდან და ფეხსაცმელიდან უტონავდათ. ბევრნი ავად გახდნენ და გზის აქეთ-იქით ეყარნენ ფერწასულნი და დაუძღვრებულნი, მაგრამ მაინც ჯერ კიდევ რიდაცის იმედი გვქონდა. ყველაფერმა, რაც-კი ცხოვრებასთან გვაკავშირებდა, გამსახიერება ჰპოვა ამ ძველ, ოდესღაც ლურჯ მანქანაში, რომელიც გავერანებული ქვეყნის გზებზე მიგვარახრახებდა. როდეს-

¹) იხ. „მნაობი“ № 1 — 2.

საც ქვეითად მიმავალ სასოწარკვეთილ ჯარისკაცთა ჯგუფს დავეწყოფით, მათი ჩამქრალი თვალები კვლავ ამედით ინთებოდნენ. გვეძაზდნენ, გვემუხდნენ, რებოდნენ, და ის, ვინც დასასვენებლად კენესით ვშვებოდა მინახავს, ცხელად დაგებოდა ფეხზე, მუღარით მოგვდევდა ან უქანასკნელი ძალღონით ებლაუ-ქებოდა მანქანას, ვიდრე დაუძღურებულა, არაქათ-გამოლუღული ისევ გზაზე არ დაეცემოდა. მათ იცოდნენ, რომ დაიღუპებოდნენ, თუ ქვეითად მოუხდებოდათ გზა განგრძობა. მაგრამ რა წამს ისინი მანქანაზე ამოხვალს მოიწადინებდნენ, ჩვენი მგზავრები ხელისკვრით უქანვე ავლებდნენ.

გზაზე მიმავალ ჯარისკაცთა სახეებზე შიში და ძრწოლა იყო აღბეჭდილი. ისინი ხელუბნა სწევდნენ ზევით, დიდხანს სირბილით მოსდევდნენ ჩვენს უბადრუკ მანქანას, ბოლოს, ღონე-გამოლუღული ჩერდებოდნენ, როგორც ამოპულარით იმედგაცრუებული ბიბლიური კეთროვანნი. გვაცილებდნენ ზიზღით და სიძულვილით აღსავსე თვალები. ყოველი ხუთი თუ ათი კილომეტრის შემდეგ ვცდილობდით გადმოგვესხა ჩვენი მგზავრები და აგვეყვანა სხვები. მაგრამ ყოველი მათგანი თავგამოდებით იბრძოდა ადგილისთვის.

აღატონ მანქანა მიჰყავდა და მის შეკეთებაზე მუშაობდა. ჩემ საქმენ-კი საწვავის შოვნა შეადგენდა. კომერსისა და ლინიის შორის მოულოდნელად დასავლეთისაკენ გადავუხვიეთ, გადავუხვიეთ მხოლოდ იმიტომ, რომ სანამ სოფელ ლინიის მივალწევდით, სანჩრეთ-აღმოსავლეთისაკენ გვექნა პირი. საწვავით სავსე დიდ ცისტერნებს ცეცხლი ეკიდა. მესანჯრე, ა კორბუსმა ბრძანება მიიღო — აუფუთქებინა გზაზე ბენზინის ყველა საცავ-, რათა მტერს არ ჩავარდნოდნენ ისინი ხელში. იწვოდა მრავალი ათასი გალონი საწვავი, ეს წითლად იყო შეღებილი, ჩვენ-კი საათობით დავეძებდით ორ ლიტრ ბენზინს ჩვენი „მფრინავი ჰოლანდიელისთვის“. ჯერ ლინიამდე არ ვიყავით მისული, რომ გზაზე წავაწყდით ბენზინის სადგურს, ხოლო მის უკან სახლში — შავწვერიან და მალალსაყლოიან ორმოცდაათი წლის კაცს. მან სთქვა: დიად, ოციოდე გალონი ბენზინი კიდეც დამჩაო. მე სიხარულისაგან შევყვირე.

— მაგრამ, — დაუმატა იმავე წუთს, — ეს ბენზინი აქვე დარჩება.

— რას ნიშნავს ეგ?

— იმას, რომ ბენზინი აქვე დარჩება, სანამ კაპიტნის ბარათს არ მოიტანთ.

— ჩემი კაპიტნის ბარათს?

— არა, აქაური კაპიტნისას.

— სად არის, მერე, ეგ კაპიტანი?

შავწვერა კაცმა ღიმილით ხელი სოფლის ბოლოში მდებარე ცეცხლმოკიდებულ სახლსკენ გაიშვირა.

— აი იქ.

შევუბღვირე, ხომ არ დამცინი-მეთქი. არაო, მომიგო. მაშინ უყოყმანოდ გადმოვიღე თოფი, დავუმიზნე და დავუყვირე: ამ საათში გასაღები-მეთქი.

როგორც ყველა ბურთოკრატი, ეს შავწვერა კაციც იმავე წუთს მორბილდა. როცა გასაღები მივიღე აუფსეთ ჩვენი ავზი, მოგხვეტეთ ბიღონები, რაც-კი იმ ვაჟბატონს მოეპოვებოდა, პირამდე აუფსეთ ისინიც და გავუღვიქით გზას.

ხშირად პირველნი შევიდიოდით სოფელში, მაგრამ გავდიოდით იქიდან ყოველთვის უქანასკნელნი. ველოდით, როცა მთელი ჯარი გაივლიდა ჩვენ წინ. ჩვენი პოლკოვნიკი წინ ჰგზავნიდა მსუბუქ მანქანას ოფიცერთა სამზარეულოთი, მერე თვითონ განდიოდა ლიბანაცრისფერ „რინოთი“, რომლითაც იგი ჯერ კიდევ ჩვენ პოლკში დანიშვნამდე სარგებლობდა. მას შოფერიც

საკუთარი მყავდა, ახალგაზრდა ფრანგი. ალბათ, არ უნდოდა მონაღალსე ზყოლოდა. როცა სოფელში შევედიოდით, ბოლკონივი ლანდრიე მუცელს ეჯდა, და მხოლოდ მაშინ აალაგებდნენ სუფრას და გაამგზავნებდნენ სამზარეულოს, როცა ჯარისკაცი სულერთიან გაიკრიბებოდნენ სოფლიდან. სანოვაგე გამოუღველად ჰქონდა სამზარეულოს, რადგან ყოველ სოფელში იგი უპირატესი უფლებით სარგებლობდა. შტაბის ორი-სამი ოფიცერი მუდამ სამზარეულოს საქმეებში იყო გართული და მათი წყალობით იგი არასოდეს არ ემშვებოდა ამ ჭაღალი დონიდან. ამ სამზარეულოს წინაშე უკან დახვეის ყველა საშინელება ჰქრებოდა.

ლინოი-ან-ბარუაში არის ოთხიათას ექვსასთორმეტი მცხოვრები და რკინიგზის სადგური. ქალაქი ცარიელი დაგვხვდა, ხოლო სადგური — ხალხით გაქვდილი.

ჩვენი დავარდნილი მანქანა პრაქო-კრუტით მიიზღაზნებოდა შარა-გზაზე. ლინიდან რაღაც ასიოდე ნაბიჯზე ოთხმა თუ ხუთმა ოფიცერმა გზა გადაგვიჭრა. ყველა ერთად კიოდა და ყვიროდა და ბირველხანს ვერ გაიგვე, რა უნდოდათ. რომელიღაც სხვა პოლკის უცნობმა კაპიტანმა ხელში ხელი მტაცა.

— ჰეი, სერჟანტო, — დამიყვირა: — აუცილებლად შეჩერდით სადგურზე. სადგური ძალზე გაქვდილია. წაიღეთ მანქანით ყველაფერი, რის წაღებასაც შესძლებთ. რასაც ვერ შესძლებთ, იმას ცეცხლი წაუკიდეთ.

დააბოყინა. სპირტის სუნნი შეცა. თვალები არეული ჰქონდა და სიტყვებს ძლივს ამბობდა.

— გადაკვრაც შეიძლება აქ.

მითხრა ეს, თვალი ჩამიკრა და ხელზე მიჩქმიტა.

— რასაც ნახათ, ყველაფერი წაიღეთ. ნურაფერს დასტოვებთ. რის წაღებასაც ვერ შესძლებთ, ცეცხლი წაუკიდეთ. ხომ გაიგეთ? საცაა მოვლენა გერმანელები. ნურაფერს დაუტოვებთ.

ჩვენ განვშორდით, ის-კი წიკბლას გვიჩვენედა, სანამ არ გადაუხვიეთ სადგურისაკენ მიმავალ ქუჩაზე.

სადგურის წინ მრავალი მანქანა იდგა: ოფიცერთა მსუბუქი მანქანები, ორი-სამი საარტილერიო საბარგო მანქანა, ჩვენი ლურჯი „რენოს“ მსგავსი ოთხი რეკვიზირებული ფორანი და სხვა. მანქანიდან გადმოვხტი და ოთხ-ხუთ ამხანაგთან ერთად სადგურისაკენ წავედი. ჩვენი ძვირფასი მანქანის სადარაჯოდ ადატო დაეტოვეთ. ვიცოდი, რომ ადამიანები სასოწარკვეთილებამდე მივიდნენ და შეიძლება ჩვენი მანქანის ძალით წაყვანასაც არ ღარიღებოდნენ. ამიტომ ადატოს რევიოლვერი გადავეცი.

ის სადგური ყველაზე დიდი საქონლის სადგური იყო ოლქში. უკანასკნელი ტვირთების გავზაფხა ვერ მოესწროთ: ლიანდაგებზე სამი დატვირთული შემადგენლობა იდგა.

ლინოი-ან-ბარუა შამპანას ცენტრში მდებარეობს. იქ იდგა მთელი შემადგენლობა, სულ ცოტა, თხუთმეტი-ოცი ვაგონი, სავსე კონიაკით და იმ კეთილშობილური მუშუნა სასაქელით, რომელიც თავის სამშობლოს პატივსაცემად მთელ დედამიწაზე შამპანიურის სახელით არის ცნობილა. ეს იყო ფუფუნების, განცხროვისა და ყველა იმის სიმბოლო, რასაც ადამიანი მხოლოდ ერთხელ განიცდის სიცოცხლეში. ოფიცრები მთელ ჯარს, ალბათ, სადგურისაკენ ჰგზაფინდნენ, რადგან სადგურის ირგვლივ მიწა კონიაკისა და

შამანიურის ბოთლებით იყო მოფენილი. მეორე ლინდაგიდან ბაქნამდე რომ მივდევოთ, დამსხვრეულ-დამტვრეულ ბოთლების მთელი ზღვა გვხვდება. გელახათ. ბოთლებს ათასობით სკლიდნენ და ამსხვრევენ იქვე, ადგილას რიგ. ბევრი ბოთლი ნახევრამდე იყო მოსმული და გადაგდებული. კონიაკა და შამანიურის წებოვანი მოყვითალო ნარევი ვაგონებიდან მოკონავდა.

ერთ-ერთი ვაგონის უკან კალათაზე იჯდა ვიღაც კაპიტანი. თავზე ხელები წაეგლო და ვანწყვეტივ იმეორებდა — დალადიეს ხაზი, დალადიეს ხაზიო. უკვე ხანში შესულა იყო. მკერდი ორდენებით ჰქონდა დამშვენიებული. ეტყობოდა, რეზერვისტი უნდა ყოფილიყო, პირველი მსოფლიო ომის მონაწილე. ისე მწარედ და ხმაალა თხრავდა, გვეგონებოდათ კენესისო. თავაღლებლივ ერთსა და იმავეს იმეორებდა. ვგონებ, თავათაც არ ესმოდა, რის თქმა უნდოდა.

მომიახლოვდა პატარა ტანის მოხუცი, ალბათ, პროვინციელი საჭმის მწარმოებელი, სახელოში ხელი წამავლო და მკითხა — როდის გავა შემდეგი მატარებელიო. რამე რომ მეთქვა, ვკითხე, სად სცხოვრობ-მეთქი. მაგრამ მან მხოლოდ შემომხედა ვაკვირვებული თვალებით და კვლავ შემეკითხა — როდის მიდის შინისკენ შემდეგი მატარებელიო.

ყველა პოლკს, რომელსაც კი ლინის სამხრეთით დავეწვიეთ, ბრძანება ჰქონდა მიღებული, არაფერი დაეტოვებინა გერმანელებისათვის. გზად მიმავალ ქვეითი ჯარის მთელ კოლონებს ჯიბეებიდან შამანიურის ბოთლები მოუჩანდათ. ზოგიერთი ოფიცერი, მათ შორის ჩემი ასეულის კაპიტანი ბილიერთ, მწარედ დამპირებულნი მიუძღოდა თავის ნაწილს. დარღისა და მუუხარებისაგან თავი ვერ აეღო და ცისთვის ვერ შეეხენა. მაგრამ ასეთი ოფიცრები უმცირესობას შეადგენდნენ. აღამიანს, რომელიც ლენოში არ ახშობდა ბოლშას, განცილილი უბედურების ასატანად დიდი ძალა და სიმტკიცე სჭიროდა.

გზაზე ოფიცრებით სავსე მანქანები გვეწეოდნენ. ისინი მხოლოდ თავიანთ თავის გადაჩენაზე ფიქრობდნენ, იმიტომ გამორბოდნენ ასე თავქუცდგად-ვლევად. მათ მანქანები გაქედილი ჰქონდათ ბოთლებით, ყუთებით, სურსათ-სანოვაგით. იმავე დროს გვხვდებოდნენ უაფიცრობოდ მიმავალი მთელი კოლონები. გზა გაქედილა იყო ცალკეულად მიმავალი, პოლკებს მოწყვეტილი ჯარისკაცებით. არაფერ ფიქრობდა მათ შენეებაზე, მათ გამოკითხვაზე და თავ-თავიანთ პოლკებში ვაგზაუნაზე. არაფერ არაფრად აფდებდა დეზერტირობას: ოფიცრები სტოვებდნენ ასეულებს, ასეულები — პოლკებს, ხოლო პოლკები ისე დნებოდნენ, როგორც თოვლი ცხელ გაზაფხულზე.

ასე გავიარეთ დეპარტამენტები მარნი და მასი, ვოჯეზები, ქალაქები ვუა და ვოკულერი, სოფელი დომრემი, სადაც ყანა დ'არკი დაიბადა. როდესაც შევედით პატარა ქალაქ ვოკულერში, ლოტარინგიის შუაგულში, მცხოვრებნი ჯერ კიდევ სახლებში ისხდნენ. იქიდან შეუძლებელი იყო მოსახლეობის ევაჯირება. კაფეში შევედით. ვთხოვე პატრონს, თითო ჰქია პერნო დაესხა ჩვენთვის. ათ წუთამდე დაჯიხით კაფეში. ვუსხედით მარმარილოს მაგიდას, როგორც ნამდვილი სტუმრები ნამდვილ კაფეში. კაფეს პატრონი ჩასუქებული კაცი იყო. ღრმად ამოჭრილი ეილეტი ეცვა, მკერდს საათის სქელი ძეწყვი უმშვენიებდა. იგი ნამდვილი პატრონი იყო ბისტროსი, რომელიც ასე მომწონდა საფრანგეთში. მან განაცხადა: სრულიადაც არ მესწინიან გერმანელებისა, ბევრი, ბევრი მომკლანო. მანვე სთქვა, თქვენ, ჯარისკაცებს, ვერ გავამტყუნებთ: საფრანგეთი გასცესო. თავათ მან განზრახული ჰქონდა, ოციოდე

ძველ ვეტერანთან და ქალებთან ერთად დაეცვა ქალაქი. მაგრამ რა გამოვა აქედან? — იცითხა თვითონვე: — სულ ერთია, თქვენ ზურგდგან, მისგან უფრო.

დიდი სიმწარე იყო ამ კაცის სიტყვებში, მაგრამ მათ თვალში აშინებულს და ბევრი რამ გაიგებინეს: ამ კაცის პირით მთელი საფრანგეთი ლაპარაკობდა, — საფრანგეთი, რომლისთვისაც ღირდა სიცოცხლის განწირვა. იმ ათი წუთის განმავლობაში ბევრ რამეს გამოვეთხოვე: თითებით მივეალურხე მთათუთებულ დახლს, ჩამოვჯექე მაღალ სკამზე, ხელი მოვეუთათუნე სალაროს აპარატს. შევედი საპირფარეოშიც-კი, რათა „მშვიდობიანი“ ცხოვრების ილუზია შემექმნა. სარკესთან გავლისას ჩემი თავი დავიწახე, მაგრამ ვეღარ ვიცინია. ბავშვური სიხარული მომგვარა ფულის გადახდამ. კაფეს პატრონს გაუკვირდა და უხალისოდ ჩამომართვა ფული. ვერ მიმიხვდა, რომ ფულის გადახდამ წესრიგის შთაბეჭდილება განმაცდევინა. სთქვა მხოლოდ, რომ ფრანკი ახლა არავითარ ღირებულებას აღარ წარმოადგენსო.

ქუჩებში ჯარისკაცები დაეხეტებოდნენ. ქალებს და დედაკაცები თვალით აცილებდნენ მათ. საფუნოუშეში ცხელ პურს არიგებდნენ. პატარა ნაჭერა ავიღე და მალე მუცელში აუწერელი ტკევილი ვიკრძინი. საკანდიტროში შეთმობიანმა ქალიშვილმა შოკოლადის ტორტი მომცა, თანაც მანუგეში, რომ ამ დამარცხება-განადგურებაში მე ბრალი არ მიმიძღვის. ხელზე მოვეალურხე და ჩემი სურათი ვაჩუქე... არ ვიცი, რატომ. შემდეგ გიჟურმა აზრმა წამომიარა: შევსულიყავ აფთიაქში და ოდეკალონი მეყიდნა. მართლაც შეველი საკანდიტროს გვერდით მდებარე აფთიაქში და ვიყიდე პატარა შუშა ოდეკალონი. უზომო სიხარული განმაცდევინა ფულის გადახდამ. აფთიაქში დახლთან თეთრ-ხალათიანა ფარმაცევტი იდგა. კედელზე ხველის გამკურნავი აბების რეკლამა ეკიდა. ყველაფერი ეს სიზმარს მაგონებდა, — ფერადი შუშებიც, სუფთა პლაკატიებიც. მომეჩვენა, რომ დილით ჩემს პატარა საწოლში გამომეღვიძება, რომ ოქვე გვერდით დედიკო იდგამება „ძია ექიმთან“ ერთად. მწარე წამალს დამალევიებენ. მაგრამ მე შაინც მოვრჩები, იმიტომ, რომ კარგად ვიქცეოდი, კადევი იმიტომ, რომ დედამ ცხელ შუბლზე თავისი ლამაზი თეთრი ხელი დამადო.

არ ვიცი, შესაძლებელია თუ არა ბიოლოგიურად, რომ აღამიანი ქიმიისგან დაითროს. მე-კა სწორედ ახალმა ცხელმა პურმა დამიბნელა გონება. განვიცადე დათრობის ყველა სიმპტომი: აგზნება დასაწყისში და უხალისობა, უკუნებობა დასასრულს. სოფლიდან გავედით. თავბრუ დამეხა, ყველაფერი ერთმანეთში აირია: ქალიშვილს საკანდიტროში მეაფთიაქის თეთრი ხალათი ეცვა, კაფეს სარკიდან ლინიის სადგურის მთვრალი კაპიტანი შემომცქეროდა. და მხოლოდ ერთ რამეს განვიცდიდი სრულის სიცხადით — მწარე ტკივილა მუცელში.

მახსოვს, ტულიუსკენ მივდიოდით, ისიც მახსოვს, რომ ჩვენს უკან ვოკულერას ხიდი ააფეთქეს. მთელ მეორე დღეს მივდიოდით, ვიდრე პატარა სოფელ ალენთან არ შეგვაჩერეს, ნაშსა და ნეეშატოს შორის. გზასთან სენ-ბრისის იდგა. გვანიშნა, გაჩერებულებოყავით.

— გაღმოსვლით, — გვითხრა მან: — მანქანა წავიდეს. — მერე ადატოს მიმართა: — აქედან ნახევარ კილომეტრზე, ტყეში პოლკოვნიკს ნახავთ. იქ მოიცადეთ. მე და სერჟანტი ფებ-და-ფებ მოგყვებით.

გადმოვედი. მანქანა დაიპრა. სენ-ბრისის გვერდით ვიდექი და მის მშვიდობიან წყნარ სახეს შევეყურებდი.



— უნდა მოველაპარაკოთ, — მითხრა მან და ბალახში ჩაჯდა.

გვერდით მოეუჯექე, სმენად გადავიქეცი. სენ-ბრისი ხელში ბაღახში დაჯდა ატრიალებდა. მცირე დუმილის შემდეგ სთქვა:

— ჩვენ შეგვიძლიან ვიამაყოთ ოცდამეერთე პოლკით. ყველამ, ვინც გადარჩა, აქ მოიყარა თავი. პოლკმა მაინც მოაღწია აქამდე, მაგრამ როგორ და რანაირად, ერთმა ღმერთმა უწყის. ახლა ყველას იქ სძინავს ტყეში.

ყურს ვუგდებდი. ვიცოდი, რომ სხვა რამე უნდა ეთქვა ჩემთვის.

— უკან დახევას განვაგრძობთ თუ არა? — ვკითხე მე.

მან პირად ჩემსკენ მოიბრუნა, თვალებში შემომხედა, ხელში ხელი მტაცა.

— არა, — მომიგო, — აღარ, დავიხვეთ. ბრძანება მივიღეთ, იარაღი დაგვარკოთ. ყოველი მხრიდან გვარტყიან. საფრანგეთი ზავს თხოულობს.

თავი მეშვიდე

გამოთხოვება სიცოცხლისთან

1940 წლის 21 ივნისს ლეიტენანტმა სენ-ბრისმა სიკვდილს გადაამარჩინა.

ორ დღეს დაეყავით ალენის ხშირ ტყეში. შემდეგში გენერალმა ვეიგანმა განმარტა, რომ იმ ოცდასამი დღიანიდან, რომელთაც „წინააღმდეგობის კუნძულები“ შექმენეს, ცხრა დღიანი მთლად განადგურდა, ხსენებაც კი აღარ დარჩა მათი, ორმა დღიანი პირადი შემადგენლობის ნახევარი დაჰკარგა, ხოლო თორმეტი დღიანი ტყვედ ჩაუვარდათ გერმანელებს. ამ თორმეტ დღიანში მებრძოლთა სამი მეოთხედი მოკლულა აღმოჩნდა. ოცდა მეთხუთმეტე დღიანი ერთ-ერთი იმ თორმეტ დღიანიათაგანი იყო, რომელმაც შემადგენლობის სამოცდა თხუთმეტი პროცენტი დაჰკარგა. იმ დროსთვის, როცა ალენის ტყეში შევდიოდით, ჩვენი პოლკის მებრძოლთაგან მეოთხედი-და იყო ცოცხალი. გადარჩენილნი, ექვსასიოდე კაცი, გამოვლილი ტანჯვა-წამების შემდეგ, ძალზე დაუძლურებულ-დასუსტებულნი იყვნენ.

თვით ტყეში არავითარი საკვების შოვნა არ შეიძლებოდა. ხოლო სურსათ-სანოვავის გამოგზავნაზე ტყეში ლაპარაკიც კი მეტი იყო. ჩვენს ერთად ერთ მანქანას ახლა პოლკაინიკის სამზარეულო დაჰქონდა. იგი მუდამ გამოქვდილი იყო კონიაკით, შამპანურით და შინაური ფრინველით. ჩემმა ძველმა საბარგო მანქანამ სამუდამოდ განუტევა სული.

გარინდებულნი ვისხედით ტყეში. აღარც-კა მახსოვს, რაზე ვფიქრობდა იმ ორმოცი საათის განმავლობაში, რაც ხანი ალენის ტყეში დაეყავით. ალბათ, არაფერზე არა ვფიქრობდი, იმდენად ჩაგვეზო ყველას გრძნობები. კარგად ვიცოდი, რომ გერმანელების ხელში ჩავარდნა ჩემთვის ნიშნავდა უკეთეს შემთხვევაში სწრაფ სიკვდილს, უარეს შემთხვევაში — საკონცენტრაციო ბანაკს, წამებას, ავადმყოფობას და დაუსრულებელ ტანჯვას. ომის პირველ დღიდანვე გადაწყვეტიე გამოვსალმებოდი სიცოცხლეს, ვიდრე ტყვედ ჩავვარდნოდი გერმანელებს. ამ გადაწყვეტილებამ რამდენადმე დამამშვიდა. მაგრამ ფიქრი აღარ შემეძლო. ვიცოდი მხოლოდ, რომ ჩემი საათები დათვლილი იყო. დრო-და-დრო გერმანული თვითმფრინავები ორ-სამ ყუმბარას გადმოისროდნენ ზოლზე. ამას სჩადიოდნენ არა ჩვენი ამოვლტის-

თვის, არამედ იმის გასახსენებლად, რომ დროებითი ზევის დადგენა დამარცხებულ საფრანგეთთან ჯერ კიდევ არ იყო დამთავრებული.

21 ივნისი კომქაშა დღე იყო. მზის სხივები ხშირ, დაბურულ ტყეშიაც აღწევდნენ და ხავსით მოფენილ ნიადაგზე წვრილ რგოლებად ლიელებდნენ. დილის შვიდ საათზე ლეიტენანტმა სენ-ბრისმა მიმხმრო.

იგი გაშლილ რუკას დაჰყურებდა.

— თქვენ დავალებული გაქვთ, — ნომმართა მან, — გამოხსებნოთ გზა შარმისაკენ. გამოგყვებათ ერთი სხვა მშვერავი. ამბობენ, შეიძლება შარმისაკენ გზის გაკვლევა.

გაოცებული შეეყურებდი. კაპიტანი გიუი, რომელიც სენ-ბრისის გვერდით იდგა, ბოლოს ფავეშორდა.

— რა თქმა უნდა, უკუწერებაა ეს, — სთქვა სენ-ბრისმა, რაწამს გიუი მოგვეშორდა და ვეღარაფერს გაიგონებდა: — გზის გაკვლევა არ შეიძლება. მტერი გარს გვარტყია. მაგრამ... — შევოყმანდა და თვალები განზე წაიღო, — მაგრამ არ მინდა, თქვენ ხიფათში ჩაეარდეთ, არ მინდა, სიცოცხლეს გამოგასაღმონ, — დაამთავრა მან სწრაფად. — თუ თქვენ ჩვეთთან ერთად შეგიპყრობენ, ვერ დაფარავთ თქვენს ვინაობას. საბუთები და ვინაობის ქეტონიც რომ მოსპოთ, მაშინაც-კი ვინმე გაგცემთ, განზრახ ან შემთხვევით.

— თქვენ? — ვკითხე სენ-ბრისს.

იგი ისევ განზე იყურებოდა.

— მე ფრანგი ვარ, — სთქვა მან, — მე არაფერი არ დამემართება. დიდდიდი, ერთხანს გერმანელთა მონა ვავხდე. მაგრამ ამას არა ეშველება — რა ამომის შემდეგ ყველანი მონები ვიქნებით. ფორმამი გამოწყობილი მონები.

შემომხედა და დაუმატა:

— ეცადეთ, რამდენადაც შესაძლებელია, ვადიდოთ მანძილი ჩვენსა და თქვენს შორის. მოსკეთ სამხედრო ბილეთი და დანაკერები სახელოებზე. მთიმორეთ საყელოდან ციფრი „21“. თქვენს განკარგულებაში თორმეტ საათამდეა. გამოიყენეთ ეს თორმეტი საათი.

დიღხანს ვიდექი ჩაფიქრებულა. შერე ვთქვა:

— არ შემძლიან: დეზერტირობას ვერ ჩავიდენ.

— რა სისულელეა! გაძლევთ პატიოსან სიტყვას, რომ თმი გათავებულა, გათავებულა ჩვენთვის. მივიღეთ სასტიკი ბრძანება — შევწყვიტოთ საროლა. რალას მოვლით? მოვლენ გერმანელები, დაშლიან არმიას და ყველაფერი გათავდება.

არასოდეს არ მინახავს სენ-ბრისს ასე გაბოროტებულა.

კაპიტანი გიუი დაბრუნდა.

— თქვენ ისევ აქა ხართ? — მკითხა მან.

— დიალ, კაპიტანო. ეამჯობინებდი აქ დარჩენას.

— რა გინდათ სთქვათ მაგით?

პასუხი არ გამოცია. გიუიმ განაგრძო:

— დაუყოვნებლივ გაუდექით გზას. იქნებ ჯერ კიდევ არის ხსნა.

სამხედრო სალაში მივეცი და ამხანაგებს დაეუბრუნდი. ეუბრძანე სენკე-ვიჩს მომზალებულიყო. თავათ მე ბარგი ჩაეალაგე, შამხანა დარუსს ვადავეცი, როველეერი ბუდეში ჩავდე, სამი ხელყუმბარა სარტყელში ჩავიჩქე და სენ-ბრისთან დაებრუნდი.

უცრემლოდ გამოვეთხოვე ჩემს შაშხანას, 1891 წლის ნიშნის შაშხანას. ძველს-ძველი შაშხანა იყო, მაგრამ უკანასკნელ დღემდე არ მთმინებოდა იგი. არ ვიცი, რატომ ვერ მოვიშორე რკინის ის ნაჭერი, ან რატომ არ გადასცემალად იგი ახალ „მუქეტონზე“, რომელიც მრავლად ეყარა ყველგან. დემორალიზაციით გამოწვეული აბატია თუ მიშლიდა ხელს. სიამოვნებას მგვრნის იმის გახსენება, რომ „სანტიმენტალობისათვის არ ვიშორებდი ჩემ ძველ „რემინტონს“.

სენ-ბრისი იქვე დამხვდა, სადაც დაეტოვე.

— წარმოიდგინეთ, — სთქვა მან, — გაუი მართლაც ფიქრობს, რომ ჩვენ ჯერ კიდევ შეგვიძლია დავაღწიოთ თავი ახლანდელ მდგომარეობას. იქნებ მართალიც არის: იქნებ ორი-სამი საათის შემდეგ მოახერხოთ დაბრუნება და ჩვენი აქედან გაყვანა.

— ვიმედოვნებ, ლეიტენანტო.

რამდენიმე ნახევარი ერთად გავიარეთ. ტყისკენ მივდიოდით.

— გულს ნუ გაიტეხთ, — მითხრა სენ-ბრისმა და ხელი ჩამომართვა. — გემშვიდობებით მცირე ხნით. ნალე ისევ შევხვდებით.

თვალი შევავლეთ ერთმანეთს. დაგაეხვიენით. მერე, თითქოს ერთი და იგივე აზრი გვაპოძრავებდნენ, მიეტრიალდით სხვადასხვა მხრისკენ და სწრაფად განვშორდით ერთმანეთს. არც ერთს არ უნდოდა დაენახებინა მეორისათვის ცრემლები თვალებზე.

გამოვეთხოვე ამხანაგებს. ნიკოლამ, პოლკოვნიკის ჩასუქებულმა და გულკეთილმა მზარეულმა, საგზაოდ ძეხვის ნაჭერი მომცა. გამოველაპარაკე დარუსს, დეზის, მკერავს გეგედესს, საბარგო მანქანის შოფერს პაპს. ვერსად ვპოვნე პატარა პორტუგალიური მალაჯრიდა. ალბათ, მოკვლეს უკანასკნელ ბრძოლაში. ვერ ვიპოვე ვერც დეზირე ვეისი, რომელთან ერთადაც ოდეს-ღაც მანქანით საიუღე სამზარეულოს დავეძებდი. მითხრეს მძიმედ დიპტრაო. მეტი არაფერი არაფერი იცოდა მასზე. მინდოდა გამოვეთხოვებოდი კაპიტან რაველს — ლამაზ, მოხდენილ რაველს, რომელსაც მუდამ კრიალა ჩექმები ეცვა. მითხრეს, გამირულად დაიღუპაო. დაიღუპა თურმე თავის მეთერთმეტე ასეულთან ერთად. ბევრი ძებნის შემდეგ ვიპოვნე შაიერ-შაიერესკო, მაგრამ ხეზე მიყრდნობილს ისე მაგრა ეძინა, რომ შემეცოდა და ვერ გავაღვიძე. მოხუცმა დარუსმა მცირე მანძილზე გამაცილა. ჩამომკვნიარი გამოიყურებოდა. თმა მთლად გასთეთრებოდა. ორიოდ რჩევა-დარიგება მაინც მომცა. ობუნჯობასაც შეეცადა. ის, მგონი, მართლაც ფიქრობდა, რომ გამოვძებნიდი ხაფანგიდან თავის დაღწევის გზას. დეზიმაც გამაცილა სოფლამდე. იქიდან-კი მე და სენკევიჩი მარტონი წავედით. დეზის ქერა თავი შწვანით შემოსილ მდელოზე კიდევ დიდხანს გამოირჩეოდა მას შემდეგ, რაც ჩვენ შარშის გზაზე გადავუხვიეთ. ახლა თათქმის მე თვითონაც მკეროდა ჩვენი ამოცანის განხორციელების შესაძლებლობა. მაგრამ რატომ იყო სენ-ბრისი, თავდაპირილი, დინჯი, გაუაწორობელი ოპტიმისტი სენ-ბრისი, ასე უიმედოდ განწყობილი?

იმ დღეს ქვეითად თუ არაქვეითად ჩვენ სამოცი კილომეტრი გავიარეთ. აღფრედ სენკევიჩი ბოლანელი ებრაელი იყო და არაჩვეულებრივი შეუპოვრობით განირჩეოდა.

გადაწყვეტილთ, რაც არ უნდა გაგვეგონა გზაზე, მიგვეღწია შარშამდე. შარშმი-კი, სადაც მრავალი გზა ხედება ერთმანეთს, გამოგვერკვია, შეეძლო

თუ არა ჩვენს პოლკს უკან დახვევა და თუ შეეძლო, რომელი გზით. ჯიბეში პოლკის მიერ მოცემული საგზური მედო და არ შეშინოდათ, რაღაც შედეგზე რაფიციერი შემაჩერებდა. მაგრამ ეს საბუთი აღარ დამკვირვებულს ვაჭარს დასაძლელი იყო დეზერტირებით. მათ, ალბათ, სიცილად არ ეყოფოდათ ეს ქალაქი. ჩვენი პირვანდელი აღფრთოვანება სრულში ამატიამ შესცვალა. ჯარის ნაწილები აღარა გვხვდებოდნენ. ჯარისკაცები აუჩქარებლად მადიოდნენ, როგორც მშვიდობიან დროს.

ზოგჯერ საბარგო მანქანას შევეჯდებოდით ხოლმე. ზოგჯერ რამდენიმე კილომეტრს ფორნით გავდიოდით დაღლილ არტილერისტებთან ერთად. ვაპირავდით ველოსიპედებს და მერე გზაზე ეტოვებდით. ხან ქვეითად შევიდოდით, ხანაც გავრბოდით — და მთელი ამ ხნის განმავლობაში საკუთარი თვლით ვხედავდით საფრანგეთის სულთმობრძავე ჯარის კრუნჩხვას, ვხედავდით, როგორ იშლებოდა და ილეოდა ეს ჯარი. არტილერისტთა ჯგუფს, რომელსაც რადიო ჰქონდა, მოესმინა პარიზიდან გადმოცემული ამბავი. იუწყებოდნენ: ყოველი მხრიდან შემორტყმულნი ვართ და გასაქცევი გზა აღარა გვაქვსო. არტილერისტები თავიანთ საველე სამზარეულოს შემოხვეოდნენ. მასხარად აგვიგდეს, როდესაც არ მოვისურვეთ დაგვეცადა ცხელი წვინთთან.

სიტყვა „გარემოცვა“ არასოდეს არ იგრძნობოდა ისე მძაფრად, როგორც იმ დღეებში. ჩვენ, მე და სენკევიჩის, ალბათ, შეშლილებად გვთვლიდნენ, რადგან გარემოცვა არ მიგვაჩნდა — ფაქტად. ყველაზე მეტად გარემოცვის შთაბეჭდილებას გვაგრძობინებდა ის, რომ წამდაუწუმ ეჯახებოდნენ ერთმანეთს და გზის აქცევას ვერ ახერხებდნენ საწინააღმდეგო მიმართულებით მიმავალი მანქანები. არტილერისტებს, ბარჯის მზიდავებს, მუქანგრეთა კორპუსს ჯერ კიდევ გააჩნდათ საკუთარი მანქანები. პოლკები ანუ მათი ნაშთები გამოვრბოდნენ სამხრეთიდანაც და ჩრდილოეთიდანაც. ბირველთაც და მეორეთაც შტერი ზურგში ჰქონდათ მოქცეული. დაუსრულებლად მეორდებოდა ერთი და იგივე: ერთი მანქანა ჩრდილოეთისკენ მიდიოდა, მეორე — სამხრეთისკენ. შეხვედრისას ჩერდებოდნენ:

— სად არიან გერმანელები?

— ჩვენს უკან.

— ჩვენს უკანაც.

არ უჯერებდნენ ერთმანეთს. თითოეული მათგანი ცდილობდა გზის განაგრძობას იქითკენ, საიდანაც მეორე იყო მოსული. ბოლოს ორივე თავს ანებებდა პირვანდელ განზრახვას. ჯარისკაცები ჩამოდიოდნენ საბარგო მანქანებიდან, ცეცხლს ანთებდნენ, ბანქოს თამაშობდნენ. ძინი აჩერებდნენ ოფიცერთა მანქანებს, რომელნიც საყვირის დაუსრულებელი ზმავრით ლამობდნენ გზის გაკვლევას. ბოლოს, ოფიცრებიც კადრულობდნენ გადმოსვლას. სიცილით და სტვენით ხედებოდნენ ძველ ზღაპრებს: „შტაბს დაეძებოთ“ ან „მამელი ჯარისათვის მივიღივართ“. ზოგიერთი ოფიცრები, მეტწილად ახალგაზრდები, აღუფრთვებლად ხედებოდნენ თავიანთ მარცხს და რეკვაზირებულ „პეკოებიდან“, „რენოებიდან“, „სიტროებიდან“ და „გომკოსებიდან“ გადმოსვლის შემდეგ ცულებით, თოფის კონდახებით, ჩაქტჩებით ამსხვრევდნენ მოტორებს. ამის შემდეგ ეძლეოდათ მათ ნება, შეერთებოდნენ ბანქოს თამაშს.

ჩვენ ნაკლებად ვლაპარაკობდით: ძალზე დაღლილები ვიყავით და ლაპარაკი აღარ შეგვეძლო. დარწმუნებული ვარ, რომ სწორედ დაღლილობა გვაძლევდა



ბინებდამ წუთებში. არ შეგვეძლო გაჩერება. მივდიოდით და ვეცილობდით განტვირთვას: ვუჩიოდით ვაზნებიან ქაშრებს, ტოპრაკებს, სადაც ვხვდებოდით ვა, აირწინალებს. ვზის აქეთ-იქით უბნად ეყარა სურსათ-სანოვავე. მთელი გორები იღვა. რატომ უნდა გვეზიდა ძეხვი, როცა რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ წაიწყდებოდათ უპატრონოდ მიტოვებულ უამრავ ძეხვს. თანდათან მოვივლებინეთ იარაღი. სენკევიჩმა თავისი შაშხანა სხვა შაშხანების ხროვაზე დაავლო, ხოლო მე ხელუფლებარები მინდორში ვადავისროლე. ასე განვაგრძობდით ვზის. ხშირად წამოვკრავდით ხოლმე ფეხს ქვას, შაშხანებს, სავესტ ტოპრებს, აირწინალის რეზინის მილაკებს. მივდიოდით და მთელ ჩვენს იმედს ვაყარებდით შემხვედრთა უაღრესად ბუნდოვან მითითება-ჩვენებებს. კვლავ და კვლავ ვპოულობდით იმის დამამტკიცებელ საბუთებს, რომ სადაც შარშს იქით არა თავის დასალწევი გზა, არის გადასასვლელი თავისუფლებისაკენ. სენკევიჩის სულმოკლეობა-ცკი ხელს გვიწყობდა. იგი ჩემი შთავაზნების წყაროდ ვადაიქცა: მე სწრაფად ვპოულობდი სათანადო პასუხს, რასაც სენკევიჩი მუდამ ეთანხმებოდა. სრულებით აღარ ვფიქრობდით დასვენებაზე — უკვე ვადავლახეთ ადამიანის დაღლილობის უკანასკნელი საზღვარი. სულს გვიხუთავდა სიცხე. მზე ჩვეულებრივზე მეტად არ გვაქერდა, არ გვაცხლებდა, თუმცა დღე საკმაოდ ცხელი იყო. მაგრამ ისე გვეჩვენებოდა თითქოს სადაც უამრავი ცეცხლი ენთო, თითქოს ათასი ვაფარვარებული კოკონის პაპანება უფრო და უფრო მოიწევედა ჩვენსკენ. ალას უხილავი ენები სახეებს გელოკავდნენ. თვალი შევივლე სენკევიჩს: სახე აწითლებული ჰქონდა, თითქოს ფარული ღემელების ცეცხლი აურეკლიო. იქნებ გამოვესალმინით კიდევ სიცოცხლე. და უკვე საღიზნებელში ვართ-მეთქი, — ვაფიფიქრე ჩემთვის. მაგრამ ამოდ ვეძებდი პორიზონტზე ცისარტყელას — ხიდს ზესკნელისკენ.

ასე და ამნაირად შევედით მდუმარების ზოლში.

მდუმარების ზოლი დაიწყო შარშის დასავლეთით, ოთხ თუ ხუთ კილომეტრზე ამ ქალაქიდან.

მიოკუროიდან, დასავლეთიდან, ფართო გზატკეცილით მიმავლებმა, როგორც იყო, მივალწიეთ ზენ-ბრისის მიერ მითითებულ ქალაქის განაპირა უბანს. ნაბრძანები გვემანდა, შარშში მისვლისთანავე გამოვეცხადებულყოფით შტაბში და ვაგვეგო, თავისუფალი იყო თუ არა გზასენ-დიესკენ. აქსულ სხვა გეგმა იფარებოდა, რის შესაწებაც ჩვენ, რა თქმა უნდა, არა გვეთბრება-რა: მომწყვეთელი ჯარი მაყინოს ზაზის საფარველ ქვეშ უნდა გაბარულიყო კოლმარისკენ მიმავალი გზით და ფერეტის მახლობლად ვადასულიყო შევიციარის საზღვარს. ჯერ კიდევ ძლიერი იყო ჩვენი რწმენა მაყინოს ზაზის ურყევლობაში, თუმცა გერმანელებმა უკვე ვადალახეს რეინი თექვსმეტ რენის, ხუთი დღით იმაზე ადრე, ვიდრე ჩვენ შარშში მივიდოდით.

და უეცრად მარტოდ-მარტონი აღმოვჩნდით ვანიერ გზაზე. აშკარა ხდებოდა, რომ საფრანგეთის ჯარი აღარ იყო ჩვენსა და გერმანელებს შორის, სადაც არ უნდა ყოფილიყვნენ ეს უკანასკნელნი.

შარშის მახლობლად ველოსიპედისტთა ჯგუფს შევხვდით. როცა მოგვიბლოდნენ, ვავარჩიეთ, რომ ჯგუფში ოთხი კაცი იყო — ორი მამაკაცი და ორი დედაკაცი. მამაკაცებს ფოსტის მოხელეთა ფორმა ეცვათ.

— გერმანელები აქ არიან, — ვადმოგვქახეს მათ. — შარშში არიან.

თითქოს მათი სიტყვების დასადასტურებლად ჰაერი მოტორების გუგუნით გაიქედა, რაც დიდი ხანია აღარ გავრეგონა. ქალაქის თავზე გერმანელთა ბომბდამშენები დაფრინავდნენ.

არ ვიცი, რატომ, მაგრამ ჩვენ მაინც მივემართებოდით წინ. თავში ჩაგვექედა ის აზრი, რომ მხოლოდ შარშში შეეძლებდით მიგვეღწია ჩვენი მიზნისთვის. შარშში გერმანელები არ აღმოჩნდნენ, თუმცა ქალაქის ის ნაწილი, რომელიც ჩვენს მხარეზე მდებარეობდა (არხი და მოზელი ქალაქს ორად ჰყოფდნენ), უკვე მიტოვებული იყო. რამდენიმე მოქალაქე თავის სახლის წინ იდგა და გულმოდგინედ შესცქეროდა ცას. მიუხედავად ჩვენი თხოვნისა, არც ერთ კაფეში ლუდა არ დაგვაღვივინეს, უარი გვითხრეს თითო კიპაზე-ლატ-კი. უზარმაზარ Grand Pont-ს, დაუსრულებელ ხიდს არხსა და მოზელზე სერეგალელები იცავდნენ. მთელ ხიდს შეწყობილი ჰქონდა რუხი ტომრები, რაც იმას ნიშნავდა, რომ ხიდი დანაღმული იყო.

ვკითხე ზანგ-კაბრალს, სად იყო მოთავსებული შტაბი. მან ხიდის მეორე მხარეს მდებარე შენობაზე მიმითითა.

— განზრახული გაქვთ ააფეთქოთ ხიდი? — ვკითხე ზანგს მხოლოდ იმიტომ, რომ მეთქვა რამე.

— ცაიციანა და თეთრი ელვარე კბილები დამანახვა.

— ვინმე ააფეთქებს, — მომივო მან: — ჩვენ თუ არა, აგერ ისინი ააფეთქებენ.

და მიმითითა თავის შავ ამხანაგებზე, რომელნიც ხიდის მეორე ნაპირს იცავდნენ.

— იმისდა მიხედვით, თუ საიდან შემოვლენ გერმანელები.

ხიდს გადავედით. ხიდ ქვეშ დინჯად მიიზღაზნებოდა მდინარე მოზელი. არხსა და მოზელს შორის მრავლად იზრდებოდნენ მწვანე და ყვითელი ბუჩქები. ბომბდამშენები ვერცხლისებრ ელვარებდნენ მზის სხივებში.

შტაბში ვერაინ ვერ ვიპოვეთ. სადგომი ცარიელი დაგვხვდა. ბოლოს წავაწყდით ლეიტენანტს, რომელმაც აგვიხსნა, რომ შტაბი მოთავსებულია თავშესაფარში, მეზობელი შეღვინის სარდალში. თვითონვე წაგვიყვანა იქ. სარდალის კარი ღია იყო და ჩასასვლელ კიბეზე მაიორი იჯდა. იმ მწარე წუთებშიაც-კი მკვეთრად შევიგრძენ მდგომარეობის მთელი კომიზი: მე ქვესენელის კარის წინ ვიდექი, ბოლო მაიორი ზემო საფეხურზე იჯდა. მისი თავი სწორედ ჩემი ფეხების ღონეზე მოდიოდა. მე ქვევით ვიკეპირებოდი, ის ზევით იყურებოდა.

— რაშია საქმე? — შეითხა მან.

— ინსტრუქციებისთვის ვამომგზავნეს.

მოკლედ აეუხსენი ყველაფერი. მაიორი ყურს მიგდებდა. ორივეს კისრები წაგრძელებული გვქონდა. მაიორი ხანში შესული კაცი იყო. გრძელი კისერი ინდოურის ბანჯგელიან კისერს მიუგავდა. ხორხის უზარმაზარი თავი მკვეთრად გამოირჩეოდა გამზდარ კისერზე, თავით კისერი-კი მაგონებდა გველს, რომელსაც ბაჭია გადაუყლაპავს. როცა აეუხსენი საქმის ვითარება, მაიორმა კაპიტანს დაუძახა. როგორც-კი კაპიტანმა თავი ამოჰყო, მაიორს საშინელი სიცილი აუფარდა. მთლად ცანჭანებდა სიცილისაგან, ბოლო ინდოურის მსგავსი კისერი ისე გაუწითლდა, რომ სერიოზულად შემეშინდა, ყანყატო არ გახეთქოდა და ხორხის თავი ჩემ ფეხსაცმელზე არ დაცემულიყო. ბოლოს

დამშვიდდა, თუმცა ზველას ისევ განავრძობდა. თვალეზზე ცრემლ-მომდგარი მა შაორმა კაპიტანს მიმართა:

— შეხედეთ ერთი ამ ტიპს: ინსტრუქციებისთვის მოსულა!

ერთბაშად დადუმდა და უნდობლად თვალი შემავლო, თითქოს ეპვი შეეპარა, მასხარად ზომ არ მიგდებსო.

— წადით აგერ იმ დიდ სახლში და ლუდი დალიეთ. ეს არის ერთადერთი ინსტრუქცია, რომელიც შემოდლიან მივეცე თქვენისთანა ყვეყნს.

მარცხნივ შეგვრიალდი და აღფრედისაკენ წავედი, რომელიც მოედანზე მიცდიდა.

აღფრედ სენკევიჩს თავისი უტყუარი ალღოს მეოხებით უკვე ეპოვნა ლუღბანა და გადაეკრა კიდევ ორი ჭიქა ლუდი. მის მაგალითს მეც მივბოძე. ზალვათ ლუღბანაში ლუდით სავსე რამდენიმე მომცრო კასრი იდგა და ძარღვიანი შავგვრემანი ქალი სასმისებს ავსებდა. ლუდი საუცხოო იყო, ცივი და თანაც არაფერი არა ღირდა. ლუღბანის წინ, მოედანზე, ოთხი მთავარი გზა ზედებოდა ერთმანეთს: ხიდისკენ და რკინიგზის სადგურისკენ მიმავალი გზები, სენ-დიედან პარიზისკენ მიმავალი გზატკეცილი და ლიუნევილის გზა. ყოველ ამ გზას ტყვიამფრქვევი გაპყურებდა, ხოლო სენ-დიედან მომავალ გზატკეცილს ტანკსაწინააღმდეგო ზარბაზანი იცავდა. ყოველა იარაღის გვერდით თითო ტოლშა ლუდი იდგა.

ქუჩებში ჯარისკაცებს ეძინათ. დედაკაციები და ბავშვები მერხებზე ან ტროტუარის ნაპირებზე ისხდნენ. ფრთხილად მივაბიჯებდით, ვცდილობდით მძინარეებს არ წაგწყდომოდით.

უცერად სამი საუცხოო მანქანა დავინახეთ. ისინი ვიწრო გზით მოდიოდნენ, რომელიც სადგურს გვერდით ჩაუღიოდა. ორი მანქანა შავი იყო, ერთი წითელი. გადასასვლელთან ერთი წამით შეჩერდნენ. აღფრედს მხარში ხელი ვტაცე. ყოველ მანქანაში იჯდა თითო გენერალი ოთხი თუ ხუთი პოლკოვნიკის თანხლებით. მანქანები მტერას კორიანტელში მიიმალნენ.

— წაეიდეთ, აღფრედ, — მივმართე ამხანაგს: — გავეყეთ მათ. არასოდეს არ გამოვიჩნია, რომ გენერალი ტყვედ მოჰყოლიყოს. მათ, ალბათ, კარგად იციან გზა. ქვეითად, რასაკვირველია, ისე სწრაფად ვერ მივალთ იქ, სამაგეროდ სწორ გზაზე ვღვევართ.

სრულიად არა ეგრძნობდით დაღლილობას. სწრაფად მივდიოდით. გზა ბაკარისკენ მიდიოდა და ეწოდებოდა: „მთავარი გზატკეცილი № 9“. მტერის კორიანტელი ჩვენს წინ იმ მიმართულუბას გვიჩვენებდა, საითკენაც გენერლების მანქანები მიჰქროდნენ. სხვაფრივ სრული სიწყყნარე იყო. რამდენიმე დღის წინათ ამ ადგილებს, ალბათ, ყუმბარებს უშენდნენ, ამასთან უშენდნენ ძლიერად. ჰაერში ხაწნის გულისამრევი სუნის იდგა. გზაზე აღამიანის გვამები და ცხენის ლეშები გვხვდებოდნენ. რამდენიმე დატვირთული ოთხთავლა გადაბრუნებული ეგდა. იქვე გვერდზე ცხენების მუცელ-დამსკდარი ლეშები ეყარნენ. საომარი მასალით დატვირთული დიდი საბარგო მანქანა თხრილში იყო გადაყირავებული. სიკვდილის ცელს პირწმინდად მოეთიბა არე-მარე.

გზის მარცხნივ დავინახეთ ფერმის წითელ-სახურავიანი თეთრი სახლი. ქერიდან წითელი აგურიან ნაშენი სწორკუთხებიანი მილი იყო აზიდული, ისეთი, როგორსაც საბავშვო სურათებზე ხატავენ. მილიდან ბოლი აღიოდა.

მშვიდობიანი, საამო თეთრი ბოლი ეფინებოდა სახურავს. ეზოში ახალგაზრდა ქალიშვილი იდგა. ჩვენ მხოლოდ მის ზურგს ვხედავდით. ქალიშვილი ნიჩბით ნაგავს ისროდა უბითევენ, ხალაც ნაკელი იყო დაგროვებოდა. ქალიშვილი მოტრიალდა, ღობესთან მოვიდა და გაგვიღიმა. ნაზი, წითური პირი ჰქონდა და ახალი ნაკელის სუნე ასდიოდა.

— გზა თავისუფალია? — ჰკითხა ალფრედმა.

— ვითომ რატომ არ უნდა იყოს თავისუფალი?

— იყვნენ თუ არა აქ გერმანელები?

— რასაკვირველია, არ ყოფილან.

სთქვა და გაიცინა.

— იქნებ შემოხვიდეთ და თითო ჰქეა რძე დალიოთ?

მადლობა გადავუხადეთ და უარი ვუთხარი. ხელები წინსაფარით გავწმინდა.

— ხომ არ გაუვლია აქ სამ მანქანას?

გაუვლიათ. ქალიშვილს დაუნახავს. სულ რამდენიმე წუთი იქნება მას შემდეგ.

მადლობა გადავუხადეთ. გზა განვაგრძეთ. იგი ხშირი ტყით მიდიოდა. გადაწყვიტეთ, რომ ტყეში ჩვენი ბატარიები უნდა ყოფილიყვნენ, რადგან დრო-და-დრო ტყიდან არტილერიისტი გამოდიოდა და ჩრდილოეთისკენ იცქირებოდა. და უეცრად ის სამი მანქანა დავიანახეთ. სულთქმა შეგვეყრა. მივხვდით, რას ნიშნავდა მათი დაბრუნება: გენერლებმა ვერ მოახერხეს ვასსლტოვა. მათ მხოლოდ რამდენიმე კილომეტრი გაიარეს ქალაქიდან.

ტყეში პატარა სასაფლაო იყო, პირველი მსოფლიო ომის დროის ჯარისკაცთა სასაფლაო, ვარდისფერი საფლავის ქვებით. მხოლოდ საფრანგეთში თუ შეხედებით ასეთ სასაფლაოს. ბუდუარს მოგავიწყებდათ, სურნელებ-მოპტურებულ ბუდუარს. საფლავის ყოველი ქვა კობტა და ნაზი იყო, თითქოს პუდრის კოლოფიო კოპწია ქალის სსტუალეტო მაგიდაზე. ზოგიერთ ქვას ბოლი ეფინებოდა. გენერლები და პოლკოვნიკები შემოხვეოდნენ უკვე საქმოდ გავარჯარებულ კოცონს და ქალაღდებს ჰყრიდნენ შიგ. ახალგაზრდა მიიღრი მამოდიოდა საფლავის ქვებს შორის და შოფერების დახმარებით მანქანიდან ქალაღდებსა და საქმეებს მიაბრევედა. მაგრამ ყველაზე უცნაური ის იყო, რომ კოცონის წინ გერმანელი ჯარისკაცი იდგა და, ეტყობოდა, ხელებს ითბობდა.

მანქანასთან მივედით და შოფერს ვკითხეთ, რა ხდებოდა ტყეში.

— ეწვათ და ესპობთ ყველაფერს, სანამ გერმანელები მოვიდოდნენ.

— ის ვიღაა?

გკითხე და გერმანელ ჯარისკაცზე მივეუთითე, რომელსაც ახლა პირი ჩვენსკენ ჰქონდა მოქცეული. შემოგვეცქეროდა ოთხკუთხე სახე ჩანისხლიანებულ თვლებით. ოცი წლისა თუ იქნებოდა. იღიმებოდა. დაეკვირდი მის სახეს. უეცრად ენა გამოჰყო და დაიბლაღლა „ბე-ე-ე“.

შოფერმა გაიცინა.

— ჩვენი ტყეა, — მომიგო მან. — გზა ახნოდა მოწინავე ზოზიციანზე. თავით გენერალმა შეიპყრო და ახლა აღარ იცის, რა უყოს. გერმანელიც დგას და გახარებული ბღავის. ერთი საათის შემდეგ თავით წაიყვანა ტყევე გენერალს.



გენერალი დინჯად ჰყრიდა ცეცხლში ქაღალდებს. პოლკოვნიკი ჯარისკაცის შაშხანით ხელში გვერდით ედგა და მოლიმარ გერმანელს ტრაგიკულ სცენაში რაღაც უაღრესად კომიკური იყო.

გზა განვაგრძეთ. კვლავ დუმილი გვერტყა ირგვლივ. ერთი კილომეტრი ისე ვავიარეთ, რომ არც ერთი ცოცხალი არსება არ შეგვხვებოდა. იმედმა კვლავ გაიღვა ჩვენს თავში. მერე ოთხთვალა წამოგვეწია, რომელსაც არაქათ-გამოღუღული ბებერი ცხენი მოათრევდა. არავინ მართავდა, თავისით მოდიოდა, რადგან ცხენი ისე იყო ჩვენსავეთ დაღლილი, რომ გაჩერება აღარ შეეძლო. ფიცარზე ფეხებ-გადმოკიდებული სათვალისანი პატარა კაცუნა იჯდა. ეცვა ლეიტენანტის ფორმა სანიტარული ნაწილის ხავერდის წითელი წანაქერებით. ვერ გაარჩევდით, ვინ იწვა თვით ოთხთვალაში, ოღონდ ტირილი მოისმოდა იქიდან, ხოლო დრო-და-დრო მომაკვდავის ხავილი: ვიღაც არსება სამუდამოდ ესალმებოდა სიცოცხლეს.

ალფრედი ამ სამგლოვიარო ეტლის დანახვაზედაც-კი იმედით და ნუგეშით განიშსტვალა.

— თუ ისინი ჯერ კიდევ ჰგზავნიან ამ მიმართულებით დაქრილებს, მაშასადამე, გასხლტომა შეიძლება, — სთქვა მან.

ვეითზე ექიმს:

— საით მიემართებით, ექიმო?

მან მხრები აიჩეჩა და პასუხი არ გაძცა. ოთხთვალაში თავი წამოჰყრუნა. ცრემლი დასდიოდა ლოყებზე. მის სახეზე ცრემლიც-კი შავად მოსჩანდა.

— დაქრილი ხართ? — ვეითზე ჯარისკაცს.

— არა, — მომივო მან: — ძმა მომიკვდა.

ხავილი მიყურდა.

იმავე წუთს ორმა ველოსაიედისტმა ჩაგვიქროლა. გერმანელი ჯარისკაცები იყვნენ. მე და ალფრედმა ერთმანეთს გადავხედეთ. გაუშეშლით. თითქოს ძარღვებში სისხლი გამყინოდეს.

გერმანელებმა ყურადღება არ მოგვაქციეს არც ჩვენ და არც ოთხთვალას. ორივეს ავტომატი ჰქონდა მხარზე დვედით გადაკიდებული.

მე და ალფრედმა მოვითათბირეთ. უგუნძრება იქნებოდა გზის განგრძობა. ჩემის აზრით, ფერმაში უნდა დავბრუნებულიყავით და იქ გვემოვნა როგორც-მე სამოქალაქო ტანსამოსი. კარგად ვიცოლით, რომ საომარი დროის კანონების მიხედვით სამოქალაქო ტანსამოსში გამოწყობილ ჯარისკაცს იქვე, ადგილობრივ, დახვერტა მოეღოს, თუ მოწინააღმდეგეს ხელში ჩაუფარდება. მაგრამ, დასაყარგი აღარა გექონდა-რა.

მოეტრიალდით და ტყის ნაბირ-ნაპირ ფერმისკენ გავწიეთ. ვარდისფერ სპაფლათისთან გავლის დროს ფრთხილად ბუჩქებში ვავიხედეთ და, დავინახეთ, რომ ტყვე გერმანელი ველოსაიედისტებს ელაპარაკებოდა. ხელით რაღაცს უჩვენებდა შარმისკენ. შორს, იქითკენ, სადაც გენერლების მანქანები მიიშალნენ, მტერის კორიანტელი მოსჩანდა.

შვიდობით მივალწიეთ ფერმას. კარი შევადეთ და შევედით. მაგრამ ქალიშვილი მარტო აღარ იყო. სამზარეულოში ორი ფრანგი ჯარისკაცი იჯდა. ერთი რძეს სვამდა, მეორე — ლეინოს. ის, ვინც რძეს სვამდა, უზარმაზარი ტანის ქერა-თმისანი სერჟანტი იყო, ელზასელი. როგორც ყველა ელზასელი, წითელი ლოყები ჰქონდა. ცისფერ თვალებს არ ამორუნდა ქალიშვილს. იგი

გერბერს მაგონებდა და ამან უსიამოვნო გუნებაზე დამაყენა. მეორე ჯარისკაცი ძალზე მთერალი იყო. ხელებს უშენდა მაგიდას, ბუტბუტებზე წაღვას და გალომებული ადამიანის შეუდარებელი ლოგიკით მისთვის მისთვის პიტლერს დაფლეთილი შარვალი დაეკერა მისთვის: — პიტლერი ხომ მღებავია თუ რაღაც ამგვარიო. ქალიშვილი ცდილობდა წაერთმია მისთვის ლენო, მაგრამ მიუახლოვდებოდა თუ არა, ჯარისკაცი თავის მძიმე ხელს აფარებდა მუცელგამობერილ ტოლზას.

ქალიშვილი განზე გაეხმე.

რა თქმა უნდა, — გასაცხადა მან, — შექძლო მოეცა სამოქალაქო ტანისმოსა, მაგრამ ის ხომ მხოლოდ მოახლეა. სახლის პატრონები, ქმარი და ცოლი, შინ არ არიან. შვილიც სადღაც წავიდა. მალე უნდა დაბრუნდნენ, ყოველ წუთს მოველითო.

— გერმანელებიც მალე მოვლენ, — ეუთხარი მე: — განა არ დაგინახავთ ფანჯრიდან ევლოსიბედისტები?

— რა თქმა უნდა, დავინახე, — მომიგო მან. — როცა მათ ჩვენ წინ გაიარეს, ელზასელმა ხელი ვაპყო ფანჯარაში და შესძახა: პაილ პიტლერიო.

— თუ აგრეა, იქნებ სჯობდეს გავეცალოთ აქაურობას, — ეუთხარი მე. — არ გაგვიშვა.

— არა, — მომიგო მან: — ჯერ-ჯერობით შეგიძლიან ჩარდახზე დაიმალეთ. მერე სახლის პატრონებიც მოვლენ. ელზასელსკი ვეტყვი, რომ აქედან გაგრეკეთ.

ამობოდა ამას უბრალოდ და გაბედულად, დედობრივი მზრუნველობით. საეცებით უყოყმანოდ მივძლეთ მისი წინადადება. ფრთხილად ივედით ჩარდახში. წასვლისას ქალიშვილმა კრიალა კარი გაიკეტა.

ჩარდახში თამბაქოს, დამაშხული ხორცის და მტერის ამშორებელი სენი იდგა. საკვამლე მიღში ღორის ცარი ბარკალი ეკიდა. ერთ კუთხეში მოსამანდა ძველი საკერავი მანქანა, ნამვალი და დიდი ჩარჩოიანი ფოტოგრაფიული სურათი. იატაკზე გაფანტული იყო სათამაშო ქალაღი. ჩარდახიდან ვხედავდით ტყეს და გზის ნაწილს. დრო-და-დრო გზაზე გერმანელი ევლოსიბედისტი მიჰქროდა. ტყეში სიწყნარე და სიმშვიდე იყო. დაუჯერებლად მიგვიჩნდა, რომ ჩვენი სიცოცხლე გათავებულ იყო.

კარის პირდაპირ ძველი საწოლი იდგა. ფრთხილად დაგვევით იატაკზე მუზარადები და დაეწეკით. ზამბარიანი ლეები დანგრეული იყო. ძველი ზამბარის რკინები სხეულში შეგვერქო, მაგრამ ჩვენთვის სულ ერთი იყო. უმისოდაც მთელი ტანი მტკიოდა. ფეხები თითქოს წართმეული მქონდა.

— ბევრი, ბევრი, ერთი ან ორი საათის შემდეგ გერმანელები სახლს დაიკავენ. — სთქვა ალფრედმა.

საათს დავხედე. ათის ნახევარი იყო. დამე უკვე ეშეებოდა.

— თუ აქ ამოვლენ და კარს შემოამტკრევენ, ერთბაშად დაიწყებენ სროლას, — განაგრძო ალფრედმა. — იქნებ სჯობდეს ქვემოთ დავიცადოთ.

— არა, — ეუთხარი, — მე აქ დავრჩები.

ერთად ეიწეკით, გულაღმა, თავქვეშ ხელებ-ამოდებულნი. თვალს არ ვამოჩებდით კარებს.

— თუ მომკლავენ, შეატყობინე ჩემ დას, — მიკხრა ალფრედმა და მისამართი მაცნობა. — დავიწერო?



— საჭირო არ არის, ისეც დავისსომებ.

— დარწმუნებული ხარ?

— რა თქმა უნდა.

— შენ? შენ თუ მოგვალევენ?

ვაცნობე ჩემი ცოლისა და მშობლების მისამართი. დიდხანს ვიყავით ვაჭრ-
 მებულნი. ისე გატაცებით ვფიქრობდი ცოლისა და მშობლებზე, რომ ბოლოს
 მომეჩვენა, თითქოს ისინიც იქ იყვნენ, ოთახში. ისე ძლიერი იყო ეს მოჩვენე-
 ბა, რომ როგვეღვერიანი სარტყელი მოვიხსენი და ფეხმოტეხილ სკანზე გა-
 დავკიდე. ასე შეგონა, თითქოს მაძას ვაძლედი რევოლვერს.

— დავიძინოთ? — იკითხა ალფრედმა.

— დავიძინოთ! — ვუბასუბე მე.

— მშვიდობით! — გამომემშვიდობა იგი, თითქოს სადმე უნდა წასულიყოს.

— მშვიდობით! — მიუღუვე იმავე კილოთი.

ჩარდახი თანდათან ჩაინთქა სიბნელეში. ღრმად ჩაძინა.

გამადებია ყვირილი. შემოგვესა ქალის მკვეთრი ხმა:

— ჩადით ქვემოთ, გერმანელები აქ არიან.

იმავე წუთს კარი გაიღო. კიბეზე უცნობი დედაკაცი იდგა სანთლით ხელში.

— ჩქარა ჩადით, გიციდით იქ.

წამოვდექით, გავყვეით დედაკაცს. ჩავედით კიბეს და გადავლახეთ ეზო,
 სადაც ისასმინის და ნაკელის საოცარი სუნი იდგა. ზემოდან მთვარე დაგვეუ-
 რებდა. დილის ორი საათი იქნებოდა.

რაწამს ეზოდან გავედით, თვალში გვეცა ორი ჯობის ფარნის შუქი. ვე-
 ლაც ხელს მითათუნებდა ტანზე.

— იარაღი გავქვთ?

— არა მაქვს.

— წადით ღნარჩენებთან.

ამის შემდეგ შევნიშნეთ მხოლოდ, რომ გზაზე რამდენიმე ასი ფრანგი
 ჯარისკაცი იდგა. მათ შორის სამს-ოთხი ოფიცერი იყო. ამ ორი გერმანელის
 გარდა, რომელთაც ვაგენბრიკეს, იყო მესამეც, რომელსაც ავტომატი ეჭირა
 და ტყვეებს სდარაჯობდა. გრილი ნიავი საფეთქლებში მისისინებდა.

რალაც გარდატეხა მოხდა ჩემში იმ წუთს, როდესაც გერმანელებმა ხელი
 მტაცეს. ან რალაც დამემართა სიზმარში, რალაც ვადაშეყვეტი, ძირითადი,
 ურყევი. იწებ მივხვდი, რომ აღარა ვარ მექანიზმის, მოშლილი მექანიზმის
 გორგოლაჟი, რა ამიერიდან ჩემი ბედი მხოლოდ ჩემზე იქნება დამოკიდებუ-
 ლი. არ ვიცი. ეს კია აღარ მესწაროდა. უკუვადე ყოველივე აზრი თვით-
 მკვლელობაზე. მთელ ჩემს არსებას უდიდესი სიმშვიდე, სიხარულით აღსავ-
 სე სიმშვიდე დაეფულა.

შუბლიდან თმა გადავიყარე. და როცა გერმანელმა უნტერ-ოფიცერმა
 იკითხა, ხომ არავენ იცის აქ გერმანული, რამდენიმე ნაბიჯი წარვსდგი და
 წამოვიძახე — მე ვიცი-მეთქი გერმანული, რამაც სენკევიჩს ზარი დასცა.

შევეცადე რაც შეიძლებოდა მეტად მიმებაძა ფრანგული აქცენტისათვის.

— კეთილი, — თქვა უნტერ-ოფიცერმა, — გამომყევით!

ტყისკენ წავედით. მიბრძანა, რამდენიმე ცხენი ამეხსნა და ფორანში
 შემება.

— თქვენთვის ახლა ომი გათავებულია, — მითხრა.

რალაც ვუბასუბე.

— ეს ყოჩაღია! — გაიხუმრა უნტერ-ოფიცერმა. გასაფრთხილებლად წამდაუწუმ რევოლვერს მიმიზნებდა.

დიად, ყოჩაღი, — გავიფიქრე: — აი ჩემი ბედი! მაშ ასე. არ ვუღალატებ ჩემ როლს. ბოლომდის მტკიცედ ჩავატარებ. დავაღწევ თავს.. რაღაც უნდა დამიჯდეს.

და შევუღებო როლის შესრულებას.

როცა ტყეს გავცდით, უნტერ-ოფიცერმა თავის ამხანაგთან შოითათბირა. შემდეგ ავტომატიან გერმანელს უბრძანა:

— წაახი ეს ბრბო შტაბში. ჩვენ კიდევ გვაქვს აქ საქმე. მარტოს ხომ არ შეგეშინდება?

— არა, არ შეგეშინდება.

— უიარაღონი არიან. ეგეც არ იყოს, უხარიანთ, რომ ბრძოლა აღარ მოუხდებათ.

უნტერ-ოფიცერი მე მომიბრუნდა:

— თქვენ ჩვენთან დარჩებით. იქნებ დაგვეირღეთ.

— კეთილი, — მევუბე მე და დავუმატიე: — შეიძლება ჩემი ამხანაგიც დარჩეს ჩემთან?

— რა შენადვლება, დეე, დარჩეს!

სენკევიჩის ვანიშნე, დარჩენილიყო. აღრევე ნათქვამი მჭონდა წისთვის, თავი ისე დაეჭირა, ვითომ გერმანული სრულიად არ ესმოდა.

ჩვენ, ოთხნი, ფერმაში დავბრუნდით: გერმანელი უნტერ-ოფიცერი, ეფრეიტორი, ალფრედი და მე. დიასახლისი ჭისკართან დაგვხვდა და აკითხა — ხომ არ ინებებენ „პატონები“ თითო ჭიქა რძესაო. სახლში შევედით. მოხუცი სახლის პატრონი ლამპართან იჯდა, ხელები მაგიდაზე დაედო. უსიტყვოდ წამოდგა და თავისი ადგილი დაგვითმო. მოახლემ ახლად მოწყვლილი რძე შემოიტანა. როდესაც გვერდზე გამიარა, მითხრა: ჯერ კიდევ ყველაფერი არ არის დაკარგულიო.

— რა სთქვა? — იკითხა უნტერ-ოფიცერმა.

— მკითხა, რძეს ხომ არ დაღვეო, — სწრაფად მივუვე მე.

გერმანელები მაგიდას მიუსხლნენ. მე განვაგრძობდი ფეხზე დგომას. მზად ვიყავი საბრძოლველად. პირველად ვხედავდი ასე ახლო მტერს, ომი იქნებ ვათავდა კიდევ. მაგრამ პირაი ჩემი ომი მხოლოდ იწყებოდა. ოღონდ არ დავბრუნდე, სიმტკიცემ არ მიღალატოს, — გავიფიქრე გუნებაში. — ფრთხილად უნდა ვიყვე, სისულელე არ უნდა ჩავთინო.

— დასხედით, — გვითხრა უნტერ-ოფიცერმა.

ერთბამად ზრდილობიანი გახდა.

სულ ახალგაზრდა იყო. უჩარჩო სათვალეს ატარებდა. ჰგავდა კარიკატორულ გერმანელ სტუდენტ-კორპორანტს. პაწაწა პირი ჰქონდა. ისე აცმაცუნებდა მას, თრთქოს რაღაც საძაგელ სულს იყნოსავსო; ეფრეიტორი, პირიქით, მაგარი. ჩამსყენელი კაცი იყო საღისისის უსიამოვნოდ გაჭვავებული თვალებით. შემდეგში ასეთ თვალებს ხშირად ვხვდებოდი ახალგაზრდა გერმანელთა შორის. ის იყო ლოთის თვალები, რომელიც უარყოფი დასტოვეს, მორტიწის-ტის თვალები, რომელსაც მორთვის დოზა შეუღმცირეს.

— დღეს, აღბათ, ორასიოდე ტყვეს კიდევ ჩაივადებთ ხელში. — სთქვა უნტერ-ოფიცერმა და ყვაველზე-ამოქარგულ ზავერდის სუფრაზე რუჟა გა-

შალა. ეს იყო საფრანგეთის გენერალური შტაბის უკანასკნელად გამოშვებული რუკა. მთელი კვირეების განმავლობაში ამოდ ვცდილობდი მასსავე დაკვირვების ხელში ჩაგდებას ჩემი სამეთვალყურეო საგულშაფოსთვის. გიგანტური

— შარში უკვე დაკავებულია? — მკითხა ეფრეიტორმა.

— მამბივით, არ ვიცი.

— დაეიკავებთ თუ არა ქალაქს, ბატონო უნტერ-ოფიცერო? — ჰკითხა მან თავის უფროსს. მის ზმავში იმდენი ურცხვობა მოიხმოდა, რომ სისხლი თავში ამიჯარდა.

— რატომაც არა, მაგრამ მანამდე ორასიოდე ფრანგი უნდა გამოეყაროთ ტყიდან, — მიუგო უნტერ-ოფიცერმა, რძე დალია და საბლის პატრონს მიუბრუნდა. — ახლა ომი მალე დამთავრდება, — სთქვა მან მოწყალე კილოთი.

მოხუცი გაშვებული თვალებით შეპყურებდა, თითქოს არა ესმოდა-რა არაფერი არ შერბეულა მის მშვენიერ სახეზე.

— გადაუთარგმნეთ!

გადაუთარგმნე. მოხუცს მაინც ხმა არ ამოუღია. ეფრეიტორმა დაუმატა:

— ახლა ჯარს ინგლისში გადავსხამთ. ორ კვირის შემდეგ ბოლოს მოვუღებთ იმ ტილიან რამზადებს. — მერე მე მომიბრუნდა: — გადაუთარგმნეთ!

გადაუთარგმნე.

— სთქვი რამე! — მიმართა ცოლმა ქმარს და გვერდში ხელი წაჰკრა.

მაგრამ მან დანაოქებელი ხელები მუხლებზე დაიდო და ხმა-კანტი არ დასმრა.

ამ დროს ჩვენი ყურადღება სულ სხვა რამზე მიიქცია: გარედან რაღაც ღრუტუნის მოიხმა. მერე კარი გაიღო და ვიღაცის თავი გამოჩნდა. ზრინწიანმა ხმამ წამოიძახა:

— ინებოს თქვენმა პიტლერმა და შარვალს დამიკეროს!

და ამ სიტყვების განსამარტებლად ჯარისკაცი მიტრიალდა და დახეული შარვალის დაგვანახვა. ნახევებში მიშველი ხორცი მოუჩანდა.

ეფრეიტორი ფეხზე წამოვიარდა. მან ვერ გაიგო, რა სთქვა მთვრალმა, გაიგონა მხოლოდ თავისი ფიფქურის სახელი და დაინახა უხამსი ქუსტი, რეგოლვერი, მოიქცია და რაც ძალი და ღონე ჰქონდა სთხლიშა თავში მთვრალს. ეს უკანასკნელი უხმოდ გაიშხლართა იატაკზე. უნტერ-ოფიცერმა და მისმა ხელქვეითმა გადაალაჯეს მთვრალის სხეულს და გარეთ გავიდნენ, თან მე და სენკევიჩის გვიანიშნეს გავყოლოდით.

როდესაც ქუჩაში გავედით, ეფრეიტორმა სთქვა:

— ორასიოდე ტყვეს კიდევ უნდა მოვუყაროთ თავი. ჩვენ-კი ორნი ვართ. ტყვეში ვერ შევალთ. წახვალთ თქვენ და მალ-მალ დაიძახებთ „ომი გათავდა! გამოდით!“ ზომ გესმით?

ძალიან კარგად მესმოდა. მაგრამ ისე მოვიჩვენე თავი, თითქოს ვერა გავიგე-რა.

— განა ომი მართლა გათავდა? — ვკითხე მე.

დრო უნდა მომეგო, მომეფიქრებინა რამე.

— არა, — მომიგო მან: — მაგრამ იმათთვის, ვინც გამოვი, გათავებულნი იქნება. ისინი ჩვენთან დარჩებიან, — ჩუმად ჩაიციხა და დაუმატა: — ამა, წადით!

მორჩილად ვაეწიე ტყისაკენ. ჩემთვის გავიფიქრე: თუ დავიძახე: „La guerre n'est pas finie! Ne bougez pas!“¹ გერმანელი ვაიგებდა, მაგრამ ამიტომ წინადადება სხვანაირად ავაგე:

— La guerre continue! Bougez pas!² — დავიძახე მე.

ტყე განაბული იყო. არ ისმოდა ჩამი-ჩუმიც-კი. განვაგრძეთ გზა. მთვარე უკვე ჰქარგავდა შუქს. მხოლოდ ჩემი ხმა გაისმოდა ტყის მღუმარებაში.

უეცრად ეფრეიტორი შეჩერდა. მისი კუთხოვანი ფიგურა ჩემსკენ გაღმობიარა. წუთით თვალებში შევხედე.

— რას იძახდით? — მკითხა.

— „ომი გათავდა! გამოდით!“

— მჰ! — ჩაიბურტყუნა და ნერწყვი გადაყლაპა. დამიჯერა. ვერ წარმოედგინა, რომ ვაებნდავდი და მის წინააღმდეგ წავიდოდი.

ტყე, რომელიც გარს გვერტყა, სავესე იყო ხალხით, იარაღით, სამხედრო მასალით. თითქმის შესმოდა ათასი სულდგმულის განაბული სუნთქვა.

ჩემს გვერდით უნტერ-ოფიცერი მიდიოდა. უეცრად შეჩერდა: ტყის პირას ათიოდე ველოსიპედი ეგდო.

— ეს რა არის? — იკითხა მან და სათვალღდან უნდობლად დამაცქერდა. — ტყეში ჯარისკაცები უნდა იყვნენ. ბბა, ერთი კიდევ გასძახეთ!

ბრძანება შევასრულე. მაგრამ სიჩუმე არ დარღვეულა.

— რას ნიშნავს „guerre“? — მკითხა უნტერ-ოფიცერმა.

— ომს.

— „continue“?

— გათავებულია.

— კეთილი.

მაგრამ ადგილიდან მაინც არ იძვროდა.

— ეს ველოსიპედები რაღაა?

— ჯარისკაცებმა, ალბათ, გაქცევის დროს მიატოვეს. — მივუხე მე. — ასეთ უწესრიგობისას...

მოეწონა სიტყვა „უწესრიგობა“. ფრანგების მიმართ ნაბზარი. ეტყობა, ვერ მიხვდა, რომ გაქცევის დროს არაფერ არ მიატოვეს მიმოსვლის საშუალებას. ეს სისულელე იქნებოდა. კვლავ განვაგრძეთ შემოვლა.

მივედით რკინიგზის ლიანდაგთან, შარშის მახლობლად, რომელსაც ისეთი აშედიტ გავუარეთ მე და არნოლდმა რამდენიმე საათის წინათ. ლიანდაგზე ცეცხლ-წყაიდებული ტანკი იდგა. ეფრეიტორი ტანკზე ავიდა და უეცრად შეპყვირა:

— იქ ოფიცერია, თავი მოუტლავს!

— ალბათ, მანვე წაუქიდა ცეცხლი ტანკს, — გამოეხმაურა ბრაზიანად უნტერ-ოფიცერი.

ეფრეიტორი გამტერებელი ჩაპყრებდა ტანკს. ალი თითქმის ულოკავდა სახეს. ვხედავდი, როგორ დაიხარა იგი და რაღაცას გამოსწია. გაუჭირდა, კბილები დააკრაქუნა. ბოლოს სახე-გაბრწყინებული ტანკიდან გადმოხტა.

— ავაცალე, — სთქვა მან.

ბელში რევოლვერი ეჭირა, რომელიც მკვლარ ოფიცერს გამოჰკლიჯა.

1) ომი არ გათავებულია! არ გამოხედიეთ!

2) ომი გრძელდება! არ გამოხედიეთ!



ლიანდაგს გადავედით. გერმანელებს ავტომატები გასასროლად გამზადებული ეკირათ.

უეცრად სიბნელეში ფრანგი პეომაჩი გამოჩნდა. გერმანელებს ავტომატები დაუმიზნეს, შეჭყვირეს:

— ხელები ზევით!

ფრანგმა ხელები ასწია. უიარაღო იყო. ვიცანი: კოლონიური ჯარის ადიუტანტი იყო.

— ნება მომეცით, მოგპართოთ თხოვნით, — სთქვა ოფიცერმა.

გადავთარგმნე.

— გენერალი მინდა ვნახო, — განაგრძო მან: — გენერალი დაპატიმრებულია, აგერ იქ ზის, სარდაფში.

— მაშ შარში ოკუპირებულია?

— რასაკვირველია.

— რად გინდათ გენერალი? — ჰკითხა უნტერ-ოფიცერმა.

— ორდენს დამპირდა. მინდა შეასრულოს დანაპირები.

არ ვიცო, რას მიუგებდა გერმანელი, მაგრამ სწორედ იმ წუთს მოისმა „ჰაილ ჰიტლერ!“ მოისმა ეს სიტყვები ხეხილის ბაღიდან, სადაც რამდენიმე საათის წინათ მე და სენკევიჩი ვისვენებდით.

გერმანელებმა ბალი ხელის პატარა ფარნებით გაანათეს. წინ წამოვდგა ფრანგულ ფორმაში გამოწყობილი ჯარისკაცი. ხელები ასწია.

— ჰაილ ჰიტლერ! — გაიმეორა მან.

— ჰაილ ჰიტლერ! — გამოეხმაურნენ გერმანელები.

ერთხანს ჩუმად იდგნენ და ერთმანეთს შეჭყურებდნენ. საოცარი სანახაობა იყო: პირიპირ იდგა ხელებაწვდილი ორა კაცი — ერთი ფრანგულ, მეორე გერმანულ ფორმაში. ფრანგი ჯარისკაცის უკან თვალებ-დაჭყეტრილი ადიუტანტი იდგა. მე და სენკევიჩი გერმანელების უკან ვიდექით. მთელ ამ სურათს ანათებდა აღმოდებული ტანკი, საფლავი ფრანგი ოფიცრისა, რომელმაც არ მოისურვა ამის დანახვა.

— თქვენ, ალბათ, გეშეიებათ, — სთქვა უმწიკლო გერმანულ ენაზე ფრანგმა ჯარისკაცმა. მან არაფერთარი ყურადღება არ მოგვაქცია მე და სენკევიჩს. — უკვე მოგიზნადეთ ვახშამი.

გერმანელებმა მადლობა გადაუხადეს. ჩავახველე, რათა ყურადღება მოექციათ ჩვენთვის. უნტერ-ოფიცერი ჩვენსკენ მობრუნდა.

— თქვენ ახლა ფორმაში დაბრუნდით. შევიძლიანთ ღამე იქ გაათიოთ. ბევალ დილით დაუსხელით პირველსავე გერმანულ საბარგო მანქანას, რომელიმე ბანაკში წავიყვანენ.

შემდეგ ისინი ფრანგულ ფორმაში გამოწყობილ კაცს გამოელაპარაკნენ:

— ჩვენ აქ დავჩნებით, — სთქვა ეფრეიტორმა: — იქ, ალბათ, კიდევ იმალებიან გენერალები.

ვთხოვე მოეცათ საშვები, რათა დაუბრალოდებლად შეგვძებოდა ფორმაში მისვლა. უნტერ-ოფიცერმა უბნს წიგნაკიდან ფურცელი ამოხია და გვარო მკითხა. იმ წუთს გამახსენდა მხოლოდ, რომ ვერ მოვასწარი ეტონის მოხსნა მაჯიდან ჯა სამხედრო ბილეთის მოსპობა. ერთ წაშს შევყოყმანდი მხოლოდ.

— თქვენი გვარი? — შემგკითხა კვლავ უნტერ-ოფიცერი.

— ჩემი გვარი... ჩემი გვარი...

ფრანგულ ფორმაში გამოწყობილმა ჯარისკაცმა შემოხვედა. სამკუთხე წარბები ჰქონდა, ისეთი, როგორიც დაბატულ ეშმაკს აქვს.

— დიაბლი, — მივეუბნე მე: — თან დიაბლი.

გერმანელმა ჩასწერა. არც-კი შემოუხედნია.

— თქვენ? — მიმართა ახლა სენკევიჩს.

ალფრედის მაგიერ მე მივეუბნე:

— ჩემ ამხანაგს ალფრედი ეწოდებოდა... ალფრედ პოლონე.

უნტერ-ოფიცერმა ესეც ჩასწერა. მერე ვადმომცა ქალაღლი, სადაც ეწერა: „სერჯანტი თან დიაბლი და ჯარისკაცი ალფრედ პოლონე ჩემი თარჯიმნები არიან. ნება ეძლევათ ღამე ფერმაში გაათიონ. დილით მოვალენი არიან გერმანელთა მახლობელ საგუშაგროში გამოცხადდნენ“. ადგილი, რიცხვი, ხელმოწერა.

მადლობა გადაეუხადე და განუშორდით. ოთხივენი, ორი გერმანელი და ორი ფრანგი, თვალთაგან მიგვეფარნენ. როდესაც ტანკთან მივედი, შეჩერდით. მე და ალფრედმა ერთმანეთს გადავხედეთ. თითოეულს ჩვენგანს კარგად ესმოდა, რას ფიქრობდა მეორე.

დავიცადეთ, სანამ ირგვლივ ყველაღერა მიყუჩდებოდა. შემდეგ სენკევიჩი ტანკზე ავიდა. შიგნით ცეცხლი გუზგუზებდა. თანაბრად იწოდა ცეცხლი, თითქოს ნავთქურას უკიდიაო. სენკევიჩი დაიხარა ტანკის იმ ნაწილისაკენ, რომელსაც ცეცხლი ჯერ არა ჰქონდა მოღებული. ერთი წუთის შემდეგ კვლავ ამოიმართა.

— ძალზე მძიმეა, — სთქვა მან და იდღიაში ამოდებული მკვდარი ამოათრია.

მშვიდი სახე ჰქონდა ლეიტენანტს. ნაოჭები აღარ ემჩნეოდა. მხოლოდ პირის ერთი კუთხიდან, ნაზი და მოზღვნილი პერის კუთხიდან, სისხლის წეროლო ნაკადი წითელი ზოლივით მიიმართებოდა ქვემოთკენ. ამ ნაკადით სისხლი ეშვებოდა ნიკაბზე, კისერზე, ფრენჩზე. ალი ნაირ-ნაირად ღებავდა და სიცოცხლით მოსავდა ნაზ სახეს. მხოლოდ თმა შესტრუპოდა ალის პირველი ამოვარდნის დროს.

ოფიცრის სხეული მთელი თავისი სიმძიმით ჩემს მხრებზე დაეშვა. ჯერ-ჯერით მიგვექონდა. როდესაც ნაბიჯს აეუჩქარებდი, ოფიცრის უკან გადავდებული ხელები ზურგში მცემდნენ. თენდებოდა.

ტყის პირად, ქალაქ შარმის სადგურის ქუჩიდან ოც ნაბიჯზე დაეასაფლავეთ ოფიცერი, უმცროსი ლეიტენანტი რენე პიერ დიუვალი. დაბადებული 1913 წლის 10 მაისს სენ-რაფაელში (ზღვის პირის ალპები). მის სამხედრო ბილეთში მისამართი აღმოჩნდა. საბუთები, საათი და ვინაობის ეტრონი დიასახლისს გადაეცემა და ვთხოვეთ გადაეგზავნა ისინი დედისთვის. დაგვიპირდა, რომ პირველ შეძლებისთანავე შეასრულებდა ჩვენს თხოვნას. ვიმედოვნებ, რომ დაპირებას არ უღალატებდა.

ოთხი საათი იქნებოდა, როცა ფერმას მივადწიეთ. საბლი ჩაბნელებული იყო. ეზოში შევედით. დავეაკუნეთ. ფანჯარა გაიღო და სანთლით ხელში დიასახლისი გამოვიდა. ღამის გრძელ პერანგი ეცვა. აუხსენი, რომ ფერმაში ღამის გათევის ნება მოგვეცეს. დიასახლისმა ალფრედი მეორე სართულში წაიყვანა, ჩემთვის-კი მოახლეს სასაძილო ოთახში დააგებინა ლოგინი. ვთხოვე მოახლეს, არ გავედვიძმინეთ დილაზე.

მარტო დაერჩი სასადილო ოთახში. მაგრამ მალე მოახლე დამბუნდა სა-
თელი მოიტანა და მაგიდაზე დადგა. შემდეგ ახლად დარეცხილ თეთრი ზეწრები,
ბალიშები და საბნები შემოიტანა. მოახლეს უფროსი ქალიშვილი
ბული ბალახის სუნი ასლიოდა. თავათაც ძალ-ღონით სავეს ახალგაზრდა იყო.
სახელად ივეტა ერქვა.

მთელი მეორე დღე იმის ცდაში გაეატარეთ, რომ როგორმე სამოქალაქო
ტანისამოსი გვეშოვნა. დილიდანვე ჩარდახს შევაფარეთ თავი. გერმანელებს
უკვე მთელი ოლქი დაეჭირათ. ივეტამ, რომელიც ხშირად დაგვეხდავდა
ხოლმე, გვიბრა, რომ გერმანელებმა ფერმაზე სამზარეულო გამართესო.
ეზოში უკვე იდგა ცეცხლზე უხარმამბარი ქვაბი, და გერმანელები წამდ-
უწუმ შემოდოდნენ და გადიოდნენ. იქამად ისინი ტყეს ჩხრეკოდნენ, თავს
უყრიდნენ მარტოხელა ჯარისკაცებს, აგროვებდნენ იარაღს და საომარ მასა-
ლას, მუშაობდნენ ატომანქანების შეკეთებაზე. ივეტამ რამდენჯერმე სთხო-
ვა სახლის პატრონს, მოეცა ჩვენთვის სამოქალაქო ტანისამოსი, მაგრამ იგი
ჯერჯერობით უარს ეუბნებოდა. ივეტა შეეცადა, ძველი ჩურებიდან რაიმე
სამოსი მოეგვარებინა ჩვენთვის, მაგრამ არა გამოუვიდა-რა. მერე გადმოგე-
ცა გავონილი ხმა, რომ გერმანელები აკაგებენ გასაწევი პასაჟის მამაკაცებს,
არა ჯარისკაცებს, ამასთან მათ უფრო ცუდად ეპყრობიან, ვიდრე სამხედ-
როებსო. ყოველივე ამის მიუხედავად, ჩვენ მტკიცედ გადაწყვიტეთ, რო-
გორმე დაგვეძვრინა თავი გარემოცვისაგან, მაგრამ ამისთვის უპირველეს
ყოელისა სამოქალაქო ტანისამოსი იყო საჭირო.

საწოლებზე ვიწეკით, ძალიან ცოტას ვლამაარაკობდით და თითქმის სრუ-
ლებით არ ვმოდირაობდით: როგორც ივეტამ გადმოგვცა, ჩვენი ფეხის ჯმა
ქვემოთ, სამზარეულოში ისმოდა თურმე და ერთ-ერთ გერმანელს, მზა-
რეულს, ეთქვა კიდევ, ვინ არის „ჩემს თავზე რომ დაალაგებს“-ო. ეს გერმა-
ნელი ძალიან გაბრაზებული იყო ინგლისელებზე და მოუთმენლად ელოდა,
როდის ჩაუვარდებოდნენ ზელში ალბიონის ძენი, რომ შითი ჯაფრი ამოეყა-
რა. ამ მზარეულს ეთქვა ივეტასთვის, რომ სახლში ოცი კაცი დაბინავდება
და რომ ჩარდახი უნდა გაანთავისუფლოთო.

არც სხვადრივ იყო ჩვენი მდგომარეობა სანუგეშო. ერთხელ ჩვენიან დია-
სახლისი ამოვიდა, მაალად გაფითრებულად და აკანკალებული. გვემუღარე-
ბოდა, რაც შეიძლება ჩქარა ვაცლოდით მათ სახლს. სრულიადაც არ ვვიინდა
მე და ჩემი ქმარი სიცოცხლეს გამოგვისალმონო. — დასძინა ბოლოს შეწუ-
ხებულმა.

დღის ორ საათზე ივეტამ ცხელი რძე და პური ამოგვიტანა და გვიბრა,
გერმანელები მიდიანო. გვესმოდა მათი ჩექმების ჭრაჭუნის ხის კიბზე და
მთი ლამაზი დუღლუნა ხმით, რომელიც თითქმის არ განირჩეოდა ჩექმე-
ბის ჭრაჭუნისაგან.

ბოლოს ყველაფერი მიყუნდა. მე და ალფრედა ფრთხილად ჩავედით ქუჩ-
ვით. დიასახლისი სამზარეულოში მუშაობდა. უცხვირპირო დედაკაცი აყო,
ჩანშიშესული, დადილი, დამწუხრებული სახით და უკან გადავარცხნილი
თმით. გვთხოვა დაგვეცადა ქმრისთვის. ისინი, ქმარი და შვილი, საქმეში
არიან გართულნიო. თურმე ცხენი ჩაეარდნოდათ სასუქის ორმოში და იმის
ამოსათრევად წასულდევნენ. მთელი ათი წუთის განმავლობაში, უძვირფასესი
ექვსასი წამის განმავლობაში ცხენზე და სასუქის ორმოზე გველაპარაკებოდა.
ეს თემა მას, ალბათ, უფრო მნიშვნელოვან და საგულდასმოდ სავნად მიაჩნდა,

ვიდრე შშობელი ქვეყნის დამარცხება და ოკუპაცია. ეს კია მისმა ლაიბობამ ერთგვარი შეება მომგვარა. გულში სიცოცხლეს ვეთხოვრებოდა და რაღაც საამო ტყივილს განმაცდევინებდა ყოველივე ის, რაც სიცოცხლესა და ცხოვრებას ეხებოდა, ისეთ ცხოვრებას, სადაც არ იყო ომი, სიძულვილი, ის, რაც სამძიმო და საქნელოა. ამ გამოთხოვებაში ადვილი არა ჰქონდა შიშს, მხოლოდ ნერვები შქონდა დაძაბული და ყველაფერს უაღრესი სიმძაფრით და სიცხადით განვიციდობდი.

ბოლოს მოვიდა სახლის პატრონი. ჩალის დიდი ქუდი ეხურა. ხელები სასუქში ჰქონდა ამოსვრილი. უდრეკი თვალები მიწას აგონებდნენ კაცს. მთელი მისი გაჩვენობა, დადიოდა თუ იჯდა, ცხადად გარწმუნებდა, რომ ცხოვრება არ შეჩერდება, რომ იგი კვლავ გაგრძელდება. რაც უფრო ნათლად ვხედავდი ცხოვრებიდან ჩემს წასვლას, რაც უფრო ღრმად ვაკვირდებოდი ჩემი მდგომარეობის გამოუსვლელობას, მით უფრო ცხადი ხდებოდა ჩემთვის, რომ ქვეყნის არსებობა არ შეჩერდება, არ შესწყდება მას შემდეგ, როცა მე დავიღუპები. უცნაური იყო, მაგრამ ძალას მმატებდა სწორედ ეს ცხოვრება, რომელიც მე მშორდებოდა. სანამ მე ტყვედ ვიქნები, სხვები განაგრძობენ თავიანთი საქმის კეთებას და ეს მინერგავდა რწმენას, რომ ოდესმე ჩემთვისაც აღმოჩნდება ადგილი დედამიწაზე.

ერთხანს სახლის პატრონმა ვერ შეგვიშნა ვერც ჩვენ, ვერც წაგებული ომი. ლაპარაკობდა ორმოში ჩაყარდნილ ცხენზე:

— შენი შეილი, — მიმართა მან ცოლს, — ჯერ კიდევ ფუსფუსებს იქ.

და მხოლოდ ამის შემდეგ მობრუნდა ჩემსკენ მოხუცი.

ავუსხენი ჩვენი გეგმა და ვთხოვე, მიეცა სამოქალაქო ტანისამოსი, შემდეგ ან დავეტოვებინეთ როგორც თავისი მოჯამაგირეები, ან გავეწვიოთ. განუმარტე, რომ ჩვენ ვამჯობინებთ რამდენიმე დღით დარჩენას. შეიძლება დროებითი ზავი დაიდოს და მაშინ წასვლა გაადვილდება-მეთქი, დავუმატე მე.

მდუმარედ მიგდებდა ყურს. მაგიდას ეჯდა, ჩიბუქს სწევდა და ხმას არ იღებდა. მის სკამზე დაყრდნობილი ცოლი მხრებს უკანიდან შემოგვეყურებდა.

— ჰმ იქნებ რამე გაეაწყუთ, — სთქვა ბოლოს. — ჩვენ, ფრანგები, მოვალენი ვართ დავეხმაროთ ერთმანეთს.

— ხომ არ ვინდა კედელზე მიგაყუდონ და ტყვია მოგაყრან შუბლში? — შეედავა ცოლი.

— არა. მაგისტანა რამეები ეგრე სწრაფად არ კეოდება.

შევეცადე მხარი დამეჭირა ან თვალსაზრისისათვის.

— თუ არა ვსურთ დავეტოვოთ, — ესთქვი მე: — ახლავე წავალთ, ისე გავწორდებით აქალობას, რომ ვერავინ გაიგებს, ვინ მოგვცა ტანისამოსი.

— ჰო, — დავვიდასტურა გლენხმა. — ვერავინ ვერ გაიგებს.

ცოლი გვერდით მოუჯდა ქმარს. ორივეს მუხლებზე ედო ხელები, შრომით გაწამებული ხელები. ისე უცნაურად ჰგავდა ერთმანეთს ეს ორი წყვილი ხელი, როგორც მათი ერთად შებერებული სახეები.

უეცრად ცოლმა გვეითხა:

— სადაურები ხარ, საფრანგეთის რომელი კუთბიდან?

შევეყოყმანდი. მერე მივუხვი:

— მარინეებიდან.

ბელეზი არ შეტოვებულან. მაგრამ ექვმა-კი გაიფლავა დედაკაცის უფროსი თვალებში.

— პირინეებიდან? რაღაც არა ჰგავს...

გაუჩუმიდა. პატარა ფანჯრიდან ვხედავდი, როგორ ჩაიჭროლებდნენ ხოლმე ველოსიპედისტები: გერმანელი ჯარისკაცები განუწყვეტლივ მიმოდიოდნენ ფანჯრის წინ. ხშირად მიხდებოდა თავის დახრა, რათა გერმანელების ყურადღება არ მიმექცია. სენკევიჩმა მთელ თავის შპერმეტყველებას მიმართა. გულხმა დიდი წითელი ცხვირსაბოცათ ოფლი შეიწმინდა შუბლზე, მერვ მცირედ ჩაფიქრდა და ცოლს მიმართა:

— უფალმა ღმერთმა გვიბრძანა, დავეხმართ მოყვანათ.

— რაღაც მეტად საუცხოოდ ლაპარაკობს ეს ბატონი ფრანგულად, — მიუგო ცოლმა.

მოხუცი წამოდგა.

— საუცხოოდ თუ არა საუცხოოდ, მე მაინც დაგეხმარებით. ივეტა! მივეტა!

ივეტას ეძახდა, მაგრამ ივეტას მავიერ მოხუცის შვილი შემოვიდა ოთახში. მთლად სასუქში იყო მოსერილი, მაგრამ თვალებს მხიარულად აცამცივებდა

— მამა, მამა! — შესძახა მან.

— ამოათრიეთ ცხენი?

— ჰო, ამოვათრიეთ, — მიუგო შველმა. — ჯარისკაცები დამეხმარნენ. მაგრამ ეგ არაფერია: მათ ორი სხვა ცხენი დამიტოვეს. სადღაც ეპოვნათ. წავიდეთ, ჩქარა!

დედა კარებს მივიარდა. მამამ აუჩქარებლად, დარბაისლურად ქული დაიხურა. მაგრამ თავი მაინც ვერ შეიკავა და გასვლისას დაუსტვინა.

პარტოდ დარჩენილებმა ერთმანეთს გადახედეთ. ამჟამად, ცხადად ვიგრძენით, რომ ორი ცხენი ორ ადამიანზე ბევრად უფრო ძვირფასი იყო.

ჩმა არ ამოგვიღია. სენკევიჩი წინ და უკან დააბოტებდა ოთახში. ბოლოს ვუთხარი:

— დაჯექ, თორემ ქკუაზე შემშლი!

და კვლავ პირი დავიდუმეთ.

არ ვიცვი, რამდენმა ხანმა გაწვლო. ბოლოს, დიანახლისი დაბრუნდა.

— ახლა-კი, — დაიწყო მან და ჩვენსკენ მოიხედა.

სმენად გადავიქცეთ.

— ახლა-კი, — განაგრძო: — წასვლა მოგეხდებათ. ტყვეობაში მაინცა და მაინც ცული არაფერია. გერმანელები ამბობენ, ომი ორი კვირის შემდეგ გათავდებაო. შაპიროსკებით გაგვიპაპინებდებით.

ქურათან იდგა, ჩვენსკენ ზურგ-მოქცეული. მივხედით, რომ დავიდუმბენით. მოვიგდებინეთ მაჯიდან ვინაობის ქეტონები და ცეცხლში გადავარჩოლეთ. დედაკაცი გაოცებული შემოგვეყურებდა. ჩმა არ გავეცით, არ შევედუმეთ ახსნა-განმარტებას. ამის შემდეგ ქურაში ჩავეყარეთ და ცეცხლს მივეცით ჩენი ქალადები. სამხედრო ბილეტებს ტაკა-ტაკი ვაჰქონდათ ცეცხლში. დავხიე კონვერტებიც. დავიტოვე უფრო ძვირფასი წერილები. გავწირე აგრეთვე ჩემი, როგორც მეთვალყურის, ჩანაწერები და ჩანახატები. სხვათა შორის, ვადაღებულა მქონდა გერმანული თვითმფრინავები. ბოლოს, გავიხსენეთ სენ-პრისის დარჩება და ფრენჩებს და მასწარებს ავაჯლიჯეთ შექმნეს

პოლკის ნომრები. ფრენსს შერია მწვანე ძაფები, რითაც ნომერი იყო მიყვრებული. მწვანე ფერი მიკუთვნებული ჰქონდათ მარტო უცხოელთა ლეგიონს და უცხოელ მოხალისეებს და მარტოდენ ამ ფერს შეეძლო დაველოდეთ, ამიტომ დავაბეიე ფრენჩი და ცეცხლში გადავუძახე. ტანზე დავიტოვე მხოლოდ პულოვერი, ცოლის საჩუქარი, და მანარა, რომელსაც დანაყვრები ისე ავაცალე, რომ მწვანე ფერის კვალაც-კი აღარ დამიტოვებია.

ამის შემდეგ გავუღებით გზას. ქალებმა შემოგვაძლიეს პაპიროსები, შოკოლადი, კარაქი, ყველი.

ყველაფერზე უარი განვაცხადეთ.

ეს იყო ჩვენი უკანასკნელი სულერი მობრახობა, რაც ჩვენს ადამიანურ ღირსებას ადასტურებდა.

მთარგმნელი ილია ავლაძე.

(გაგრძილება შემდეგ ნომერში)

3. გორბაქი

ჰამზათ ცადასა

მიმდინარე წლის 10 თებერვალს, ქ. მახაჩყალაში, დაღესტანის საზოგადოებრიობამ, ძომვე რესპუბლიკების წარმომადგენლებთან ერთად, იდღესასწაულა დაღესტანის სახალხო პოეტის, — ორდენოსანის ჰამზათ ცადასას პოეტური მოღვაწეობას ორმოცდაათი წლის იუბილე.

ჰამზათ ცადასას შემოქმედებას ქართველი მკითხველი ნაკლებად იცნობს. რუსულ ენაზედაც ცადასას მხოლოდ ათიოდე ლექსია თარგმნილი.

პოეტი და დრამატურგი ჰამზათ ცადასა თანამედროვე საბჭოთა ავარიული ლიტერატურას ფუძემდებელია.

ცადასას ბიოგრაფია მკიდროდ არის დაკავშირებული ავარიის ხალხის ცხოვრებასთან.

იგი დაიბადა 1877 წელს ღარიბა მთიელი გლეხის — უზდენის ოჯახში. დედამაა ადრე დაეხოცა და აულის ყრილობამ მისი აღზრდა დააკისრა ცადასას შშობლების შორეულს ნათესავს მეზობელ აულში. ამ უკანასკნელმაც, ცოტახნის შემდეგ, ბავშვი შორეულ აულში წააყვანა და იქ მიიბარა მეჩეთში აღსაზრდელად. ცადასასთან ერთად სწავლობდნენ სხვა ობოლი მთიელი ბავშვებიც.

ბავშვები მეჩეთში აუტანელ პირობებში იმყოფებოდნენ: ძონძებში და ჩვრებში გამოხვეულებს, ბავშვებს ღამით მეჩეთის იატაკზე უძინათ. საჭმელად დაწესებული ჰქონდათ მცირეოდენი ფქვილი — შეგროვილი მეჩეთში მლოცველებისაგან, ეგრეთწოდებულთ ნაფაყადულ-ყული. ნაბევრად მშვიერი ბავშვები დანაკლისს საზრდოს თხოულობდნენ პარასკეობით აულში ეზო-ეზო ჩამოვლით.

მეჩეთში სწავლება სწარმოებდა ბავშვებისათვის გაუგებარ — არაბულს ენაზე, სწავლობდნენ ყორანის სურებს ზეპირად.

სწავლა მეჩეთში გაგრძელდა ათს წელიწადს. ამ ხნის განმავლობაში მეცადინეობას ჰამზათისათვის უნაყოფოდ არ ჩაუვლია. ჰამზათმა კარგად შეისწავლა არაბული ენა. სწავლის დასრულების შემდეგ, ჰამზათს მისცეს დებირის ე. ი. კვარტალურა მსაჯულის და მღვდელმსახურის წოდება.

სასულეერო კარიერა ჰამზათს არ იზიდავდა. ამიტომ მან მიიწეა თავი სამსახურს, გაემგზავრა გროზნოში და იქ რკინიგზაზე მოეწყო შავ მუშად.

მალე აქედანაც მალარიამ აიძულა იგი დაბრუნებოდა ავარუქსის მთებში აქ მდინარე ყოისუზე დაიწყო მუშაობა ხე-ტყის დაცურებაზე. მარლონი მისი დასწყვიტა თავის სამშობლო აულში დაბრუნება და აქ ხენა-თესვას მიჰყო ხელი. აულას მოსახლეობამ იგი თავის დებირად აირჩია. არსებული ადათის მიხედვით, ჰამზათს მისცეს მიწის მცირე ნაკვეთი დასამუშავებლად, და ჰამზათიც ამიერიდან აულში დამკვიდრდა საბოლოოდ.

მაგრამ სამსახური მეჩეთმა, იქ გამეფებული გაუმაძღრობით, ფარისევლობით და თვალთმაქცობით, სამუდამოდ შესძავდა ჰამზათს და 1916 წელს მან საჯაროდ აღო ხელი მოლას წოდებაზე, სთხოვა აულს მიეცათ მისთვის საზოგადოების ნახირის მწყემსობა. აულიც საამოვნებით დასთანხმდა და ჰამზათიც შემდეგ აღარ განშორებია სოფელს.

ჰამზათ ცადასა ისე, როგორც განსვენებული სახალხო აშული სულეიმან სტალსკი, დიდის პოპულარობით სარგებლობს დაღესტანში.

ჰამზათის პირველი პოეტური გამოსვლა საზოგადოებრივ მოღვაწეობის ასპარეზზე ეკუთვნის 1895 წელს. ამ ხნიდან მოყოლებული მან მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლე შესწირა ხალხის სამსახურს.

დაღესტანის აულში გამეფებული სოციალური უსამართლობა განსაზღვრავს ჰამზათის პოეტური შემოქმედების პირველ პერიოდს. ესაა მისი მოღვაწეობის სოციალურ მამხილებელი ხასიათი.

სატირულ ლექსებში პოეტი სასტიკად ილაშქრებს ხალხის მჩაგვრელების წინააღმდეგ. ცადასამ მთელი თავისი პოეტური შესაძლებლობით გადაგვიშალა მთელი მამაკაცის და დედაკაცის უმწურო მღვთმარეობა. ამ პერიოდის შემოქმედებაში პოეტი ყოველთვის გვევლინება ხალხის ენტერესების მგზნებარე დამცველად.

როგორც განმანათლებელი ჰამზატი იბრძოდა თავისი ხალხის პროგრესისათვის, მედგრად ჰკიცხავდა კულტურულ ჩამორჩენილობას, მავნე ჩვეულებებს, სისხლის აღებას, რაც თაობიდან თაობაზე გადადიოდა. „დროა, შევეკითხოთ ჩვეს ხალხს — ამზობდა ას ერთს ლექსში — რა სარგებლობა მოაქვს მისთვის ხანჯალს, რად დაუკიდია მუცილზე რკინის ნაქერი? არ სჯობია, გადავადნოთ ეს რკინა ცულად და სახნისად?“

ლექსში „ჩოხტო“ („ჩოხტო“ ქალების თავის სამკაულაა, ვეებერთელა ბალიშის მსგავსი) პოეტი ფაქტიურად ილაშქრებს დაღესტანელი ქალის დამონების პატრიარქალური სასტიკის წინააღმდეგ, რადგან ჩოხტო — ეს უმსგავსო უზარმაზარი სამკაული — რომელსაც წინათ ატარებდნენ აულ ანდიის ქალები, იგივეა, რაც ჩადრი, — მთელი ქალის უფლებების სიმბოლო.

პოეტის ამ პერიოდის ლექსებმა დიდი როლი შეასრულეს მთიულთა ძველი ყოფაცხოვრების სოციალისტურად გარდაქმნის საქმეში.

განსაკუთრებულის სიძლიერით აედერდა პოეტის ქნარი ჩვენს, სამქოთა ეპოქაში. სოციალისტური რევოლუციის გამარჯვებას პოეტი ეხმარება,

როგორც საერთო სახალხო საქმას გამარჯვებას. ცადასა ამ პერიოდში განდგინდა ნამდვილ სახალხო პოეტად. იგი შთელის ხმით უმღერის სოციალური მარჯვებას და ამ გამარჯვებათა ორგანიზატორს ამხანაგ სტალინს.

„ჩვენ ნისლში ვჭვრეტდით მზას აყვავებას.

ავდრიან დღეთა გამოდარება,

ბედნიერ წელთა აელვარება

შენ დაგვიწყვიდრე, ძვირფასო სტალინ.

ჩვენი დრო ჩანვით შევამყო შინდა,

ზღვა სიხარულით გულა გაბრწყინდა,

დიდი ლენინის ანდერძი წმინდა

შენ აასრულე, ბელადო სტალინ.“

ცადასა ჯერ კიდევ მშვიდობიანი მშენებლობის წლებში არ იფიქვებდა გარეშე მტრების თავდასხმას ჩვენს სამშობლოზე. პოეტის ამ პერიოდის ლექსების უმრავლესობა ხალხისადმი მობილიზაციური მზადყოფნის მოწოდებას წარმოადგენს.

პოეტი ცდილობს აღადგინოს მთიელ ხალხში ძველი გმირული ტრადიციები. ამ მიზნათ იგი ხშირად მიმართავს მდიდარ ავარიულ ფოლკლორს. მან შექმნა შესანიშნავი სიმღერები სამოქალაქო ომის გმირებზე — ჩაბაევზე, მახარ დახადაევზე (რომლის სახელსაც დღეს ატარებს დაღესტანის სატატო ქალაქი), ლენანსა და სტალინზე. ეს ლექსები უმავალითო პოპულარობით სარგებლობს დაღესტანში.

დიდი და განუსაზღვრელი აყო ამ ლექსების მნიშვნელობა განსაკუთრებით იმ დღეებში, როცა ფაშისტური ურდოები მომსწრაფოდნენ დაღესტანისაკენ. პოეტი აღძრავდა ხალხში სიძულელს საზიზღარი მტრისადმი. იგი გადამწყვეტ ბრძოლასადმი მოუწოდებდა საბჭოთა მეომრებს, რომლებიც ჩვენს დროში ანხორციელებენ გმირი წინაპრების საუკეთესო თვისებებს.

სამამულო ომის თემას პოეტმა უძღვნა დრამატიული ნაწარმოები „შეხვედრა ბრძოლაში“ და მრავალი ლირიკული ლექსი. ეს ლექსები გაერთიანებული კრებულში: „სამშობლოსათვის“, რომელიც 1942 წელს გამოვიდა. აქ არის: „მამის მიმართვა მეზრძოლ შვილისადმი“, „ღების სიმღერა“, „სატრფოს წერილი მეომრისადმი“ და სხვა. ამ ლექსებს ახასიათებს ღრმა ლარიზმი და მაღალი ემოციურობა. დღეს ეს ლექსები შეადგენს მრავალრიცხოვანი მთაველი მომღერლებისა და ამუღების მუღმივ რეპერტუარს.

როდესაც მტერი კავკასიის კარებთან იდგა და პოეტის სამშობლოს — დაღესტანს — უშუალო საფრთხე ელოდა, პოეტი აულადან ჩამოვიდა მახარულაში და ხალხს მღელვარე მოწოდებით მიმართა რადიოთი:

„მთიელნო! გაღვიფრეთ ბასრა ხანჯლები, გასტენეთ თოფები, შეკავშეთ ცხენები, მტერი დაღესტანს მოუახლოვდა. აღსდევით მშობლიური მთების და ხეობის დასაცავად.“

პიტლერი — ეს იგივე ნადირშაჰია, სასხლისმსმელი დამპყრობელი, რომელსაც ებრაძოდნენ ჩვენი წინაპრები. მას უნდა ცეცხლს მისცენ ჩვენი სახლკარი, ასჩეხოს ბაღები, დაკლას ფარები, პატავი აშადოს ჩვენს ცოლებს და დედებს და ლოდევით ნძიმე მონობის უღელი დაგვადვას მხრებზე.

დაღესტნის მთიელებო: ავარიელებო, ლეკებო, ლაკებო, ყუმუხებო! უნდა შევერთდეთ, როგორც ძველად, დეე, მტრისადმი ერთიანა შურისგებით სცემდეს ყველას გული, შევექმნათ ერთი მძლავრი მტეტი ფაშისტი არამზადების თავის გასაპობადი აღსდევით, მთიელებო, კაეკასიას დასაცავად“.

პოეტის მოწოდებას დაღესტანის ხალხი გამოეხმაურა გმირული შრომით და ბრძოლით, როგორც ფრონტზე, ისე ზურგში.

მართო ავარიელებს, რომლებიც დაღესტანის მოსახლეობის მხოლოდ ნაწილს შეადგენს, ჯერჯერობით ჰყავთ სამი საბჭოთა კავშირის გმირი.

ამიტომ უყვარს და აფასებს მას ხალხი.

პოეტი ამჟამად 68 წლისაა. მიუხედავად ხანდაზმულობისა, იგი ახალგაზრდული ენერჯით განაგრძობს მუშაობას.

ეუსურვით მას ხანგრძლივა სიცოცხლე და შეტი ნაყოფიერი მოღვაწეობა თავისი მშობლიური ხალხისა და ყველა მოამე ერების საკეთილდღეოდ და სასახელოდ!

ფორსაიჯების ქრონიკები

I

ჯონ გოლსუორთი მეოცე საუკუნის უდიდესი ინგლისელი რომანისტი, კლასიკოსთა წყებაში შერაცხული. მისი ფორსაიტებს ქრონიკები ინგლისის უახლოესი ისტორიის ორმოცწლიან პერიოდს ესება, ექტორიანულ ინგლისს, ბურების ომის, მეოცე საუკუნის დასაწყისის, მსოფლიო ომისა და ომის შემდგომ პერიოდებში გამოვლალი ინგლისის ისტორიას. ფორსაიტების ქრონიკები დადი ეპოპეა იმპერიალიზმის ეპოქის ინგლისისა.

ფორსაიტების ქრონიკები შეიცავენ რომანების ორ ტრილოგიას „ფორსაიტ საგა“ და „თანამედროვე კომედია“. მათ შორის შეტანილა ოთხი ინტერლუდია.

გოლსუორთის მესამე და უკანასკნელ ტრილოგიის „თავის დასასრული“ (1932) პირდაპირა კავშირი არა აქვს ფორსაიტების ტრილოგიებთან. თუმცა იგი აგრძელებს ამ უკანასკნელში აღძრული ზოგიერთი საკითხის განხილვას.

როგორც ზოლანს „რუგონ-შაკარები“, ან თომას მანნის „ბუდენბროკები“ ფორსაიტების ქრონიკებიც ისწრაფიან მონუმენტალობისაკენ. გოლსუორთამ ტიპიური გვარი ამოარჩია ექტორიანული და შემდეგ ედვარდიანული ინგლისის საზოგადოებას დასაბატავად. ოჯახი სოციალურ ერთეულად გამოიყვანა გოლსუორთიმ და როგორც „რუგონ-შაკარებში“ დახატეს შექვიდრების თეორიის მიმდევრობით მეორე იმპერიის პერიოდის საფრანგეთს, ასევე გოლსუორთამ იმავე თეორიის მიმდევრობით მე-19 საუკუნის დასასრულიდან 1920-იან წლების დასასრულამდე მთელი ინგლისური საზოგადოებრივი ცხოვრების სურათი მოგვცა. ის რაც ემართება ფორსაიტების ოჯახს, არის (მანნის „ბუდენბროკების“ ისტორიის მსგავსად) ტიპიური პროცესი მთელი ბურჟუაზიული კლასის რღვევისა. ამგვარად ფორსაიტების გვარის საესებით კონკრეტული და რეალი ცხოვრება იმავე დროს დამახასიათებელია და, განსაკუთრებული მნიშვნელობით, სიმბოლიურიც კი ინგლისური საზოგადოების ძირითადი ნაწილისათვის. გოლსუორთი თვითონვე ამბობს: „მიუხედავად იმისა, რომ ამ ოჯახის ცალკეულ წევრებს შორის უმრავლეს შემთხვევაში უბრალო სიმშაითიც კი არ არსებობდა. იგი მაინც შეიძლებოდა ჩაგვეთვალა იმ განსაკუთრებული სიმჭიდროვისა და სიმყარის ბრწყინვალე შავალითად, რომელიც ოჯახს მძლავრ სოციალურ ერთეულად აქცევს და თითქოს ერთი მთელი საზოგადოების სიმბოლოდ“.

ფორსაიტების ქრონიკების მოქმედების დროს უპირავეს პერიოდი 1886 წლიდან 1928 წლამდე. გოლსუორთის ყოველთვის ზუსტად აქვს თავისი თარიღები დადგენილი. მკითხველი არასოდეს ივიწყებს ისტორიულ პერიოდს,

რომელშიაც მიმდინარეობს მოქმედება. მაგრამ ამ მოქმედების დროის დაწყებამდე ფორსაიტებს ჰქონდათ თავისი ისტორია, თავისი წესები, რომლის ინსტინქტური უკუფენა აღბეჭდილია მოქმედი ფორსაიტების საქმეებზე, ტრადიციასა და გარემოცვაზე. გოლსუორთი ფორსაიტების ტრადიციებს წინ ურთავს დეტალურად დამუშავებულ საგვარეულო ზეს. ყველაზე ახლოს ფორსაიტების მრავალრიცხოვანი ტომიდან ჩვენამდე მოდის სოომსი, ჯეიმს ფორსაიტას უფროსი ვაჟი, განსახიერება მთელი ფორსაიტებისა, ფორსაიტების ქრონიკების მთავარი თეზა. იგი გაივლას მთელს ციკლში თავიდან ბოლომდე. ფორსაიტები წარმოადგენენ კლას-რანტიეს, ამ სიტყვის ფართო მნიშვნელობით. ისევე როგორც მათი ინგლისი წარმოადგენს საბელწიფორანტიეს, ლენინის თქმით. გლუხობიდან ისინი მივიდნენ სამუალა კლასის ზედა ფენის მდგომარეობამდე. მათი წლიური შემოსავალი ათასსა და თხუთმეტათას გარეანქა სტერლინგს შორის ტრიალებს. მათი უნაბერესი ინსტინქტთა საკუთრების გრძნობა. მათი საკუთრება თანდათან და განუწყვეტლოვ იზრდება. ყველაზედ უფრო უტყუარობისკენ და გარანტიისკენ ისწრაფვიან ისინი (ფულის დაბანდებაში, ქორწინებაში) და ჯანმრთელობის შენარჩუნებისათვის ზრუნავენ. მაგრამ ქორწინების საკითხში თუ ზოლა ბურჯუაზიის თვალთმაქცობას გვიჩვენებს და მის გარეგნულ სიწმინდეს, ხოლო ამხელს ფაქტიურ მრავალცოლიანობასა და მრავალქმრიანობას, — გოლსუორთი მთლად ანგრევეს ბურჯუაზიული ქორწინების პრინციპებს, იგი ტრაგედიად აქცევს ამ ქორწინებას. ეს ტრაგედია ფორსაიტების ტრაგედიაა იმავე დროს. თუ რუგონ-მაკარები სოციალურ კიბეზე გაფანტა ზოლამ, გოლსუორთის ფორსაიტები საკუთარ წეწში იხარშებიან. თუ რუგონ-მაკარები მემკვიდრეობითმა-პრინციპმა ზოლას უნებურად მიიღო სოციალური მნიშვნელობა, გოლსუორთის საცხებით აქვს შეგნებულა სოციალური მდგომარეობა და ღირებულება ფორსაიტებისა, თუმცა მხედველობიდან არ ჩანება მემკვიდრეობითი პრინციპიც. ფორსაიტებს სძლვთ სიკვდილი, რადგან იგი უკარგავს მათ საკუთრების რეალიზაციის საშუალებას. მათ არა აქვთ აბსტრაგირების უნარი. მათთვის უცხოა ხელოვნება და ფილოსოფია, ან სიყვარულის გრძნობა. მათი აზროვნების სუბსტანცია არის საკუთრება, განსახიერებულ ნივთებში, სულიერში თუ უსულოში. მათი თანამედროვე ინგლისური იმპერიალიზმიც სახელმწიფოებრივ თვისებამდე მისული ფორმაა ფორსაიტული საკუთრების გრძნობისა.

მაგრამ ფორსაიტების ტრადიციული ქვეყანა ირრვევა. დამარღვეველი ძალები უტევენ ფორსაიტების მთელ კომპლექსს შაგნიდან და გარედან. „მოხუცი ჯოლიონის“ და განსაკუთრებით მისი შვალის, მზატვრის „კიბუცი ჯოლიონის“, აგრეთვე რამდენიმე სხვა შთამომავლის სახით, ფორსაიტებს უზრუნველბათ ვადამდგარი წევრების წყება. დამარღვეველა ელემენტები იჭრებიან გარედანაც სილამაზისა და თავისუფლების კონკრეტიზირებულ სახეებით და იწყება ფორსაიტების დისინტეგრაციის პროცესი. გოლსუორთი სწორედ ამ პროცესს ეხება. მაგრამ გოლსუორთის, მიუხედავად იმისა, რომ აქვს დროისა და სივრცის მეტად მახვილი გრძნობა, ეს პროცესი რამდენადმე აბსტრაქტულად ესმის. მისი აზრით ეს არის არა ბურჯუაზიული კლასის რღვევის ნორმალური პროცესი, როგორც ეს სინამდვილეშია, არამედ ტრადიციული ანგლო-საქსური სამყაროს შეხამების პროცესი ახალ დროსთან. ამიტომ გოლსუორთი ახალი დროის ინგლისისათვის საიმედო სინთეტიურ ელემენ-

ტებს ეძებს ფორსაიტების კლასის შიგნით, დამარღვეველი ძალები კვამლივით გარდაქმნილ ფორსაიტთა შორის.

მაქსიმ გორკი სწერდა: „სულ უფრო ხშირად ჩნდებიან წიგნები, გამოშვებული „სახელმწიფოს დასაყრდენის — ოჯახის“, რღვევის პროცესისა, შეუმოსრავი ფორსაიტების გადაშენებისა და ნგრევის პროცესისა, რომელიც ისტატურად დანატა გოლსუორთიმ თავის „ფორსაიტ საგაში“.

რაც არნოლდ ბენეტმა გააკეთა საშუალო კლასის ქვედა ფენისათვის (lower middle class), თავის „მოხუც ქალთა ზღაპარში“, გოლსუორთიმ ამავე კლასის მაღალი ფენისათვის გააკეთა. ცნობილი ფრანგი მკვლევარის ანდრე შვერიანის გამოთქმით „ფორსაიტ საგა“ შეიძლება კლასიფიცირებულ იქნეს, როგორც ზოოლოგიური პარკი, რადგან აქ გვაქვს ადამიანის ჯიშის მთელი შტო მისი სპეციფიკური და ინდივიდუალური ნიშნებით წარმოდგენილი. ამ ადამიანთა მთავარი ბიოლოგიური ნიშანია საკუთრების გრძნობა. მათთვის ხელოვნება, მავალითად, ნიშნავს ხელოვნების ნაწარმოებთა გასაყად ღირებულებას.

გოლსუორთი თვითონვე აყენებს საკითხს „ფორსაიტ საგის“ სათაურის გამო „საგის“ წინასიტყვაობაში. საგა ჰქვია ძველ სკანდინავურ თქმულებებს გმირების შესახებ. სათაურა გენიშნებს გმირულს, მაგრამ გმირული ცოტაა „ფორსაიტ საგაში“. ფორსაიტები შორს არის გმირობისა და თავგანწირვისაგან. როგორც თვითონვე ამბობს, გოლსუორთი ამ სიტყვას არონიული მნიშვნელობით ხმარობს. მაგრამ იგი ამ სიტყვის ხმარების მეორე მნიშვნელობასაც გვიხსნას: გოლსუორთი ძირეულად მცირედ ანსხვავებს ფორსაიტების ტომს ძველი საგების ხალხისაგან, რომელიც ფორსაიტების მსგავსად შეპყრობილი იყო საკუთრების ინსტინქტით და ისევ მცირედ დაცული მშვენიერებისა და ვნების თავდასხმათაგან, როგორც სუითინ, სოომს, ან თუნდაც „ქაბუჯი ჯოლოონ“ ფორსაიტები. საგების ადამიანთა უპირველესი ძალაც ფორსაიტების მსგავსად იყო ტომობრივი ინსტინქტი. „ოჯახი“, და სანლისა და საკუთრების გრძნობა. როგორც ვხედავთ, სიტყვა „საგა“ აბასიათებს ავტორის ორმაგ დამოკიდებულებას თავისი გმირების მიმართ. პირველია ირონული დამოკიდებულება (შიუხედავად ობიექტური რეალისტური მეთოდისა), რომელიც გარკვეული კრიტიკული განწყობილებიდან გამომდინარეობს. ხოლო მეორეა პირდაპირი აზრი იმ მსგავსების გამო საგების ძველ ხალხთან, რომელთა შთამომავლად სთვლის გოლსუორთი ფორსაიტებს (მსგავსება, რომელსაც იგი სერიოზულად აღიარებს). ამიტომ ფორსაიტისთვის კომპლექსის მთავარ მატარებელს სოომსს, რომელიც „მესაკუთრეში“ შეუბრალებელი ირონიისა და უარყოფითი ხაზების ქსელშია გახვეული, გვიანი გოლსუორთა სიმპათიურ და საბრალო მოხუცად აქცევს და უკანასკნელად თავგანწირვის უნარსაც კი აძლევს, რათა ამით შესძლოს მან მშვენიერების შემეცნება, რისკენაც იგი მთელი სიცოცხლე ტრავიკულად მიაწრაფოდა. ამას აკეთებს გოლსუორთი, რომელსაც არა სწამს წარსულის ნამდვილი სიკვდილი და არა სწამს ადამიანის ფუნდამენტალური ევოლუცია. გოლსუორთი აღიარებს ფორსაიტისთვის ელემენტთა პერმანენტულობას ადამიანის ბუნებაში საერთოდ. გოლსუორთი ამბობს: „ადამიანის ბუნებას, მისი ცვალებადი პრეტენზიებისა და სამოსელის ქვეშ აქვს და მარად ექნება ბევრი რამ ფორსაიტისა და შეიძლება იგი ბოლოს ბევრად უარესი ცხოველიც გახდეს“.

ადამიანის ბუნების ფუნდამენტალური ევოლუციის უარყოფის მანუშის ის არის, რომ გოლსუორთი, რომელიც იძლევა ფორსაიტების სამსახურს, უარყოფით კრიტიკას, სუბიექტურად შორსაა კაპიტალისტურ სამსახურს და, შესაძლამე, მისი კლასიკური წარმომადგენლების დამოკიდებულებაზე. აქვეა გოლსუორთის რეალიზმის გაორებაც და განსაზღვრულობაც. გოლსუორთის ისტორიის რეალიზმი ძალზე სრულებით არ ესმის. იგი ხანდახან ფორსაიტების გაიდიალუზიზმს მიდის (როგორც მაგალითად, „მოხუცი ჯოლიონის“ სახეში, რომელსაც რართოდოქსალური ფორსაიტის თვისებებს გარჯა მშვენიერების გრძობის ელემენტებიც გააჩნია). განსაკუთრებით პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც მძლავრად შეიჩაყა კაპიტალისტურ სამსახურის საფუძვლები, გოლსუორთი ნათლად დაინახა ომის შემდგომი ბურჟუაზიული თაობის ამორალუზი და მამინ კიდევ მეტი დაეინებით მიმართა „უკვდავ“ წარსულს, ფორსაიტების ძირებს, განსახარებულს ერთდროს დაუზოგადად დახატული სიომის ფიგურაში. ეს ფიგურა, მონუმენტალური გამოხატულება საკუთრების ფსიქოლოგიის სასაძაგლისა, გოლსუორთი დააყენა ჩვენს წინაშე, როგორც წამებული განუყოფელი სიყვარულის გამოჩენისადმი და მიუღწეველი სილამაზის გარდაუვალი გრძობით დევნალი, ნაზი შამა და ვიქტორიანობის საუკეთესო ტრადიციათა შემომნახველი. გოლსუორთი ადამიანის ძირულ თვისებებს უცვლელად სტოვებს; მომხრეა მხოლოდ მისი გარკვეული ნაწილის განვითარებისა.

გოლსუორთი მხოლოდ ბიოლოგიურ ევოლუციას სცნობს ადამიანისთვის. ამ გზით იღებს იგი ინგლისის უკანასკნელ საიმედო თაობას, ახალი დროის დასაწყისის აღმნიშვნელს, მისი აზრით. მაგრამ გოლსუორთის შემოქმედების დიდი ღირებულება სწორედ ის არის, რომ ავი სცნობს და დიდ ადვალს უთმობს სოციალურ ევოლუციას. იგი გვიხატავს ფორსაიტების ქრონიკების მთელა მოქმედების პერიოდში მომხდარ ცვლილებებს. საზოგადოებრივი ცხოვრება მისი ძირითადი ფონია. თუმცა გოლსუორთი ჰფიქრობს, ადამიანებს არ შეუძლიათ საკუთარ გამოგონებათა კონტროლი, მაინც სცნობს, რომ ადამიანებს აქვთ უნარი შეეწყონ ახალ პირობებს, რომელთაც ეს გამოგონებანი ჰქმნიან, და მათსადამე, შეუძლიანთ შეიცვალონ.

მაგრამ გოლსუორთი არ ჰფიქრობს, რომ მისი ქრონიკები წარმოდგენენ პერიოდის მეცნიერულ გამოკვლევას. ისინი უფრო ანსახიერებენ მთელს ენობას, რომელსაც სილამაზე იწვევს ადამიანთა ცხოვრებაში.

„იჩენის ფიგურა მარტოოდენ სხვა ხასიათების შეგრძობათა გაქოლ წარმოდგენილი, არის კონკრეტია მაშფოთებელი მშვენიერებისა, რომელიც თავს ესმის მფლობელ ქვეყანას“, ამბობს გოლსუორთი „ფორსაიტ საგას“ წინასიტყვაობაში.

ერთის მხრივ მფლობელი ქვეყანა, ანუ ფორსაიტები, — ძირითადი თუზა გოლსუორთის შემოქმედებისა, ხოლო მეორეს მხრივ სილამაზე და მისი მხლებელი თავისუფლება — მისი ძირითადი ანტითეზა. მფლობელი ქვეყნის რართოდოქსალურ ფორმის მიმართ გოლსუორთი იჩენს უარყოფით, ირონიულ დამოკიდებულებას, სილამაზეს კი არასოდეს გვიჩვენებს პირდაპირ. იჩენის იმპრესიონისტულ ფიგურას მუდამ ვხედავთ სხვა ხასიათთა გამქოლ. ჩვენ ვხედავთ მხოლოდ სილამაზას ეფექტს, რომელიც ჩრდილივით

გადაიღოს ადამიანთა სახეებზე და მათ სულეში სამუდამო შფოთს სთესავს.

ამის გამო ორა რამ იპყრობს ყურადღებას გოლსუორთის ქრონიკებში: გოლსუორთის ირონიული თვალსაზრისი და გოლსუორთის დამოკიდებულება სილამაზისადმი, სილამაზისადმი, „რომელიც არასოდეს სტოვებს მას“.

„არაფერია ისეთი, რაც იძლევა შეტ გამბედაობას, ვიდრე საგნების ირონიის კერტა“ ამბობს გოლსუორთის ერთერთი გმირი.

გოლსუორთის ყოველ ნაწარმოებში იგულისხმება ჩემი ირონია, რომელიც ხან სიმწარესთან არის შერეული, ხან კი ჰუმორთან. პირდაპირი ჰუმორისტული აფორიზმი გოლსუორთის არ ეხერხება, მაგრამ ჰუმორისტული შენიშვნით გოლსუორთი აშენებს მთელ ხასიათს. მისი ჰუმორი იშვიათად იწვევს ხამაღალ სიცილს, ურიცხვი ინსტანციების გავლით იგი შინაგან ღიმილს იწვევს ან მხოლოდ ნელ სიცილს. ნაწარმოებში ინციანდენტები არასოდეს შემოდის ჰუმორის გულისათვის, არამედ ამკარად გამოხატული მიზნით ამბის გაგრძელებისათვის, ან ხასიათის, ან ურთიერთობის ნათელსაყოფად: მაგალითად, მოგონება („ვერცხლის კოვზი“) — რომელიც მოხუც განმარტობულ სოომსს მოველინება ერთ ღამეს, როდესაც შინისკენ მიდის იგი, — მხიარულების მომგვრელია, მაგრამ იმავე დროს შუქის მომფენა მისი წარსულისა და აწმყოსათვის. თანაც ამხსნელი ზისი მარცხისა და მკითხველში გამოწვევი სამშათისა მისი ტრაგიკული უუნარობის გამო სიყვარულის დამსახურებაში: სოომსი იგონებს თავის პირველ დღეს სკოლაში, როდესაც ბიჭებმა მოსტაცეს და შეუქამეს მთელი საუზმე. მისი პოპულარობა ოცდამეორე წელს გაგრძელდა და, რამდენადაც ახსოვს, აღარასოდეს განმეორებულა იგი. მას შემდეგ იგი ყოველთვის კომუნაზმის წინააღმდეგი იყო!

განსაკუთრებით მძლავრია გოლსუორთის ირონია, როდესაც იგი ფორსაიტების ბიოლოგიურ პარკს ჰხატავს. „მესაკუთრას“ შესავალი დათმობილი აქვს ფორსაიტების ზეიმის აღწერას. არქიტექტორი ბოსინის ნაცრისფერი ქუდი (ამ ფესტივალის წესისთვის მიუღებელი) საოცარ საერთო აღლევებას იწვევს. გოლსუორთის ირონია აქ ფორსაიტების ტრადიციონალიზმის პედანტური შესრულების წინააღმდეგ მიმართება. როდესაც ფორსაიტი თვითონ ნახულობს ნამდვილ ზოოპარკს, გოლსუორთი ირონიულად გადმოგვცემს ფორსაიტული ფსიქოლოგიის დამოკიდებულებას ტყვე ცხოველთა მდგომარეობისადმი: „თვით ცხოველებისთვისვე იყო კარგი, რომ ისინი ღია პაერისა და განსაცდელთა უთვალავ საშიშროებისაგან მოშორებული იყვნენ და შეეძლოთ თავისი ფუნქციების შესრულება კერძო ბინის გარანტირებულ განცალკევებაში. მართლაც, საეჭვო იყო რისთვის იყვნენ შექმნილი გარეული მხეცებ, თუ არა გალიებში ჩასამკლავად“.

ირონია, რომლის დიდი თუ მცირე მაგალითი გოლსუორთის ნაწარმოებთა თითქმის ყოველ გვერდზე მოპოვება და ყველგან თვით პოეტურ ადგილებშიაც კი არის ნამდვილად ნაგულისხმევი, ხშირად გამოწვეულია გოლსუორთის სიყვარულით ადამიანის მიმართ, განსაკუთრებით გოლსუორთის ყურადღებით საზოგადოების მიმართ. თვითონვე ამბობს გოლსუორთი: „ხატვას ორჯარი ფორმის მიღება შეუძლია — უარყოფითის, რეალისტურისა და კვაზისტიკურის, რომელიც ხასიათს პირდაპირ სახეში უყურებს, ან ოდნავ მის ჭკემით იშორება და გვაჩვენებს, რა შეიძლება გახდენ ადამიანე-

ბი ნაკლოვანებათა მითითების შემდეგ, ან რომანტიულს, რომელიც ხასიათის ზემოთ იყურება... პირველი მეთოდი უფრო ბუნებრივად და ეფექტიურად. რომანისტი, თუ იგი ეხება საზოგადოებას და მისი ნაწილი კრიტიკოსისა "თავის თავში, ქვეცნობიერად გახდება რაღაც სატირიკოსის მსგავსი".

მაგრამ რა თქმა უნდა, გოლსუორთის ირონიული მუხის ნელი ბრწყინვალე ჟღერს უკეთ უშუალოდ ნაწარმოებებში მოსჩანს, სადაც გოლსუორთი მართლაც ნამდვილი რეალისტი და ნახევრად სატირიკოსი უარყოფელი და, როგორც ვხედავთ, საეხებით შეგნებელი.

რაც შეეხება სილამაზის საკითხს:

„ქვეყნის მშვენიერება არის რომანისტიკათვის ნამდვილი სასოწარკვეთილება, გულის ტკივილი, რომელსაც იგი გრძნობს აყვავებული ბუნების წინაშე“. ასე სწერს გოლსუორთი მისი უმწვეფესი საკითხის — სილამაზის საკითხის გამო. მაგრამ მას შესაძლებლად მიიჩნია, რომ ეს ტკივილი იყოს სეკსუალური ინსტინქტის ნაწილი — წყურვილი შედნობისა და კავშირისა სილამაზესთან, რომელსაც ვხედავთ; ან შესაძლებელია, უფრო უხეშად დაერქვას მას სიხარბე — კურვილი მშვენიერების მუდმივი და ინტიმური ფლობისა. „მშვენიერების დაბატვის, ან მისთვის ხარკის გადახდის ცდა სიტყვებით, არის მასსადამე ბუნებრივი-საშუალებების გამოყენება, წყურვილის დაკმაყოფილება. ამის შესრულება სამწუხაროდ მხოლოდ უბრალო ამრდილამდე თუ აღწევს“.

„ქვეყნის და სილამაზე ძნელი საძიებელია, მაგრამ განა რა არის კიდევ ძიების ღირსი?“ ამბობს გოლსუორთი ერთ თავის წიგნში „რომანისტიკის რწმენა“.

მართლაც შეიძლება ბევრი არ სცემდეს თავყანს სილამაზეს ისე ვნებინანდ, როგორც გოლსუორთი, რა სახითაც უნდა იყოს გამოხატული იგი — ქალში, ხელოვნებაში, ბუნებაში, სიცოცხლეში, თუ თვით სიკვდილშიც კი. ფიზიკური ქვეყანა, რომელსაც იგი ყველაზე უკეთ იცნობდა, პირდაპირი სილამაზის ქვეყანა იყო მისთვის. „გოლსუორთის სწუროდა სილამაზე, როგორც წმინდანს სიმართლე. მას არა ჰქონდა სიმბათია პლასტიკურ და გრაფიკულ ხელოვნებაში სიმბინჯის თანამედროვე კულტისადმი, არც კაკაფონიის დიდების მიმართ თანამედროვე მუსიკაში; არც თანამედროვე მანერების სიმკვეთრისა და სიტლანქის მიმართ“, ამბობს გოლსუორთის ერთი მკვლევარი. გოლსუორთის ლექსების კრებულში უკანასკნელი ლექსი ნამდვილი ლოცვაა, სილამაზისადმი მიძღვნილი.

მაგრამ გოლსუორთის სწამდა შედარებითობა სილამაზისა, ისევე როგორც ყველა საგნების შედარებითობა (მიუწვდომელი აბსოლუტის გამოკლებით, რომელიც არ შეიძლება შეცნობილ იქნას). მას შეგნებული ჰქონდა სილამაზით გასოწვეული ექსტაზის დროებითი ხასიათი: აღრიანის წერილი, რომელიც ამთავრებს გოლსუორთის უკანასკნელ რომანს „მდინარეზე“, ამჟღავნებს სილამაზის გარდამავლობის, არამუდმივობის შეგნებას, დაფარულ შეგნებას მოკვდავობისა, ცოდნას, რომ ყოველი საგანი უნდა გაჰქრეს ბოლოს და რაც უფრო შეტია მისი გაქრობის შესაძლებლობა, მით უფრო მეტია მისი სილამაზე. ის ტკივილი, რომელსაც გოლსუორთი განიცდის ბუნებისა და სილამაზის წინაშე, შესაძლებელია მხოლოდ სიკვდილის სიბოლოვის გრძნობა იყოს.

გოლსუორთი სიკვდილსაც, რომელიც მას ერთადერთ გარკვეულობად მიიჩნია, აიყვანს სილამაზის საზღვრებში. ხელოვნება და სიცოცხლის სილა-

მაზე, ღმერთი და ქვეყნარტება, სიყვარული და სიკეთის ბუნება — ეს სუბიექტური ფენომენებია, რომელთა მიმართ შეიძლება ადამიანებში ნებისმიერი სხვადასხვა აზრი და იდეონ დაუსრულებლად. მაგრამ სიკვდილზე ვერაფერს ვა არ შეიძლება. ეს ერთადერთი გარკვეულობაა. ერთერთ თავის ლექსში ამბობს ვოლსტორტი:

„სიცოცხლის უღამაზეს ნიღბათა უკან შირად სახლობს ეს გაფითრებულ უცვლელი სიკვდილი“. ვოლსტორტი მუდამ ხაზს უსვამს სიკვდილის გამალამაზებელ ფიქტს. შედარებით იშვიათაა მის შემოქმედებაში უცარი და მკაცრი სიკვდილი. პირველი მნიშვნელოვანი სიკვდილი ვოლსტორტის კოსმოგონიაში ძალუა ენნის სიკვდილია, რომელიც არყევს ორთოდოქსალური ფორსაიტების რწმენას ფორსაიტის უკვდავობაში. ეს უკვდავობა საკუთრებს სტაბილობის საფუძველს წარმოადგენდა. მოხუცი ჯოლიონის სიკვდილი ზაფხულის შეუადრეში („ფორსაიტის უკანასკნელი ზაფხული“) ვოლსტორტისათვის ჩვეული იდუმალი სიღამაზის ქსოვილში გამოხვეულია. იგი, შეიძლება ითქვას, ყველაზედ ლამაზი და მხატვრულად სრულყოფილი მომენტია ვოლსტორტის მთელს შემოქმედებაში. ასევე შესანიშნავია ძალის ბალთაზარის სიკვდილი, რომელსაც ცხოველთა ფსიქოლოგიის ოსტატი მხატვარი, ვოლსტორტი იძლევა ძალის გადაჭარბებული სიზარულის მომენტში მისი პატრონის უბრალო ჯოლიონის დაბრუნების დროს. სოომის სიკვდილში შეკრულია მისი სიცოცხლის ყველა მოშვებული ძაფი. ვოლსტორტი აქ თითქოს ითავისუფლებს თავს საკუთარი რეალიზმისაგან, როგორც ხანდახან აკეთებდა ხოლმე წინადაც. საკუთრების კაცმა, რომელსაც უფრო ადრევე პასაკში იმედი ჰქონდა დაუფლებოდა სიღამაზეს ძალით და სიყვარულთა გყიდა, ბოლოს სიცოცხლე გასწირა ბრძოლაში სიღამაზის ნაწარმოებთა გადასარჩენად.

მაგრამ სიკვდილზე უფრო ვოლსტორტის სიცოცხლის სიღამაზე უყვარს, ფიზიკური ქვეყნის შიშველი სიღამაზე. „შეიძლება სიკვდილი კარგია, მაგრამ სიცოცხლე კიდევ უკეთესია. მკვდარი ფორმა, როდესაც იგი ჯერ კიდევ ფორმაა — საშინლად გაღელვებს. ფორმა არის სიცოცხლეს; და თუ სიცოცხლე გაქრა, ვერ გაიგებ, როგორ შეიძლება ფორმამ გასძლოს თუნდაც ცოტა ხანს“, ამბობს ვოლსტორტი რ.იხ.ში „მდინარეზე“.

ვოლსტორტის უყვარს ბუნება, მისი დიდი მხატვარია და დიდ ადგილს უთმობს მას. მაგრამ იგი არასოდეს იძლევა ბუნების უადგილო და შეუსაბამო ფაქტებს და არც აჭარბებს თავის ვატიცებაში ბუნების ოსტატური ხატით. ბუნება თითქოს პანიმისტურად ესმის ვოლსტორტის. მისი ბუნება ცოცხალია და ღირსეული, შეთანხმებული ადამიანის განწყობილებასთან. მგვარი ბუნება ძალიან ხშირად იღებს მონაწილეობას ვოლსტორტის რომანში. ხეები, მაგალითად, თითქმის ადამიანებვით ღდასახლებული არიან ვოლსტორტის ქვეყანაში, და ცხოვრობენ დამოუკიდებლად. მათ მიცემული აქვთ პერსონალობა და იდიოსინკრეზი. ადამიანური ემოციების მქონე ბუნებას ვოლსტორტი ხატავს, როგორც გავლენას, როგორც ოსტატურად ნაკეთებ საგანს. ყველაზედ უფრო მას ფერმკრთალი მზის შუქი უყვარს, მკრთალი გარიჟრაჟი, მდუმარე ბინდის მწუხარე სურნელებით საესე. იგი ნაკლებ ყურადღებას აქცევს ბუნებას, როგორც ძალას. იგი ერიდება ავდარის ხატვას.

მაგრამ, როგორც ვოლსტორტის საერთო წესია, ბუნებაც ჩვეულებრივ გმირების თვალვებით არის გადმოცემული. ამიტომ ისეთი ბუნებაა შერჩეუ-

ლო ჯამოცემის დროს, რომელიც ვმძრის განწყობილებას ეთანხმება. მაგრამ ასევე ხშირად ბუნების ჩრდილები და სინათლე მოქმედების სახეობაა: მცხემა თვითონ და ბუნება მაშინაც გვირთან ან ავტორთან შეთანხმებულად მოქმედებს და მოქმედი.

დასასრულ, ბუნება და ბუნების სიყვარული ისეთ დიდ როლს თამაშობს, განსაკუთრებით გოლსუორთის მემბოზე და დადებით პერსონაჟებში, რომ ზოგიერთს ისიც კი ჰგონია, გოლსუორთი ადამიანის გავლენებას ჰქადაგობდეს, ან ვაგაბონდად ქცევას და პფიქრობენ გოლსუორთის ერთ გმირს, ლეი ფერრანს უთუოდ ჰქონდეს რუსოს და სტერნის გავლენა.

გოლსუორთი ბუნებითაც countryman-ია, სოფლელი. დივენსთან და თეკერისთან შედარებით მისი გმირების ცხოვრება ლონდონში ფრიად განსაზღვრულია. მათა რადიუსი არ შორდება ჰაიდ პარკსა და კენსინგტონ გარდენს (ლონდონის უბნებია). გოლსუორთი მიიჩქარის ქალაქგარეთ, რომინ ჰილლისა და მებლდერჰემისაკენ. მისი სტილის სილამაზე მატულობს როდესაც იგი ფიზიკური ქვეყნის ნაწილებს ეხება: ტყეს, მინდორს თუ მდინარეს, გაზაფხულის ექსტაზს, თუ შემოდგომის სევდას, შეღამების, თუ მთვარის სინათლეს, რომელშიაც დადიან მისი მიჯნურები, ისე როგორც ქვეყნის დასაბამიდან დადიოდნენ. მაგრამ ეს რომ ყველაფერი იყოს, მაშინ გოლსუორთი მხოლოდ ლირიკოსი პოეტი იქნებოდა. გოლსუორთის ადამიანის ბუნება უყვარს არა ნაკლებ და მისი ხატვის კიდევ უფრო დიდი ხელოვანია.

მაგრამ უმთავრესი გოლსუორთის სილამაზის კონცეპციაში სილამაზის მოქმედი ინკარნაციაა, რომელიც გოლსუორთის ძირითად ნაწარმოებებში იწვევს კონფლიქტებს და სტაბილური ფსიქოლოგიის მქონე ადამიანთა ჯგუფისთვის უმაღლეს დამარღვეველ ძალას წარმოადგენს. ეს ძალა, გოლსუორთის რეალისტურ სამყაროში იმპრესიონისტული ხაზებით შეყვანილი, იმავე დროს სილამაზისა და თავისუფლებას სიმბოლური ნაშანია. იგი განსახიერებულია „საგაში“ ირენის ფიგურით. ფორსაიტების რღვევა შივიდან აწყდება. მოხუცი ჯოლიონი თავისი ესთეტიკური მიდრეკილებებით უკვე იღარ არის ორთოდოქსალური ფორსაიტი. ესი შვალი ჰაბუკი ჯოლიონი, მხატვარია, რომელიც გაეყარა პირველ ცილა და სიყვარულით შეერთო უბრალო აღმზრდელი ქალი, მხოლოდ სანახევროდ-ღაა ფორსაიტი. მაგრამ საბოლოო ბზარს ფორსაიტებს რკინის რეზერვებს და მათ მორალს გარეშე ძალები აძლევს: არქიტექტორი ბოსინი და ირენა, რომელიც მთელს „საგაში“ გაივლის, როგორც სილამაზის სიმბოლო და დისინტეგრაციის პროცესის გამოიწვევა ძალა. მესაკუთრე და მატერიალისტი სოომსი, ფორსაიტების ინკარნაცია, იქამდე ირისება ირენის ფიგურის გამანადგურებელი გავლენით, რომ, მოუხდავად მისი არამომზიდველი ხასიათისა, ბოლოს და ბოლოს ტრაგიკული ხდება. ირენი, როგორც სულ სხვა სოფლმეგრანება, კონფლიქტშია არა მარტო ამ თანამედროვე ბერძნული ტრაგედიის მთავარ ანტაგონისტთან, სოომსთან, არამედ ფორსაიტების მთელ ქაროსთან. ამ დამირისპირებულ კონცეპციითა ფსიქოლოგიური კონკრეტიზაცია ირენისა და სოომსის კონფლიქტშია. გოლსუორთი გრძნობს, რომ სოომსი შეითხველმა გამოიწვევს სიმბრალულს და კითხვას: ნუ თუ მხოლოდ იმისათვის ისჯება იგი, რომ მირად ეძებს სიყვარულს და ფერსად პოულობს? გოლსუორთის თქმით სოომსის ტრაგედია არის ტრაგედია „უსიყვარულოდ ყოფისა“ (of being unlo-

vable). მიუხედავად ტრაგიკული მისწრაფებისა, იგი ვერ აღწევს მის წინაშე მიბაეალი სილამაზის პერცეპციას, ვერც მის თანაგრძობას. ასეთი შემთხვევაში შეუძლია ააჯანყოს მკითხველი ირენის წინააღმდეგ და დააფიქსოს ყურადღება მის მხატვრულ სიმართლეში. მაგრამ ფსიქოლოგი ვოლსტორთი ამ მომენტს სექსუალური ანტაგონიზმით გვიხსნის და ამით იხსნის მხატვრულ სიმართლეს. მისი აზრით, როდესაც სექსუალურ ატრაქციას აკლია ერთი პარტნერი, არაერთარ სიბრაღულს, მიზეზს, მოვალეობას, ან სხვა რაიმეს, არ შეუძლია ბუნებრივი ზიზღის გადაღაზვა. სადაც კი ირენი შეიძლება ასატიკი და დაუზოვავი გვეჩვენოს, იგი იქ მხოლოდ ბრძნულად რეაღისტია, მან იცის რა მოაყვება მცირეოდენ ღაღობასაც კი.

სეთი ფსიქოლოგიური ახსნა სილამაზის ინკარნაციის ფესვებისა ვოლსტორთის შემოქმედებაში არ არის შორს სიმართლისაგან, როგორც კონკრეტულ მასალაზე შებღება დაგინაზოთ. სილამაზის გრძობის თვით პირველ გავიძებასაც კი ვოლსტორთი სექსუალურ საწყისს უკავშირებს. იგი გარკვეულად ფროიდისტულადაც კია ახსნილი (ინტერლუდია „გამოღვიძება“). სოციალურ კონფლიქტამდე ასული ანტაგონიზმის ფესვები მხატვრულად კონკრეტინირებულია სექსუალურ ფსიქოლოგიაში და მისი სილამაზის სიმბოლურად გამომხატველი იმპრესიონისტულ ფიგურა დამაჯერებელი ზღება ამდენად. სილამაზე, რბეღაც ასეთ შემშუსრავ - შთაბეჭდილებას ახდენს ფორსაიტისზე, სიყვარულშია, ნოლო სიყვარული და მაშასადამე სილამაზეც, მიუწვდომელია ფორსაიტული ნატურისათვის. აქ არას ფორსაიტისის რღვევის ფსიქოლოგიური საწყისი. ხოლო სიყვარულის გრძობა რეაღისტ ვოლსტორთის ესმის მთელი მისი სექსუალური მიზეზებითა და სიმბტომებითაად. ვოლსტორთი უღდეს ყურადღებას უთმობს სიყვარულის გრძობას საერთოდ და მის გარშემო წამოჭრილ პრობლემაებს. მისი აზრით „სიყვარული ველური მცენარეა, ველური თესლადან აღმოცენებული, გზის პირად ველური ქარისაგან ნარზევი... სადაც კი ეს ველურა მცენარე ამოვა, კაცები და ქალები პეზლები და არაან გაფითრებული, ცეცხლის მსგავსი ყვავილას გარშემო“. გამოურკვეველი დაუკმაყოფილებლობის ზმა ისმის სიყვარულის ასეთ ახსნაში. აკრძალული ვნების ბნელი ყვავილი უზვად ყვავის ვოლსტორთის ქვეყანაში. ის მუდამ მიუწვდომელია, მისწრაფება მისით დაკმაყოფილებისაკენ — ყოველთვის დამარცხებული. ასე მარცხდება სიყვარული „მესაკუთრეში“ (ყველაზედ უფრო მკვეთრად და ამავე დროს სიმბოლურად ზორცასხმული საყვარული) ბედისწერით, ასე მარცხდება იგი მონანიებით „ბნელ ყვავილში“, ტრადიციით — „პატრიციაუსში“, საკუთარი დაცემით — „აგარაკში“, სეცივილიზაციით — „მომბაში“, წარსულით — „ქირავდება“-ში. ეს დაუკმაყოფილებლობა და ტკივილის გრძობა თან სდევს ვოლსტორთის სიყვარულის გაგებას, ისევე როგორც საერთოდ მთელი „ქვეყნის სილამაზის“ შემეცნებას ვოლსტორთის მეარ.

სექსუალური სიყვარული სილამაზედაა წოდებული „ფორსაიტ საგაში“. ირენი არის მისი განსახიერება. სიციცხლის მთელი სილამაზე მისი ფიგურის ფოქუსშია თავმოყრილი. ისევე როგორც სილამაზის პერცეპცია არ არის ფიზიკური პროცესი, ასევე არ არის დახატული პოზიტივეური მანერით და მატერიალური ზაზებით ეს ფიგურა, დანიშნული სილამაზის მიმქროლავი პერცეპციის გაღმოსაცემად. ამიტომ ირაციონალური (ფორსაიტული გაგებით) და იმპრესიონისტული ზაზებითაა დახატული იგი. მისი კანონზომიერება შეუ-

ცნობელია ფორსაიტული ლოდიკითა. გოლსუორთი ირენს ხან ფორსაიტის თვალებით დანახულს გვიჩვენებს, ხან კი სილამაზის უეცარს, მფრთხილუბის მსგავსებად. ამიტომ ირენი სურნელოვანია, მიმზიდველად, მსუბუქად, იდეალური, და შორეული, მაგრამ მინც თბილა და სუნთქვის მქონე ფიგურა, თუმცა ფერსოდეს ვხედავთ მას თავისთავად, თუ არა სხვა ხასიათის ხედვათა გამქოლ. შეიძლება ამ სიმბოლური ფიგურის ხორცეულ არსებად ქცევისათვის გამოუნახა გოლსუორთიმ კონფლიქტს „მფლობელ ქვეყანასთან“ ფსიქოლოგიური ფესვები. ვფიქრობ, უფრო სწორი იქნება, თუ ვიტყვი, რომ „მფლობელი ქვეყნის“ ძირებშივე შესაძლებელია კონფლიქტი გოლსუორთიმ ადამიანის უმაღლეს გრძნობათა სფეროში ააყვანა. გოლსუორთიმ ადამიანის ორ დაბირასპირებულ ტიპს მოუნახა ყველა ანტიპოდური წერტილი (ბიოლოგიური, სოციალური და ფსიქოლოგიური) და სიმძიმის ცენტრს ფსიქოლოგიის სფეროში გადაიტანა მას შემდეგ, რაც ეს ფსიქოლოგია სოციალური და სხვა საწყისებიდან გამოიყვანა. გოლსუორთი ირენის (უმაღლესი ანტელექტუალური ცნების — სილამაზის) და სოთმის (ფორსაიტაზმის) ანტოგონიზმს უპირველეს ყოვლისა ფსიქოლოგიური ფაქტორით მსნის. თუმცა არ იფიქრება ამ ანტიპოდთა (ვანსაკუთრებით უკანასკნელის) სოციალური არსი. ჩვენი ვალია, არ დავიფიქროთ გოლსუორთთან ახსნა ამ კონფლიქტისა, მაგრამ მთავარა მიუვხლოთ გოლსუორთის სოციალურ მხილებათა ღირებულებას.

ერთის მხრივ სიყვარული და სილამაზე და მეორეს მხრივ სქესი, როგორც თემა და კონტრათემა, დაკავშირებული და გაიგივებული ერთმანეთთან, ქდენტავს გოლსუორთის შემოქმედებას. მაგრამ თუ მთელ რიგ რომანებში და დრამებში გოლსუორთის ბევრი გმირი მხოლოდ სექსუალური ატრაქციის განსახიერებას წარმოადგენს, ირენას მნიშვნელობა ამ მხრივ მხოლოდ მეორადია. წინ წამოწეულია მისი ესთეტიკური მნიშვნელობა და შემამფოთებელი გავლენა ფორსაიტისზე, ხოლო მისი კონფლიქტის ფიზიკურ მიზეზად სექსუალური ფაქტორია დასახელებული. მუდამ ასეთ კავშირში იყოფება გოლსუორთის სილამაზის პრობლემა სექსუალურ პრობლემასთან. ირენის ტრაგედიის უნებლად ემანაცია იწყება იმით, რომ იგი ამფოთებს ადამიანთა გრძნობებს, იწვევს სურვილს. იგი საკუთრების გრძნობით შეპყრობილებს ახმარებინებს ძალას. მაგრამ გოლსუორთი სექსუალური საკითხის შეხებისას არასოდეს მიდის ზოგი თანამედროვე ეგროპული რომანისტის მიერ მიღებული ფიზიკური დეტალების აღწერამდე და პორნოგრაფიამდე, თუმცა ეს საკითხი მას თითქმის ყოველი კუთხიდან აქვს განშვრტილი. ტრაგიკული სიტუაციები, ასეთი სიხშირით მოცემული სექსუალურ საკითხთან დაკავშირებით, ამტკიცებს ამ მნიშვნელობას, რომელსაც გოლსუორთი აღლევდა ამ პრობლემას. მაგრამ გოლსუორთი მას ნორმალურ მდგომარეობაში იკვლევს, ავადმყოფური სექსუალური ფსიქოლოგია ძალიან არ აინტერესებს. გოლსუორთის ბშირად უთქვამს: „თუმცა მან სცნო მათი მნიშვნელობა და ძალა, მაგრამ დიდი სკანდინაველი დრამატისტები მას ძალიან არ იტაცებენ“. ეს სწორედ მათი ავადმყოფურობის გამო სექსუალურ საკითხში მიუხედავად ამისა, ინსტანქტიურად, თუ თავისი დიდი ცოდნის და ნაკითხობის გამო, გოლსუორთი მინც ეხება შრავალ ისეთ ინსტანციას ამ საკითხისა, რომელიც ადამიანის ფსიქოლოგიის ფარული კუთხეებიდან მოდის და რომლის წარმოშობა პროფესიონალ ფსიქოლოგებისათვისაც კი არ არის

მთლად ნათელი. ასე მაგალითად, ფსიქო-ანალისტების მიერ ოპიუმის კომპლექსის აღმოჩენამდე, გოლსუორათის რომანში „ავარჯიშებული ინსტინქტიური ფროიდის მომენტის“ მარჯობა პენდისმა, რომელსაც კმრას მიმართ ნამდვილი სიყვარული არასოდეს ჰქონია, მთელ თავის სიყვარულს თავი მოუყარა თავის ერთადერთ შეიღზე, ჯორჯზე. ინტერლუდიაში „გამოლევება“, რომელიც უკვე ფროიდის შემდეგაა დაწერილი, პატარა ჯონის სიყვარული დედის მიმართ აყვანილია სილამაზის ინსტინქტის გამოლევების სიმალემდე, მაგრამ ამ გრძნობის ანალიზი აშკარად დიდ ფროიდისტულ მსაღას იძლევა. ჯუნის გრძნობა „კოჭლი იხეების“ მიმართ, რაც იწვევს მთელი მისი ემოციონალური ძალის კონცენტრაციას მათზე და მათ მოთხოვნილებებზე, ამაღლებული გამოხატულებაა სექსუალური ენერჯისა, რომელიც შეაკავა და გზას გადაადინა საყვარელი ბოსინის დაკარგვამ.

საყურადღებოა გოლსუორათის წერილი 1931 წლის 10 ოქტომბრით დათარიღებული, სადაც აგი ეხება ფსიქოანალიზს:

„შიორფსო, სერ, — მე არასოდეს შემისწავლია ფსიქოანალიზი. მე ვიცი, რა თქმა უნდა ტლანქად, რასაც შეეხება იგი. ვაღარებ, რომ იმ მცირეოდენიდან, რაც მე წამიკითხავს ფროიდის გარშემო, ვფიქრობ, ყველაფერი ძლიერ ჩვეულებრივი მაგალითია ნახევარ ქეშმარიტებისა, რომელიც გადიღებულია მთელამდე, განსაკუთრებით კომპლექსების ამბავში, სადაც, მე ვფიქრობ, ნავარაუდევია ორიგინალური შემთხვევითი მიზეზი ნამდვილად მხოლოდ სიმპტომია განწყობილების საერთო მიმართულებისა... ვარდა ამ პროცესით დაქვევებისა, ვფიქრობ, არასოდეს გამომიყენებია ის მცირეოდენი ცოდნა, რაც მე მაქვს ფსიქოანალიზის შესახებ“.

როგორც სჩანს, მხატვარა გოლსუორათი არასოდეს ყოფილა პროფესიონალი ფსიქოლოგი და მისი მისეღა ფსიქოლოგიის ისეთ რთულ სახემდე, როგორც ფსიქოანალიზია, იხსნება მხოლოდ მისი საოცარი მიდრეკილებით ქეშმარიტების აღმოჩენისადმი. იგი იძლევა ისეთ რთულ, მაგრამ რეალურ ფსიქოლოგიურ სიტუაციებსაც, რომლებსაც განსაკუთრებული ყურადღება ფსიქოანალიზმა მიაქცია.

თავის უკანასკნელ რომანში „მდინარეზე“ იგი ამეღაენებს ინგლისის უკანასკნელი თაობის სექსუალური კონცეპციის ცოდნასაც, ცოდნას ამ თაობის მეტი თავისუფლებისა ამ საკითხის გარშემო არსებულ სიტყვასა და საქმეში. როგორც სარკე ამ ახალი დამოკიდებულების მიმართ, იგი თავის თავს იმდენ უფლებას იძლევის, როგორაც მის ადრე ნაწარმოებებში არ შეიძლებოდა გვეპოვა. გოლსუორათი ამ საკითხშიაც გადაუხვევს „ფორსაიტ საგის“ უმოავრეს ნოტას. აქ მისი სექსუალური ფსიქოლოგიის ობიექტი არის უკვე „ნაზა სხვაობა, შეპარული ამ ქალის მომხიბლაობაში, რომელმაც ფიზიკური სიყვარული გამოსცადა, და სიმწვავე, რომელსაც ამის ცოდნა ნერგავს ადამიანის გრძნობებში“. მაგრამ მიუხედავად ამ სიახლის გაგებისა გოლსუორათი, რომელიც ამ რომანში გვიხატავს ახალი დროის ინგლისელის იდეალურ განსახიერებებს (დინი ჩარველ) და ინგლისელის ხასიათის კონსერვატიულ საწყისებში ეძებს ხსნას—სიყვარულისა და სილამაზის საკითხს ისევე ძველებურად განსაზღვრავს: სიყვარულის მიერ იყო შემოსროლილი ადამიანი ქვეყნად, სიყვარული თავისებური პირველმიზეზია. მეორეს მხრივ, გოლსუორათი ისევე განიცდის გულის ტკივილის მწვავე გრძნობას ფიზიკური ბუნებისა და სილამაზის წინაშე.

ასეთი გოლსუორთის სილამაზის კონცეპცია, რომელსაც იგი ბოლომდე არ დალატობს. მაგრამ როგორც უნდა იყოს იგი ან მისი სადავრობა, ერთი რამ უდავოდ გააკეთა გოლსუორთიმ და ამის შეგნებამ სწავლის განხორციელება მოთქვა ყველაზედ უკეთ მან „საგის“ წინასიტყვაობის დასასრულში:

„თუმცა სილამაზის თავდასხმა და თავისუფლების უფლებები მფლობელ ქვეყანაზე, უმთავრესი წინასწარ განწყობანია ფორსაიტ საგისა, ფორსაიტ საგა არ შეიძლება განთავისუფლდეს საშუალო კლასის შენახვის ტერიტორიასთან. როგორც ძველი ეგვიპტელები ალაგებდნენ თავისი მუმების გარშემო მოშავალი ცხოვერებისათვის საჭირო ნივთებს, ასევე ვცადე მეც დამედო ძალუა ენის და ჯუღის და ჰესტერის, ტიმოთის და სუათინის, მოხეცი ჯოლიონის და ჯემსის და მათი შვილების გვერდით ის, რაც მასცემლა გარანტიას მათ შემდეგა მცირეოდენი სიცოცხლისათვის, მცირეოდენი ბალხამა...“

უკეთუ საშუალო კლასს, სხვა კლასებთან ერთად, უწერია არყოფნაში გადასვლა, აქ, ამ ფურცლებში აღბეჭდილი განისვენებს იგი მაყურებელისათვის დასვენებული, შუშის ქვეშ, ფართო და ცუდად განლაგებულ ლიტერატურულ მუზეუმში. აქ წევს იგი შენახული საკუთარ წვენში. ეს წვენია საკუთრების გრძნობა“.

ს. პილაია

გრ. ორბელიანისა და ნ. ბარათაშვილის ლიბრაჟურადი უკთიარტობისათვის

გრიგოლ ორბელიანი და ნიკოლოზ ბარათაშვილი ქართული რომანტიზმის ორი ბრწყინვალე წარმომადგენელია. ნ. ბარათაშვილი გრ. ორბელიანზე თითქმის ორათეული წლით უმცროსი იყო და ამისდა მიუხედავად ბარათაშვილს ზრ ჰყოლია უფრო ახლობელი სულიერი მეგობარი, პოეტური განწყობილებებისა და იდეების შესაიდუმლე ვიდრე გრიგოლ ორბელიანი. ისინი განუყრელი მეგობრები, ნამდვილი ტოლები იყვნენ.

ეს ორი პოეტი ერთმანეთს დააკავშირა ზრა მარტო ნათესაურმა ურთიერთობამ, არამედ მსგავსმა სულიერმა და პოეტურმა განწყობილებამ. ერთნაირი იდეური სამყარო გააჩნდათ მათ, საერთო პოეტური ტკივილებს აწვალეზდათ, ერთგვარი წარმოდგენები ჰქონდათ ქვეყანაზე რამაც მსგავსი განწყობილებანი გამოიმუშავა მათში; ამ გარემოებამ და მხოლოდ ამ გარემოებამ დააკავშირა ასე ინტიმურად ეს ორი პოეტი ერთმანეთთან. ისინი პოეზიის გზაზე შეხვდენ ერთმანეთს, როგორც მეგობრები.

გრ. ორბელიანისა და ნ. ბარათაშვილის პოეზია ერთი ეპოქის შედეგია. გრ. ორბელიანის პოეტურ ქვეყანას ისეთი ნიადაგი, გარემოცვა და სათავე ჰქონდა, როგორც ნ. ბარათაშვილის პოეტურ მოღვაწეობას. საერთო სოციალურმა ნიადაგმა, ერთიანმა ოჯახურმა წრემ და იდეოლოგიურმა გარემოცვამ შექმნა მსგავსი პოეტური განწყობილებანი.

ეპოქა, სადაც შემზადდა ამ პოეტთა სულიერი განწყობილება, ონა მეუნარგიას სიტყვებით რომ ეთქვავთ, მოკლედ ასე შეიძლება გადმოვცეთ: „ეს იყო თბილისის აოხრება აღა-მაჰმადისაგან. მეფე ერეკლეს გარდაცვალება... რუსის ჯარის ჩამობარგება ქალაქში... მეფე გიორგის უდროოდ სიკვდილი... ბატონიშვილთა ყურთავლეჯა... მანიფესტი... ოთხთათასი ეგზემპლიარი კნორინგის განცხადებისა ზალში გავრცელებული... ლაზარევი, დედოფლის ხელით მოკლული... დაქრილი დედოფალი, ტროიკით რუსეთში გაგზავნილი... თავაურელების მეცადინეობა დედოფლის განთავისუფლებისათვის და რიალის ეიწროებში... დედოფალი მონასტერში ჩამწყვდეული... მაჰმადიანთა პროვინციების შემოერთება. ჰირი ქალაქში გაჩენილი... სამეგრელოს გაქვევეერდომება... იმერეთის მეფის გაქცევა. კახეთის ბენტი...“ და სხვა¹⁾.

აი, ის შთაბეჭდილებანი, რომელთა გავლენის ქვეშ ყალიბდებოდა ორბელიანისა და ბარათაშვილის გონებრივი და პოეტური წარმოდგენანი.

გრიგოლ ორბელიანისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის პოეტურა სევდა ახალი „ქართლის ბედის“ გამოხატულება იყო. ნ. ბარათაშვილისა და გრ. ორბე-

¹⁾ ი. შეუნარგია, ქართული მწერლები, გვ. 47.

ლიანის ტრადედა მე-19 საუკუნის ქართველი არისტოკრატიის ტრადედაა საქართველოს ბედის ტრადიციული განცდა არის ორბელიანების „შართი შვილის ლექსების საფუძველი. სევდით მოცული ფაქტები „მეცემეზუნის იხინი „ქართლის ბედს“, გულმოკლულნი დასტიროდნენ დაკარგულ თავისუფლებას და შეურიგებელა უთანხმოება ჰქონდათ არსებულ სინამდვილესთან.

გრ. ორბელიანისა და ნ. ბარათაშვილის შემოქმედების მთავარი თემა, ატმოსფერო და პიროვნული სევდიანობის სათავე „ქართლის ბედით“ გამოწვეული სულიერი ომლობა და მიუსაფრობა იყო. ამ ქართველ კეთილშობილ პატრიოტების უძირთ სევდა საქართველოს სინამდვილითაა ნასაზრდოვბა და ყველაზე სრულყოფილი სახით აქ შეხედნენ ეს პოეტები ერთმანეთს.



გრ. ორბელიანი და ნ. ბარათაშვილი უახლოესი ნათესაური კავშირით იყვნენ დაკავშირებულნი: ნ. ბარათაშვილი დისწული იყო გრ. ორბელიანისა. მელიტონ ბარათაშვილის ოჯახს ზურაბიანთ ოჯახზე ახლობელი არაიენ ჰყავდა. ამ ოჯახურ ურთიერთობას უაღრესად მეგობრულს ზდიდა გრიგოლ ორბელიანის გულთბილი დამოკიდებულება მელიტონ ბარათაშვილის ოჯახთან. დოკუმენტები, — პარადი. მიმოწერები, — აღასტურებენ გრ. ორბელიანის ინტიმურ და კეთილშობილურ დამოკიდებულებას ბარათაშვილებთან. როგორც ცნობილია, მელიტონ ბარათაშვილი უსაზღვროდ ხელგაშლილი თავადი იყო. თავადივილურმა ხელგაშლილობამ ოჯახი გააღარბა ბარათაშვილის ხელმოკლე ოჯახზე დიდ მზრუნველობას იჩენდა გრ. ორბელიანი. ყურადღებით ეკიდებოდა ყოველ მათ თხოვნას; ზრუნავდა ოჯახის შემოსავალზე, რაზედაც იყო დამოკიდებული დისწულების მომავალი.

1832 წელს მელიტონ ბარათაშვილი რუსეთში მყოფ გრ. ორბელიანს ასე შეაწერულად შესახოვს, უფრო სწორად ავიღებს: „ალექსი პეტროვიჩი — (ერმოლოვი) მიდი ნახე და როცა ნახო ასე უთხარი ჩემი, რომ თქვენ შემდეგ ისე არის-თქო გაშვებულნი და უკანასკნელ ცხოვრებაში-თქო. ამ ახლანდელს ჩვენს მთავარმართებელს-თქო დიდად პატივცემა აქვს-თქო. ბარათოვი მწერს-თქო, რომ ბართონ როზენს წიგნი მოსწერე-თქო. დაწმუნებული ვართ-თქო, რომ თქვენს წერილს ყურადღებას მიაქცევს-თქო. არა ქნა რომ არ ნახი და ეს ასე არ მოახსენო. ჩემი დიდი შეწუხება უთხარა და კიდევ ეცადე, რომ ეგებ მართლა ერთი წიგნი მოსწეროა ჩემთვის ახლანდელს ჩვენს მთავარმართებელს“.

გრ. ორბელიანს სიძის დავალება აღუსრულებია; უნდავეს ერმოლოვი. ამ უკანასკნელს წერილი მოუწერია მთავარმართებელ როზენისათვის. ახალი მთავარმართებლის წინაშე ამიერიდან რებუტაცია შეტქმნია და წყალობა მოუპოვებია მელიტონისათვის ამ წერილს. როზენის წარდგინებით მელიტონ ბარათაშვილს „განსაკუთრებული ერთგულებისათვის“ მაიორობა, ჯვარი და პენსია მიუღია. ამის გამო გაზარებული მელიტონი ორბელიანს სწერდა: „ეს არის ეხლა მაიორობა და ოთხმოცდაათი თუმანი თეთრი ფული პენსია მომივიდა“.

გრ. ორბელიანს უყვარდა მელიტონ ბარათაშვილი; პატივისცემით იხსენიებს მას ყველგან, როგორც ადამიანს; უფრო გულთბილად და განსა-

კეთრებული ვრძობით, როგორც დისა და დისწულების ოჯახის მეთაურს.
 1835 წ. მელიტონ ბარათაშვილი შვიმე ავადმყოფი გამხდარა და მისი ჯანმრთელობის აღსადგენად შეწუხებული ვრ. ორბელიანი თავის ძმის ზაქარიას მხარეს მდებარე ლიტონის უბნად ავადმყოფობამ ძალიან შემაწუხა. მთელი ღამე მწუხარებისაგან თვალი არ მომიხუჭავს; რა უნდა ჰქნას საბრალო ეფემიამ, თუ მართლა ეს უბედურება მიადგა. რით უნდა შეინახოს თავისი წვერილი შვილები ან რით გადინდოს ვალები რომელიცა უეჭველად ბევრი დარჩება. — ღმერთმა დაიფაროს ამ უბედურებისაგან; მაგრამ შენ ასეთ რიგათა მწერ, რომ გონია საწყალი მელიტონი კიდევ მოკვდარა. — ცრემლი მდიან თვალსაგან ამ წერაში. — საწყალს მელიტონს უყვარდით ჩვენ ძალიან და იყო ჩვენი კეთილის მსურველიცა. — იმედი მაქვს, რომ თუ ბარონ როზენი მანდ არის ნიკოლაი იოსებისა და მუხრანის ბატონის შემწეობით პენციანზე წარადგინოს ეფემია. — ეს ერთი ღონისძიება არის საბრალო ეფემიასათვის სანუგეშოდ. ჩვენც ასეთს სიღარიბეში ვართ, რომ შემწეობა მაგვთენი არა შეგვიძლია-რა. — ახი ღ-თო, რა უბედური ოჯახი შეიქმნა სახლი ჩვენი. — ოხი რა ძნელია მოსათმენად რომ ყაცი ზედაედეს ესრეთ გულის საყვარელს დას უკანასკნელ განწირულებაში, და არა შეეძლოს შემწეობა. — მომწერე, გეთაყვა ზაქარიავ, ყოველივე ეფემიას საქმე დაწერილებით, ნურას დამიმაღლე ჩემს სანუგეშოდ.“

ეს უაღრესად აღმაშურთ და კეთილშობილური ვრძობით გამთბარი სტრიქონები თავდება ასეთი მინაწერით: „არ შეიძლება დროებით მაინც გადმოიყვანოთ ჩვენსას ეფემია?“

რადაც განსაკუთრებული სიყვარულით და სინაზით უყვარდა ვრიგოლ ორბელიანს თავისი და ეფემია, ამ სიყვარულის მადლმა შთააგონა ჩვენი პოეტი ქართული ლიტერატურის ისეთი შედეგის შექმნაში, როგორიცაა ვრ. ორბელიანის ლირიკული ლექსი „ჩემ დას ეფემიას“. ეფემიისადმი ვრ. ორბელიანის განსაკუთრებული სათუთი დამოკიდებულება არა მარტო ამ ლექსშია გამჟღავნებული, არამედ იმ პირად წერილების ფურცლებშიაც, რომელიც დღემდის შემონახულა.

აი რამდენიმე ამონაწერი ამ ფურცლებიდან: 1845 წელს პოეტი ვრ. ორბელიანი თავის ძმის ზაქარიას სწერდა: „ჩემო საყვარელო ძმაო ზაქარია, ილიასაგან მომივიდა წერილი, რომელშიაც მაცნობებს მელიტონის დამბლობასა. შენი მტერი შეწუხდეს ისე, როგორც მე, ამ ამბით. რა უნდა ჰქნას სიყმითვე ეფემიამ, რით შეინახოს ესეოდენი წვერილი შვილები, სრულიად ღატაკად დარჩენალნი; ტატოც ნახევანში წასულა ლევანთან ერთად. — ამდენს ჩვენის თავის ვაივავლახს ესლა გეაკლდა; რა უყოთ, რით ან როგორ შევეწივნეთ უსახლკაროსა, უბუროსა, უტანისამოსოს ჩვენს დასა? ეს ფიქრი მაგიყებს სრულიად, ნეტაი მოგვედე და ამდენს სიგლაბაეკს მოვრჩე.“¹⁾

ასეთი გულდაწყვეტილი და სევდიანია პოეტის წერილები ეფემიას ხელმოკლე მდგომარეობისა გამო. ვრ. ორბელიანი არასოდეს არ ივიწყებდა საყვარელ დას, მისი ფიქრის ოცნების და ზრუნვის საგანი მუდამ იყო ეფემიას ოჯახი. 1847 წელს ვრ. ორბელიანი, ძმის ზაქარია ორბელიანის გარდაცვალების გამო, რძლისადმი მიწერილ სასამქიმრო წერილში მშობლიური გულშემატკივრობით შესთხოვს მას: „ეფემიასა და მელიტონას ამბავი მომწერეთ,

¹⁾ ვრ. ორბელიანი, წერილები, ტ. I, გვ. 106. აკ. გაწერელის რედაქციით.

ეფემია თურმე ავით ყოფილა, ახლა როგორ არის მაცნობეთ, ავტორთვე/მისი შვილები“.)

1849 წელს გრ. ორბელიანი შეპრწუნებული და აღშფოთებული სწერდა კვლავ რძალს: „აქ ხან ეფემიას სიკვდილს ამბობენ, ხან მანანაჲ. სწორე კი ვერავისაგან გამოვიგია. თუ უბედურება რაამე მოგვევლინა მე რათ მიმილაფთ? და ან როდემდის უნდა დამამალოთ?“.)

გრ. ორბელიანი არა მარტო სატყვეიერი თანაგრძნობით იხსენიებდა თავის საყვარელ დას, არამედ მატერიალურადაც, ნივთიერად ეხმარებოდა მას. ეს ჩანს მისი პირადი წერილებიდან. გრ. ორბელიანი 1845 წელს ძმას ზაქარიას სწერს: „არ ვიცი მიიღე თუ არა ხუთი თუმანი გამოგზავნილი ჩემგან ეფემიასათვის“..) 1847 წელს კი რძალს სწერდა: „ჩემო საყვარელო ძალუე ქეთევან; ჩემი დის ეფემიასათვის გამომიგზავნია ხუთი თუმანი, ვთხოვთ გაუგზავნოთ ამავე წერილით, სააღდგომოთ ბოღნდება. ეგ საძრალო სრულებით არასა მწერს. თქვენ მაინც შემატყობინეთ მაგის ამბავი“..)

გრ. ორბელიანი თავის ძმებსაც შესთხოვეს დაეხმარონ ხელმოკლე დას. 1846 წელს ილია ორბელიანს სწერდა: „ბარბარე, ოთარის ცოლის წიგნი მომივიდა, რასაკვირველია, ფულს ითხოვს. — მეც დიდის ოხვრით და სიმწარით გაუგზავნე ფოსტით ათი თუმანი სულ სიჭა მანათი და შეუთვალე, რომ მეტი აღარ მოხოვოს, მანამ არ გაემდირდე. ეს ფული შენ ნუ მომიკვლები, ეფემიასათვის მიწოდოდა, და ამ წყეულმა დედაცა გამოიტაცა ხელიდან. — დაერჩი ამტრედში ასე, რომ ეფემიას ველარ გაუგზავნე. ეგებ შენ ჩემო ილიკო ხუთი თუმნით მაინც შეეწიო“..)

გრ. ორბელიანი მეორე წერილში კვლავ შესთხოვეს ძმას „ჩემო ილიკო, რაღა ჩემგან გინდა დარიგება, რომ ჩემს საბრალოს ეფემიას უნდა შეეწიო ხოლმე შენი შეძლებისამებრ. — ჩვენის მეტი ვინღა ჰყავს საწყაღს ნუგეშად“..)

ეს წერილები ორი მხრით საყურადღებოა: ჯერ ერთი გრ. ორბელიანი ზრუნავდა თავის საყუთარ დაზე და ძმებსაც ვალდებულად სთვლიდა დახმარება გაეწიათ მისთვის. მეორე მხრივ აქედან ამჟამაა, რომ გრ. ორბელიანი თურმე სისტემატურად, განსაზღვრული თანხით, ეხმარებოდა თავის ხელმოკლე დას.

1845 წელს გარდაიცვალა პოეტი ნ. ბარათაშვილი. ამ შემთხვევამ სრულებით გააუბედურა ისედაც ხელმოკლე ოჯახი მელიტონ ბარათაშვილისა. ამის შემდეგ მზრუნველის გარეშე დარჩენილი ბარათაშვილის მოხუცებზე და ოჯახზე გრ. ორბელიანი ზრუნავდა, თავით პატრონობდა ლარიბ დისწულუმს.

1849 წელს გრ. ორბელიანი ქეთევან ორბელიანს სწერდა: „ძალუაჯანი გეთაყვანე, ერთი იფიქრე კარგად და უშოვნე შესაფერისი ქმარი ჩემს დისწულს ბაბაღეს, ესე იგი ეფემიას ქალს. ჩემის მხრივ შემძლიან მივეცე ასი თუმანი თეთრი სიჭა მანათი მზითვად. — აბა იმაზე დეღლაპარაკე იმის დას

1) იქვე, გვ. 109.

2) გრ. ორბელიანი, წერილები, I, გვ. 190.

3) იქვე, გვ. 3.

4) იქვე, გვ. 170.

5) გრ. ორბელიანი, წერილები, I ტ., გვ. 126.

6) იქვე, გვ. 128.

კატოსაც¹⁾ რამდენიმე ხნის შემდეგ კვლავ მოაგონებს რძალს „ეფემიას ამბავი სრულებით არა ვიცი—ამას წინათ ვთხოვე ძალუჯი, რომ უფებ ერთი კარგი სასიძო ვიშოვნოთ სადმე ბაბალესათვის, რომლისთვისაც ვაღა მიღვია ასი თუმანი მზითვად“.²⁾

ამგვარი ამონაწერების რიცხვი კიდევ შეიძლება გაგვეზარდა, მაგრამ აქედანაც ნათელია თუ რაოდენ გულთბილ და ჭირისუფლურ მზრუნველობას იჩენდა გრ. ორბელიანი ეფემიასა და მელიტონის ოჯახისადმი, თუ როგორ ზრუნავდა და გულისხმიერად ეკიდებოდა ბარათაშვილის ოჯახს. და მაინც ბარათაშვილის ოჯახის წევრთა შორის გრ. ორბელიანს ყველაზე ახლო დამოკრძებულება და სულიერი მეგობრობა ნ. ბარათაშვილთან, საყვარელ ტატოსთან ჰქონია.

ნ. ბარათაშვილი გრ. ორბელიანის ოჯახში დაიბადა. მეტი წილა ღრო თავში ბავშვობისა ორბელიანთა სახლში გაატარა. გრ. ორბელიანის ოჯახი შეიძლება ითქვას იყო ტატოს მეორე სახლი. განსაკუთრებულ სიყვარულს პატარა ტატოსადმი ორბელიანთა ოჯახში იჩენდა უფროსი ძია გრიგოლი. გრ. ორბელიანი ნამდვილი ხელმძღვანელი, დამარიგებელი და მეგობარი იყო ნიჭიერი დისწულისა. მისი უშუალო შთაგონებით ყალიბდებოდა მომავალი დიდი ლირიკოსი, ნ. ბარათაშვილსა და გრ. ორბელიანს შორის 17 წელი იყო ჩამდგარი, მაგრამ ეს ასაკობრივი განსხვავება ხელს არ უშლიდა მათ ყოფილიყვნენ ნამდვილად ტოლნი მეგობარნი. ამ პოეტთა იდეალურ მეგობრობაზე მოგვითხრობენ დოკუმენტები — თანამედროვეთა მოგონებანი და პირადი წერილები.

ზაქარია მთაწმინდელი ნ. ბარათაშვილის ბიოგრაფიაში სწერს: „გრ. ორბელიანს ერთობ ყვარებია პატარა ნიკოლოზი. საკეთილშობილო სკოლიდამ თითქმის ყოველდღე გრ. ორბელიანთან დადიოდა, სადილად მასთან რჩებოდა, სადილის შემდეგ საღამოზე მიდიოდა თავის სახლში, აჩხატის უბანში. გრ. ორბელიანსაც ხშირად მიჰყავდა თურმე სასეირნოდ, როცა კი წავიდოდა სადმე... დღესაც ცოცხალნი არიან ის პირნი, რომელთაც კარგად ახსოვთ ნ. ბარათაშვილის მისვლა-მოსვლა გრ. ორბელიანთან“.³⁾

გრ. ორბელიანს გულწრფელი სიყვარულით ჰყვარებია თავისი დისწული, უაღრესად ადამიანური, კეთილშობილური გრძნობებით არიან გამსჭვალული გრ. ორბელიანის ეს პირადი წერილები, სადაც ნ. ბარათაშვილზე არის საუბარი. ერთგან გრ. ორბელიანი თავის ძმას სწერს და შემდეგი სიტყვებით მიმართავს: „მზაკოს სიყვარულით მოვიკითხავ, ვინძლო რომ ერთმანეთი გიყვარდეთ გულწრფელად, ესრეთ როგორც მე და ტატოს გვიყვარდა ერთმანეთით“.

ასე სამავალითო ყოფილა ამ ორი პოეტის მეგობრობა. ასე მისაბამი და სანიმუშო ყოფილა მათი გულწრფელი სიყვარული მომავალი თაობისათვის. დიდი სიყვარულით დაწერილ პირად წერილებში ხშირად შეხედებით ტატოსადმი გრ. ორბელიანის ერთგვარ საყვედურებსაც, წერილების დაყოვნებისა გამო. პოეტი ერთგან იღია ორბელიანს სწერს: „არა ვე ჩინჩხერის ცეცხლი, ტატო და ვანო, რომელთაც ჰგონიათ თავიანთი თავი ლომებად, რატომ

¹⁾ გრ. ორბელიანი, წერილები, ტ. I, გვ. 194.

²⁾ იქვე, გვ. 199.

³⁾ ზაქარია მთაწმინდელი, „ნ. ბარათაშვილი“, გვ. 6.

არასა მწერენ? ბირობა აგრე გვეჭონდა?"¹⁾ მუდამ დაინტერესებული იყო გრ. ორბელიანი ტატოს მდგომარეობითა და საქმით. 1843 წელს მწერს: „ილაჯან, ავად ხომ არ ხარ? არა მწერ? რა ექნა მამ სხვა რა ვითიქრო. ან ტატოს რა დაეშართა, რომ ერთხელ არც ის მოიწერა ჩემთან.“²⁾ და იქვე უმატებს „უზრუნველნი ქართველნიო“. ხოლო მეორეგან ხუმრობით წერს ზაქარია ორბელიანს: „ჩვენი ტატო პოეტია, და პოეტების ხასიათი ზომ ვიცი, ოღონდ ყური დაუგდო თორემ აღარ გაათავებენ, შავის იმედი მაქვს, რომ კარგად დაწერალ წიგნებს მოიწერება ჩემთან მალმალ.“³⁾ და ბოლოს კვლავ საყვედურით მიმართავს საყვარელ დისწულს „უნდა სცხვენოდეს ტატოს, რომ ერთხელ არ მოიწერა.“⁴⁾

და ასე თითქმის ყოველ მახლობელთან მიწერილ წერილებში კითხულობს გრ. ორბელიანი ნ. ბარათაშვილის ამბავს და ყველას შესთხოვს შეაჯყობინონ მის შესახებ. ასე დიდად უყვარდა საყვარელი დისწული პოეტს ამიტომ იყო, რომ დიდხანს ვერ უმხელდნენ გრ. ორბელიანს ბარათაშვილის სიკვდილს. იღია ორბელიანმა ვერ გაბედა მიეწერა ეს ამბავი უშუალოდ გრ. ორბელიანისთვის და სცადა მიხაყო ორბელიანის სამშუალებით გადაეცა მისთვის ეს. ყურმოკრული ამბით გაიგო თუ არა გრ. ორბელიანმა ნ. ბარათაშვილის მძიმე ავადმყოფობის თუ სიკვდილის (ეს ზუსტად ვერ გამოარკვია) ამბავი, ის აღშფოთებული და თავზარდაცემული სწერდა იღია ორბელიანს: „ჩემო ილიკო, არ ვიცი რა უნდა ექნა მე რომ ხანდახან შენი წიგნი მომივიღეს? სწორე ვითბრა ვერა მომიტიქრებია რამე ასეთი, რომელმაც ძალად აგაღებინოს კალამი ჩემდა მოსაწერად. — აღარ გვეყვედრი ამისათვის, და აღარაცა ვწუხვარ შენი ჩემდამი უზრუნველობისათვის; მაგრამ დროს მოაქვს ესრეთი შემთხვევა რომლისა ცნობა ჩემთვის საჭირო არის ისე როგორც შენთვის: მაგალითებრ ოჯახის მდგომარეობის ცნობას დავეხსნათ თავის დღეში არ მოგიწერია — ტატოს ამბავი, ჩემი გულით საყვარელის ტატოს ამბავი მომწერე, ცოცხალია თუ მკვდარი? უცნობლობა მკლავს: შენ მიხაკოსათვის მოგიწერია ტატოს უიქედო ავადმყოფობა. ამანაც წიგნი არ მაჩვენა ისე ზებირად მითბრა, მაგრამ ასე მათბრა, რომ თითქმის კვდარბ უნდა იყოს. — ახ! ეს დამალვა რა არის: თუ მიხაკოს მსწერ, მე რაღა ვარ? აქაურმა ცხოვრებამ, ძალღის ცხოვრებამ და ამ უცნობობამ ტატოსათვის მე ავით გამხადეს: ეს გქვსი დღე ეწვევარ გარიამკითა მიხაკოსთან“⁵⁾ და ბოლოს თვითონ შესთხოვს მას „თუ ხატი ვწამს, მომწერე ტატოს ამბავი სიწრფოებით და მას უკან — რადგანაც შენთვის დიდი შრომაა — ნულარ მოაწერები, იყავ შენთვის მშვიდობიანათ“. ამის შემდეგ იღია ორბელიანი იძულებული გამხდარა მიეწერა მისთვის ნიჭიერი პოეტისა და საყვარელი დისწულის ბედის ამბავი. იღია ორბელიანი შიშით, მორიდებულ ტონით და მუდარით წერდა წერილს: „ამ საწყლების მელტონისა და იმის ცოლის ყურებისათვის ვერ გამიძლია; გულს ცეცხლი მევიღება, და აღარ მესმის რა. — ჩვენი სიცოცხლე ტატო

¹⁾ გრ. ორბელიანის წერილები, I ტ., გვ. 81.

²⁾ გრ. ორბელიანის წერილები, ტ. I, გვ. 84.

³⁾ იქვე, გვ. 75.

⁴⁾ იქვე, გვ. 68.

⁵⁾ გრ. ორბელიანი, წერილები, I ტ., გვ. 118.

გარდაიცვალა განჯას და იფიქრე ჩვენი ცხოვრება. ნეტაი შენ რომ შე-
ლიტონსა და ეფემიას არ ხედავ. შენი ჭირიმე, გრიგოლჯანი, ჩვენ სამხრეთ
ქრისტიანობრივი მოთმინებით მიიღე და ნუ შეიწყუბებ მავ ზეპირსა და
თავსა.“¹⁾)

მოტანილი ადგილი ნათელი მაგალითია იმისი, თუ რა გულწრფელობით
უყვარდათ ორბელიანების ოჯახში ნიკოლოზ ბარათაშვილი; — კერძოდ კი,
რა განსაკუთრებულად გრძნობით და მხურვალე სიყვარულით ჰყვარებია ეს
ნიჭიერი ლირიკოსი პოეტ გრ. ორბელიანს.

ასე ახლო ყოფილან ადამიანურად ეს ორი პოეტი ერთმანეთთან. ამას შემ-
დეგ სრულიად დაუსაბუთებლად მოსჩანს ქართულ კრიტიკაში გაგრძელებ-
ბული აზრი, რომ თითქოს „გრ. ორბელიანი გულისხმებრად არ ეკიდებოდა
ნ. ბარათაშვილს.“

გრ. ორბელიანი პირადად ზრუნავდა და ცდილობდა ყოველმხრივ ხელი
შეეწყო ნიჭიერ დისწულისათვის. პოეტმა იცნო დიდი მომავალი ტალანტი.
გრ. ორბელიანი გრძნობდა, რომ ბარათაშვილის სახით ქართულ პოეზიას ემა-
ტებოდა უზადო ლირიკოსი. გრ. ორბელიანი ისეთი დიდი აზრისა ყოფილა
ნ. ბარათაშვილზე, რომ მას სანანებლად მიაჩნდა თუ „ამ ნიჭს განვითარე-
ბის საშუალება არ მიეცემოდა“.

გრ. ორბელიანი 1835 წ. გიმნაზიის კურსდასრულებული ნიკოლოზ ბარათაშვილის შესახებ სწერდა თავის ძმას: „რასა იქმს ტატიკო. კიდევ კოჰ-
ლობს თუ არა? ანდა რას სწავლობს, ურჩივ მელიტონს, რომ ეცადოს სა-
ხაზინო ანგარიშზე იმისი გაგზავნა როჰელისამე უნივერსიტეტში. სამწუ-
ხარო, ნეტად სამწუხარო იქნება თუ იმის ნიჭს განვი-
თარებთის საშუალება არ მიეცა. ნეტავი გამოგზავნოს დერბატკის
უნივერსიტეტში, რომელიც არის უპირველესი რუსეთში. ძალიან ადვილია
ამის ასრულება თუ კი მელიტონი თხოვს ბარონს (როზენს)“. როგორც ჩანს ეს
არ მოხერხდა მაშინ. ნ. ბარათაშვილის სურვილიც ყოფილა უნივერსიტეტში
სწავლის გაგრძობა, მაგრამ ოჯახის მდგომარეობისა გამო, როგორც პოეტი
გვატყობინებს, ვერ მოხერხდა ეს. უფრო კი პოეტს სამხედრო კარიერა იზი-
დავდა. ამას არ ფარავს პოეტი.

ნიკოლოზ ბარათაშვილი 1837 წ. ორბელიანს სწერდა „აგერ წელიწადნა-
ბევარია რაც მე გიმნაზიის კურსი დაეასრულე, და ვიმყოფები სულა ი რას-
პრაჟაში. წარდგენალი ვარ ჩინზე და კიდევ მოველი. მაგრამ უნდა ვიღიარო
არც პანსიონში ყოფნის დროს, როდესაც ჩემი მომავალი ცისარტყისებულ
ოცნებაში წარმომიდგებოდა ხოლმე და არც მერამე, ვიდრე სამსახურში
შევიდოდი, სულ არ მომსვლია ფიქრად სამოქალაქო სამსახური: ჩემი სურ-
ვილი იყო ჯარისკაცობა, იგი მზრდიდა მე აქომამდე და ახლა ხანდისხან კი-
დეგ შთამომეპარება ხოლმე გულში“.²⁾) ის გარემოება, რომ ეს უნიჭიერესი
ლირიკოსი სამხედრო სამსახურში შესვლას ესწრაფოდა, ეს არა მარტო იმით
უნდა აიხსნას, რომ იმდროინდელ ქართველ არისტოკრატობას სამხედრო კა-
რიერა იზიდავდა, არამედ კერძოდ იმითაც რომ პოეტი შთაგონებული იყო
ბიძას, პოეტი გრ. ორბელიანის მიერ არჩეულ სამხედრო ასპარეზით. შემ-
თხვევით როდი სწერდა ნ. ბარათაშვილი გრ. ორბელიანს, რომ მისი შემ-

¹⁾ იონა მელუნარგია, ქართული მწერლობა, გვ. 189.

²⁾ ნ. ბარათაშვილი, ლექსები, 1939 წ. გამოცემა, გვ. 77.

კვიდრედ გამოეყვანა ის. „საკვირველია, რომ ჭარბველ კაცს — სწერდა ნ. ბარათაშვილი, — როდენიც დიდებული და ძლიერი უნდა შეიქნეს, სწავლას და შორსმხედველობა, რომ როდესაც დაატყოს თავისთავს ვებრძვინოს“¹⁾ ვოს თავის მეგვიდრეთ ვინმე, მოამზადოს, მისცეს გზა სოფელში, გამოიყვანოს კაცად და როდესაც თითონ დაეცეს (საბოლოო არა არის — რა ამ საწუთროში) მაშინ მაინც კადემ ჰქონდეს შესაძლებლობა და ხმა ერსა შორის თავის მეგვიდრის „შუამავლობით“²⁾ და ქვემოთ „ჩემი ფიქრი მანდეთ მოჰქრის. ეცადე რომ რენენკაფთან დამანიშნო. ხომ ამ პირობით წახველ რომ ეს მოგებდინა ჩემთვის“.

გრ. ორბელიანი ყოფილა პოეტის, ნ. ბარათაშვილის შთამოწმებელი, ამ სიტყვის პირდაპირი და მალალი მნიშვნელობით, ცხოვრების ყოველ გზაზე. კერძოდ სამხედრო სამსახურში დაწინაურებული პოეტის ბიძა, როგორც სამართლიანად სწერს ნ. ბარათაშვილის საინტერესო ბიოგრაფიულ ნარკვევში პ. ინგოროყვა, „ახალგაზრდა ბარათაშვილისათვის, მისაბიძი მავალათი იყო“.

ნ. ბარათაშვილმა თავისი ყმაწვილობისა და ჰაბტუობის წლები გრ. ორბელიანის ოჯახურსა და პოეტურ წრეში გაატარა. გრ. ორბელიანის უშუალო შთაგონებითა და გავლენით მომზადდა ეს ნიჭიერი ლირიკოსი. მწერლობაც ნ. ბარათაშვილის უშუალოდ გრ. ორბელიანის შთაგონებით დაუწყია. ახალგაზრდა ნიჭიერი ყმაწვილის პოეტური შემზადება გრ. ორბელიანის ხელმძღვანელობით მიმდინარეობდა თურმე. ამას ადასტურებს ზაქარია მთაწმინდელის საგულისხმო მოგონება.

„მრავალთაგან გამიგონია, — სწერს ზაქარია მთაწმინდელი, — ბარათაშვილი ლექსს რომ დაწერდა იმას მაშინსოვე თავის ბიძა გრ. ორბელიანს უჩვენებდა, და შემდეგ ჰკითხავდა: მოგწონს თუ არაო? გრიგოლს რომ დაეწუნა ბარათაშვილი მაშინათვე დახედდაო. პატარაობის დროსაც და შემდეგაც ნივლოში მოუჩრდილებლივ უკითხავდა ლექსებს და მის შესახებაც გამოჰკითხავდა ხოლმე.“³⁾

ზაქარია მთაწმინდელის ამ საინტერესო მოგონებას ადასტურებენ დოკუმენტები და ნ. ბარათაშვილის პირადი წერილებიც, გრ. ორბელიანისათვის გავზავნილ. ნ. ბარათაშვილი წერილებთან ერთად, თითქმის ყოველთვის, საკუთარ ლექსს უგზავნის პოეტსა და მეგობარს გრ. ორბელიანს.

ერთ წერილში ნ. ბარათაშვილი წერს გრ. ორბელიანს: „ამ მცირე ხანში ერთი ლექსი დაეწერე, რომელსაც ამასთანავე გიგზავნი. შენი აზრა ჩემთვის მარადის სასიამოვნოა“⁴⁾ და მოყვანილია ლექსი „ეპოპეე ტაძარი“. მეორე შემთხვევაში წერილთან ერთად ნ. ბარათაშვილი გრ. ორბელიანს უგზავნია „მერანს“ და თან სწერს „არ ვიცი ეს ლექსი როგორ მოგწონება. აქ კი ბევრი ცრემლი ტყუილი და მართალი დაინთხა ამის წაკითხვაზე, რასაკვირველია ამიტომ, რომ ამას ამბობს ილია ტყვეობაში და ირა მე.“⁵⁾

ამგვარად, ნ. ბარათაშვილი, ჯერ კიდევ ყმაწვილი, თავის პირველ ლირიკურულ ცდებს უკითხავდა გრ. ორბელიანს, იღებდა მისგან რჩევას, ისმენდა მითითებებს და თუ საბოლოოდ გრ. ორბელიანს არ მოეწონებოდა ლექსი ხედა და სანაცვლოდ ახალს ჰქმნიდა; შემდეგ კი უკვე სახელმძღვანელო

¹⁾ იქვე, გვ. 85.

²⁾ ზაქარია მთაწმინდელი, „ნ. ბარათაშვილი“, გვ. 28.

³⁾ ნ. ბარათაშვილი, ლექსები, გვ. 81.

⁴⁾ იქვე, გვ. 82.

ქილი პოეტი ნ. ბარათაშვილი უგზავნის ლექსებს და სთხოვს გრ. ორბელიანს თავისი აზრი გამოსათქვამს ამ ლექსებზე. განა ამ ფაქტში არაა მხარე? თუ რაოდენ ანგარიშს უწევდა ნ. ბარათაშვილი გრ. ორბელიანს მასწავლებელს, პოეტური გემოვნების საზომსა და ლიტერატურულად განათლებულ კაცს? მეორე მხრივ იგივე ფაქტი ააშკარავებს მათ შორის არსებულ ურთიერთობას, მსგავს რომანტიკულ სულიერ განწყობილებასა და ინტერესთა ერთიანობაში გამოხატულს.

გრ. ორბელიანთან მუდმივი შემოქმედებითი ურთიერთობა პქონია ნ. ბარათაშვილს. თბილისიდან წასული ბიძა ყოველთვის ჩვენი ლიტერატურის საერთო კერაში შეჰყავდა. ერთ წერილში ბარათაშვილი ორბელიანს სწერს: „ლიტერატურა ჩვენი, პღვითი დღე და დღე შთულობს ახალთა მოყვარეთა. მრავალნი ყმაწვილნი კაცნი, მოცილილნი სამსახურთაგან, მყუდროებაში და მარტოობაში შეეწევიან მამულის ენას, რაოდენიცა ძალუდთ, ეს საზოგადო სული ბუნებითს ენის ტრფიალებისა ყმაწვილთ კაცთ შორის აღმოაჩენს, რომ ქართველთ არ სძინაეთ გონებით. ამ მცირე ხანში ერთი ლექსი დაწერე, რომელსაც ამასთანავე გიგზავნი. შენი აზრი ჩემთვის მარადის სასიამოვნოა“. დაბოლოს უღერესად უინტიმესი და უნაზესი განცდებით ამთავრებს წერილს: „ძალიან მინდა შენი ნახვა“. და ეს არა მარტო ნათესაური სიყვარულის გრძნობით გამოწვეული სურვილია, არამედ პოეტია პოეტთან შეხვედრის წადლი, რომ გაუზიაროს პოეზიისა და შემოქმედების ახალი აზრი, რაც ასე აწვალებდა ამ დიდ შემომქმედს.

გრ. ორბელიანი თავის მხრით უზიარებდა თავის აზრს პოეტს, ნ. ბარათაშვილს და ხშირად სთხოვდა მას წიგნებისა და ზაერთოდ ლიტერატურის მხრივ დახმარება გაეწია დაღესტანში თუ შორეულ რუსეთში მყოფისათვის. ამის კვალი შემოუნახავს მათ პირად მიმორწერებს. ნ. ბარათაშვილი გრ. ორბელიანს წერილის პასუხად სწერს: „დმიტრიევსკის ლექსები ვეთხოვნა, — მთელი ქალაქი სულ შევაჯერე და ვერსად ვერ ვიშოვნე. ნოტები ხომ თავის დღეშიაც არ ყოფილა — შევიტყვე, რომ თურმე ფრანციცულს სწავლობ, ერთმა ქალმა შემოგითვალა სპარსულად ნათქვამით: ოცდაათს წელაწადს უკან რომ კაცი ჩონგურს ისწავლის საიქიოს დაუკრავსო. რაზლოვორსა და გრამატიკას დამპირდა ჩემი ერთი ნაცნობი, ჯერ არ მოუტანია; ამას უცდი თორემ აქამდის გამოგიგზავნიდი“. ნ. ბარათაშვილი იყო დიდი დამფასებელი პოეტ გრ. ორბელიანისა, სწამდა მისი პოეტური ძალა და ნიჭი. და როდესაც გრ. ორბელიანი, ავარიის მმართველი, მთლიანად პრაქტიკულმა მოღვაწეობამ გაიტაცა და პოეზიას ერთგვარად თავი მიანება, ბარათაშვილი (1843 წელს) ასე მოაგონებდა თავის მასწავლებელს ღვალებობას მწერლობის წინაშე: „სარცხელია — სწერდა ნ. ბარათაშვილი გრ. ორბელიანს, — რომ მაგ საშინელებებში პოეზიამ არ გაიღვიძოს, და თუ ემირს ლექსის წერა აღარ ეკადრება, ავარბის ისტორია და სატატისტიკო მინიც უბრძანე რომ დაწერონ“. თავის მხრივ კი ამ წერილთან ერთად ნ. ბარათაშვილი უგზავნის პოეტს ქართულ პოეზიის შესანიშნავ შედეგებს — „სულო ბოროტოს“. — თითქოს შეჯიბრში იწვევსო სახელოვან მასწავლებელს. ასეთი ინტიმური ლიტერატურული ურთიერთობა არ შეწყვეტილა მათ შორის, ვიდრე არ შეწყდა ბრწყინვალე ლირიკოსის ნ. ბარათაშვილის მშვენიერი სიცოცხლე.

ფაქტები აღსატყობენ, რომ ნ. ბარათაშვილს ჰყოლია მეგობარი, რომელსაც ანდობდა საიდუმლოს, მიმართავდა რჩევისათვის, უყვარდა ბუნ-

წრფელად და იხსენიებდა ყველგან გულმხურვალედ. ეს შეგობარე გრ. ორბელიანი იყო. გრ. ორბელიანი საყვარელი და ბრწყინვალე მწიგნობარი ნ. ბარათაშვილის წერილებშია. ამიტომ ვასაგებებია ჩვენთვის *„მწიგნობარი მიწერა-მოწერათა აზრი. ბარათაშვილის დიდ პოეტურ ნაქს გრძნობდა და აფასებდა გრ. ორბელიანი. კიდევ მეტი. ნ. ბარათაშვილის დიდი პოეტური ტალანტის წინაშე ჭედს იხრება უკვე სახელმწიფოებრივი პოეტი გრიგოლ ორბელიანი. თავის მხრივ ნ. ბარათაშვილი ერძნობდა ამას და იფერებდა ამ შეფასებას და ეს აძლევდა მას საბაზს ტოლად ეგრძნო თავი ასაკით უფროს ბიძასთან. ნ. ბარათაშვილი გრ. ორბელიანთან მინაწერ წერალებს, როგორც სამართლიანად შენიშნავს ი. გრაიშაშვილი „ავსებს ხუმრობით, ლაზღანდაობით და ამხანაგური სტრიქონებით.“¹⁾ და მაინც ჩვენის აზრით ნ. ბარათაშვილში პოეტი გრ. ორბელიანმა გამოაღვია. ნ. ბარათაშვილი ერთი მხრით გრ. ორბელიანის ლექსებზე აღიზარდა. მის იდეურ ატმოსფეროში მწიფდება და ყალიბდება ახალგაზრდა ნიჭიერი პოეტი. გრ. ორბელიანის პირველი პერიოდის, შეთქმულთა იდეებით შთაგონებულ მებრძოლ ლექსებზე იზრდება ეს მომავალი ნოვატორი ქართული პოეზიისა. განსაკუთრებული გავლენა ჰქონდა ნ. ბარათაშვილზე გრ. ორბელიანს. ნ. ბარათაშვილის შემოქმედება დაკავშირებულია გრ. ორბელიანის პოეტურ სახელთან და ერთგვარად იქიდანაც გამოდის და ამით ნ. ბარათაშვილის პოეტური სახელი სრულებით არ მცირდება. როდესაც ჩვენ ბარათაშვილისა და ორბელიანის ლიტერატურულ ნათესაობაზე ვლაპარაკობთ, ვგულისხმობთ, რომ ნ. ბარათაშვილმა გრ. ორბელიანის მემკვიდრეობა მიიღო უბრალოდ კი არა, არამედ როგორც შთაგონების წყარო, მისი წინაპარი და შემდეგ განავითარა, მასში შეიტანა სრულიად ახალი ინდივიდუალური, ორიგინალური ხმა და ხაზა. ჩვენ ამავე დროს რასაკვირველია არ ვიფიქვებთ, რომ ეს დიდი ლირიკოსი იცნობდა ქართული და ევროპული მწერლობის დიდ ტრადიციას და ეს მრავალმხრივი განათლება და პოეტური ატმოსფერო გახდა ბარათაშვილას ბრწყინვალე პოეზიის სათავე. მაგრამ ეს საკითხი სხვა მხარეა. ჩვენ ამ შემთხვევაში გრ. ორბელიანისა და ნ. ბარათაშვილის ლიტერატურული ურთიერთობა გვაინტერესებს.*

გრ. ორბელიანის გავლენა ბარათაშვილას პოეზიაზე არ არის ჩვენთვის დაფარული, გამოსაცნობი საგანი.

თუ გულისხმიერად გადავივითხაებთ ბარათაშვილის ლექსებსა და წერილებს, და შემდეგ შევადარებთ გრიგოლ ორბელიანის ლექსებსა და წერილებს, აშკარა გახდება ეს სულიერი ნათესაობა, მსგავსი პოეტური განწყობილებანი, რაც ამ ორ პოეტს ასე ინტიმურად აკავშირებს ერთმანეთთან.

გრ. ორბელიანის ლექსებში ნ. ბარათაშვილს ხშირად უბრუნია პირადი მღელვარებისა, განწყობილებისა და სწრაფვის საგანი და ასე პოეტი (გრ. ორბელიანი) ბევრჯერ გახდებოდა პოეტის (ნ. ბარათაშვილის) შთაგონების წყარო. კიდევ მეტი, გრ. ორბელიანის ლექსები ნ. ბარათაშვილის პოეტურ

¹⁾ ნ. ბარათაშვილი, ლექსები, 1939 წ. გამოცემა, შენიშვნები.

მუხად ქცეულა ხშირად. ამ აზრის კეშმარიტებას ადასტურებს ნ. ბარათაშვილის ერთი პირადი წერილი.

ნ. ბარათაშვილი გრ. ორბელიანს სწერს: „ამ წარსულს ზაფხულში მშვენიერს, მთვარიანს ღამეში, ყაბახზედ დავიარებოდი, სადაც მისმა მშვენიებამ, სატრფოთ მარაქამ, ნათვან უწინდელბრ კიდევ დარდიმანდობამ სრულიად განატკბეს სახედველი, აღმიტაცეს ციქრნი, წარმიღეს გონება! კოჯრის ნიავის ქროლაზე, ძიავ, შერწმუნებით, თქვენ მომაგონდით, მაშინ მომაგონდა: „გაცეცხლებულთა ღვინისგან შუბლთა კოჯრის ნიავე განგვიგრძელდეს“. და მაშინვე განვიზრახე რომ ამ ღამეს უთუოდ აღვწერ და გაუგზავნი ძია გრიგორის მეთქი და კიდევ აღვასრულე მით უფრო ჩქარად, რომ ერთმა საგანმა პირველ დამასო გულს კაეშანი.

შენი არს ყაბახი, ძიავ, შენ გიყვარს იგი, და ამისათვის მასზედ წარმოებულ შემთხვევაც შენ მოგეძღვისი“¹⁾ და ამას მოსდევს ლექსი „ძია გრიგოლთან“ და მეორე ლექსი „ღამე ყაბახზე“, ე. ი. ორი ლექსი.

ეს წერილი და ლექსებიც მრავალმხრივ საყურადღებოა. აქ პირდაპირ არის მითითებული ბარათაშვილის მიერ, რომ იგი შთაუგონებია გრ. ორბელიანის ცნობილ ლექსს „იარალის“: იგი წერს: „თქვენ მომაგონდით და მაშინ მომაგონდა „გაცეცხლებულთა ღვინისგან შუბლთა კოჯრის ნიავე განგვიგრძელდეს“. ეს სატყუები ცოტა შეცვლილი სახით ამოღებულია. გრიგოლ ორბელიანის ცნობილ ლექსიდან „იარალის“. ბარათაშვილის ეს ლექსი პირდაპირა, პოეტური პასუხია გრ. ორბელიანის დასახელებულ ლექსისა. აქ არის შეხვედრები იდეური და ნაწილობრივ პოეტურ ლექსიკაშიაც.

ბარათაშვილის ლექსში გადმოცემული აზრი, სამშობლოსა და გრ. ორბელიანის ბედით გამოწვეული უკმაყოფილება პირდაპირ ეხმაურება გრ. ორბელიანის „იარალში“ გამოხატულ პროტესტს გრძნობას სამშობლოსა და მისი პირადი უბედობით გამოწვეულს. მოგვყავს პარალელები ამ ლექსებშია.

გრ. ორბელიანი

წარსულთა დროთა, დიდების დროთა ყოელი კეთილი თანა წარიღეს
აწ უცხო ცისქვეშ, ზოგსა ვპვრიტთ ოხვრით, და ცრემლით ზოგის წმინდა
სამარეს...

გადმოხვეწილმან მრდილოს წყვილიაღსა
სადღა იხილოს ცა მშობლიური... და სხვ.

(„იარალის“)

ნ. ბარათაშვილი

ძიავ, ყაბახი, სამშობლო შენი,
წაგართო ავის ენისა გესლმან.
სატრფონი მისნი შემოგარენი
გარდახვეწილსა დავიზო ეტლმან,
მაგრამ გაჩნს კიდევ გულში მის არე;
გიყვარს ყაბახის კარგაც და ავი,
თუშკა უცხო და შორს თემად იარე,
პრავალი კარგი მნახე ამბავი. —

¹⁾ ნ. ბარათაშვილი, 1939 წ. გამოცემა, გვ. 78.

მაგრამ რას ჰხედავს აწ კრული ჩრდილოს?

აჰა, ის ღამე, ოდეს სატრფონი
ალამაზეზღენ შენს ყაბახს ემოს,
შენს სიყრმისა თანზრდილნი მსწორნი!.. და სხვ.



ნ. ბარათაშვილის ლექსი პირდაპირი გაბაასებაა პოეტ გრ. ორბელიანთან. პოეტი გამოხმუყრებია პოეტს. მსგავსი განწყობილება გაუმკლავებია ლექსში, და ასე, ჩვენ გვაქვს ნ. ბარათაშვილის მეტად საგულისხმოდ პარალელ გრ. ორბელიანთან. აქ შეხვედრები თვით ფრაზეზამდე არას.

გრ. ორბელიანი — „გადმოხვეწილმან ჩრდილოს წყვილიდასა“.

ნ. ბარათაშვილი — „გადახვეწილსა დაგისმო ეტლმან, მაგრამ რას ხედავ აწ კრული ჩრდილოს“.

ბარათაშვილის დასახელებული ლექსების აზრი, განწყობილება და ფრაზეზები კი წააგავს გრ. ორბელიანის ლექსს — „იარალის“. აქ პოეტურ ნათესაობას ჰქმნის ის საერთო სულიერი განწყობილება, რომლითაც შებუკობილნი იყვნენ ეს პოეტები და გრ. ორბელიანის პოეზიის ის „შთაფონება, რომლის გავლენის ქვეშ ყოფილა ნ. ბარათაშვილი. ნ. ბარათაშვილი შთაუფონებია გრ. ორბელიანს. ერთგვარი შემოქმედებითი ბიძგი მიუცია მისთვის. ამგვარი შემთხვევები სხვაც შეიძლება დავასახელოთ. მათი პოეტური სამყაროს ახლო გაცნობა გვარწმუნებს, რომ გრ. ორბელიანის პოეტური შემოქმედება ხშირად გამხდარა ნ. ბარათაშვილის პოეტური აღზნების თუ განწყობილების შექმნის მიზეზი. ჩვენ არა გვგონია სწორი იყოს პაველ ინგოროყვას კატეგორიული განცხადება: „ერთადერთი ნაწარმოები ბარათაშვილის პოეტურ მემკვიდრეობაში, რომლის ლიტერატურულ საწყისებს, თუმცა მკრთალად, მაგრამ მაინც ვამჩნევთ, ეს არის ბარათაშვილის „მერანიო“.“)

ნ. ბარათაშვილის ლექსებში ხშირად ჰქრის გრ. ორბელიანის პოეზიიდან მონაბერი სული და ეს ქმნის ერთგვარი შეხვედრის ხაზებს. საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ ნ. ბარათაშვილის ლექსი „ჩემთ მეგობართ“.

თუმცა სხვა ასპექტში, მაგრამ მაინც ნ. ბარათაშვილის ლექსი „ჩემთ მეგობართ“ ეხმაურება გრ. ორბელიანის ყველაზე ადრინდელ ლექსს — „ანტონს“. მართალია აქ ჩვენ არა გვაქვს უშუალო ლიტერატურულ პროტოტიპთან საქმე, მაგრამ ძალზე მნიშვნელოვანია შეხვედრის მომენტებიც. აქ ჩვენ საქმე გვაქვს მსგავს იდეურ და თემატიურ რკალთან. თვით კილო ლექსებისა მსგავსია. მოგვყავს სათანადო ადგილები.

გრ. ორბელიანი

ჰე ჭაბუკო, სახარულით დღენი შენნი ვანატარე,
იმხიარული, შეეჩეცე, ილხინე და შეიყვარე;
ერთსა წამსაც ნუ დაჰკარგავ, გაქენდეს სახე მოციანარე
სიცოცხლათა აწვე დასტკები, მხიარულობს გული ვიდრე,
ნუ გგონია სიჭაბუკე მარად იყვეს განუყრელი:
ულმობელ დროს მიაქვს იგა, მასთან ყოვლი სიხარული,
სიტკობება სიცოცხლისა, არცდა გერჩების სიყვარული,
ფრად მსწრაფლად გვესტუმრების ახ! სიბერე შეჭმუხვნილი.

(„ანტონს“).

*) ნ. ბარათაშვილი, 1939 წ. გამოცემა, გვ. 78.



ნ. ბარათაშვილი

ქაბუჯო, ვიდრე დილა გინათებს ცხოვრების დღეთა და სიყვარულის მტანჯსა ჭირებსაც ჰფენს სიამეთა,— არ დიამჩნით შავის ბედისა გულზედ ლახვარნა, ლხინსა და ტრფობას გაატანინე ცრემლიცა მწარნი, არ მოარიდო გული მღერალა ცეცხლს სიყვარულის, არ ათაკილო სიყმაწვილის აყოლა სოფლის. სასაცილოა რომ ბერძენი კვლავ ყმაწვილობდეს გაუძღვებ არს, ოდეს ქაბუჯი ბერიკაცობდეს. („ჩემს მეგობარს“).

მრეკვე-ქ. პირველი ვარიანტი

საერთო იდეური ქარგას ვარდა აქ მნიშვნელოვანა შეხვედრები გვაქვს. საკმარისია ლექსის იდეურ და ლექსიკურ საშუალებებს დავაკვირდეთ, რომ ეს საერთო განწყობილება აშკარა გახდეს.

გრ. ორბელიანის უშუალო შთაგონებით არც დიწერილი ნიკ. ბარათაშვილის ცნობილი ლექსი „ომი საქართველოს თავადაზნაურთა“... გრ. ორბელიანი თავისუფლებისმოყვარე მთიელი ხალხის წინააღმდეგ მეფის რუსეთის დამპყრობელურ პოლიტიკის პირველი გამტარებელთაგანია. კავკასიური ომების ერთი მთავარი მეთაური ნიკიერი გენერალი გრ. ორბელიანი იყო. ის ამ ომით ხშირად ამაყობდა და ტრაბახობდა კიდევ. ხელმძღვანელობდა რა ერთგვარ შემცდარ მოტივით თავის მოქმედებას პატრიოტული მოქმედებად თვლიდა. და მანაც კაცმა რომ სთქვა: აქ საქართველო ერთგვარი ისტორიული პერსპექტივაც იქნას დაცული; როგორც სამართლიანად შენიშნავენ აკად. ს. ჯანაშიას რედაქციით გამოშული „საქართველოს ისტორიის“ ავტორები, „მე-18 საუკ. მეორე ნახევარში საქართველოს წინაშე ერთი მეტად მძიმე საკითხი ჯერ ისევ გადაუჭრელი რჩებოდა. ეს ლექთა საკითხი იყო... ლეკიანობა მისი ჩვეულებრივი სახით მართლაც რომ მოთხრას უქადდა ქვეყანას“. ლეკების ბოლომოუღებელი თარეში და საქართველოს აოხრება კარგად ახსოვდა გრ. ორბელიანისა და ნ. ბარათაშვილის თაობას. ეს გრძნობა მათში წარუშლელი იყო და უნდა ითქვას, რომ ამასაც ერთგვარი გავლენა ჰქონდა, როდესაც ისინი უკვე უფრო გვიან რუსეთის მეფის დამპყრობითი პოლიტიკას, თავისუფლებისმოყვარე მთიელი ხალხის წინააღმდეგ მიესალმენ. გრ. ორბელიანი ტრაბახით სწერდა „დღეგრძელობა შენ ჯქონდეს რომ შე ისინი დათვსავით ვაღრიალე და კახეთის სისხლი ავიღეო“. უფრო ადრე კი თავის ძმას ზაქარიას სწერდა „რატომ მეც მანდ არა ვარ რომ ერთი მათგანის (ლეკების) სისხლი დავლიო და შეურიგებლად ვტანჯიდე ცოცხლადო“.

გრ. ორბელიანის პირად წერილებში გამოხატული ეს განწყობილება გაუზიარებია ნიკ. ბარათაშვილს და ამ აზრით შთაგონებულს შეუქმნია ზემოთ-დასახელებული ლექსი — „ომი საქართველოს თავადაზნაურთა“. ამას აღსატურებს ამ ლექსის იდეური მხარე და ლექსიკური მარაგიც. ბარათაშვილია დასახელებულ ლექსში ვკატხულობთ.

„ძიწოდე კავკასო! ახლო არს დღე შენი აღსასრულისა“
 შეთქმულან შენზედ ერთპირად ძენი ქართლისა,
 აღებად შენგან სისხლისა, უბრალოდ დაქცეულისა,
 და აღმორთმევეად უწყალოდ შენს შორის ბოროტ სულისა“.

ამ ლექსის ასეთი ფრაზა „აღება შენგან სისხლისა“ ანუ ლექსის მეორე ადგილა — „მის ძეთა თქვენის თავებიაჲ ჰყონ ახლად აღშენებელნი“ — არის პირდაპირი გალექსება გრ. ორბელიანის ზემოთმოყვანილი ცნობილი სიტყვებისა.

ეს საერთო შეხვედრები იმით აიხსნება, რომ ნ. ბარათაშვილი ძალიან ახლო იდგა გრ. ორბელიანთან. მათ მსგავსი პულიერი განწყობილება გააჩნდათ.

ბარათაშვილის პოეზიის მონუმენტალური ძეგლი, ქართული პოეზიის უბრწყინველესი შედევრი „მერანიც“ ერთგვარ ლიტერატურულ საწყისს გრ. ორბელიანთან პოულობს.¹⁾ თუ კი რომელიაღმე ლიტერატურულ ძეგლთან შეიძლება „მერანის“ ანალოგია თუ პარალელი იქნას მოძებნილი, იგი უპირველესად გრ. ორბელიანთან უნდა მოიხაზოს. და ეს ბუნებრივიცაა. ისე ახლო იყვნენ ისინი ერთმანეთთან თავიანთი საერთო განწყობილებითა და პოეტური „მეთი“.

გრ. ორბელიანის „სადღეგრძელო“ უთუოდ არის ერთგვარი ლიტერატურული სათავე ნ. ბარათაშვილის „მერანისა“. „სადღეგრძელოს“ 1827 — 28 წლ. ვარიანტში ჩვენ ვგაქვს ასეთი ადვილი:

ვაი თუ ჩემმან გლახ შევმა ბედმან აქ განმისაზღვრა მეც აღსასრული,
 ვაი თუ მოგვედღე ესრედ ყარაბად გულს არ დამეცეს სატრფოის
 ცრემლი,

არ მესმას შენი ხმა საამური სიკვდილის ეამსა დამატკობილი,
 არა ვემთხვიო ბავით ძლივ ცოცხლით, უკანასკნელად მშვენიერს
 შენს ხელს
 რომ სახე შენა, თვალთა დახშულმან, თანა წარვიღო იმიერ სოფელს,
 შენ სანუგეშად, შენ საშვეებლად და რათა მითვე სენა უკვდავება.

ამის შემდეგ მოვივონოთ ნ. ბარათაშვილის ცნობილი ადგილი „მერანიდან“.

ნუ დავიმარხო ჩემსა მამულში, ჩემთა წინაპართ საფლავებს შორის,
 ნუ დამიტროს სატრფომ გულისა, ნულა დამეცეს ცრემლი მწუხარის.
 და სხვა.

აქ არის ერთგვარი შეხვედრები თვით პოეტურ ინვენტარშიაც კი. გრ. ორბელიანი — „შევმა ბედმან“, „არა დამეცეს სატრფოის ცრემლი“. ნ. ბარათაშვილი — „თვალთბედითი“, „ნულა დამეცეს ცრემლი მწუხარის“ ან „სატრფოის ცრემლის წილ“ და სხვ.

იდეურადაც არ უნდა იყვნენ დაშორებული ნ. ბარათაშვილის „მერანი“ და გრ. ორბელიანის „სადღეგრძელო“. „სადღეგრძელოს“ ძირითად აზრს შეადგენს ხოტბა, ძლიერი ჰიმნი სამშობლოსათვის თავდადებული გმირები-

¹⁾ ამ გარემოებაზე პირველად გ. ჯავახიშვილმა მიუთითა წეროლში „ნ. ბარათაშვილის წინამორბედი ჩვენს მწერლობაში“.

სა, ქართველი მხედრებია. სამშობლოსადმი სიყვარულის მხურვალე გრძნობათ ცოცხლდებიან აქ ვაჟკაცური საქმენი ჩვენი სახელოვანი წინამძღვრებისა. მისი თაენითი გმირული საქმით უკვდავების შარავანდელით მომსახურებისა. პოეტის მიერ „მერანშიც“ ზომ თავგანწირულობის იდეა, ქედმოუხრულობის ვაჟკაცური სულა საბოლოოდ ქვეყნის სამსახურის, სამშობლოსათვის თავგანწირვისა და ზრუნვის მოწოდებით თავდება. რასაკვირველია მათი პოეტურა ბუნება და გააზრება სხვადასხვაგვარია, მაგრამ აქ არბს მათი ერთი საერთო იდეური ძაფი.

თუ ყველაფერ ამას მიუმატებთ გრ. ორბელიანის წერილს მანანა ორბელიანისადმი და მისი დღიურებიდან რამდენიმე ამონაწერს, რომელიც უთუოდ წაკითხულია¹⁾ ჰქონდა ნ. ბარათაშვილს, მაშინ ვასაგები ვახდება ნ. ბარათაშვილის პოეზიაში დასადგურებელი სევდის ერთგვარი ლიტერატურული საწყისები, რომელიც ასე ბრწყინვალედ გამოიხატა „მერანში“. გრ. ორბელიანის წერილი მანანა ორბელიანისადმი ასე თავდება: „ამ წიგნის წერაში ვზივარ მარტო დაყრუებულს ოთახში დამე და ჩემს სიხლოვესა დარეკეს საყდარი, მისაღებლად ახლად მიცულბულსა იქაურისა მომეშჩიკის ქალი-სა. უნებლიეთ აღმოუტყვე ოხვრა მწუხარებისა! ვაი თუ მალე ჩემთვისაც ასე დარეკონ და საფლავი ჩემი გათხარონ მხარესა უცხოთა: შორს ყოველთა ჩემთა გულისა საყვარელთაგან და არც ერთი ცრემლი არ დაუცეს მიწასა, საუკუნოდ ჩემს დამფარველსა. — თუმცა სიკვდილი ყველგან სიკვდილია, მაგრამ გულსა კი სურს რომელ უკანასკნელი ოხვრა ესმას მისთა მახლობელთა, რომელ თვალთა მიმოიხედონ რა უკანასკნელ იხილონ მოყვასნი თვისნი, და არა იუცხონი გულგრილნი დაუდევნელის სახით.“²⁾

ამგვარაა, სევდიანი განწყობილებით მოცული პოეტის ფიქრი და გონება, ეს უძირო სევდა ყველგან შეინიშნება და შევიძლიათ ამოიკითხოთ გრ. ორბელიანის ნაწერებში. საკითხის სისრულისათვის მოვიტანოთ კიდევ ერთი ამონაწერი გრ. ორბელიანის დღიურიდან, რომელიც იონა მეუნარგიას მოჰყავს. „15 აგვისტოს მოვედით ქალაქს დიშბურგსა. დასუსტებული და ძალიან ავადმყოფი ვიწქეი... მარტო, უწამლოდ, უნუგეშოდ: მხოლოდ პატარა ნინიკა ჩემი გულხელდაკრეფით დამყურებდა მწუხარედ დაღუძმებული, ფიქრი სიკვდილისა შორს ჩემთა ძმათა და მეგობართაგან, შორს ყოველთა მათგან, რომელნაც სამარესა ზედა ჩემსა მსცემდნენ ვინა ერთსა ცრემლსა — მკუნვარე ფიქრი ესე აღწდა ჩემს გონებაში და უნებლიეთ ვთქვი ოხვრით ახ! სადაური სად კვდება.“³⁾ გრ. ორბელიანის მიერ ასე ძლიერად ნაგრძნობი მარტობის, სულიერი მიუხაფრობის უძირო სევდა ვაიზიარა და მიიღო ნ. ბარათაშვილმა, რაც მის სულიერ განწყობილებას კარგად ეხმაურებოდა.

ნ. ბარათაშვილის მერანსა და მას სხვა ლირიკულ ლექსებში წარმოდგენილი მებრძოლი განწყობილება, და ადამიანის მოქალაქობრივი, ამ ქვეყნიური მოვალეობის შეგნებაც ერთგვარ სათავეს გრ. ორბელიანადან იღებს. გრ.

¹⁾ ნ. ბარათაშვილი ერთგან სწერს გრ. ორბელიანს „ვისთანაც შენგან მოწერილია წიგნი წაკითხვებ, ყველასთან ხუმრობისა და ლანძღვის მეტი არა იყო რა“. მეორეგან წერს: „შენი უკანასკნელი წიგნი ლევანთან მე გაეხსენი და წაკითხვებ“ და ს.ვ.

²⁾ გრ. ორბელიანი, წერილები, გვ. 22.

³⁾ იონა მეუნარგია, ქართველი მწერლები, გვ. 58.

ორბელიანის ადრინდელ ლექსებში ჩვენ გვაქვს მებრძოლი, ძლიერი ჰეროიკური ნების მხატვრულ სახესთან საქმე. ამ მხრივ შეტად საინტერესოა ვინაა: ორბელიანის პოეზია, რომელთანაც ერთვები პარალელს პოეტების მიხედვით ვინაა: ორბელიანის ტიტანური განწყობილება.

გერ მოვიგონოთ გრ. ორბელიანის პოეზიის ასეთი ადგილები:

მე თავისუფლებისათვის სული მარადის მიკვების
და ეს ოცნება დღე და ღამ, ვითა აჩრდილი თან მდევნის:
მოსვენებასა არ მაძლევს ნათესავთ შორის: გინა ვჯდუ,
გინა საყდარსა შესული გულმხურვალეებით ვილოცდე,
ხმა საიდუმლო მარად ეამს მეჩურჩულების მე ყურსა,
ეამი არს მტერი მამულის მისცეთ მახვილსა ღესულსა.

ან იგივე „სადღეგრძელოდან“ ასეთი ადგილი (1827 წლის ვარიანტი):

უშეტეს ჩვენსა სიცოცხლესა,
ფრაცხიდეთ ჩვენსა მამულსა,
მის დიდებისთვის სიამით
წან შევხვდეთ ათა მახვილსა,
მოსარულმან ხალვად ჩვენს საფლავთ
სთქვას ამოხვრითა თვის გულსა,
რომელ უბრალოდ არც ამით
უელიესთ ამა სოფელსა.

ან კიდევ, იქვე:

ქარის შებერვით არს მქრალი,
ფგრედ იქნების აღზოცილ
ამ სოფლით მისი სახელი,
გზა ცხოვრებისა ვინც განვლო
და არ აღბეჭდა ნავალი.

აუ ამას მიუმატებთ გრ. ორბელიანის დღიურის ერთ ამონაწერს, მაშინ უფრო ნათელი იქნება სურათი:

„ნეტარ მას, ვინც არს კმაყოფილა მით, რაცა მოვლენია მის წილად ბედსა მისა, ვინცა დამყუდროებული, დამშვიდებული სულითა მივალს გზასა ზედა ცხოვრებისა. მაგრამ ახ! უნეტარეს არს იგი, ვინცა ცხოვრებათა თვისითა მოიპოვა გინა ერთი ფურცელი ისტორიისა შინა, ვითა არცა ბრწყინვალე ეარსკულავი ჩანს საუკუნეთში სახელი მისი, რომელსაც შთამომავლობა შემზერს კეთილმოწიწებითა და კურთხევითა“.

ამის შემდეგ მოვიგონოთ ნ. ბარათაშვილის პოეზიაში ასე ძლიერად წარმოდგენილი ტიტანური მებრძოლი სულიერი განწყობილება.

ცუდათ ზომ მაინც არ ჩაივლის ეს განწირული სულისკვეთება
და გზა უვალი შენგან თელილი მერანო ჩემო მაინც დარჩება დასხე.

ან კიდევ:

არც კაცა ვარგა რომ ცოცხალი მკვდარსა ემგზავნოს,
იყოს სოფელში და სოფლისთვის არა იზრუნოს,

მოყვანილ სტრიქონებში უთუოდ იგრძნობა განწყობილებათა და შეხედულებათა ერთგვარობა და მსგავსება. აქ შეხვედრებია იდეურ და სპირიტუალურ. ძალიან ახლო უნდა ყოფილიყვნენ ეს პოეტები, თავიანთი განწყობილებითა და შეხედულებებით, რომ ასეთ შეხვედრებთან გვაქვს საქმე.

ამ ორი პოეტის შედარება ჩვენ გვიარწმუნებს, რომ აქ საქმე გვაქვს ერთგვარ ლიტერატურულ შეხედულებებთან, მსგავს პოეტურ განწყობილებებთან, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს რომ ბარათაშვილი უბრალო მიმბაძველი იყოს გრ. ორბელიანისა. არა! აქ ჩვენ საქმე გვაქვს მსგავს სულიერ განწყობილებასთან, ერთგვარ პოეტურ ტკივილებთან, რასაც დამოუკიდებელი პოეტური გამოხატულება ეძლეოდა ამ სახელოვანი პოეტების ხელში. მაგრამ შეიძლება იყოს ისე, რომ ეს იმასაც ამტკიცებს, რომ ნ. ბარათაშვილის ერთგვარი ლიტერატურული საწყისები მოცემული გვაქვს გრ. ორბელიანის პოეზიაში და თუ სადმე შეიძლება ლიტერატურული პარალელებისა და საწყისების ძებნა პირველყოვლისა ასეთი პარალელები ჩვენ გვაქვს გრ. ორბელიანის პოეზიაში.



გრ. ორბელიანის შემოქმედებაზე მოუხდენია უკუგავლენა ნ. ბარათაშვილის პოეზიას. და მოწაფემ, თავისი დიდი პოეტური ტალანტითა და დიპლომატით თავისი მასწავლებელიც დააველიანა. გრ. ორბელიანის „სადღეგრძელო“, მისი პირველი ვარიანტით თუ ერთგვარი შთამავრებელი იყო ნ. ბარათაშვილისათვის მის ლირიკულ ლექსებში, იგივე გრ. ორბელიანის „სადღეგრძელოს“ ბოლო ვარიანტი აშკარად ატარებს ნ. ბარათაშვილის „მერანის“ გავლენას. საილუსტრაციოდ მოვიყვანთ შესაფერის ადგილებს:

„სადღეგრძელოს“ ერთი ადგილი პირველ ვარიანტში ასე იკითხება:

ვაი თუ ჩემმან, გლახ შავმა ბედმან, აქ განმისაზღვრა მეც აღსასრული,
ვაი თუ მოვკვდე, ესრედ ყარობად, გულს არ დამეცეს სატრფოის ცრემლი.
არ მესმას შენი ხმა საამური, სიკვდილის ფაშა დამატკობელი.
არა ვემთხვიო ბავით, ძლივ ცოცხლით, უკანასკნელად მშვენიერს შენს ხელს.

ბოლო ვარიანტში კა, რომელიც დათარიღებულია 1872 წლით ეს ადგილი ასეა წარმოდგენილი:

ვაი თუ ჩემმან, უდროოდ შავბედმან, აქ განმისაზღვრა მეც აღსასრული,
ვაი თუ მოვკვდე მეც ობოლ-მწირად, გულს არ დამეცეს სატრფოის ცრემლი.
და სხე.

ბოლო ვარიანტში შეცვლილია მთელი რიგი ფრაზა: „ყარობი — ობოლ-მწირად“, „სიყვარული ჩვენ დღეთა მამველნი — სიყვარული სულის მამვენათ“ და სხე. ეს ფრაზები წარმოდგენილია ამ სახით სწორედ ნ. ბარათაშვილთან. ასევე გრ. ორბელიანის ცნობილ ლექსში თავიარ მეთვს სახე ბე-
თანის ეკლესიაში გვხვდება ბარათაშვილის ცნობილი ფრაზა „შავმა ყორანმა ვით უმწეო მსხვერპლი“ და სხვა. ამგვარ მაგალითების ამოკრეფა კიდევ შეიძლებოდა, მაგრამ საილუსტრაციოდ ესეც საქმარაისა.



ქართველთა მწიგნობართა კავშირი

საქართველოს მწიგნობართა კავშირი

თუ ყველაფერ ამას მხედველობაში მივიღებთ მაშინ ნ. ბარათაშვილი ქართული პოეზიის ბრწყინვალე კლასიკოსი, დამოუკიდებელი ორიგინალური შემოქმედია, მაგრამ ნ. ბარათაშვილის პოეტურ ორიგინალობას ისე, როგორც ყოველგვარ შემოქმედებას, ჰქონდა სათავე, ჰყავდა წინამორბედი, შთამაგონებელი. ასეთ სათავედ, შთამაგონებლად ვრ. ორბელიანს მოჩანს უპირველესად ყოვლისა.

ყოველ შემხარბტ მწერალს აქვს თავისი ორიგინალური ხმა და სახე, გაანია საკუთარი სტილი, მანერა წერისა, მოეპოვება თავისი კოლორიტი, ჰყავს საყვარელი გმირები, აქვს თვით საკუთარი სიტყვები და ფრაზები. მაგრამ ჩვენს აზრით ეს უდაოა, რომ ერთი მწერალი თავისი პოეტური ბედით, სტილით თუ განწყობილებათ ხშირად წააგავს მეორეს. ლიტერატურის ისტორიამ აცის ასეთი შეხვედრები. ამ აზრით ნ. ბარათაშვილსა და ვრ. ორბელიანს შორის ბევრაა საერთო შეხვედრის მომენტები. ვრ. ორბელიანი წინ უსწრებდა ნ. ბარათაშვილს. ბარათაშვილი იცნობდა ვრ. ორბელიანის პოეზიას. მისი უშუალო შთაგონებითა და გაილენით იზრდებოდა ეს მომავალი გენიოსი პოეტი. და რაკ ნ. ბარათაშვილი იცნობდა ვრ. ორბელიანს პოეზიის მას არ შეეძლო ღრმად არ განეცადა და თანაგრძნობით არ მოპყრობოდა ვრ. ორბელიანის სევდიან ფიქრებსა და განწყობილებას, რომელიც ბარათაშვილის უინტიმეს ტკივილებს ყველაზე კარგად ეხმაურებოდა.

ნ. ბარათაშვილი ვრ. ორბელიანის სულიერმა და პოეტურმა ტკივილებმა გამოადვიდა. მისი ტკივილები თავის პოეტურ ტკივილებად შეიცნო. და ასე პოეტმა პოეტისა და ნათესავის განწყობილება გაიზიარა.

ნ. ბარათაშვილმა ვრ. ორბელიანი მიიღო როგორც წინამორბედი, სულიერი მეგობარი და მასწავლებელი და შემდეგ მასწავლებელს თავთ გაეჯიბრა, როგორც ნოვატორი და მოველინა ქართულ პოეზიას პოეტური ოსტატობის მწვერვალად; და ამ სიახლის გზაზე, ფილოსოფიური ხილვისა და პოეტური ოსტატობის ძალით დაჯილდურებული ლირიკოსი, შალა დადგა თავის მასწავლებელზე.

3ლ. ნორაკიძე

ადამიანობის იდეის დახასიათებისათვის „ვეფხისტყაოსანში“¹

I

რუსთაველის „ვეფხისტყაოსანის“ გმირების ტიპიურ თავისებურებათა შესახებ შეცხრაშეცხრა საუკუნის ქართულმა ლიტერატურულმა კრიტიკამ გარკვეული შეხედულება გამოიმუშაოა: ილია ჭავჭავაძემ შეუღარებელი გონება-მახელობით უარყო აგაკი წერეთლის აზრი „ვეფხისტყაოსნის“ გმირების ეთნოგრაფიული ფარგლებით შეზღუდვის შესახებ. მან ცხადყო, რომ ამ გმირებს სრული უფლება აქვთ დაიკაონ საპატიო ადგალი მსოფლიო ლიტერატურის დიდ მხატვართა მიერ შექმნილ საკაცობრიო ტიპების რიგებში.

ილია ჭავჭავაძემ რუსთაველის ზოემის გმირების ქცევის, განცდების ფსიქოლოგიური ანალიზის შედეგად ქართულ საზოგადოებას ნათელი და გარკვეული წარმოდგენა მისცა ტარიელის, ავთანდილის, თანათინისა და ნესტანდარეჯნის ხასიათის თავისებურების შესახებ. ისე დამჯერებელა და ძლიერი იყო ვაზეთ „ივერიაში“²) მოთავსებული წერილი ამ საკითხის შესახებ, რომ მას შემდეგ რუსთაველის მკვლევართა აზროვნებაში მტკაცედ დამკვიდრდა ეს შეხედულება. იგი ტრადიციად გადაიქცა. შემდგომი გამოკვლევები ამ საკითხის ირგვლივ წარმოადგენენ მხოლოდ და მხოლოდ ილია ჭავჭავაძის შეხედულების სხვადასხვა ასპექტში განმეორებას. ვისაც სურს „ვეფხისტყაოსნის“ გმირების ტიპური თავისებურების გამოკვლევა, მან ან უნდა დააარღვიოს შეცხრაშეცხრა საუკუნის ქართული პროგრესული აზროვნების მნათობის შეხედულება, ან მიიღოს მთლიანად იგი და გააყვეს მის მიერ გაცვლულ გზას.

ილია ჭავჭავაძის თვალსაზრისის მიხედვით „ვეფხისტყაოსნის“ ძირითადი ტიპები იყოფიან ორ კატეგორიად: ერთ ჯგუფში შედიან ისინი, რომელთა ქარბ თვისებებს წარმოადგენენ გრძნობები, აფექტები და მეორეში — ისინი, რომელთა ბუნებაშია ინტელექტი ბატონობს ემოციებზე. ამ განსხვავებულ თვისებების მატარებელ ადამიანთა ცხოვრება, ტრაგიკულ სიტუაციებში და კოლიზიებში მათი ქცევა. რაც განსაზღვრულია ამ თავისებური ხასიათებით, გენიალური მხატვრული სიმძაფრით არის მოთხრობილი მთელა პოემის მანძილზე.

¹) ეს წერილი წარმოადგენს ძირითადი პრობლემების ამონაჯრებს ჩვენს მიერ ამ საკითხზე დაწერილ ვრცელ გამოკვლევებიდან, რაიც მთლიანი სახით ცალკე დაიბეჭდება.

ივტორი.

²) ილია ჭავჭავაძე: ა. წერეთელი და „ვეფხისტყაოსანი“, ვაზ. „ივერია“, 1887 წ. № 75, 76, 77.

„ვეფხისტყაოსნის“ გმირების ქარაქტეროლოგიურმა ანალიზმა თავისებით დაგვარწმუნა, რომ ეს გაბატონებული თვალსაზრისი არსებობდა მრავალწლოვან სინამდვილეს. რუსთაველს არ უცდია მოეცა ისეთი ტიპები, რომლებიც შიდა გონება ან გრძნობა სუბრობდეს. მთელი პოემის მანძილზე ვერ შეხვდებით ისეთ ტენდენციას, სადაც რუსთაველი თავისი პოემის შთაფარ გმირებს განასხვავებდეს ურთიერთისაგან ხასიათის, მსოფლმხედველობის, ინტელექტის დონის, გმირობის, მეგობრობის, მიჯნურობისა და ეთიკური თვისებების მიხედვით. ტიპი არ არის წამყვანი პოემის სიუჟეტის განვითარებისა, მისი კომპოზიციისა. განსხვავებული ადამიანური თვისებები და ასეთი თვისებებით შინაგანი, ფატალური განსაზღვრულობა არ წარმართავენ პოემის სიუჟეტის განვითარებას, მძაფრ კოლიზიებში გმირების თავისებურ ქცევას. „ვეფხისტყაოსანი“ არ არის ისეთი ტიპის ნაწარმოები, სადაც ასახული იყოს ჩვეულებრივი ან ზოგადსაკაცობრიო ტიპების ვნებათაღელვა და მათი ცხოვრების ტრაგედია.

მსოფლიო სახელის მქონე დიდ ლიტერატურულ ნაწარმოებებში, სადაც გამოსახულია ქარაქტეროლოგიური ტიპები, ამ ტიპების თავისებურება თავს იჩენს ნაწარმოების დასაწყისშივე. შემდეგ სიტუაციებისა და კოლიზიების შესატყვისად ეს თავისებურება თანდათან იშლება, ღრმადდება და ყალიბდება. ჰომეროსი თავის პოემას „ილიადას“ იწყებს აქილესის რისხვით. აქ უკვე სჩანს პირველი ქარაქტეროლოგიური თვისება აქილესისა. შემდეგ, სიტუაციის შესატყვისად, თანდათან იშლებიან დანარჩენი ქარაქტეროლოგიური თვისებები. ესევე შეიძლება ითქვას ჰექტორზე, ოდისეზე, აგამემონზე, ანდრომახაზე და სხვებზე. ისინი განსხვავებული ადამიანები არიან და ეს განსხვავება თავიდანვე თვალსაჩინო ხდება. ეს ადამიანები განსხვავებულ და შესაგეს კოლიზიებში საკუთარი ბუნების შინაგანი კანონებით ვითარდებიან და იშლებიან.

ოტელოს დრამა იწყება მაშინ, როცა იაგომ მასში ექვის შხამი ჩააწვეთა, წაგრამ მკითხველმა ტრაგედიის დასაწყისამდე იცის, თუ ვინ არის ოტელოცი, თუ რა შეუბრალებელ მრისხანე მხეცად შეიძლება გადაიქცეს ექვის გრძნობის ანთების შემთხვევაში მგზნებარე ტემპერამენტის მავრი, პრიმიტივი. ეს იცის აიგომაც. ამიტომ აწვეთებს მას ექვის შხამს მცირე დოზებით.

ჰამლეტი ტრაგედიის დასაწყისშივე ამტკიცებს შინაგან კონფლიქტებს. ლანდთან საუბარი, ექვები, მძიმე განწყობალება, წინაგრძნობა თავიდანვე მიგვიტოთებენ დანიის პრინციის ხასიათის თვისებებზე.

ღონ-კიხოტი თავიდანვე კომიკური ხაზებით შემოდის რომანში.

ასეთი შემთხვევა უამრავი შეიძლება ჩამოვთვალოთ.

არიან ისეთი ტიპები მსოფლიო ლიტერატურაში, რომლებიც ცხოვრების შუაგულზე იცვლებიან. ცხოვრების სიმუხთლის გამო პარპონიული ადამიანი კონფლიქტური ხდება. შექსპირის ტიმონი, მაგალითად, მიზანტრობად გადაიქცევა იმიტომ, რომ მისმა მეგობრებმა, რომლებსაც თავისადაც მან თავისი ქონება გაფლანგა, უყურადღებოდ მიატოვეს იგი გაჭირვების დროს. ასეთივეა შილერის მიზანტროპი და სხვ. მაგრამ ყოველ ამგვარ შემთხვევაში ავტორი წინასწარ ამზადებს ტიპს ასეთი ვარდატეხისათვის, თავიდანვე მოგვითხრობს იმ თვისებებზე, რომლებიც შემდეგში შესატყვის სიტუაციაში ამოქმედდებიან და თავისებურ თვისებად ვააშლებიან. ცხოვრების პირობების გამო,

ერთხელ შეცვლილი პიროვნება ან ჩიხება საბოლოოდ შეცვლილი, საბოლოოდ მოდიფიცირებული, ან იღუპება იმას გამო, რომ ვერ უძლებს მასში ახალი პიროვნების დაბადების პროცესს. პრინციპი ადამიანის ქარაქტეროლოგიისა, რომელიც შოთას შესანიშნავად აქვს გამოთქმული ბრწყინვალე აფორიზმის სახით „ყოკასა შავან რაცა დვას, იგივე წარმოდინდების“, სწინელმძღვანელო პრინციპი იყო და არის იმისთვის, ვინც ტიპის ასახვას ფიქრობდა და ფიქრობს.

მაგრამ ამას ვერ ვიტყვით ისეთ ნაწარმოებზე, როგორც არას სოფოკლეს „ოიდიპოს კოლონიდან“, დანტეს „ღვთაებრივი კომედია“ და გოეთეს „ფაუსტი“. ეს ნაწარმოებები ავტორებმა იმისათვის როდი შექმნეს, რომ მოეცათ ქარაქტეროლოგიური ტიპები და ტიპების ასახვის მეშვეობით გამოეთქვათ გარკვეული იდეა, როგორც ეს სხვა სახას ნაწარმოებებშია. აქ პირველ რიგში დვას გარკვეული იდეის ჩვენება, გარკვეული შეხედულების გამოთქმისათვის ლტოლვა. ოიდიპოს შეფე, ფაუსტი, დანტე ალიგიერა, რომელიც საიქიოს მოგზაურობს, არ არიან ქარაქტეროლოგიური ტიპები, ისინი პერსონაჟებია არიან ისეთი გარკვეული იდეის გამოსათქმელად, როგორც არის, მაგალითად, ბედისწერის გარდუვალობა, ცეშმარიტების ძიებაში მოქანცული, ცეშმარიტების არსებობაში შეეშვებული ადამიანის ტრაგედია და სხვ. რადგან მხატვრულ ნაწარმოებში აუცილებელია ზოგადი იდეის კონკრეტიზაცია მხატვრულ სახეებში, იდეის ჩვენება მოქმედებაში, მისი გატარება რეალურ სამყაროს სიტუაციებში და კოლიზიებში, ამიტომ ამ იდეის მხატვრულ ნაწარმოებში გამოსამჟღავნებლად საჭიროა ზოგადი განსაზიერდეს კონკრეტულში, ინდივიდუალურში, მიეცეს ამ ინდივიდუალურს ზოგად იდეიდან დამოუკიდებლად არსებობის ერთგვარი უფლება.

მხოლოდ ამისათვისაა მოცემული დოქტორი ფაუსტი, მისი ქცევა მხოლოდ საშუალებაა ავტორის იდეის გამოსათქმელად. ფაუსტს და მის მსგავსს პერსონაჟებს არა აქვთ იდეის გარეშე დამოუკიდებელი არსებობის უფლება. რაცა ქარაქტეროლოგიური ტიპები დამოუკიდებლად ეოცხოვრებენ, ისინი გარკვეული აზრის, თავისებურების მატარებელი კონკრეტული ადამიანები არიან. აქ მოქმედი გმირი მხოლოდ საშუალებაა ზოგადის გამოსახვისათვის. ტიპოლოგიურ ნაწარმოებში-კი ზასიათის ტიპას შექმნა თვითმიზანია. პირველ შემთხვევაში თვითმიზანია ზოგადი იდეის გამოთქმა, მეორე შემთხვევაში — ზასიათის ასახვა. თუმცა ისიც შეიძლება, რომ პირველში მოცემული იყვნენ ზასიათები, ზოლო მეორეში — ზოგადი იდეა, მაგრამ არსებითი ან ტიპა, ან ზოგადი იდეა. „ოტელოს“ იდეა ძნელია გამოითქვას გარკვეული ფორმულით. მაგ., შეიძლება ითქვას, რომ „ოტელოში“ მოცემულია ექვიან შეპყრობილი ადამიანის იდეა: მაგრამ ეს არ ამოსწორავს მის შინაარსს, რადგან ამ ნაწარმოებში, ოტელოს გარდა, არიან საცხებათ განსხვავებული ტიპები, მაგ., იაგო, რომელიც ბოროტებისა და ანგარების განსაზიერებას წარმოადგენს. ამ ნაწარმოებში ყოველ ადამიანს დამოუკიდებელი და კონკრეტული არსების უფლება გააჩნია, ცალცალკე ისინი გარკვეულ აზრს, კონკრეტულ არსებობას გამოხატავენ. მაგრამ ფაუსტი და მეფისტოფელი ერთი ბოლიანი იდეაა, ერთი აზრის გამომთქმელია. მეფისტოფელი ფაუსტის სულის ერთ-ერთი ნაწევრებია, მისი ლტოლვის სიმბოლოა, რომელიც უბოძს მას არსებობის ახალი და უჩვეულო სამყაროსაკენ. დანარჩენი გმირებიც მდელვარე, გაუმადლარი, უსასრულო სიამისა და სიმშვიდის მაძიებელი სუ-

ლის მოგზაურობის დროს შეხვედრილი და ისევ მისივე ლტოლვის მასივე იდეალური მიზნების გამოსახულებანი არიან (მაგალითად, ედვინ ჯონსონი და სხვები).

რუსთაველის პოემა იმგვარ ნაწარმოებთა რიგშია დგას, როგორც „ფაუსტია“. ასეთი მხატვრული ნაწარმოები მეტად მცირეა მსოფლიო ლიტერატურაში, რადგან ზოგადი ფილოსოფიურა იდეის, რომელიც მხოლოდ ცნებებში შეიძლება გამოითქვას, მხატვრული სახეებით მოცემა გენიოსის გაქანებას წითხვს.

II

პოემაში დრამატიული კვანძი იხსნება მაშინ, როდესაც იელეცხს ის განცდა, რომელმაც უნდა წარმოქმნას ნამდვილი ადამიანობა. სიყვარულის განცდა პოემაში თავიდანვე შემოდის, როგორც დაუძლეველი ძალა, რომელიც გაავშირავიდ მოქმედებს, რომელიც „კაცსა შეიქმს გულმოკლულად“. აეტორი თავიდანვე გვიჩვენებს, თუ რა ძალა აქვს იმას, როცა ერთმანეთს შეხედებიან „შესაფერისნი“, „ერთდერნი“. ასეთი შეხვედრის წუთსავე ირლევება მანამდე არსებული ჩვეულებრავი ყოფის ჰარმონია და იწყება მისწრაფება ახალი, უფრო მაღალი ჰარმონიისაკენ, მაღალ მთლიანობასთან შეწყობისათვის.

ბედნიერი, მძლავრი და ჰარმონიული პაროვნება ტარიელი, რომელიც უკვე ამირბარია, პირველი პირველთა შორის, მიჰყავს მის მამობილს ფარსადან მეფეს ნესტან-დარეჯანს სამყოფელში. ტარიელს კარგად ახსოვს ნესტანი. ისინი ერთად იზრდებოდნენ. იცის, რომ იგი სილამაზის ღვთაებდა, მზის სადარია. მასთან სიახლოვე ახარებდა ტარიელს. მას დაფარულად ამქამდაც ჰქონდა ბავშვობის შემდეგ უნახავი ქალის გაუშლელი, გუჟინობიერებელი ტრფიალება. მან იცოდა მთელი ის სიტუაცია, სადაც აზრდებოდა ნესტანი. მასში უკვე შექმნილი იყო შინაგანი მზაობა სიყვარულას ანთებისათვის, თუკი დიდი ხნის უნახავი მზეთუნახავი მისი „ფერი“ აღმოჩნდებოდა, თუ მის მოთხოვნილებას შესაფერი სიტუაცია შეხედებოდა. მისი გამიჯნულება თითქოს აუცალბეელი იყო.

ფსიქოლოგიურად ტარიელი მზადაა იმისათვის, რომ მასში სიყვარული მთელი თავისი ძლიერებით აენთოს. ამ ტარიელი დურაჯებით ზელში იღუმალი სიხარულითა და გაოცებით დგას საიდუმლოების კართან. სიტუაცია ადამიანში მთელეშარედ არსებული, პოტენციაში მყოფი სიყვარულის აფეთქებისათვის შეუღარებელი სიმართლით, სიძლიერით და სილამაზით არის მოცემული. ტარიელი, რომელმაც მთელეშარედ არის ჩასახული შესაფერისთან შეწყობის მოთხოვნილება, ამ სიტუაციაში დგას. ამ მომენტში, მისი ხაერთო სუბიექტური მდგომარეობის მიხედვით, ეს საკუთრივ მისი სიტუაციაა. იგი არ არის ინდიფერენტული მის მიმართ, იგი არ არის მისთვის შემთხვევითი, არამედ მისი მოთხოვნილების დაკმაყოფილების შესატყვისაა. და იმ შესატყვისა მოთხოვნილებისა და სიტუაციის შეხვედრის მომენტში იბადება ახალი პაროვნება. ზდება უკვე აქამდე არსებული ტარიელის შეცვლა, ზდება ადამიანის მთლიანი მოდიფიკაცია. ტარიელი გვიამბობს: როგორც კი „ამათ ფარდაგსა აზიდნა, გარე ვდეგ მოფარდაგულსა; ქალსა შეხვედე, ლახვარი მეცა ცნობასა და გულსა“. როგორც კი შეხედავს მზის სადარს.

საკეთარი არსების შესაფერისს, მყისვე იბადება მათი ტრფილები მძლავრი განცდა, რომელიც მას გარდაქმნის სრულებით ახალ ადამიანად. მაც უკვე გასწყვიტა კავშირი მანამდე მასში არსებულ ჰარმონიასთან და ჩაესახა მისწრაფება უმაღლესი ჰარმონიისაკენ. მაგრამ ეს გამოიჯერება ისე სწრაფად, ისე ელვისებური, იმდენად აღმაფრთოვანებელი და აღსავსე ექსტაზით, რომ იგი, როგორც „ზრწნადი“ თითოთა კავშირისაგან შემდგარი არსება, ვეღარ უძლებს უმტკივნელოდ, ისე რომ ლახვარა არ ეცეს ცნობასა და გულს.

რადგან რუსთაველს საქმე აქვს რეალურ ადამიანთან, იგი არასოდეს არ დალატობს ფსიქოლოგიურ სიმართლეს. მან იცის, რომ პიროვნების ყოველგვარ ცვლილებას, მთლიანი იქნება იგი თუ ცალკეული, თან სდევნენ სხეულებრივი მოვლენები, კერძოდ, გამოსახულებითი მოძრაობანი. მთელი პოემის მანძილზე პრინციპი ემოციებისა და გამოსახულებითი მოძრაობის ურთიერთ მჭიდრო კავშირისა ყველგან შეუდარებელი მეცნიერული სიზუსტით არის დაცული. ამ მხრივ არ ვიცნობთ მანამდე არც ერთ მხატვრულ ნაწარმოებს, რომელიც ასე შეუცთომელ და ზუსტ დაკვირვებას იძლეოდეს ადამიანის სულისა და სხეულის მთლიანობის, კერძოდ, ფსიქოლოგიური და ფიზიოლოგიური პროცესების ურთიერთკავშირის აუცილებლობის შესახებ. მისთვის პიროვნება წარმოადგენს მთლიანობას. ფსიქიკური და ფიზიოლოგიური მოვლენები, კერძოდ გამოსახული მოძრაობანი წარმოადგენენ პიროვნული მთლიანის ქცევაში გამოსახვას. როგორც ფიზიოლოგიურა, ისე ფსიქოლოგიური პრაციესები პიროვნების, როგორც მთლიანს, აქტუალიზაციის შედეგია.

ასეთი ფსიქოლოგიური სამართლის ცოდნის გამო, რუსთაველს არ შეეძლო ელატნა აღნიშნული მეცნიერული პრინციპისათვის. ამიტომაც როგორც-ც ტარაელს ქალის შეხვედრამ ლახვარი სცა „ცნობასა და გულს“, ამას მაშინვე თან მოჰყვა ის, რომ იგი დაეცა, დაბნდა, წაუხდა ძალი მხარისა და მკლავისა. ისე მძლავრი იყო სიყვარულის ემოციას მოქმედება როგორც ინტენსიობის, ისე სიღრმის მიხედვით, რომ მთლიანად დააპყრო მისი პიროვნება. ამ წუთიდან აგი სულ სხვა ადამიანად გადაიქმნა. უკვე დაჰკარგა მან წინანდელი წონასწორობა. სულში დაიბადა მწუავე კონფლიქტი, თანაც ღტოლვა წონასწორობის აღდგენისაკენ. მაგრამ ამის შემდეგ ჰარმონიის აღდგენა უკვე შეუძლებელია ჩვეულებრივ პირობებში, — მომავალში უნდა აღდგეს წონასწორობა უფრო მთლიანი პიროვნების სახით.

ასეთი პროცესის დასაწყისი რუსთაველმა გამოხატა მთლიან პიროვნებაში სიყვარულის ერთგვარი „შოკისებური“ მოქმედების სახით. ფსიქიკური „შოკი“ ერთბაშად სველის პიროვნებას და მასში იწვევს მძლავრ ფიზიოლოგიურ ცვლილებას. აქაც სიყვარულის განცდის ერთბაში აფეთქება შოკისებურად მოქმედებს. სიყვარულის განცდის ასეთი სწრაფი წარმოშობა და მოქმედება, თუ მხედველობაში არ მავილებთ პოეტურ ჰიპერბოლას, შეიცავს სრულ ფსიქოლოგიურ სიმართლეს. სიყვარულის ამგვარი სახით წარმოშობის სინამდვილე დადასტურებულია მეცნიერულ ფსიქოლოგიაში. მაგ., ცნობილი ფსიქოლოგი რიბო, სტენდალის მიერ სიყვარულის ანალიზის გათვალისწინების ნიადაგზე, სიყვარულის მრავალი ფორმადან და სტადიაციიდან, ერთ-ერთ მათგანს ასე აგვიწერს: „მზნებარე სიყვარული, რომელშიც ყველა მასთან დაკავშირებული ფიზიკური და ფსიქიკური ელემენტი წარმოდგენილია

დიდი სიჭარბათ იგი წარმოიშობა ერთბაშად, როგორც მენის დაცემა, იგი აურიდებელია, მოუგერიებელი, როგორც ინსტიტუტის სიჭარბის ასეთ ფორმას აღარებენ „უზარმაზარ მდინარესს, რომელიც მთავრის მდინარეებშია ყოველივეს წარიტანს, წალეკავს, ვერავითარი ძალა მას ვერ აღუდგება წინ“.) „ყოველს სიყვარულს, თუკის საღრმეში საფუძველად უდევს არაენობიერი მიღრეკილება იდეალისაკენ, მაგრამ კონკრეტული იდეალისაკენ, რომელიც ამ მომენტში განხორციელებულია გარკვეული ინდივიდის მიმართ. გონებრივი პროცესის, აბსტრაქციის საშუალებით კონკრეტული ხატი იქცევა კონცეპტად, აბსტრაქტულ იდეალად. ასეთ შემთხვევაში ჩვენ გვაქვს წმინდა ინტელექტუალური, პლატონური, მისტიკური სიყვარული, სადაც ემოცია მთლიანად ინტელექტუალიზირებულია“.)

ამრიგად, ტარიელში სიყვარულის წარმოშობა და მისი განვითარება სრულ ფსიქოლოგიურ სიმართლეს შეიცავს. შესაფერასთან შეხვედრამ ტარიელს დაატყვევა, დააბა, ლახვარი ჩასცა მის გულსა და ცნობას. ასეთი ეფექტით იწყება მაღალ მთლიანობისაკენ, სისრულისაკენ სწრაფვა-გაღვიძებულა ადამიანის ტრაგედია. ტარიელი, როგორც პიროვნება, მთლიანად შეიცვალა. მასში გაჩნდა ახალი მძლავრი სწრაფვა, რომელიც მთლიანად დაებატონა მის პიროვნებას. ამიერიდან იგი მონაა იმ მძლავრი მისწრაფებისა, რომელიც პარმონისაკენ ლტოლვის, შეწყობილ ჭეყნასთან შეწყობის, უზენაესი სისრულის მიღწევის გამომახტველი ტენდენციის სახითაა მასში განმტკიცებულია.

ასეთი მიღრეკილების ჩასახვისთანავე, ე. ი. მისი გამიჯნულების წუთსავე შეიცვალა ჩვეულებრივი, მანამდე არსებული პარმონის ბელის შემწყობი სიტუაცია და ჩაისახა მწვავე კოლიზია. გაჩნდა განწყობა, რომელიც მოუწოდებს პიროვნებას მოკმედებისაკენ, მოუწოდებს პიროვნებას სატრფოს დაპყრობისაკენ. მაგრამ იქმნებიან მთელი რიგი დამაბრკოლებელი პირობები ამის მიღწევისათვის. შინაგანი და გარეგანი ფაქტორების ურთაერთობა მქმნის მძიმე სუბიექტურ მდგომარეობას, კონფლიქტს. წონასწორობის აღდგენისათვის პიროვნება იძულებულია იმოკმედოს, მაგრამ მოკმედობა დაწყება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა გამოსეღანდება ის წინააღმდეგობა, რომელსაც ეს სიტუაცია შეიცავს. ამ წინააღმდეგობათა ბრძოლაში უნდა გაიშალოს პოემის ძირითადი იდეა, ტარიელობის, როგორც ადამიანობის, იდეის მთელი სიდიადე.

ჩვენი შეხედულებას დასასაბუთებლად საჭიროა მთელი პოემის ტექსტის თანმიმდევრული ანალიზი. რადგან საეურნალო წერილში ეს შეუძლებელია, საილუსტრაციოდ პოემიდან ვირჩევთ ერთ ყველაზე ცენტრალურ მომენტს— ტარიელის ველად გაჭრას, როგორც ქცევას და სიტუაციას. ასეთი ქცევის ლიტერატურულ-ფსიქოლოგიური ანალიზის საშუალებით ვეცდებით გავაშუქოთ ჩვენი შეხედულება.

III

კოლიზიის ხლართებში გახვეული ტარიელი იძულებულია გააჭრას ველად. როგორია ტარიელის ასეთი ქცევა და როგორ უნდა შეფასდეს იგი? ქცევის

1) Т. Рибо: „Логика чувств.“, С. Петербург.

2) იგივე: „Психология чувств.“, 1898.

შეფასება შეიძლება ერთის მხრივ ეთიკას, ხოლო მეორეს მხრივ ფსიქოლოგიური თვალსაზრისით.

ეთიკური თვალსაზრისისათვის უნდა გაირკვეს, რამდენად მინაწილდება ასეთი ქცევა მორალურ-ზნეობრივ და აგრეთვე მსოფლმხედველობრივი თვალსაზრისით. რადგან ერთი და იგივე ქცევა შეიძლება შედეგი იყოს როგორც დაბალი, ისე მაღალი მოტივებისა, ამიტომ საჭიროა იმის გარკვევა, თუ რა სახის მოტივები განსაზღვრავენ ქცევას. ასეთი თვალსაზრისი იწვევს საკითხს ქცევის სიავიარგის შესახებ. ამ შეხედულებამ კაცობრიობის სამსჯავროს წინაშე უნდა დააყენოს ტარიელი და განმტკიცებული მორალის თვალსაზრისით გააამართლოს იგი.

ფსიქოლოგიური თვალსაზრისი ამ მხრივ შედარებით დაუინტერესებელი თვალსაზრისია. ფსიქოლოგიას ქცევის სიავიარგის საკითხი არ აინტერესებს. მისთვის ქცევა, როგორც ფიზიკური, მხოლოდ ობიექტურად მოცემულ სრულყოფილ ქცევას არ წარმოადგენს. ფსიქოლოგიურად იგი მაშინ ჩაითვლება ქცევად, „როდესაც იგი გარკვეული აზრის, მნიშვნელობის, ღირებულების მატარებლად განიცდება.“¹⁾ ქცევა ფსიქოლოგიას აინტერესებს, როგორც გარკვეული აზრის და მნიშვნელობის მატარებელი განცდა, რომელიც უშუალოდ არის დაკავშირებული პიროვნებას მოტივებთან. იგი არკვევს, როგორია ქცევის ფსიქოლოგიური შინაარსი და ეს ფსიქოლოგიური შინაარსის აღმოცენება არის თუ არა ლოგიკურად მომდინარე მთლიან პიროვნებიდან, პიროვნების თავისებურებიდან? განვიხილოთ ტარიელის ქცევა ორივე ასპექტში. ამით უფრო ნათელი გახდება ადამიანობის იდეის მატარებელი არსის — ტარიელის ბუნების თავისებურება.

ამ საკითხის შესახებ რუსთაველის მკვლევარების აზრის ფორმულირება ასე შეიძლება:

მას შემდეგ, რაც ტარიელი დარწმუნდა, რომ სატრფოს პოვნა ამოა (ზოგნი გასაოცარი უსაფუძვლოდ იმას უსაყვედურებს, რომ ტარიელმა სატრფო საქმად არ დაიბნაო), იგი არ დაუბრუნდა ღვთის ანაბარად მიტოვებულ ინდოეთს, არამედ ველად გაიჭრა. პირადი მან მალა დააყენა ზოგადი. ტარიელი შეიძყრო უსაზღვრო მწუხარებამ, აფექტმა, ჯოჯობითურმა ტანჯვამ. იგი ვერ დაეფულა საკუთარ აფექტებს, ვნებებს. იგი ვნების მონა ვახდა. როგორია ასეთი ფიზიკური ქცევის მოტივაცია? წმინდა ანდივიდუალისტური, რომელსაც არავითარი ღირებულება არა აქვს ზოგადისათვის. ასეთი ფიზიკურა ქცევა და მისი მოტივაცია, ტარიელის მსაჯულთა უმრავლესობამ, განიხილა რა ტარიელის ქცევა და მისი მოტივაცია, უარყოფითად შეაფასა იგი. ქართველმა და ზოგმა უცხოელმა ზნეობას მქადაგებლებმა დაბრაზეს ტარიელის საქციელი, ზოგიერთმა მას პასკვილიც კი უძღვნა.

პროფ. ა. შარამიძეც, რომელმაც საფუძვლიანად გადასწავილა ტარიელის რეაბილიტაცია და რომელმაც ტარიელის ქცევის ეთიკური თვალსაზრისით შეფასების მხრივ სხვებთან შედარებით მართებული აზრები გამოსთქვა, ბოლოს მიდის იმ დასკვნამდე, რომ სიყვარულის ძლიერმა კუცხლმა დაიმონა ტარიელი, დაასწავლა იგი: „გრძნობით ფაქიზი, მამაცი მოყმე, გონება ვრცელი, ბრძნად მოუბარი მიჯნურობის სწებამ შეიპყრო, მიჯნურულმა ურევამ გაახელა. მისი „აქიმი“ ავთანდილია, ავთანდილის უპი-

¹⁾ აკად. დ. უზნაძე: „ზოგადი ფსიქოლოგია“, 1940 წ.

რატოსობა მისი სიჯანმრთელეა მხოლოდ."*) აქედან დასკვნა: დროებით სულით დაავადებულის, აფექტის ქვეშ მყოფი ადამიანის საქციელი მორალურად არ შეიძლება მიეკუთვნოს იდეალურ საქციელს. შეიძლება ეს საქციელი გაამართლონ სხვადასხვა მიზეზით, მაგრამ არა როგორც იდეის მატარებელი ადამიანის საქციელი.

ასეთია ზოგადად მკვლევარების მიერ ტარიელის „ველად გაჭრის“, როგორც ქცევის, შეფასება.

ჩვენი შეხედულება, ტარიელის ქცევის მორალური თვალსაზრისით ანალიზი საესებით საწინააღმდეგო დებულებამდე მიგვიყვანს. ტარიელი ჰუმანიზმის პერიოდის ადამიანობის იდეის გამოხატეული პერსონაჟია და მისი ქცევა მთლიანად გამართლებულია ჰუმანიზმის ეთიკის თვალსაზრისით.

როგორ აფასებენ ტარიელის ასეთ ქცევას „ვეფხისტყაოსნის“ გმირები და თვითონ რუსთაველი? რადგან პოემის გმირებმა ტარიელი გაიცნეს ან მისი პიროვნების შესახებ გაიგეს მხოლოდ მას შემდეგ, როცა იგი ველად გაჭრილი იყო, ამიტომ მათი შეფასება მთლიანად ტარიელის ამ უკანასკნელ ქცევას შეეხება. შეიძლება ვადაჭრით ითქვას, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ყველა გმირი (თვით ავთანდილიც), დაწყებული მონით, ვაჭრით და გათავებული მეფით, აღტაცებულია ტარიელის ქცევით. მათ თვალში იგი მისაბამი მავალითაა. თვითონ პოეტიც აღტაცებულია ტარიელის ქცევით.

ქართული ხალხი ჩასწვდა ტარიელობის აზრს, ტარიელობის სულს და იგი საუკუნეების განმავლობაში საყვარელ და მისაბამ გმირად გაიხადა. სად უნდა ვეძიოთ ამის მიზეზი? ნუთუ რუსთაველის პოემის გმირები, მეთორმეტე საუკუნის საუკეთესო ადამიანთა წარმომადგენლები, მთელი ქართველი ხალხი უდიდეს საყვარულს, აღტაცებას უცხადებენ ისეთ ადამიანს, რომელსაც თავისი სახელმწიფო ტილად მიუტოვებია, თვითონ ველად გაჭრა, აფექტს, ვნებას აუტანია, მხრად ქცეულა? ნუთუ მთელი მაშინდელი მსოფლიო, არაბეთის, გულანშარის, მულღაზანშარის სამეფოები, ტარიელის სულის ნამდვილი ორეულის — ავთანდილის შეთაქრობით, მისთვის დარაზმულან, რომ იხსნან ველად გაჭრილი აფექტის მონა ტარიელი? საქმის ვითარების ასეთი გაგება ყოველად მიუღებელი პასკვილია როგორც რუსთაველის „ვეფხისტყაოსნის“ მიმართ, ისე მთელი ქართველი ხალხის მიმართაც.

აღმოსავლეთში მიჯნურობით გახელებული მრავალი გმირა, როგორც რეალური, ისე ლატერატურული, გაჭრილა ველად. ასეთი ამბები მალაშხატერული ზერზებით გაუფორმებიათ. მაგრამ არც ერთს მათგანს არ გამოუწვევია ერის ასეთი სიმპატია, არ გამზდარა მისაბამ მაგალითად. არც მათ აეტორებთ აღმორჩავებით მთელი მსოფლიოს კეთილი ძალები, მისი დანსნისათვის. შეიძლება ვინმემ ტარიელის ქცევა ნიზამის ყაისის ველად გაჭრას შეადაროს. მაგრამ აქ მხოლოდ ფორმალური მსგავსებაა. ფორმალური მხარე მხოლოდ მისალაა იდეისათვის, ველად გაჭრა მხოლოდ სიტუაციაა რუსთაველისათვის, რაშიაც მან სულ სხვა აზრი ჩასდვა, ვიდრე ნიზამმა. ყაისი სულით დაავადმყოფდა, ტარიელი-კი სულიერი წამების წუთშიც ბრძენი დარჩა და საესებით ნორმალური დაუბრუნდა სამყაროს მღელვარე დინებას. ყაისი ვნებამ გააგიჟა. მართლაც, ხანგრძლივ და დაუტყაყოფილებელ ვნებას ათა-

*) აღ. ბარამიძე: „ტარიელი“, რუსთაველის კრებული, 1938 წ.

მიანი შეუძლიან პათოლოგიურ მდგომარეობაში მიიყვანოს. ტარიელი პათოლოგ პათოსის მონა იყო. პათოსი ამჟღავნებს ადამიანს და არასოდეს ადაბლებს. როგორც აღვნიშნეთ, რუსთაველი თავისი იდეის გამოთქმისას სარგებლობს აღმოსავლეთის მწერლობაში ცნობილი სიტუაციებით. მაგრამ, როგორც ეს ამჟამად თითქმის ყველასათვის მიღებულია, ხელოვნების დიდ შემოქმედებაში სიტუაციის ორიგინალობა არ არის მთავარი. ეს მით უმეტეს უნდა ითქვას კლასიკურ ნაწარმოებზე, რადგან მთავარია არა გარეგანი მსვლელობა და მოვლენათა წყალებადობა, არა სიტუაცია, არამედ „უმთავრესია ის მორალურა და სულიერი ვადგომება და ის უდიდესი სულიერი მოძრაობანი, რომელნიც იშლებიან ამ ვადგომების პროცესის საშუალებით“ (პეველი).¹⁾

„ვეფხისტყაოსანი“ თავიდან ბოლომდე მიძღვნილია უნაღვრესი მორალური ამოცანის გადაწყვეტისადმი. ეს ამოცანა მთლიანად გამსჭვალულია ჰუმანიზმის იდეით. ეს არის იდეა უმაღლესი სისრულისაკენ ლტოლვისა. „ვეფხისტყაოსანში“ მოცემულია მძაფრა ადამიანის ეკლიანი გზა უმაღლესი ნეტარებისაკენ, მთლიანობისაკენ, მზისაკენ.²⁾ რაც უფრო ახლო მივალთ „სიკეთესთან“, მით უფრო ახლოს ვიქნებით ჰუმანიტეტასთან, მათ უფრო სრული იქნება ადამიანი. ჰუმანიტეტამდე ამჟღავნებულ ადამიანს შეუძლია მოჰგინოს სიკეთე, სიმართლე და ბედნიერება დაბლა საფეხურზე მყოფ არსებებს. ეს კი დაბლა მყოფთ შთაბერავს მაღლისაკენ ლტოლვის ძალას, უზუნაეის ჰუმანიტეტის სიყვარულს. მიჯნურობა სწორედ ის საშუალებაა, რომელიც აგვაშალებს „მზემდე“, მოგვანიჭებს მზის სიახლოვეს.

აქ შერიგებულია ზნეობის ორი პრინციპი: პირველი პრინციპის არსი ის არის, რომ ადამიანის ბუნების ძირითადი ტენდენცია ნეტარებისაკენ ლტოლვაა. ეს ლტოლვა შეიძლება გამოიხატოს როგორც ვიტალური და სოციალური გრძნობების დაკმაყოფილებაში, ასე უმაღლეს სისრულისადმი მიდრეკილებაში, მაღალი შინაგანი ჰარმონიის დამკვიდრებაში. ეს მორალი, მიუხედავად მასგან მიმდინარე სავალდებულო ფილანთროპიული ტენდენციებისა, მაინც ეგოისტურია, უნივერსალისტური. იგი მომდინარეობს მხოლოდ მიდრეკილებიდან, სულ ერთია ეს მიდრეკილება ღვთაებრივი იქნება თუ გრძნობითი, მიწიერი. ამ მორალს უპირისპირდება ზნეობის კონცეპცია, რომელიც გვეუბნება, რომ ადამიანი უნდა ემორჩილებოდეს ზნეობრივ კანონებს, ობიექტურს, სავალდებულო დადგენილ მორალს, უნდა იმყოფებოდეს ასეთი მორალის სამსახურში: იმოქმედე ისე, როგორც მას მოითხოვს კაცობრიობა, კერძოდ, საზოგადოება. ქცევის ჩადენის წინ შეეკითხე საკუთარ თავს, რა დამართება საზოგადოებას, კაცობრიობას, რომ ყველამ იმოქმედოს იმგვარად, როგორც მე ვმოქმედობ. იმოქმედე ისე, რომ როგორც კაცობრიობაში, ისე საკუთარ თავში, აგრეთვე სხვის პიროვნებაში საჭიროებდე ყოველთვის მიზანს და არასოდეს საშუალებას. ზნეობრივი კანონისადმი მორჩილება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა დასძლევ მიდრეკილებებს და ძირითადში გაჰყვები წმინდა ნებელობის პრინციპს: „რაც არა გწადეს, იგი ჰქმენ, ნუ სდევ წადილთა ნებასა“.

პირველი პრინციპი თვით თავისი უკეთილშობილესი სახითაც უაღრესად

¹⁾ Гегель: „Лекции по эстетике“, I. Москва, 1938.

²⁾ რუსთაველის შოთღმნებდელობის შესახებ იხ. შრომა აკად. შ. ნუცუბიძისა: „რუსთაველის შოთღმნებდელობისათვის“, თბილისის სახ. უნივ. „შრომები“, 1936.

ეგლომონისტურია, გედონისტურიცა, მეორე უაღრესად — რიგორასტულა.) სწორედ ეს ორი პრინციპია შერიგებული ტარიელის ქცევაში. სისრულისაკენ ლტოლვა, ამისათვის მრავალი ჯოჯოხეთის გადატანა, უნებუნებარე ნიაში შერთვა არასოდეს არ რჩება მხოლოდ ინდივიდუალისტურ, ეგოცენტრულ პრინციპად. სისრულისაკენ ლტოლვა მჭიდრო კავშირია ჰუმანიზმის იდეებთან, ჰუმანიზმის ეპოქაში კაცობრიობის შორალთან, რომელიც ლაღდება: ყოველი არსი უნდა ისწრაფოდეს სისრულისაკენ. მხოლოდ მთლიან-პარძონიულ მსოფლიო საიუფლოებას ზიარებულ ადამიანს შეუძლია მოძვინოს ქვეშარტების ნათელი თანამოქმედება. აქ შერიგებულია ზემოთაღნიშნული ორი პრინციპი. რუსთაველს შეეძლო ეთქვა: „დაისახე საკუთარი მოქმედების მიზნად საკუთარი სისრულე და სხვების კეთილდღეობა“. სწორედ ამისათვისაა, რომ ასეთი მაღალი მორალის სამსახურში მყოფ ტარიელს დახმარებისათვის ამოძრავდა „ვეფხისტყაოსნის“ მსოფლიო მაღალი თუ დაბალი მორალის მქონე ადამიანებმა ტარიელის დახმარება დევიზად გაიხადეს, რათა მიეცათ მისთვის სრული საშუალება ზეადამიანური სისრულისაკენ ლტოლვის განმსაზღვრელი განწყობის აღსრულებისათვის. მართლაც, ამ სისრულის ნაყოფს საბოლოოდ მოიპოვს თვით კაცობრიობა, რადგან ბოლოს ასეთი სრული ადამიანის შეფორით „შიგან მათთა საბრძანისთა თხა და შველი ერთად სძოვდეს“.

ტარიელი მთლად გამსჭვალულია მიჯნურობათ. ამით იგი ამალღებულია და ილტვის სისრულისაკენ. მისი ემოციები არ წარმოადგენენ ვნებას, ზანგრძლივ ეფექტს, რომელიც აჩლუნგებს ადამიანის გონებას, ართმევს ადამიანს სიბრძნეს და აქცევს მას „მწერად“, უნებისყოფო არსებად. ჩვენ ეთქვით, რომ მისი ასეთი განცდა პათოსიაო. ნოვუსმინოთ პათოსის შესახებ ჰეგელს: „ბერძნული გაგებით სიტყვა „პათოსით“ ჩვენ შეგვიძლია აღვნიშნოთ ის საყოველთაო ძალები, რომლებიც არსებობენ არა მარტო თავის თავად, დამოუკიდებლად, არამედ სტოცხლობენ ადამიანის მკერდში და რომელთაც მოძრაობაში მოჰყავთ ადამიანის სული მის უსაზღვრო აიღრმეშაც. იგი ძნელად ემორჩილება თარგმანს, რადგან სიტყვას „ვნებას“ ყოველთვის თანახლავს წარმოდგენა დაბალის, დაკანინებულის შესახებ. ამიტომ ჩვენ მოვითხოვთ, რომ ადამიანი არ დაემორჩალოს თავის ვნებას. პათოსი ჩვენ გვესმის უფრო მაღალი, უფრო ზოგადი აზრით, იმ თანხლებითი მნიშვნელობის გარეშე, რომელიც ღირსია დაძრახვასა, რომელიც კაბრიზულია და სხვ. პათოსში უნდა გაეფოთ არსებითი გონიერი შინაარსი, რომელც მოთავსებულია ადამიანის „მე“-ში, აესებს მას. პათოსით მთლიანად გამსჭვალულია ადამიანის სული“ (ჰეგელი).

აი ასეთი პათოსითაა გამსჭვალულია ტარიელი. მაღალი მარმონის პათოსი აესებს მის არსებას. მისი ჭაჭბი ემოციურობა, აფექტები პათოსის მხოლოდ ფსაქოლოგიურ მხარეს წარმოადგენენ.

დონ-კიხოტი მთელი რომანის მანძილზე ზეადამიანური ბრძოლის პროცესში, მთლად ილუზიებსა და გალუცინაციებშია გახვეულია.

ფაუსტი თავიდან ბოლომდე ილუზიების, მოჩვენებების სამყაროში ცხოვრობს, მიუხედავად ამისა, რომ მისი მოქმედებისა და განცდების მამოძრავებელი გონება და არა „გული“.

*) Куво Фишер: „История новой философии“, том IV.

ბეატრიჩესთან, უმაღლეს სისრულესთან შეწყობისათვის ატაცებულა დანტე ალიგიერის მოგზაურობა ჯოჯოხეთში, სალხინებელში და სსპრპრპრპრ, წმინდა ფიზიკურა ქცევის თვალსაზრისით, მხოლოდ და მხოლოდ, სულთ დაავადებული ადამიანის გალუცინატორული ბოდეა იქნებოდა. ფაუსტი, დანტე ალიგიერი და მათი მსგავსი ზოგად-ადამიანობის გამოშხატველა ტიპები სისრულისათვის, ქვეშეარტების მოპოვებისათვის ნებაყოფლობით ჯოჯოხეთის აღმურში შესულან, საკუთარი უძვირფასესი იდეები დროებით ეშმაკისათვის მიუყვინათ, ჩეულებრივი ნორმალური ადამიანის სახე დაუკარგავთ და მათი არსება პათოლოგიური განცდებისა და ქცევის სარბილად გამხდარა. მიუხედავად ამისა, არაეის ასეთი ტიპისათვის ავადმყოფი არ უწოდებია, არაეის თვალში იგი არ გამხდარა სააქიშო. საკუთარ გენიოსთა შემოქმედების სიყვარულთ ანთებულმა ერმა და კაცობრიობამ შეიგნეს, რომ ამ ადამიანებს ამოძრავებდათ ქვეშეარტებისა და უმაღლესი სისრულის პათოსი. ასეთი მაღალი პათოსით ამოძრავებული ადამიანის მღელგარე ბრძოლისა და შემოქმედების გზაზე გამოქვდაებული ზოროტი თუ კეთილა საქციელი, სულის უნაზესი სიმების თრთოლეა, სასოწარკვეთილებამდე მისული მწუხარება, მისი მაღალი გონების ქროლეა მიუწვდომელისაყენ, რაც ხშირად საოცარ ფანტასმებში გადადის, ხშირად ველურ ინსტინქტების ამოძრავებასაცუი იწვევს, განხილულია და გაგებული მხოლოდ და მხოლოდ მაღალი მანების მიღწევისათვის ბრძოლის პათოსის ნიადაგზე.

ასეთი პათოსით ატაცებულმა ტარიელმა ამოსწურა საკუთარი სატრფოს პოენის ყოველგვარი სამშალებმა. „ვეფხისტყაოსანის“ ტექსტის მიხედვით, ტარიელისათვის სატრფოს ძიების გაგრძელება უაზრობა იქნებოდა. ქვეყნის ყოველი კუნძული შემოვლილია, მაგრამ ამაოდ. ტარიელს ჯერჯერობით არა ჰყავს წინამძღვარი, როგორც დანტე ალიგიერს ბრძენი პოეტი ვირგილიუსი, ზოლო ფაუსტს — თვით მეფე და მეფისტოფელი. იგი მაღალ პარმონისაყენ მიმავალ ეკლიანი გზის ეიწროებში შეფერხდა. აღმართზე ერთბაშად გზა შესწყდა და წინ გაიშალა ჯოჯოხეთური უფსკრული, წყელიადი, საიდანაც ჰქრის უიმედობისა და საიდუმლოების ნელი და მომადუნებელი ნიავი. უკან მობრუნება ადვილია. მას დახვდება ქვეყანი, მას დახვდება, სხვა რომ არა იყოს-რა, ტრიდონი, და მეფურად იცხოვრებს სიცოცხლის დაისამდე.

მაგრამ წარმოდგინეთ ერთ წუთს, რომ ტარიელმა ჩაიღინა ასეთი რამ, წარმოდგინეთ, რომ იგი დაუბრუნდა ცხოვრებას, თუ გნებავთ, სახელმწიფოებრივ მოღვაწეობასაც. მაშინ როგორ პატარა კაცად მოგვეჩვენებოდა ტარიელი, დიდი ლექსის ოსტატად, მაგრამ რა ეიწრო იდეების პატრონად გამოჩნდებოდა რუსთაველი. ეს შეუძლებელი იყო იდეის ლოგიკური განვითარების მიხედვით. მოქმედებაში მყოფ იდეას სჭირდა დასრულება და ამ მაღალი იდეის მატარებელმა ტარიელმა თავისებური გზით განავრძო სკლა სისრულისაყენ. იგი არ დაემორჩილა ბედისწერას.

თიდაბოს მეფეს „ბედისწერამ“ მოაკვლევინა მამა, ცოლად შეართვევინა ღედა, ე. ი. ჩაიდინინა უსაშინლესი ამორალური საქციელი. ყოველივე ამის გაცნობიერების შემდეგ მთელი სამეფო მოელას მისგან თავის მოკვლას, მაგრამ იგი, ნაცელად თვითმკვლელობისა, აირჩევს სიცოცხლის გზას. ამით მან პირველმა აღმართა მხებილი ბედისწერის წინააღმდეგ მთელს სამყარო-ნეთში. იგი თვალებს დაითარის და ზღერანი ტყის მუღღროებაში, საკუთარ

მწუხარებასა და მსოფლიო საიდუმლოებაში ჩაძირული აღწევს სიბრძნის უმაღლეს მწვერვალს, ისე რომ მასი შარავანდედით მოსილ ზღვრებში მიდიხარ თვით ღმერთმაც ძლივს გაუსწორა თვალი. ასეთი სიტუაცია და სიკვდილით გაიმარჯვა მან ბედისწერაზე.

ტარიელმა დაბალი ყოფისაყენ დაშვებას ან ერთბაშ სიკვდილს ჯოჯოხეთური წამება არჩია. რა ტკბილი სიზმარია დანტე ალიგიერის მოგზაურობა საიქიოს კიბურებზე ბეატრიჩესაყენ და მასთან ერთად უზენაეს ღვთაებასთან! დანტეს ჯოჯოხეთი საამო მალამოა იმ უღრმეს ტანჯვასთან შედარებით, რომელიც ტარიელმა აირჩია. ამ ტანჯვაში იგონებს დაკარგულს, იგი ჩაძირულია საკუთარ მოგონებებში, და, დასასრულ, თუ ქვეყნის დაბალ კიბურებზე ვერ მოხერხდა მზესთან მიახლოება, პათოსში გაწმენდილი და ამბოღებული სული ახერხებს „ღმერთამდი“ ამბოღებას. იგი მწუხარებაში გაწმენდილი, ცისკენ მიმავალი, ეუბნება ავთანდილს:

აწ მივწურულვარ სიკვდილსა, დრო მომეხლა ღებნისა,
ან კიდევ:

ამას მოკვდავი ვილოცავ, არ-ოდეს ვითხოვ არ ენით:

აქა გაყრილნი მიჯნურნი მუნამცა შევიყარენით.

მუნ ერთმანეთი კვლა ენახეთ, კვლა რამე გავიხარენით.

შემდეგ განაგრძობს:

საყვარელმან საყვარელი ვით არ ნახოს, ვით გასწიროს!

მისკენ მივალ მზიარული, მერმე მანცა ჩემ კერძ იროს!

მივეგებვი, მომეგებოს, ატირდეს და ამბატიროს.

პკითხე ასთა, ჰქმენ გულისა, რა გინდ რა ვინ გივაზიროს.

ამის შემდეგ ის დარწმუნებულია, რომ ყველაზე დიდი გამარჯვებაა „შერთვა“ უსახო სახესთან“. იგი დარწმუნებულია, რომ სულთა სირაში იპოვას უმაღლეს ნეტარებას: „ღამშლიან ჩემნი კავშირნი, შვერთვივარ სულთა სირასა“.

დანტე ალიგიერი, ფაუსტი, მეფე ოიდიპოსი მხოლოდ სიკვდილის წუთს აღწევენ უღრმესი სიმშვიდის დამკვიდრებას. დანტე ნამდვილ, სრულ აღამიანად იტყევა მაშინ, როცა შიალწევს ბეატრიჩეს, როცა მეცხრე ცაზე წარსდება ღმერთის წინაშე. ეს ხდება მაშინ, როცა სულს უკვე შეუძლია განშორდეს სხეულს. იგი ანთებულია ისეთი საყვარულით, რომელსაც „მოდრობაში მოჰყავს მზე და ვარსკვლავები, რომელნიც მეფურად მართავენ მსოფლიოს“. ასეთი საყვარულით იგი უერთდება სულთა სირას.

ფაუსტი, — ინტელიქტუალური პათოსით ატაცებული ადამიანის იდეა, — როდესაც წვდება უზენაესი მორალურ ქეშმარიტებას, ადამიანობის აზრს, იგი შესძახებს: „წუთო, შეჩერდი, რა მშვენიერი ხარ!“ მაგრამ იმავე წუთს განსზივოსნებულ სულს, დასრულებულ ადამიანობის იდეას გაიტაცებენ ანგელოზები იქ, სადაც მას უცდის გრეტუნის უსპეტაკესი სული.

ტარიელი ამავე გზით მიდის. სიკვდილის წუთს იგი განიცდის შერთვას მაღალ პარმონიასთან, „მზესთან“, და ატაცებულია უზენაესი სიხარულით. ქეშმარიტებისათვის ბრძოლის გზაზე ტარიელი მოიქცა ისე, როგორც საუკუნეთა შემდეგ დანტე ალიგიერი. მან თავისებური გზით მიიღწია სისრულეს. მაგრამ უმაღლესი სისრულისაყენ, უმაღლესი თავისუფლებისაყენ

ლტოლვის პოტენციით აღჭურვილი, აღმოსავლეთის ურდოებით შემოთავაზებული ქართველი ვერ დასთმობდა ამაღლვებელ ადამიანს. იგი ვერ მიწოდებდა საკუთარ მაღალ ლტოლვათა განხორციელებას. ციურ სიმშვიდეს. მას ამაღლებული ადამიანის იდეა სჭაროდა ზორცმესხმულად მიწაზე. მას სჭიროდა აქტიური, მომქმედი, დიადი საქმეებას მქნელი სრული ადამიანი. სწორედ იმიტომ ამოძრავდნენ და დაიარაზნენ რუსთაველის გენაით გასზიფოსნებული რაინდები, რომ სრულ ადამიანად ქცეული კაცი ადამიანთა წიაღში დაებრუნებინათ.

ყოველივე შემოთქმული უფრო ნათელი გახდება, თუ ტარიელის ქცევას განვიხილავთ ფსიქოლოგიური თვალსაზრისით.

IV

რუსთაველმა ტარიელს უზარმაზარი საქმე დაავისრა. ჩვენ არ ვიცნობთ მსოფლიო ლიტერატურაში არც ერთ ლიტერატურულ პერსონაჟს, რომელიც ასეთი ძნელი საქმისათვის იყოს მოწოდებული. ეს სიძნელე გამოიხატება არა იმაში, რომ ასეთი დიადი იდეა არავის უტარებია, არც ერთი ბრძენის თავში არ დაბადებულა და მისთვის სამსახურად ზაცოცხლე არ შეუწირავს. ასეთი იდეის სამსახურში იყვნენ პეტრიწონელი, თვით რუსთაველი, როგორც პოეტი, და სხვანი. ეს სიძნელე იმაშია, რომ აქ იდეა დინამიკაშია მოქცეული, იდეა განხორციელების პოტენციათაა აღჭურვილი. ეს იდეა, როგორც პოტენციათა სისტემა, აქ ტარიელის სახითაა წარმოდგენილი.

იმავე დროს ტარიელი არის არა სქემა, არა ზორცმეუსხმელი სიმბოლო, არამედ ნამდვილი მიწიერი ადამიანი, ყველა ადამიანური თვისებით აღჭურვილი. იგი ზოგადის კონკრეტული ჩატია, ამ ქვეყნად მოვლინებული. მას ზოგადიდან ადამიანური დამოუკიდებელი არსებობის უფლება მოუპოვებია, რომ ამ დამოუკიდებლობაშიც ზოგადს სამსახურში გაამართლოს საკუთარი არსებობა, მისი ამ ქვეყნად არსებობის აზრი. ამ მძიართულებით მოდიფიკაციის დღიდან მისი ცხოვრება წარმოადგენს შექმნილი განწყობის რეალიზაციისათვის ბრძოლას. ეს ბრძოლა მიმდინარეობდა მძიმე კოლიზიებში. ასეთი დიდი საქმისათვის ბრძოლას სჭირია არა მარტო ცივი ინტელექტი, სიბრძნე, მოფიქრება, ნებელობას მოქმედება. დიადი ბრძოლის პროცესში დამარცხებას და გამარჯვებას თან დაჰყვება მძლავრი ემოციური განცდა: გამარჯვებას — ამაღლებული სახარული, ხოლო დამარცხებას — პირიქედების სიღრმეში შეჭრილი მწუხარე განცდები. კოლიზიის ხლართში მოქცეულმა და შეშდეგ სავსებით ბედისაგან განწირულმა ტარიელმა, როგორც ადამიანმა, უნდა განიცადოს დამარცხების მთელი სიმწვავე. მისმა ხალათმა მთლიანად უნდა აიტანოს მძიმე ტვირთი. ჩვეულებრივ მიწიერ ადამიანს ღვთაებრივი საქმე დაეკისრა. ეს საქმე მან უნდა განახორციელოს მიჯნურობის მეშვეობით. მიჯნურობა, უწინარეს ყოვლისა, ადამიანის მთელი არსების დამწყობი ღრმა განცდაა. მიჯნურობა ნამდვილი ადამიანური განცდაა, ნამდვილი ემოციაა და არა ეროსი, ინტელექტუალური სიყვარული, რომელიც სიმშვიდესა და სულიერ ჰარმონიაში მიმდინარეობს. ეს არის განცდა, რომელიც მოქცეულია ეროსსა და ზორციელს სიყვარულს შუა. მიჯნურობით შეიძლება ამაღლება სისრულემდე, მაგრამ ამისათვის სჭირია საკუ-

თარი არსების ტანჯვაში, უღრმესა ტკივილების მომგვრელ კონფლიქტების ცეცხლში გავლა.

დანტეს ბეატრიჩესადმი სიყვარული ანდამატური ძალით იზიდავს ციურ ნეტარებისაკენ. იგი ზრული იმედით არის გამსჭვალული, რომ ბრძენი მეგზური ვირგილიუსის დახმარებით მიაღწევს უქანასკნელ ცას, ამისთვის შიამიჯებს ასე იმედიანად იგი ჯოჯოხეთისა და სალხინებლის სამეფოში. ამ მოგზაურობაში ემოციური განცდები მხოლოდ და მხოლოდ საშინელებისა და საოცრების ჭკერტის პროცესში წარმოშობილი განცდებია, რომელნიც ჰელანდებიან მხოლოდ ვაოცებისა და შიშის სახით. ამიტომაც დანტესათვის ასე ადვილი საკუთარი მოგზაურობისა და საკუთარი განცდების ბრძნულა რეფლექსია.

ფაუსტის მისწრაფება ლა ბრძოლის პროლოგი თავიდანვე განსაზღვრული იყო მეუფის მიერ. ღმერთმა თავიდანვე ჩააბარა ფაუსტი მეფისტოფელს გამოცდისათვის და თან უწინასწარმეტყველა ფაუსტს გამარჯვება. ფაუსტი გაყვებ მეფისტოფელს. ამიერიდან რგი ჩვეულებრივ ყოფნაში ეძებს აზრს. იქ ყოველი მასი ლტოლვა სრულდება ჯადოქრის მიერ. მისი გზა თითქოს ჩვეულებრივი გზაა. ასეთი ყოფნის თანამზღები განცდებიც შეუძლებელია მთლიანად იმონებდნენ ადამიანს. სწორედ ამისათვისაა, რომ ფაუსტი ღვთაებრივი ირონიით და რეფლექსიით გასცქერის თავისი თუ მეფისტოფელის მცდარ თუ კეთილ საქციელს. ცხოვრების მიეთ-მოეთში, ზნელ ძალებთან მეგობრობაში ერთბაშად განათდება ფაუსტის სული და იგი სწვდება უმადლეს მორალურ ჭეშმარიტებას. ფაუსტმა გაიმარჯვა. ღმერთი გამოსტაცებს ფაუსტს ჯადოქარს და აღამაღლებს ზეცას. შაგრამ პრობლემაა: ვის ეკუთვნას ეს გამარჯვება — ღმერთს თუ ფაუსტს?

რუსთაველმა ტარიელს, ჩვეულებრივ მიწიერ ადამიანს, როგორც უკვე აღვნიშნეთ, დიდი საქმე დააქისრა. მან ამ საქმის მთელი მსვლელობა არა პარტო საკუთარ ნებისყოფას უნდა დაუმორჩილოს, არამედ, რაც მთავარია, მან აგი უნდა განიცადოს, როგორც ნამდვილმა ადამიანმა. ამისთვის არიან მისი განცდები ასე მწვავე, ღრმა და ზშირად ზეადამიანური. ამის შესახებ ტარიელის სულის მესაიდუმლე ასმათი ამბობს: „ჯერ მისი მსგავსა სასჯელა არცა ვის ამბად მსმენია: არა თუ კაცთა, სასჯელი ქვათაცა შესაძრწენია“.

გოეთე შექსპირის ჰამლეტის შესახებ ამბობს, რომ შექსპირს თავის ტრაგედიაში უნდოდა გამოეხატა დიდი გმირობა, მაგრამ გმირობა დაკისრებული აქვს ისეთ პაროვენებას, რომელიც არა დგას ამ გმირობის დონეზე. „აქ მუხა ჩარგულია ისეთ მშვენიერ ვაზაში, რომელსაც შეეძლო გაეზარდა მხოლოდ ნაზი ყვავილები. მუხის ფესვები თანდათან ვრცელდებიან და ვაზა სკდება“ (გოეთე).

რუსთაველმა უდიდესი საგმირო საქმე დაეავლა ტარიელს. ზნელმა ძალებმა ფესვები ვერ განაგრცეს მის არსებაში, მან შებორკა და დაძლია ისინი. საცოცხლეში რომ არ გაემარჯვა, სიკვდილში მაინც გამარჯვებული რჩებოდა.

მაშ, ტარიელის თავისებურებას საკაცობრიო იდეების მატარებელი ტიპების ზემოთაღნიშნულ პლედარში წარმოადგენს ის, რომ ტარიელი ყველანაზ მიწიერი, ზორცმესხმული არსებაა: ბრძოლისათვის მას მხოლოდ ჩვეულებრივი ადამიანური საშუალებები გააჩნია. არავითარი ჯადოქრული და ზე-

ადამიანური ძალები მას არ ეხმარებიან. მთელი მასი ბრძოლის გზა ღრმად არის ასახული მის ადამიანულ სულში, მას განცდებში. ამიტომ ^{სასწრაფოა} არ არის, თუ მისი სიხარული და მწუხარება ისე ღრმად, რომ, მისი ჩვეულებრივი ენით გამოთქმის შეუძლებლობის გამო, პოეტი ზშირად ჩვენთვის გასაოცარ ჰიპერბოლებს მაშობრთავს.

გაყვეთ ტარიელის განცდებისა და ქცევის ფსიქოლოგიური ანალიზის გზას. მას შემდეგ, რაც ტარიელმა ამოწურა ნესტანის პოვნის ყოველგვარი შესაძლებლობა, მან გადაწყვიტა ვეღად გაქრა. ამ მართლაც ნამდვილი გადაწყვეტილების აქტთან გვაქვს საქმე. აგი არამცა და არამც არ არის იმპულსური ქცევა, რომელიც მხოლოდ იმპულსს, აფექტს ემორჩილება და რომელიც ადამიანს არაჯანთერ ქცევას ჩაადენინებს. ასეთი ქცევა იყო გარკვეული მოტივებით გამართლებული გადაწყვეტილება და ამ გადაწყვეტილების ნიდაგზე მოქმედება. როგორია იმ მოტივების ფსიქოლოგიური აზრი, რომლებმაც ტარიელი ასეთ გადაწყვეტილებამდე მიიყვანეს? „როდესაც ადამიანის წინაშე საკითხი დგება, თუ როგორ მოიქცეს, შემდეგი გარემოება იქნის თავს: იმ შესაძლო მოქმედებათაგან, რომელთაც მისა გონებას სცნობს მიზანშეწონილად მხოლოდ ზოგი იზიდავს მას გარკვეული მხრით, მხოლოდ ზოგიერთის მძმართ გრძნობს აგი მზაობას, მხოლოდ ზოგიერთს იწყნარებს, როგორც შესაფერისს, როგორც ქეშმარიტად მიზანშეწონილს. მოტივაციის აზრი მხოლოდ იმაში მდგომარეობს: იგი ისეთ მოქმედებას ეძებს და პოულობს, რომელიც პიროვნების ძირითად ცხოვრებაში განმტკიცებულ განწყობას შეეფერება. როდესაც სუბიექტი ქცევის ასეთ სახეობას მიაგნებს, იგი განსაკუთრებულად განიცდის მას, იგი ერთგვარ მიზნიდევლობას გრძნობს მის მიმართ, იგი მასი შესრულებისათვის მზაობას განიცდის.“¹⁾

როდესაც ტარიელი მომავალი მოქმედების არჩევანში იყო, ყველა შესაძლო ქცევიდან მსსთვის ის ქცევა იქნებოდა ყველაზე უფრო მიზანშეწონილი, რომელიც მასში განმტკიცებული განწყობის შესაფერისი იყო. მასში ხომ ყველაზე მძლავრად განმტკიცებულა მიჯნურთან შეყრის, მასთან შეწყობის განწყობა. ასეთი განწყობა მისი პიროვნების მოდუსია. იგი განსაზღვრავს მისი არსებობის აზრს. ამისათვის ფსიქოლოგიურად სავსებით ვაუგებარი იქნებოდა, რომ ტარიელი სზვაგვარ გადაწყვეტილებამდე მისულყო. გადაწყვეტილების პროცესში იგი დაემყარა საკუთარ პიროვნებაში ყველაზე მყარ და განმტკიცებულ განწყობას. ბრძოლით ვერ მოხერხდა განწყობის რეალიზაცია, მაგრამ ხომ „ქარგი მიჯნური იგია, ვინ იქმს სოფლისა თმობასა“. ტარიელი, რომელიც ვერ ახერხებს ადამიანთა შორის თავისა ლტოლვის დაქმყოფილებას, განსაკუთრებულ მიზიდულობას, განსაკუთრებულ მზაობას გრძნობს ისეთი ქცევისათვის, როგორაცაა მარტოობაში ყოფნა და საკუთარ განცდებში ჩაძირვით სატრფოსთან მიახლოვება: „მას დაქარგულსა ვიგონებ მე, სიცოცხლასა მოიენებ“. ყოველივე ამის გამო გასაგები ხდება ის, რომ ტარიელს ასეთი გადაწყვეტილებისათვის არ დასჭირვებია მოტავთა ბრძოლა. იგი არ შებრძოლებია თავისი პიროვნებას განუყრელ თვისებად ქცეულ მაღალ ჰარმონიისაკენ ლტოლვის ტენდენციას. ამ ტენდენციის მორა-

¹⁾ დ. უზნაძე: „ზოგადი ფსიქოლოგია“. 1940 წ.

ლურ აზრზე ჩვენ უკვე გვექონდა ლაპარაკი. ფსიქოლოგიურად კი ასეთი ქცევა სავსებით გასაგებია. ეს ქცევა მაჩვენებელია შთლიანი პანაქსიონალიზმის, როგორც ქცევისა, რომელშიც იმპულსური მისწრაფებანი და სწრაფი მიზანდასახულობანი ურთიერთთან არიან შეწყობილი და რომელშიც უმაღლესი იდეალები ჰარმონულ ურთიერთობაში არიან ბუნებრივ მიდრეკილებებთან.

ტარიელის ქცევა რომ მართლა ნებელობითი ქცევაა, ეს იქიდან სჩანს, რომ მისი გადაწყვეტილება, რომელიც დააბუთებულია გარკვეული და ნათელი განწყობილებიდან მომდინარე მოტივებით, სავსებით აზრითი სიტუაციის ნიადაგზე მომდინარეობს. მუხედავად უღრმესა მწუხარებისა, მან წინასწარ იცის, თუ როგორი იქნება მისი მომავალი ქცევა. ტარიელი საკუთარ მხლებლებს მიმართავს, მართო დასტოვონ იგი. სავსებით დინჯად, დარბაისლურად და ღირსეულად გადასდგამს იგი მოქმედების პირველ ნაბიჯს. ასმათს და ორ მონას ეუბნება:

„ვიცი, რომე დამირჯიხართ, დია გმართებს ჩემი მღერეა,
აჲ წადით და მე დამაგდეთ, ეტერენით თავთა თქვენთა,
ნელარ უჭერეტო ცრემლთა ცხელთა, თვალთა ჩემთათ მონადენთა“.

ასეთი საქციელის ჩადენის წინ იგი ღრმა მწუხარებით არის აღსავსე და თან საზეიმო განწყობილებამოა: თითქოს ემზადება უდიდესი წმინდა საქმისათვის. იგი თავისი განწყობის შესაფერისად მოსძებნის ისეთ სიტუაციას, სადაჲ ამ სიტუაციის შესატყვის ძალებს, ამ შემთხვევაში ემოციურ ძალებს, ჰარბად გამოვლენის შესაძლებლობა მიეცემათ. იგი სრულებით შეგნებულად შეებრძოლება დევებს, გაანადგურებს მათ და დაისაკუთრებს მათ საცხოვრებელ ბინას. მოკლავს ვეფხებს და თავისივე შეკვეთით ასმათი შეუტერავს ვეფხის ტყავისაგან ტანსაცმელს. იგი შეგნებულად ჰდება ვეფხის-ტყავისანი:

„რომე ვეფხი შეენიერი სახელ მისად დამასახავს,
ამად მიყვარს ტყავი მისი, კაბად ჩემად მომიხახავს“.

თავის მიერ არჩეულ სადგომში ტარიელი მიეცემა ენით გამოთქმულ მწუხარებას. თუ უკუფაგდებთ მხატვრულ მიზერბოლებს, ტარიელს განცდების გამოსახვისათვის ხმარებულს, და მის განცდებს მივიჩნევთ ფსიქოლოგიურ ფაქტად, იგი სავსებით მართალი იქნება, იგი სრულ ფსიქოლოგიურ სიმართლეს შეიცავს.

მისი განცდებისათვის დამახასიათებელია მწუხარება, გლოვა. ასეც უნდა იყოს, რადგან ცნობილია, რომ როდესაც აქტიობა მარცხით თავდება და მიზანი მიუღწეველი რჩება, ყოველთვის მიზნობრივად აღტურვილ ადამიანში წარმოიშვებიან ღრმა, უსიამოვნო განცდები. უსიამოვნო განცდებს ხომ საზღვარი არ გააჩნიათ, მით უმეტეს ზედა ზღურბლი. იგი შეიძლება უსაზღვრო იყოს. ეს დამოკიდებულია პიროვნების ემოციურ ფანცლათა დისპოზიციებზე, თვითონ შთლიანი პიროვნების გამძლეობაზე. ტარიელი ღრმა, ძლიერი და გამძლე პიროვნებაა. მისა ემოციებიც უსაზღვროა და ღრმა, მაგრამ ისეთი, რომელიც პიროვნების ძირითად არს ვერ არღვევს. საკმარისია დავუ-

კვირდეთ ტარიელას ქვეყის ზოგადი მხარეს, რათა მაშინვე დაერწმუნებოდეთ, რომ ამ მარტოობაში მისი სიცოცხლის წამყვანი ძალა მხოლოდ მისი სიყვარული არ არის. ტარიელში ყოველთვის რჩება უფრო მაღალი, რაღაც უმრცხველზე მეტი, რომელიც პარმონიაშია ამ უმოციასთან. ამ პარმონიაში ემოცია მხოლოდ ერთი ნაწილია, ერთი საფეხური, რომელიც ამ მთლიანის ტონუს გამოხატავს. მასში არსებით მომენტად ისევ რჩება ლტოლვა უმაღლესისაკენ. იგი აქაც მიზნობრივად გამსჭვალულ პიროვნებად რჩება. მან მიზნის მიღწევისათვის თეატრალურად გააფორმა საკუთარი ცხოვრება. იგი ბრძენი დარჩა მწუხარებაშიც. მას შერჩა საკუთარი მდგომარეობის, განსაკუთრებით საკუთარი ვანცდების მიმართ ნათელი რეფლექსია: ტარიელი ერთსა და იმავე დროს „ხელიცა“ და ბრძენიც. იგი არსებითაც მაინც ბრძნად რჩება, ისეთ ბრძნად, რომელსაც მოპტენია მწუხარების მუქი სულარა. მაშინაც კი, როდესაც იგი საკუთარი განწყობის ილუზიას ტყვედ ხდება, ის მაინც გაცნობიერებული მიზნის სამსახურში რჩება. ამის საილუსტრაციოდ მოვიყვანოთ ერთი მეტად მწვავე სიტუაცია „ვეფხისტყაოსნიდან“.

ტარიელი თითქოს მთლად ატაცებულია პათოსით. ტარიელმა ტანჯვის განსაწმენდელში მიადგია იმ საზღვარს, რომლის იქითაც უნდა გაიხსნას საზოგადოების კარი, სადაც მას მოეგებება საკუთარი მზე. „ხელი“ და ბრძენი ადამიანის ცამდე ამაღლება მიმდინარეობს ისეთ მონუმენტურ სიტუაციაში, სადაც ერთმანეთში შეჭრილია სიშმავე და სიბრძნე. ეს გახლავთ ტარიელის მიერ ღომ-ვეფხთა დაბოცვის სიტუაცია.

გავაანალიზოთ ეს სიტუაცია. ტარიელი ღრმა მწუხარებით არის გამსჭვალული. მას ამ ქვეყანასთან აკავშირებს მხოლოდ და მხოლოდ მეგობრის მოლოდინის ვანცდა. შემთხვევით იგი შეეყრება ღომისა და ვეფხის ბრძოლას. მისთვის ღომი ვაჟია, ვეფხი კი ქალი. ეს წარმოდგენა ისე იმყრობს ტარიელს, რომ იბადება ილუზია: იგი ხედავს არა მხეცების ინსტინქტზე დამყარებულ შებმას, არამედ ორ შეყვარებულს. ილუზია ღრმავდება, იგი თითქოს ილუზიის მონად იქცევა. ეს ილუზია მთლად განწყობას ილუზიაა. ილუზია ზომ შეცდომია აღქმაში. ასეთი შეცდომა შეიძლება მოუვიდეს ყოველ ადამიანს. ტყეში სანადიროდ განწყობილს შეიძლება მოულოდნელად გამოჩენილი ადამიანი ნადირად მოეჩვენოს და თოფი-კვი ესროლოს. თუ განსაზღვრული ხარტ მტრის თავდასხმის მოლოდინით, ღომით მხეცი შეიძლება თოფშემართულ კაცად მოგეჩვენოთ. ილუზიის წარმოშობა სავსებით განსაზღვრულია პიროვნების მთლიანი მდგომარეობით — განწყობით, რომელიც გარკვეულ მომენტში პიროვნების მოდუსს შეადგენს და ქვეყისა და ვანცდების მიზანშეწონილ თუ მიზანშეუწონელ მიმდინარეობას წარმოართავს. ტარიელიც ზომ განწყობის ტყვეა. მისი სიცოცხლის მოდუსი ზომ ნესტან-დარეჯანთან შერთვის განწყობაა. ეს ზოგადი განწყობა განსაზღვრავს მისი ვანცდებისა და ხილული ქვეყის მიმდინარეობას ამიტომ რაა საკვირველი, თუ იგი სავსებით ამისთვის შესატყვის სიტუაციაში თავის განწყობის რეალიზაციას ზოგჯერ ილუზიაში გამოავლენს! ვეფხი ზომ მან თავიდანვე თავის სატრფოს სიმბოლოდ მიიჩნია, და აი მას შეხვდა საკუთარი სატრფოს სიმბოლო ვეფხი. სიტუაცია მთლიანად შესატყვისაა განწყობის ილუზიის წარმოშობისათვის. ილუზია თავის უმაღლეს ზერტილს აღწევს. ილუზიის შემოქმედებით იგი აქტიური ხდება. ღომი ვეფხს მოერევა. ტარიელის სატრფოს სიმბოლოს

მკლავენ, მან უნდა დაიცვას იგი, — ტარიელი მოკლავს ლომს. ილუზია ნადავზე წარმოშობილი აფექტი უმაღლეს მწვერვალს აღწევს. მწვერვალზე ფოს სიმბოლოა. ტარიელს ადეძრის სურვილი — მიიკრას ვეფხი შეკრულზე, და მივარდება კიდევაც მას. ვეფხი იბრძვის ისევე, როგორც მანამდე ებრძოდა ლომს. ტარიელი ბრძოლის პროცესში ჰკოცნის მას. იმდენად მძლავრია ილუზია, რომ ტარიელი ვერ განიცდის ვეფხის ბრძულებს თავის სტელზე. იგი ჰკლავს ვეფხს. და იმავე ეპოს აგონდება ის მწარე წუთება, როცა აგი სატრფოს წაეკიდა უკანასკნელი შეხვედრის დროს.

აქ უკვე ისპობა აღქმის ილუზია, და ჩნდება წარმოდგენილი სიტუაცია — რომლის ნადავზედაც იშლებიან წარსული განცდები. მასში აღდგება სატრფოს ნამდვილი სახე და მასთან განცდილობ უველაზე მწვავე კონფლიქტებით აღსავსე წუთები. ილუზია და სინამდვილე ერთმანეთში იჭრებიან. ეს იქცევა სატრფოსთან შიახლოვების საფუძვლად. ამ ილუზიაში ტარიელი ანხორცელებს საკუთარ მიზნებს. ამ მომენტში მან მთელი სიმძაფრით განიცადა სატრფოსთან განშორების სიმწვავე და მასთან შიახლოვების აუცილებლობა; ასეთ ლტოლვას ველარ გაუძლო მისმა ფიზიკურმა არსებობამ და დაიწყო სწრაფვა სხვა უფრო ამაღლებულ არსებობისაკენ. უკანასკნელ წუთებში ტარიელმა განიცადა დიდი ექსტაზი სატრფოსთან შერთვის. ეს განცდა მან მოიგონა აეთანდილთან გამოსახულებების დროს. ამ საუბრით გამოთქმული განცდები ანარეკლია ამ განცდებისა, რომელიც ტარიელს ჰქონდა ვულ-შემოყრის წუთა, გარინდულ მდგომარეობაში ყოფნის დროს. აქ მოკეშული ნათელი სურათი იმისა, თუ როგორაა შექრალი ურთიერთში გახელება და სიბრძნე, თუ როგორ არის თვით გახელება ერთგვარი საშუალება უმაღლესი ჰუმანიტეტის წედომისათვის. აქ აღწერილი სიტუაციით გამოწვეული განცდები გადაიქცნენ საბაზად ტარიელის განახლებისათვის, სულთა სირასთან შერთვისათვის.

ტარიელი გარინდულია. მთელი არსებით შებყრობილია იგი სატრფოს მოგონებით. თანაც მან იცის საკუთარი განცდების მდგომარეობა, შეუძლია შიახლნოს ამ განცდების სრული ობიექტივაცია. მაგრამ იმავე დროს ასეთი განცდები, სიკედლის მოახლოვების გრძნობა, სიმშავე არ არის განცდილი როგორც კონფლიქტი, როგორც აფექტი. ფსიქობათოლოგიის ენით რომ ესთქვათ, იგი სრულებით არა ჰგავს ნევროტიკის გაქცევას აუადმყოფობისაკენ, როცა დაავადებულმა პიროვნებამ იცის, როცა მას გუცნობაერებული აქვს თავისი ფსიქიკური სისუსტე, მაგრამ ვერ ახერხებს მის დაძლევას, რადგან ნებელობის სისუსტე ხელს უშლის შეაკავოს იმპულსები; ამის გამო გამხდარა იგი ამ უაზრო იმპულსების მოქმედების სარბიელად. არა, ტარიელმა იცის, რომ ასე აჯობს და გადაწყვიტილია აქვს კიდევ. იგი ამბობს: „ჰკითხე ასთა, ჰქმენ გულისა, რა გინდ რა ვინ გივაზიროს“. მან უკვე მიადწია იმ-საზღვარს, როცა შეუძლია მშვიდად მოკვდეს. ამისათვის კი მას ამეამად აქვს საუკეთესო და ბედნიერი წუთები: „მისკენ მივალ მხიარული, შერმე მანცა ჩემ კერძ იროს. მიგეგებვი, მომეგებოს, ატირდეს და ამატიროს...“

აქედან სჩანს, რომ პიროვნებას საესებით ობიექტივირებული აქვს როგორც სიბრძნის, ისე გახელების აზრია. მას სრული რეფლექცია გააჩნია ორივეს შიმართ. მან იცის აზრი ტანჯვისა და ტანჯვის შემამსუბუქებელი სიბრძნისა. მაგრამ მაინც სამართლეს, ჰუმანიტეტ გზას იგი ზედავს იმ ძირითა-

დი განწყობის, მისი პიროვნების არსის განხორციელებაში, რომელიც ვერ მოხერხდა ამ ქვეყნად, მაგრამ შესაძლოა მოხერხდეს მაშინ, როდესაც მისი შეუერთდება სულთა სივრცეს.

იგი „ხელია“ იმდენად, რამდენადაც უარპყო ამქვეყნიური ყოფნა და საკუთარი განწყობის მონა გახდა, მაგრამ ბრძენია იმდენად, რამდენადაც ეს გახლება თავის განწყობის რელიგიოზიუზისათვის სავსებით შეგნებულად საუკეთესო გზად, საბუკეთესო საშუალებად აღრჩევიან. ამ გახლებაში იგი მალაზროვან, დიად მორალურ საბუტებს ამეღავენებს და საკუთარ ქცევას ამ გახლებების მომენტში ღრმა სიბრძნით მოსავეს. სწორედ ამიტომან, რომ ტარიელის განცდებს, ვერძოდ, ემოციურ განცდებს შეუძლებელია ეწოდოს დაუკმაყოფილებელი ფნებინან მომდინარე აფექტები. მისი ემოცია პათოსია, რომელსაც ყოველთვის აქვს გონიერი შესაარსი, რომელიც განუყრელია ადამიანის არსებობასთან და ავსებს მის პიროვნებას. სწორედ ღეთებამდე ამადლებული ძლიერი „მიჯნურობის“ განწყობას შეუძლებელია წარმოეშვა დაბალი, დაკნინებული, სულმოკლე და დამამციარებელი ვნებები და აფექტები. ასეთ განწყობას შეეძლო გამხდარიყო მხოლოდ და მხოლოდ ისეთი ემოციური განცდების წყაროდ, რომელსაც შეიძლება სიყვარულის პათოსი ეწოდოს.

V

განმარტოებული, საკუთარ განცდებში ჩაძირული, სიყვარულის პათოსით ამადლებული ტარიელი ცხოვრობს დევების გამოქვამულში. ამ მარტობაში მას არ დაუქარგავს სულის სიძალდე, ფიზიკური მხნეობა, ფსიქიკური სიჯანსაღე. მხოლოდ განცდების სიღრმითა და ინტენსივობით სცილდება იგი ჩვეულებრივობის ფარგლებს. ხშირად, სიყვარულის ცეცხლით მოსვენება-დაქარგული, დააქროლებს იგი რაშს უსაზღვრო ტრამალებში და უცხო სივრცეებს შესტირის თავის განწირულ სულისკვეთებას.

ერთხელ ნაღარობად გასულმა ბედნიერმა შეფემ და მისმა ამირბარმა აეთანდლილა „ნახეს უცხო მოყმე ვინმე, ჯდა მტირალი წყლისა პირსა“. ისე ღრმან მისი განცდები, იმდენად ჩაძირულია იგი თავისი სატრფოს ხატის მზერაში და ტრფიალებაში, რომ მას არ ესმის მეფის მონათა შეძახილები. მეფესა და აეთანდილს უზომოდ შეიპყრობს მისი გაცნობის სურვილი. ტარიელი მაშინ გამოერკვევა, როდესაც მონებში მიუახლოვდებიან. იგი ფამოდის პათოსიან ტყეობიდან. მას არა სურს მეფის მონათა სისხლი დაღვაროს. იგი მაშინვე მოერევა თავის განცდებს. საომრად გამზადებულია, მაგრამ იმავე დროს სრულებით მშეიდად მიპყვება თავის გზას: „სხვანა მხარსა გაემართა, მათა ჰირი არ განკურნა“. შეპყრობის მოსურნე ყმებს იგი დახოცავს და ამის შემდეგაც სრულებით დარბაისლურად:

„იგი ლალი და უკადრი ჰოვა ტანისა მრხვევლად;
ტაიჭი მაუჭს მერანსა, მიეფინების მზე ველად“

მეფე და აეთანდილი აეკიდებიან მას კვალს. მათ შეიპყრობს „მზის“ ხილვა, მაგრამ ტარიელი ერთბაშად გაჰქრა.

ასე ლალი, უკადრე, მზავს სადარი, სამართლიანი მრისხანებით, უსპეტაკე-
სი პათოსით ამბულეებული მოველინება იგი ადამიანებს თავის სხილქმულე-
ბით აღსავეს სადგომიდან და ისევ თვალს მადეფარება. აქ რუსთაველმა თით-
ქოს ამცნო ქვეყანას არსებობა იმ ადამიანსა, რომელიც „ზენთ-მწყობრთა
წყობისადმი“ შერთვისათვის ადამიანური ძალებით ბრძოლაში დამარჯვებუ-
ლა და რომელსაც ზეადამიანური ნებისყოფით ამიერიდან გამარჯვების
გზად, ღრმა პათოსში ჩაძირვით „მზესთან“ შეწყობა გადაუწყვეტია. თითქოს
ქვეყანამ იგრძნო თავისი საუკეთესო წარმომადგენლის ხვედრი. თავისებური
ჰუმანიზმის იდეით გამსჭვალულმა რუსთაველმა, რომელსაც არა სურდა
მხოლოდ მიღმა ქვეყანაში უზენაესთან შეწყობით ქარმონაის მიღწევა, რო-
მელიც ილტვოდა მზის მიწაზე ჩამოყვანისაკენ, ადამიანის ყოფაში ჰუმანიზ-
მის იდეის დამკვიდრებისაკენ, რომელიც ებრძოდა „სულის მოძულების“
პრინციპს და რომელსაც სწამდა „თავისუფლება სულისა“, ტარიელის მი-
წაზე დაბრუნებისათვის წარგზავნა ავთანდილი.

(დასასრული შემდეგ ნომერში)

1) აკად. შ. ნუცუბიძე: „რუსთაველის მსოფლმხედველობისათვის“. თბილისის სახ. უნივერსიტეტი. „შრომები“, 1936 წ.

2) აკად. კ. კობახიძე: „ქართული ლიტერატურის ისტორია“, 1941 წ.

ქართული ენის გუნებისათვის

ა) მახვილისათვის

ცნობილია, რომ მახვილის საკითხი ქართულში ჯერჯერობით არ არის საკვებით გამოკვლეული. გამტკიცებელი შეხედულების მიხედვით მახვილი ქართულში მოდის ორმარცვლიან სიტყვებში ბოლოდან მეორე მარცვალზე, ხოლო სამ და მეტმარცვლიან სიტყვებში ბოლოდან მესამე მარცვალზე (მარი).

ასეთივეა ფოგტის მოსაზრება. მას მიიჩნია, რომ ორ და სამმარცვლიან სიტყვებზე აქცენტი მოდის პირველ მარცვალზე, ხოლო ისეთ სიტყვებში, სადაც მარცვლის რაოდენობა სამს აღემატება, მახვილი უმთავრესად დასაწყისი, პირველ მარცვალზე იქნება.¹⁾ ფოგტისა და ზელმერის დაკვირვების მიხედვით გამოდის, რომ ქართული ენა არ შეიცავს არც დინამიკურ და არც მუსიკალურ მახვილს, რადგან ქართულში მახვილი ძალზე სუსტად არის გამოხატული და იგი ამავე დროს მეტად ცვალებადია.

რაც შეეხება ძველ ქართულს, აკად. ა. ნიქობაძეს გამოკვლევის თანახმად, „1. ძველ ქართულში მახვილი შეიძლება იყოს როგორც უკანასკნელ მარცვალზე, ისე თავმარცვალზე, იქნება იგი მეორე მარცვლი ბოლოდან თუ მესამე. 2. მახვილი იყო ძლიერი დინამიკური. 3. მახვილი არ იყო ფიქსირებული, არამედ მოძრავი.“²⁾

მახვილი რომ მოძრავია, ამაზე თვით მარი მიუთითებს. მართალია, მისი შეხედულებით სამმარცვლიან სიტყვებზე მახვილი ბოლოდან მესამეზე მოდის, მაგრამ იმავე დროს მას დასაშვებად მიიჩნია, რომ ხმის ამაღლება იმავე სამმარცვლიან სიტყვაში ბოლოდან მეორე მარცვალზედაც მოხდეს.

საინტერესოა, რომ მარს თავის გრამატიკაში „ვეფხისტყაოსნიდან“ მოჰყავს ერთი ტაეპი ყველა შესაძლებელი მახვილით, საიდანაც სჩანს, რომ ერთსა და იმავე სიტყვას, ან სიტყვათა ჯგუფს მახვილი შეიძლება სხვადასხვა ადგილას ჰქონდეს. მაგალითად:

რნ ველარ მრხედეს

რნ ველარ მიხედეს

რა ველარ მრხედეს

მახვილის სისუსტე, მისი ადგილის ცვალებადობა, რაც ისტორიულადაც დასტურდება, როგორც ეს აკად. ა. ნიქობაძეს გამოკვლევიდან სჩანს, მახვი-

¹⁾ H. Vogt, *Esquisse d'une Grammaire du Georgien moderne*, Oslo, 1936, გვ. 6 და შემდ.

²⁾ აკად. ა. ნიქობაძე — „მახვილის საკითხისათვის ძველ ქართულში“ (წინასწარ მოხსენება). *სსრ მეცნ. აკად. „მოამბე“* III, № 3, გვ. 298.

ლისადმი სავსებით სამართლიან ეჭვს იწვევს. საქმე იქამდის მივყავართ, რომ ა. ჩიქობავას აზრით, მახვილი ქართულში სიტყვას არ მოუბუფებდა. წინადადებას აქვს. მართლაც, მახვილისადმი ასეთ სკეპტიკურ დამოკიდებულებას თავისი საფუძველი აქვს.

მახვილი ქართულში იმდენად მოძრავია, რომ სრულიად მოულოდნელ აღგალას დასუღმა მახვალმა შეიძლება მთელ სიტყვას განსაკუთრებული, თავისებური მნიშვნელობა და აზრი მისცეს. ცხადია აქედან, რომ მახვილის საკითხი ქართულში ფრიად სათუთ და იმავე დროს ძნელად შესამჩნევ მოვლენად უნდა ჩაითვალოს. მახვილის ადგილის ბონაცვლება იქამდე მიდის, რომ ცალკე უნდა ჩამოვაგდოთ საუბარი ისეთ შემთხვევათა შესახებ, როცა მახვილი მოდის სრულიად მოულოდნელ აღგილას — სიტყვის უკანასკნელ მარცვალზე.

მართლაც, ფრაზაში შეკითხვის გამოსახატავად ხმის ვუწვევთ სიტყვის ბოლო მარცვალზე, მაგრამ საქმე მარტო ხმის ამადლებით არა თავდება, საჭიროა იმავე დროს ბოლო მარცვლის გაგრძელება. ამ გაგრძელებას ხაზს ვუსვამთ იმის გამო, რომ ბოლო მარცვლის გამოყოფა ხმის ამადლების საშუალებით სხვა შემთხვევაშიც არას გამოსაყენებელი. მაგალითად, როცა ვეკითხება ვისმე, წაიკითხა თუ არა მან წიგნი. წინადადებაში „წიგნი წაიკითხე?“ სიტყვა „წაიკითხე“ ისე უნდა გამოითქვას, რომ ბოლო ხმოვანი გამოიყოს როგორც ხმის ამადლებით, ისე გაგრძელებითაც: წაიკითხე, ხოლო თუ განზრახული მაქვს ვაიძლო ვისმე, რომ მან წიგნი უეჭველად წაიკითხოს, თუ ეუბრძანებ მას, მაშინ უკანასკნელ მარცვალზე ხმის ამადლება გაძლიერდება, ტონიც შესამჩნევად აიწვევს მაღლა. შემოძლიან მახვილი დავსვა ორივე სიტყვის ბოლოს: „წიგნი წაიკითხე“.

სიტყვის უკანასკნელი მარცვლის გამოყოფა ხმის ამადლებით შენიშნულია არა მარტო ბრძანების ან მითითების შემთხვევაში. ბოლო მარცვალზე ხმის ამადლებით უნდა გამოიყოს წინადადების ისეთი სიტყვა, რომელსაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვაძლევთ. მაგალითად: „იმ კაცთან რამდენჯერმე ვიყავი, სახლშიაც მივიდრი, მაგრამ მაინც ვერ ვნახე“. ბოლო მარცვალზე ხმის ამადლებით შეიძლება გამოვყოთ სიტყვა იმ შემთხვევაშიც, როცა გესურს დაეუმტკაცოთ ვისმე მისი შემყდარი აზრის დაუსაბუთებლობა და ვიწყებთ თითოეული სიტყვის ტკეპნას, ბოლო მარცვლის ხმის ამადლებით გამოყოფას, ასე მაგ.: „მართალია თქვენ ასე ფიქრობთ, მაგრამ თუ ანგარიშს გავუწევთ ამ გარემოებასაც, მაშინ გამოვა, რომ თქვენ აშკარად სცდებით“. ამ ფრაზის შესახებ უნდა ითქვას, რომ მახვილი რამდენადმე თავისებური იქნება: იგი არ უნდა იყოს მაინცადამაინც ძლიერი, ბოლო მარცვლის ტონი შედარებით სხვა მარცვლებთან დაბალი და იმავე დროს გაგრძელებული. ეს შეეხება უფრო პირველ სიტყვებს, ხოლო შემდეგ მახვილი თანდათან უნდა გაძლიერდეს.

აღნიშნულის მიხედვით შეიძლება დავასკვნაო, რომ მახვილი ბოლო მარცვალზე მოდის სხვადასხვა შემთხვევაში:

1. ბოლო მარცვალზე ხმის ამადლება ხმოვანის გაგრძელებასთან ერთად შესაძლებელია კითხვის გადმოსაცემად.
2. როცა ფრაზაში ბრძანება ან მითითება გვაქვს და
3. როცა გესურს სიტყვას ხაზი გავუსვათ.

ამრიგად, საერთო წესის სახათ შეიძლება დავასკვნათ, რომ ცალკე სიტყვის გამოყოფა ფრაზაში ხდება ამ სიტყვის ბოლო მარცვლის ამოღებით. ამის დადასტურება შეიძლება რამდენიმე მეტად საყურადღებო ცნობილია, რომ რუსული ენის სწავლებას დროს ძალიან დიდ დაბრკოლებას წარმოადგენს ხმის ამოდლების საკითხი. ჩვენს სკოლებში ბავშვები ძალიან ხშირად ბოლო მარცვალზე ამოდლებენ ხმას. ამის გამო იქ, სადაც მახვილი რუსულში ბოლო მარცვალზეა, საქმე დაბრკოლებლად მიდის, ბოლო სადაც ასე არ არის, ყოველთვის შეცდომას აქვს ადგილი. მაგალითად:

Дети и школь собираются, петухок проиел лавно.

როგორც ზედატო, პირველ სამ სიტყვაზე ხმის ამოდება შეცდომით სულ ბოლო მარცვალზეა, ხოლო დანარჩენ სამ სიტყვაზე მახვილი სავესებით თავის ადგილზეა. ეს იმიტომ, რომ ბავშვებს მეტწილად ბოლო მარცვალზე გადააქვთ ხოლმე მახვილი. დაკვირვების შედეგად შემიმჩნევია, რომ ლათინურ ტექსტის წაკითხვის დროს სწორედ ანალოგიურ შემთხვევას აქვს ადგილი: ქართულ ჯგუფებში ხშირად მოასმენთ ასეთ წაკითხვას:

Magistér discipulúm laudát.

ეს შეცდომა იმავე მიზეზით უნდა აიხსნას. რაჟი ქართულ ენაში სიტყვის ხმავსაში ჩვეულებრივ ბოლო მარცვლის ამოდლებით ხდება, ბავშვი უცხო ტექსტის კითხვის დროს, რაჟი ამ ტექსტის შინაარსი ჯერ კიდევ არ არის მისთვის სავესებით ნათელი, უნდა-კა რაც შეიძლება კარგად წაკითხოს იგი, ყოველ სიტყვას ტკეპნის: სავესებით ვასაგებია, რომ იგი ხმას იმოდლებს ბოლო მარცვალზე, როგორც ამას სჩადის ხოლმე მაშინ, როცა სურს ხაზი გაუსვას ქართულ ენაზე წარმოთქმულ ამა თუ იმ სიტყვას.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს, რომ ძველ ქართულ ხელნაწერებში მახვილის ნიშნები გვხვდება სწორედ სიტყვის ბოლო მარცვალზე. მაგ. საქ. მუზეუმის მე-16 ს-ის ხელნაწერი № 69 შეიცავს რამდენიმე ასეთ მაგალითს „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრება“: გვ. 246r—სიმშვიდით და სიმდაბლრთ იყოფვოდეს, გვ. 246v—ამისსა შემდგომიდ კვალად არა ოდენ ასწრლ, არამედ უმეტესცა, გვ. 247r—რომელი იყო მოწაფე დიდისა შიოასი საკვირველ მოქმედისა, გვ. 248r—მყის წარავლინნეს ქვეყნად სამცხისა, 249r—მოკიდეს ადგილსა რასმე ძინსქდ წოდებულსა.

ფსალმუნი დაახლოებით მე-17 ს-სა (გორის მუზეუმის ხელნაწერი № 115): 105r—და შესწირტდ მისს მსხუერპლი ქების, გვ. 90v—ქებაა ვალობისა დავეითისა“. საქართველოს მუზეუმის ხელნაწერი № 74 მე-18 ს. „ქადაგებანი“: გვ. 46 „იყან“, გვ. 51—„დაფარულ არს იგრ ღმრთისაგან“, გვ. 54—წარვედრთ ჩემგან დაწყუულნრ ცეცხლსა მას გარესკენლსა. და ბოლოს „ანტონ კათალიკოსის, არისტოტელეს კატეგორიების განმარტებანი“ (გორის მუზეუმის ხელნ. № 128). ვადანუსხული 1786 წელს ვინმე ემმანუელის მიერ შეიცავს მახვილის ასეთსავე ნიშნებს: გვ. 6r—ქუც ოქმულებანრ ძუწლნრ“ გვ. 9r—„და წინამდებარე იგრ ვტლარა მიილონ ქვემდებარეობით“ გვ. 12 v. „გორდამოსცნა მიზეზნი არსთა ყოფად შესაძლებელთა რომელნი გვიბილავნა“.)

ბოლო მარცვალზე ხმის ამოდლების შესახებ ჩვენი შეხედულების დასაბამატურებლად საკმარისია გავიხსენოთ რომ მოთქმით ტირილის დროს მოტირალნი სწორედ ბოლო მარცვალს აგრძელებენ ხოლმე.

*) მახვილის ნიშნები დადასტურებულია ჩვენს მიერ უფრო ადრამდე ხელნაწერებში, მაგ. XI ს. ხელნაწერიში.

ამრიგად, მახვილი ქართულში არ არის მყარი კატეგორია, იგი შეიძლება იყოს ყოველ მარცვალზე. მაშინ, როდესაც სხვა ენებში, სადაც მახვილი მარცვალმა დაწვევით მნიშვნელობა აქვს, კითხვის, ბრძანების თუ სხვა შემთხვევაში ხმის ამაღლება განკუთვნილ ადგილიდან სხვაგან არ გადაინაცვლებს — იგი რჩება თავის ადგილზე და უფრო მეტად ძლიერდება, რადგან მახვილი იქ დასახულ მიზანს აღწევს არა გადაადგილებით, როგორც ქართულში, არამედ გაძლიერებით, უფრო მეტი ამაღლებით.

მახვილის საკითხის უფრო ნათელსაყოფად, ინტერესს მოკლებული არ უნდა იყოს მახვილის მდგომარეობა სიმღერაში. ქართულ ხალხურ სიმღერებში მახვილი ყველგან გვხვდება. ჩვენი კომპოზიტორები ზოგჯერ გრამატიკებში ჩაწერილ წესებს მისდევენ, მაგრამ ხშირია ისეთი შემთხვევებიც, როცა ამ წესებს არ ემორჩილებიან, რა თქმა უნდა, სავსებით სამართლიანად. ბუნებრივია და მოსალოდნელი, რომ სიმღერაში გაგრძელებული, ე. ი. ხარისხით მეტი უნდა იყოს ის მარცვალი, რომელზედაც მახვილი გვხვდება. მცირეოდენი მასალის გადათვალთვალებაც კი საკმაოდ აუცილებელია, რომ განსაცდელურად შევადგინოთ მისი მარცვალი სრულიად დაუბრკოლებლად შეიძლება გაგრძელდეს, ასე რომ ძლიერი ნოტი შეიძლება გვეჩვენოს რომელ მარცვალზედაც ვსურთ, როგორც პირველზე, ისე მეორეზე, უკანასკნელზე, მაგალითად:

„მალა მთის მონადირე, ხარ ბოლო გზებზე ხმლისაო
ყველასთვის საყვარელი ხარ, მრკეთისა და მტრისაო
ქარგი დღემამის შეიღო ხარ, დაწანებ ყველასა,
ტრი და თემი გიტრებს, ძაძას ჩააცვას კერასა“¹⁾.

ან კიდევ:

„ქვედრულა მრდიდებულ თან მრატეს მთ და ბარი.
ლაღაშვილს დაუქანდია, მე მრმდის ბეჭვი ქტრინ,
შენ ქვედრულა მრგივედეს, თუ არ გიცვალს ფტრინ“²⁾.

ეს დაკვირვება არაერთად ეტყვის არ უნდა სტოვებდეს, რომ ქართულში ხმის ამაღლება ყოველ მარცვალზე არის შესაძლებელი.

ბ) ქართული ლექსის ბუნებისთვის

მაგრამ საკითხავია, თუ ხმის ამაღლება ყველგან არის შესაძლებელი მაშინ რა წესს ემორჩილება წყობილი სიტყვაობა? როგორ უნდა გაიმართოს ქართული ლექსი?

ეს საკითხი მეტად თავისებურად არის გადაჭრილი, ისე რომ მახვილი ამ შემთხვევაში არ არის გადაწვევითი. ეს რომ ასეა, სჩანს შემდგომიდანაც. თუმცა მახვილი ქართულ დიალექტებში თავისებურად არის წარმოდგენილი, მაგრამ ეს ვარაუდობა ხელს არ უშლის, ლექსის გამართვისას ყოველ დია-

¹⁾ ი. კარგარეთელი — „მოკლე პოპულ. მუსიკალური ენციკლოპედია“, სახელგამი, 1933 წ. გვ. 81.

²⁾ ნ. შარაძე — „ქართული ეროვნულ სამხმომან სიმღერათა „კრებული“, 1918, გვ. 14.

ლექტში ერთი და იგივე წესი იქნას დაცული. ხევესურულში, მაგალითად, დინამიკური მახვილია. იგი უმთავრესად ბოლოდან მეორე მარცვლს მოედის. ასევეა რაჭულში, მახვილი ბოლოდან მეორე ადგილზე მოდის, მაგრამ იმ განსხვავებით, რომ რაჭულში ხმის ამოდება მარცვლის გავრძელებასაც მოასწავებს, ზემოაღნიშნული გარემოების მიუხედავად, ლექსი ყველგან ერთნაირია.

ქართული ლექსი ემყარება ხანგრძლივი ტრადიციით გამომუშავებულ წესს, ისეთ წესს, რომელიც ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს მახვილს. ასე რომ ლექსის თეორიას ის სისტემა, რომელიც სხვა ენებიდან გადმოღებული წესების გამოყენებას ცდილობს ქარაული ლექსის კვლევისას, იმთავითვე განწირულია. ასე დაემართა მაგ. ს. გორგაძეს. მან მოიწადინა ქართული ლექსის გაგება ევროპული მეტრიკის მიხედვით, და შედეგი ფრიად სავალალო აღმოჩნდა. ყოველ შემთხვევაში მის შრომას ის დადებითი შედეგი მანაც მოჰყვა, რომ მან დაგვანახვა, თუ რამდენად შემცდარია ის გზა, რომელსაც იგი დაადგა.

დაბეჯითებით უნდა ითქვას, რომ მისი მტკიცება დაქტილური საზომის ევროპულიდან და რუსულიდან გადმოღების შესახებ აშკარა გაუგებრობაზე უნდა აყოს აღმოცენებული მკაშინ, როდესაც სამმარცვლიანი ტერფი ქართული ლექსის ქვეკუთხედი, მისი ერთ-ერთი ძირითადი შემადგენელი ნაწილი. მაგრამ არა მარტო სამმარცვლიანი ტერფი, — ორი ტერფის, სამმარცვლიანი და ორმარცვლიანი ტერფების ყოველგვარი შესაძლებელი შეერთება-კომბინაცია ჰქმნის ქართულ ლექსს. ეს დებულება სრულიადაც არ არის ახალი. იგი ცნობილი ყოფილა თავისი დროის ისეთი დიდა მეცნიერისათვის, როგორც არის იოანე ბატონიშვილი, რომელსაც შეუდგენია პირველი ქართული ენციკლოპედია. სწორედ ასე განმარტავს იგი ლექსის ამ ძირითად კატეგორიას თავის „კალმასობაში“: „მტკილი სრს ორთა ანუ სამთა მარცვალთაგან შედგინება სიტყუათა თუ ლექსთა.“¹⁾

ყოველი ქართული სიტყვა, თუ იგი თვით არ შესდგება ორი ან სამ მარცვლისაგან, საყვებით თავისუფლად ნაწილდება ორ და სამ მარცვალზე, ისევე, როგორც ერთმარცვლიან სიტყვას უმტკივნელოდ შეუძლიან შეუერთდეს მის წინ მდებარე სამმარცვლიანს და ორი ორმარცვლიანი ტერფი მოგვეცეს. ანდა ოთხმარცვლიანი სიტყვა შეიძლება გაიყოს ორ ორმარცვლიან ტერფად. ან — თუ მას მოსდევს ერთმარცვლიანი, ეს უკანასკნელი მასთან ერთად სამ და ორმარცვლიან ტერფებს მოგვეცემს. თუ ჩაოდენ მნიშვნელოვანია ქართული ლექსის ბუნების ნათელსაყოფად ორმარცვლიან და სამმარცვლიან ტერფთა ცვალებადობის გათვალისწინება, ეს შეიძლება გამორკვეულ იქნას რუსთაველის ლექსის შესწავლის საფუძველზე.

ცნობილია, რომ რუსთაველის პოემა ორი თანაბარმარცვლოვანი ლექსით არის გამართული. მართალია, როგორც შაირის, ისე ვრძელი შაირის მარცვალთა ჩაოდენობა თექვსმეტს უდრის, მაგრამ ამავე დროს არ შეიძლება არ აღი-

¹⁾ იოანე ბატონიშვილი — „კალმასობა“, 1936. კ. კეკელიძისა და ალ. ბარამიძის რედაქციით, გვ. 273.

ნიშნოს, რომ ეს ორი ლექსი სხვადასხვაა როგორც მეტრის, ასე რიტმის/მიხედვით. საინტერესოა ვიკითხოთ, რა განსხვავებაა მათ შორის. ანუ: არა ამ ორი სახის შაირს თავისებური ნიშნები, მაგალითად, ხმის მშლტყვის მიხედვით განსაზღვრული? რაღა თქმა უნდა, რომ არა. არა იმიტომ რომ ორმარცვლიან სიტყვას არ შეიძლება ჰქონდეს მახვილი ბოლოდან მეორე მარცვლის გარეშე, თუ ეს სიტყვა არ შეიცავს კითხვას, ან შინაარსეულად თავისებურ ვითარებაში არ არის იგი გათვალისწინებული მთლიანი წინადადების თვალსაზრისით. ცვალებადობა მახვილასა არც სამმარცვლიან სიტყვების მიმართ არის მოსალოდნელი. ამიტომ გამოდის, რომ ხმის ამოღების კატეგორიას არ შეუძლიან განსაზღვროს რომელიმე მათგანის თავისებურება, ე. ი. ტონური ლექსისათვის დამახასიათებელი თავისებები ქართულ ლექსს არ გააჩნია.

ამრიგად, საცხებით სწორი უნდა იყოს კირიონისა და ვრ. ყიფშიძის მოსახრება ქართული ლექსის სილაბიურობის შესახებ. იმავე დროს მხედველობაში უნდა ბქნას მიღებული ორმარცვლიანი და სამმარცვლიანი ტერმების განლაგებაც.

აშკარაა, რომ განსხვავებას სწორედ ტერმები ჰქმნიან. შაირის ლექსში მარტოოდენ ორმარცვლიანი ტერმები გვხვდებიან, აქ არ შეიძლება სამმარცვლიანი ტერმი გქონდეს, თუმცა იმავე დროს გამორიცხული როდია სამმარცვლიანი სიტყვის შეხვედრა შაირის ლექსში. ასეთია მაგალითად:

447. საღამო ემ დაიზახნა ქედით მათთან დარაჯამან

(ვეფხისტყაოსანი¹⁾)

ამ სტროფში მხოლოდ ერთი სამმარცვლიანი სიტყვაა „საღამო“, რომელსაც უერთდება ერთმარცვლოვანი სიტყვა „ემ“ და გამოდის „საღამო ემ“, ასე რომ შაირის ლექსებში კენტ-მარცვლიანი სიტყვები იშვიათად გვხვდებიან. 453 სტროფში გვაქვს სამი შემთხვევა: „მის აღვილსა“, „ვერ იტყვიან“, „ვერ მიმხედარან“. სამაგიეროდ 454 სტროფში არც ერთი სამმარცვლიანი სიტყვა არა გვხვდება. ზოგჯერ საქმე იქამდის მიდის, რომ პოეტი სამმარცვლიან სიტყვას ზედმეტ მარცვალს უმატებს, რომ უხერხულობას თავი დააღწიოს, მაგ.:

456. „რამაზს ვარქვი: „შემიგნია საქმე შენი სამუხთალე“.

არის აგრეთვე ხუთმარცვლიან სიტყვაში მეექვსე მარცვლის ჩამატების შემთხვევა. ეს ექვსმარცვლიანი სიტყვა სამ ნაწილად გაიყოფა:

456. აწ ვგრეცა შეპყრობილმან თავი გამოიმართალე.

ამრიგად, შაირის ლექსის შემადგენლობა არავითარ ეჭვს არა სტოვებს, რომ იქ მთავარი და გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს სწორედ ორმარცვლიან ტერმებს, იმიტომ შემთხვევითი როდია, რომ შაირის ლექსში რითმა ორმარცვლიანია ან ოთხმარცვლიანი. ყოველივე ეს ადასტურებს, რომ ქართული ლექსის ბუნების გამორკვევისას ორმარცვლიან ტერმს შესაფერი ადგა-

¹⁾ ასევე 448 სტ. „გუჯრი რასაცა ვერ დამიდეგის, სისხლსა მჩქეფრსა აღმოვედრიდი“.

იქაც სამმარცვლიანი სიტყვა წინა ერთმარცვლიან სიტყვასთან ერთად გაერთიანებული ორ ტერმს მოგვეცმა: „ვერ და მიდგის“.

ლი ჟუნდა მიეკუთვნოს. ორმარცვლიანი ტერფის გვერდით სამმარცვლიან ტერფის ადგილი უნდა გავითვალისწინოთ ქართულ ლექსში.

ენობილია, რომ რუსთაველის პოემის მეტი ნაწილი სწორედ იმ ლექსით არის დაწერილი, სადაც სამმარცვლიანი ტერფი სჭარბობს. გრძელი შაირის ლექსი ოთხი სამმარცვლიანი და ორი ორმარცვლიანი ტერფისაგან შეესდგება. მაგ.:

რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლი ერითა

ამ სახეობის გრძელა შაირის ლექსში სამმარცვლიან ტერფს ლექსის ორივე ნახევარში პირველი და მესამე ადგილი უჭირავს. ე. ი. შეიძლება ითქვას, რომ სამმარცვლიანი ტერფი არის გრძელი შაირის საფუძველი. ეს სამმარცვლიანი ტერფი არა მარტო ამთავრებს ლექსის ორივე ნახევარს, არამედ გრძელი შაირის რითმაც სამმარცვლიანი ა.

სამმარცვლიან ტერფს მთავარი ადგილი უჭირავს შაირას ლექსში როგორც რაოდენობის, ისე რიტმიული მრავალფეროვანების თვალსაზრისით, სამმარცვლიანი ტერფი ორმარცვლიან ტერფთან ერთად ქართული ლექსის ძირითადი შემადგენელი ნაწილია. ასე რომ საკმარისია სამმარცვლიან ტერფს ჩვეულებრივ მისთვის განკუთვნილი ადგილი არ დაეთმოს და ლექსი შეიცელება, მაგ.:

ჩემმან ხელქმნელმან დამმართოს ლაღმან და ლამაზმა ნები

ასეთი სტრიქონი მთელს პოემაში ოცდაათჯერ იქნება. მართალია, გრძელი შაირის ლექსში მთავარი ადგილი უჭირავს სამმარცვლიან ტერფს. იმავე დროს, როგორც აღვნიშნეთ, ლექსის რითმა სამმარცვლიანია და იგი განსაზღვრავს თვით ლექსის ხასიათს, მაგრამ საქმე ის არის, რომ გრძელი შაირის ლექსში მოგვეპოვებინა ორმარცვლიანი ტერფებიც, რომლებსაც ექვს ტერფთა შორის პირველი, მეორე, მეოთხე ან მეხუთე ადგილი უჭირავთ. რაკი გრძელი შაირის ლექსში ოთხი სამმარცვლიანი ტერფია და ორი ორმარცვლიანი, ამ ორმარცვლიანი ტერფის ადგილის ცვლადობა როდია უმნიშვნელო თვით ლექსის რიტმის მრავალფეროვანების თვალსაზრისით. მაგალითად, თუ ლექსას ორა ნახევრის შუაშია მოთავსებული ეს ორმარცვლიანი ტერფი, მაშინ მივიღებთ თანაბარზომიერ რიტმის ლექსს.

მაგალითად:

რომელმან შექმნა სამყარო ძალითა მით ძლი ერითა

ზეგარდმო არსნი სულითა ყენა ზეცით მონა ბერითა.

ასევე თანაბარი ზომიერება ეტყობა იმ ლექსს, რომლის ორივე ნაწილის დასაწყისში ორმარცვლიანი ტერფებია მოქცეული.

მაგალითად:

იყო არაბეთს როსტევან მეფე ღვთისაგან სვიანი

თუმცა ამ ორი რიტმის ლექსს შორას არის განსხვავებაც. ცხადია, მეორე ლექსი პირველთან შედარებით უფრო დინჯი უნდა იყოს, რაც შეეხება

ორმარცვლიანი ტერვის არათანაბარ განაწილებას, გრძელი შაირის ლექსში. აქ ამ გარემოებას განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა მინიჭებულიყოს. მარცვლა, საკმარისია გადავხვათ ორმარცვლიანი ტერფები და დავხსნავთ მათ ლექსის რიტმი უფრო დამძიმდება:

პე, ღმერთო ერთო, შენ შექმენ სახე ყოვლისა ტანისა

მაგრამ ყველა ზემოაღნიშნულ მაგალითთან შედარებით უმძიმესა იქნება ის ლექსი გრძელი შაირისა, სადაც ორმარცვლიან ტერფებს პირველი და მეხუთე ადგილი უჭირავთ.

თამარს ვაქებდეთ შეფესა სისხლისა ცრემლ და თხეული

ეს ლექსი რიტმიულად მართლაც უმძიმესია, ამის მიზეზი ის უნდა იყოს, რომ სამმარცვლიანი ტერფები, ყველა ზემოაღნიშნულ მაგალითთან შედარებით, მიჯრით — ერთი მეორის მიყოლებით მისდევენ ერთმანეთს. თუ სხვა შემთხვევაში ორმარცვლიან ტერფთა შორის ორი სამმარცვლიანი ტერფია მოქცეული, აქ ორმარცვლიან ტერფთა შორის სამი სამმარცვლიანი ტერფია. აღნიშნული გარემოება დიდად მნიშვნელოვანია იმ მხრივაც, რომ რუსთაველის პოემაში ყველაზე მძიმე განცდის შემცველი სტრიქონებია გრძელი შაირის ლექსისა სწორედ ამ სახის რიტმითაა გამართული. მაგალითად, ნესტანის წერილას ყველაზე ძლიერი სტროფი მთლიანად სწორედ ამ სახის ლექსითაა დაწერილი:

რაცა ვიჩიულე ბედისა ჩემისა კმა სა. ჩივარად;

სტან სამართალი მართალი გულისა გულსა მივა რად.

შენთვის მოვეკვდები, გავხდები ყოვანთა დასა ყივარად,

ვიდრე ცოცხალვარ, გეყოფი სატირლად და სა ტივარად.

მაგრამ, მართო „ვეფხისტყაოსანში“ როდია ამ სახით გამოყენებულა გრძელი შაირის ლექსის უმძიმესი რიტმი. ასეთივეა რიტმიულად არსენ იყალთოელის მიერ შეთხზული დავით აღმაშენებლის ეპიტაფია.

ვის ნა ქარმაგვეს მეფენი თორმეტნი პურად დამესხნეს,

თურქნი, სპარსნი და არაბნი საზღვართა გარე გამესხნეს,

თევზნი ამერთა წყალთანი იმერთა წყალთა შთამესხნეს,

აწე ამათსა მოქმედსა გულზედა ზელნი დამესხნეს.

ყველა ზემოაღნიშნული მაგალითის მიხედვით ცხადი ხდება, თუ რა დიდი მნიშვნელობა ჰქონია ლექსის საკითხის შესწავლისას ორმარცვლიანი და სამმარცვლიანი ტერფების ადგილის შენაცვლებას.

შაირისა და გრძელი შაირის ლექსზე დაკვირვებამ საშუალება მოგვცა დაგვედასტურებინა, რომ ორ და სამმარცვლიან ტერფთა შენაცვლებით გამოწვეულია ლექსის რიტმის მნიშვნელოვანი ცვალებადობა.¹⁾ ამრიგად ორი

¹⁾ იხ. ჩემი „რუსთაველის ლექსის რიტმი“, რუსთაველის კრებული კ. კავთაძისა და პ. ინგოროვას რედ., გვ. 215 და შემდეგ.



და სამმარცვლიანი ტერფები ქართული ლექსის ძირითად ნაწილებად უნდა იქნას მიჩნეული.

შემოთხვევაში
შესაძლებელია

ამ გარემოების უფრო ნათელსაყოფად განვიხილოთ ყველა შემთხვევა თოთხმეტმარცვლიანი ლექსისა.

1. ვის უნახავს ძველის-ძველი ჯვარის მონა სტერი. (ვ. კუჩინაძე)
2. რა კარგი ხარ, რა კარგი, კობტა ცელქი მჩქეფარე (ი. გრიშაშვილი)
3. ვისვან და ვისთვის განი ხაროს-აჟ გულმან ჩემმან (ვ. თრებელიანი)

სამივე მოყვანილი მაგალითი გვიჩვენებს, რომ შათ შორის განსხვავება შეინიშნება სწორედ ორ და სამმარცვლიან ტერფთა მიხედვით. ტერფთა რაოდენობა შეიძლება იყოს ჩვეულებრივი ან ნაკლები, მაგრამ თოთხმეტი მარცვლი იშვიათად არის განლაგებული, რომ სხვადასხვა ლექსი გამოდის.

პირველი მაგალითი შესაძლებელია ორმარცვლიანი ტერფისაგან, ორ ორმარცვლიანი ტერფი ერთად ოთხმარცვლიანში ერთიანდება, რადგან ყოველი ორი ტერფს შემდეგ ცვლურია. ასე რომ სამ ოთხმარცვლიანის შემდეგ ჩვენს კენტად ერთი ორმარცვლიანი და ეს ერთი დარჩენილი ორმარცვლიანი ტერფი, რომელსაც მისი ერთეულები არ მოეპოვება, ხანგრძლივდება. ამ ლექსის რიტმი სწორედ ამ მიზეზით მეტად თავისებური ხდება. გამოდის, თითქოს უკანასკნელ ტერფს რაღაც მოაკლდა, რადგან წინა წყვილი ორმარცვლიანი ტერფის შექმნა, მხოლოდ ერთი ორმარცვლიანი დარჩა და აი ის სავსებით მოულოდნელად შერჩება მარტო.

ერთი სიტყვით, ამ სახის ლექსი სხვა არაფერია, თუ არა შაირის ლექსი, რომელსაც აქლია ერთი ორმარცვლიანი ტერფი, ხოლო მარტო დარჩენილი ორმარცვლიანი ტერფის ხარისხი მეტად იზრდება, ასე რომ შეიძლება ამ სახის თოთხმეტმარცვლიან ლექსს კატაღორთი ეწოდოს. შეკვეცილი შაირი ეწოდოთ.

დაახლოებით ასეთივე ხასიათისაა მეორე სახის ლექსი.

საერთო მათ შორის ის არის, რომ ამ შემთხვევაშიაც ადგილი აქვს ლექსის რიტმის მოულოდნელ შეცვლას. ამ შემთხვევაში ასეთი ვითარება გვეჩვენება.

რა კარგი ხარ, რა კარგი, კობტა, ცელქი, მჩქეფარე

ლექსი ორი ნახევრისაგან შესდგება, ყოველ ნახევარში არის ორ ორმარცვლიანი ტერფი და მესამე სამმარცვლიანი. ეს უკანასკნელი ტერფი უმთავრესად სამმარცვლიანი სიტყვის სახით არის წარმოდგენილი და მის ბოლო, უკანასკნელ მარცვალზე ხდება ხმის ამაღლება: რა კარგი, მჩქეფარე. მაგრამ მარტო მახვილი როდია იქ.—ეს ბოლო მარცვლი გაგრძელებითაც აღინიშნება, ისევე, როგორც წინა ლექსში იყო გაგრძელებული უკანასკნელი შეკვეცილი ტერფი.

ამრიგად, ორივე შემთხვევაში თექვსმეტმარცვლიანი შაირის ლექსი შეადგენს ორივე განხილული ლექსის საფუძველს. ეს რომ ასეა, იქიდანაც სჩანს, რომ საკმარისია დაეუმატოთ ყოველ ლექსს დაკლებული ორი მარცვლი და

ჩვეულებრივი შაირის ლექსს მივიღებთ. რაც შეეხება შესამე ლექსს, იქ სულ სხვა ვითარებაა.

საქართველოს
საზოგადოებრივი
საბჭოთაო კავშირი

ვისგან და ვისთვის განი ზაროს აწ გულმან ჩემმან

ეს ლექსი სამი ნაწილისაგან შესდგება: თავში ორი და სამმარცვლიანი ტერფებია. ასეთივეა ბოლო, შესამე ნაწილი. ხოლო შუაში მოქცეულია ორი ორმარცვლიანი ტერფი. ეს წესი ყოველთვის სრულდება. თოთხმეტმარცვლიანი ლექსის ეს სახეობა, როგორც ხედავთ, ტერფთა რაოდენობით და ტერფებში მოთავსებულ მარცვალთა რაოდენობით მეორე სახის ლექსის თანაბარია. მიუხედავად ამისა, ეს ორი ლექსი განსხვავდება ერთმანეთისაგან. საქმე ის არის, რომ 223/223 ლექსა თანაბარ ნაწილად იყოფა შუაზე და იგი ორი ნახევრისაგან შექმნილა ლექსის შთაბეჭდილებას ახდენს. მაშინ, როდესაც შესამე სახის თოთხმეტმარცვლიანი ლექსი შუაზე გაყოფილია ორი ორმარცვლიანი ტერფით და მას აქვთ და იქათ მხარეს ორი და სამი მარცვლისაგან შემდგარი ტერფები ახლავს. როგორც უკვე ვთქვით, ამ სახის ლექსი სამად ნაწილდება. პირველი ორი სახის თოთხმეტმარცვლიანი ლექსის რიტმი მით არის განსაკუთრებით საინტერესო, რომ ორივე კატალოტიკურია, შეკვეცილია.

ამ ლექსებში უკანასკნელი თათო მარცვლის ან ორი მარცვლის ჩამოკლებით იქმნება მათთვის დამახასიათებელი მუსიკალობა. საქმე ის არის, რომ სწორედ ას ტერფებია წინ წამოწეული, რომლებსაც მარცვლები დაკლებული აქვთ. 223/223 სახის ლექსის კითხვისას ვეჩვევით იმ აზრს, რომ იგი ორმარცვლიან ტერფებისაგან შესდგება, მაგრამ უცებ სამმარცვლიანი სიტყვა შეიჭრება და განსაკვიფრებელი ამბავი დაემართა მას. ეს სამმარცვლიანი ტერფი გაიყო შუაზე. ერთ მხარეს დარჩა ორმარცვლიანი, ხოლო მეორე მხარეს ერთადერთი მარცვალი და, თითქოს მას კიდევ მარცვალი უნდა მოჰყვებოდა, ხმის ამოდებას მიიღებს. ასე რომ ხმის ამოდებას ფაქტიურად მიიღებს სამმარცვლიანი სიტყვის როგორც პირველი, ისე უკანასკნელი მარცვალი. ასეთი ამბავი დაემართება აგრეთვე ლექსის მეორე ნახევარს. ამით თათოეული ნახევარი ლექსის მეტის სიმკვეთრით გამოიყოფა და ლექსიც მთლიანად ორი ნახევრისაგან შემდგარად წარმოგვიდგება. აღნიშნული გარემოების გამო, თოთხმეტმარცვლიანი ლექსის ეს სახეობა განხილული სამი სახეობიდან ყველაზე უფრო მსუბუქია.

რაც შეეხება თოთხმეტმარცვლოვანი ლექსის იმ სახეობას, რომელიც ორმარცვლიან ტერფებისაგან შესდგება, შეკვეცას ადგილი აქვს არა ლექსის პირველ ნახევარში, არამედ სულ ბოლოს 22/22/2. აღნიშნული მიზეზით თქმვა ლექსის ეს სახეობა ორ-ორმარცვლიან ტერფისაგან შესდგება, მაგრამ რაკი შუაზე ისე მკვეთრად არ იყოფა, როგორც პირველი სახის ლექსი და ამასთან რაკი ბოლო ნაწილი ორმარცვლიანი ტერფის ამარად რჩება, ის ორმარცვლიანი ტერფი მეტად მძიმდება, იგი მიიღებს იმ ხარისხისაყენ, რომელიც ოთხმარცვლიანს მოეუბება და რაკი ერთ ორმარცვლიანზე რჩება ის წარმოსათქმელი ენერგია, რომელიც ოთხმარცვლიანს სჭირავს, ამიტომ იგი, ლექსის დანარჩენ ორმარცვლიან კომპონენტთან შედარებით, საგრძნობლად მძიმეა. შესამე სახის ლექსი ხომ ყველაზე მძიმეა რიტ-

მულად, თუმცა ქასში მარტოდ-მარტო ორი სამმარცვლიანი ტერფი ურევი-
მაგრამ საქმე ის არის, რომ იგა შუაზე ასე შესამჩნევად არ იყოფა და ხუ-
ლომდე მოსასმენად უფრო მეტ ენერგიას მოითხოვს მსმენელისაგან, ვიდრე
პირველი ორი სახის ლექსი.

მოყვანილი მაგალითები საკმაოდ მიგვაჩინია იმის ცხადსაყოფად, თუ რა
დიდი მნიშვნელობა აქვს ორ და სამმარცვლოვან ტერფთა ადგილია შენაც-
ლებას ქართულ ლექსში.

ჩვენ მიერ შემუშავებული თვალსაზრისით საინტერესოა განვიხილოთ და-
მატებით ქართული იამბიკოს საკითხი.

გ) იამბიკო

იამბიკოს წარმოშობის გათვალისწინებისათვის უნდა გავიხსენოთ თვით
ბერძნულ იამბიკურ საზომთა შორის ყველაზე უფრო გავრცელებული იამბი-
კური ტრიმეტრის თავისებურება, რადგან სწორედ იგი უნდა ედევან საფუძვ-
ლად ქართულ იამბიკოს, ორი მოსაზრებით მივმართავთ იამბიკურ ტრი-
მეტრს: პირველი — ქართული იამბიკო, როგორც სახელწოდებიდან სჩანს,
იამბიკური მეტრის ერთ-ერთ სახეობაზე უნდა იყოს აგებული. მეორე —
მარცვალთა რაოდენობა ქართულ იამბიკოში ბერძნული ტრიმეტრის
მსგავსად თორმეტია. ჩვენ კი ვიცით, რომ ბიზანტიური ხანის ბერძ-
ნული ლექსი სწორედ მარცვალთა რაოდენობას მისდევს.

იამბიკური ტრიმეტრის ჩვეულებრივი სქემა ასეთია:

ასე რომ იამბიკური ტრიმეტრა სამი წყვილი იამბისაგან შესდგება, ხოლო
რადგან ქართულად იამბი არ გამოდის, ამ ლექსის გადმოღებისას ასეთი
ხერხიაათვას მიუზარათავთ:

რაკი იამბიკურ ტრიმეტრში ცეზურა უმთავრესად მეხუთე მარცვლის
შემდეგ მოდის, გამოსაქალ წერტილად ის გარემოება აღინა, რომ ცეზუ-
რამდე ხუთა მარცვალი რჩება, ხოლო ცეზურის შემდეგ შვიდი მარცვალი:

ქართული ლექსის გამართვა მხოლოდ ორმარცვლიანი და სამმარცვლიანი
ტერფის საშუალებით ხერხდება. ამნაირად, პირველი ნახევარი იამბიკურა
ტრიმეტრისა გამოუციბათ, ორ და სამმარცვლიანი ტერფით, ხოლო მეორე
ნახევარ — ერთი სამიანი და ორი ორმარცვლიანი ტერფით.

აე რომ იამბიკურმა ტრიმეტრმა ქართულში ამგვარი სახე მიიღოს:

მხოლოდ შობილო ქრისტე ღმერთისა სიტყუაო

(მიქელ ჰადრეკილი, პ. ინგოროყვა — „ძველი ქართული საეკლესიო
პოეზია“ გვ. ტოა).

როგორც ხედავთ, ქართული იამბიკო ბერძნული იამბიკურა ტრიმეტრის
მიხედვით ყოფილა გამართული. მაგრამ მათ შორის მანაც დიდი განსხვავე-

ნაა. იამბი საესებით ბუნებრივია ბერძნულსათვის. იგი, როგორც ჩვენს ტელე ამბობს, არის *მძევს λανθάνων*, მაშინ, როცა იამბიუტრის ტრინეტას თარგზე გამოყვანილი ქართული იამბიკო მეტად მძიმე ლექსი გამოდის.

ამის მიზეზი ის არის, რომ ქართულს იამბი არ მოეპოვნა, ხოლო იქ და სამხარცელიან ტერფთა არათანაბარი განაწილება იამბიკოს თვითულ ნაბევარში ჰქმნის თავისებურ, ქართული ლექსის ბუნებისათვის შეუფერებელ მდგომარეობას. ორი ნაწილი ლექსისა სრულიად განსხვავდება ერთმეორისაგან. ერთ ნაბევარში ორი ტერფია, მეორეში სამი. ქართული ლექსი ჩვეულებრივ თანაბარ ნაწილებსაგან შეესდგება. ყოველ ნაწილში გარკვეული სიმეტრიით არიან განაწილებული ორი და სამხარცელიანი ტერფები.

ქართული ლექსის ეს კანონზომიერება დარღვეულია იამბიკოში. ამ მიზეზით აიხსნება, რომ იამბიკო ბოლომდე არ შერჩა ქართულს, როგორც ბენლოენური და მძიმე რიტმის ლექსი, რომელიც გამართული ყოფილა ბერძნული იამბიკური ტრიმეტრის მიხედვით.

გარდა იამბიკური ტრიმეტრისა, იამბიკოს შეიძლება სხვა საზომიც ედვას საფუძვლად. პირველაფე პერიოდში იამბიკო ქართული ორიგინალურა ლექსის მიხედვითაც გაუმართავთ. ეტყობა, იმთავითვე უგრძნობათ ამ უცხო ლექსის ქარგაზე გამართული იამბიკოს სიმძიმე. ორიგინალური ქართული მეტრით დაწერილ იამბიკოს ფრიად შესანიშნავი მაგალითია ცნობილი ქართველი მწერლის იოანე-ზოსიმეს აკროსტიხი გეორგი. ავა გაართულია ძირითადად რეამარცელიანა გართმული ლექსით. ეს იამბიკო ქართული ლექსის მეტად საინტერესო ნიმუშს წარმოადგენს. მას მოუპოვება, რითაც, თუმცა შეღარებით სადა. მიუხედავად ამისა, თვით ლექსი იმ დროისათვის მაღალბარისხოვან მხატვრულ ფაქტად უნდა ჩაითვალოს. ესანიშნავია, რომ მას მეტად მკაცრად აფასებს ავად. ე. კეკელიძე. თავის „ლიტერატურის ისტორიის“ პირველ ტომში (1941 წ., სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემა) იგი ამბობს: „პირველ პერიოდშიდან გვაქვს ორი პატარა ლექსი მათე საუკუნისა. ერთი ეკუთვნის იოანე-ზოსიმეს და დაწერილია ულაზათო აკროსტიხულა იამბიკოთი, ვილაც გეორგიან სახელზე“ (გვ. 555), ხოლო იქ, სადაც თვით ეს აკროსტიხია მოყვანილი, დასაბუთებული შრომის 150-ე გვერდზე ვკითხულობთ: „იამბიკო ფორმის მხრავ, როგორც ვხედავთ საკმაოდ ულაზათოა, არავითარ საზომში, უბრალო მარცვალთა რაოდენობაც კი ბოლომდე დაცული არაა მასში“.

ასეთი მსჯელობა დაყარებული უნდა იყოს იმაზე, რომ ავტორს თითოეული სტროფი სტრაქონის სახით აქვს წარმოდგენილი. ასეთი სტროფი ექვსია აკროსტიხის ასოთა რაოდენობის შესაბამისად. ყველა ეს სტროფი დალაგებულია ექვსი სტრაქონის სახით. პირველი სტროფი, მაგალითად, ამრიგად არის წარმოდგენილი იმავე 150-ე გვერდზე.

„გუნდნი იგი ზეცისანი შენ, წმიდასა, განწყობითა გივალაშენ: მე უღირსი შეგივრდება, რათა ვიყო შეათანავე შენგან უძაგ“.

ნამდვილად-კი აკროსტიხი იმთავითვე ასე უნდა ყოფილიყო დალაგებული:

ბუნლი იგი ზეცისანი
 შენ, წმადისა, განწყობითნი
 გიგალობენ:
 მე უღირსა შეგვივრდები,
 რათა ვეყო მათთანავე
 შენგან უძამ,

მსე შესხმა სულიერი,
 შენ მაერგე მოცემული,
 კაცთა მიერ მოღუაწეთა
 ფრიად სიბრძნით გამოთქმით[ა]
 შეიწირე ჩემ მიერცა
 კაცთ-მოყვარე.

მართა მიერ ბრწყინვალეთა
 ღმრთისა კაცთა, სასურველთა
 სიღრმითა მით გულსადათა
 სათნოდ ღმრთისა შეკრებულა,
 ვითარცა-რა მარგალიტი
 ურიცხვსა სასყიდლისა,
 ჩვენ მოგუეცა მორწმუნენო,

რათა ჩუენცა ვიხარებდეთ
 შეუნიერად დატკობილნი,
 ემათა მათთა სიმრავლითა
 გალობითა ბრწყინვალითა,
 შესხმითა მით წმიდათადათა,
 რომლითაცა იდიდები
 შენ სახაერ!

ზანგვმრავლე ქველის მოქმედ
 განძა ესე სულიერი,
 მოცემული შენ მიერი,
 ძალსა მისსა მყვენ მიმწლ[ო]მელ,
 რათა არა აყოს ჩვენდა
 აღმ.

იხარებდით მოძღვრებითა
 სულიერად შესხმისადათ;
 * კრებულა მსწავლულთათ,
 ფურთიდეთ რა სიტკუათა მათ
 გალობითა ვმენ[ი]თა,
 რომელთაგან იდიდების
 კაცთმოყვარე ღმერთი ჩუენი.

მკითხველისათვის ცხადი უნდა იყოს, რომ ეს იამბიკო მართლაც მეტად მწიფუნელოვანი ნაწარმოებია. როგორც ზედავთ, მის საზომს ბევრი რამ აქვს საერთო ხალხურთან. ყოველი სტრიქონი შაარის ნახევარს წარმოადგენს. რეამარცვლიანი სტრიქონის გარდა, გვხვდება ოთხმარცვლიანიც და ერთხელ ორმარცვლიანიც. საზომის ცვალებადობა გამოწვეულია მხატვრული მიზ-

ნათ. იქ ლექსი თათქოს ტყდება და ზმით სტროფის დასასრული არის აღნიშნული. საგულისხმოა, რომ ასეთ გარდატეხას სტროფის ბოლოში ლექსი აღვილი. ავტორის მიზანია, სტროფს წერტილი დაუსვას: ასეთი ცვალებადობა რიტმისა არის მარველი სტროფის შუაში და ბოლოში, მეორე, მეოთხე და მეხუთე სტროფის ბოლოებშიაც.

ეს იამბიკო გვიჩვენებს, თუ რაოდენ ძლიერი ყოფილა იმ თავითვე ქართული ორიგინალური ლექსი. მას მეთუ, საუკუნისათვის სავსებით ჩამოყალიბებული სახე ჰქონია და აუ საარწმუნოებრივი მიზნით თარგმნის ზუსტად გადმოცემისას საჭირო ყოფილა უცხო საზომისათვის ქართული ლექსის შეფარდება, ეს მომხდარა არა ქართული ლექსის განვითარების პირველ საფეხურზე, არამედ მაშინ, როცა ის საკმაოდ მტკიცედ მდგარა თავის საკუთარ მკვიდრ საფუძველზე და უცხო გავლენისათვის თავისი ორიგინალური შემოქმედება დაუპირისპირებია. ამის საუკეთესო დამამტკიცებელი საბუთი არის ქართული რეპარცელიანი გარითმული ლექსა, რომელიც ზემოთ მოგვყავს და რომლის ავტორიც ის იოანე-ზოსიმეა, რომელმაც დასწერა შესანიშნავი ტრაქტატი „ქებაჲ ქართულისა ენისაჲ“.

ამრიგად, შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართული ლექსი სილაბური უნდა იყოს, როგორც თავის დროზე აღნიშნეს კიდევ/კირიონმა და ყიფშიძემ თავის წყობილსიტყვაობის სახელმძღვანელოში. ამას უნდა დაემატოს აგრეთვე იოანე ბატონაშვილის მითითება ორმარცვლიან და სამმარცვლიან ტერფთა შესახებ და ამრიგად მივიღებთ იმ საფუძვლებს, რომლებს ნიადაგზედაც შესაძლებელი იქნება ქართული ლექსის კვლევა.

შალვა დადიანი

კოჭე მესხი

(გარდაცვალებიდან ოცდაათი წლის შესრულების გამო)

დიდი მოამაგე ქართული სცენისა, საუცხოო არტისტი, კოჭე მესხი ეკუთვნას იმ ღირსეულ ოჯახს, რომელმაც წარმოშვა განსვენებულ კოჭეს სხვა შესანიშნავი დები და ძმები და მათ შორის ისეთი საზოგადო მოღვაწენი, როგორც იყვნენ ვაზ. „დროების“ თავდადებული რედაქტორი და პუბლიცისტი სერგი მესხი, მწერალი-პუბლიცისტი დავითი, საზოგადოებრივი მუშავი ივანე და მაღალხარისხოვანი არტისტი-ქალი ეფემია.

კოჭე მესხი ევროპულად განვითარებული მსახიობი იყო. მან კარგა ხანა დაპყრო პარიზში, იქ გაეცნო საფრანგეთის მოწინავე თეატრებს, უსმინა და შეისწავლა სტილი და მანერები ისეთი არტისტებისა, როგორებიც იყვნენ ძმები კოკლეზები, მუნე სიული და ბევრი რამ სასარგებლო შეითვისა მათგან. ასე განსწავლული ჩამობრუნდა საქართველოში და მაშინვე დაიპირა ესრეთ წოდებული „ენეპრემიერის“ ადგილი ქართულ სცენაზე. ასე რომ, სანამ ლადო მესხიწვილის უებრო ნიჭი გაიდურჩქნებოდა, კოჭე იყო კლასიკურ და დრამატიულ ოპერეტურის წამყვანი და პედაგოგი. მას თავის დროზე შესრულებული აქვს „ჰამლეტი“, „ოტელო“, „ურჩილ აკოსტა“, „სირანო დე ბერკერაკ“ და სხვა ასეთი დრამატიულად გამაფრებელი როლები და ჩინებულადაც ასრულებდა ყველა ამით დიდის დაკვირვებით, ღრმა მოსაზრებით და კარგის მიგნებით.

თქვენ ხედავდით, რომ თქვენ წინ ამ როლებში მეტად კარგად მომზადებული მსახიობი დგას. ყოველივე კარგად გაუთვალისწინებია და შეუქმნავებია. ამას გამო მას ჰქონდა ამ როლებში იშვიათი ადვილები, სადაც დიდ არტისტულ სიმადლეს აღწევდა. მაგალითად ჩემთვის დაუეფყარია მისი „ოტელო“ და უნდა ითქვას, რომ იმ დროს ეს სათეგარი მესხიწვილმაც შეასრულა და გუნიაამაც, მაგრამ ამ როლში პირველობა მანაც კოჭეს დარჩა და თუ შემდეგში „ოტელო“ დაიდგმებოდა, უფრო ხშირად კოჭეს მონაწილეობათ. ამას ახანა აღარ სჭირდება.

მშვენიერი სახის პატრონი (ყო, ლამაზი, დიდრონი და გამომეტყველი, ნამდვილი მესტერი თეატრებიც) ჰქონდა, მაგრამ ტანით იყო პატარა, „ტან-მორჩილი“ რომ იტყვიან, ცოტა მოსქო, ჩამკვრივებული აღნაგობის და ეს ცოტათი არ უწყობდა ხელს დრამატიულ, განსაკუთრებით „ენეპრემიერის“ როლებსათვის, მაგრამ, როგორც ვთქვებ, ისე ღრმა ჩაწვდომით ჰქონდა ყველა სახე მას ჩამომერწილი, რომ სცენაზე ეს მისი ნაკლი იჩრდილებოდა.

მაინცდამაინც მისი სტიქიონი კომიკური როლები იყო და ისიც შალვალი დონის, კლასიკური როლები მოლიერავს პიესებშიდან, *შეგნისა და შინაპირი* სხვა.

„პირველი ცოლის მორჯულება“ პირველად კოტემ დადგა და გაიმარჯვა „კიდევ. მისა და ფეხშია კაჭარინას როლს ასრულებდა, თვითონ კი პეტრუჩჩოს და მათ მიერ განხორციელებული ეს ორი უცნაური ადამიანები გამოჰყავდა: დადის შნოთი და ლაზათიო.

დაუფიქსარია კოტეს მიერ განსაზღვრებულ ნაპოლეონ „მადამ სანჟენ“-ში და ნერონი „ვიდრე ხვალ უფალო“-ში. ეს როლები მართლა შედეგები იყო მის მსახიობურ შემოქმედებაში.

მისი ნერონი იყო მსუნაგი, ვარ-ეშმიკა, დაუნდობელი, თან მშვიდარა და ყოყლოშინა. ისე, როგორც ამას აკვირებენ ისტორიკოსები და როგორც დავეისახა თავით აეტორმა განთქმულ რომანისა პენრიხ სენკევიშია, რომლითგააც არის პიესა გადმოკეთებული.

ნაპოლეონში კი ეს იყო მოზიდული მშვილდი, რომელიც საცაა ისარს გაატყორცნის. სწარტი მოსაზრება, მოკლე ფრაზები, სწრაფი მიხვრამოხვრა, დაუდგრომლობა, თითქო ამ კაცს ეჩქარება თავისი მისიონ შესრულება და ამიტომ დროს მეტად მომჭირნედ ხმარობსო. დაბლობით ან რა სახეს იძლეოდა ეს საუცხოო არტისტი ნაპოლეონში.

ეხლა ქართულ პიესებში: თუ გიორგი ერასთავმა პირველად ჩამოაყალიბა იმერელ ლაქისი როლი თავის ნაწარმოებებში, კოტე შესხმა პირველმა შექმნა დაუფიქსარი ნიღაბი ამ ტიპისა. მან იგი აიყვანა კომედია დელარტეს არღვიანისა სიმალღეზე და შემდეგში კარგა ხანს, ვ-საც ესეთი როლები შეუსრულებია, მუდამ კოტე შესხის გზით მიდიოდა, ისე მაგარი იყო მოზან ჩამოსხმული ყალაბი.

და აი აქაც ქართულ პიესებში მან საუცხოოდ განგვისახიერა ინტრიგან პაატა წულუკიძის სათეგარი ვასილ ყიფიანის, „ლევან, სამეგრელოს მთავარში“ და იმერელი აზნაური ჩეხოვის „ალუბლოს ბაღი“-დან გადმოკეთებულ „სალხინო“-ში.

მომსწრეთათვის დაუფიქსარი, მაღალხარისხოვნად შესრულებული გალერეაა სულ სხვადასხვაგვარ სახეებისა კოტე შესხის მიერ შექმნილი.

ის უსათუოდ არის ერთი ბუმბერაზთაგანი იმ დროის არტისტებს შორის. მაგრამ ის არ კმაყოფილდებოდა მარტო არტისტობით, მას კარგა დიდი წვლილი აქვს შემოტანილი ჩვენს დრამატურგიაში. თუ კვლავ გიორგი ერასთავს არ ვიანგარიშებთ თავის „ყვიარყვიარე ათაბაგით“, მაშინ პირველმა კოტე შესხმა დაგვიწერა ქართული ისტორიული პიესა „თამარ ბატონიშვილი“ რჩეულოვის რომანიდან გადმოკეთებული და დავით ერისთავის „სამშობლო“-ში და გენიას „და-ძმა“-ში, ეს იყო აუდიტორიას საყვარელი პიესა. მის კალამსავე ეკუთვნის პიესა „რუსთაველი“, რომელმაც თავის დროზე დიდი გამოხმაურება ჰპოვა მაშინდელს პრესაში და პრამც თუ მარტო რეცენზიები დაიბეჭდა, არამედ ცალკე დიდი, ხელმოდებული წერილებიც ეძღვნა პიესას მაშინდელ პუბლიცისტებისაგან.

საერთოდ კალამიც ძალიან ერჩოდა. მშვენიერი ფელეტონისტაც იყო და იქაც იგრძნობდით ფრანგული სკოლის გავლენას. ღღისიც პირდაპირ სანიშნუშოა ერთი მისი ფელეტონი „სიცრუის სეზონი“, ისე სწარტად არის დაწერილი, რომ არც გინდოდეთ, მაინც თავის თავს წაგაკითხებთ.



ცნობრებიშიაც მეტად მახვილი ენის პატრონა იყო და როცა ვარდა ცე-
ლა, მისი მეგობრები ეწუხდით, რომ მის სიცოცხლეში არ ჩავიწყვეთ კარგ
ერთი მისი ნამახვილევი. კარგი კი იყო, რადგანაც მასი მოსწონებდა მსგავს
ბი ზედგამოჭრილი იყო აღებულ საგნისათვის, დაქერილი იყო შთავარა ხა-
სიათი და ნიშანდობლივი ებოჭისათვის. მათ ღვსაც ექნებოდათ ისტორიულ-
ლი მნიშვნელობა. ეს უბრალო, ლაზღანდარული მახვილობა კი არ იყო,
არამედ დიდად მომზადებულ საზოგადო მოღვაწის ლაბიარული შევადგ
შენიშვნა რაიმე საზოგადოებრივ მნიშვნელობის პოვლენაზე.

ესე კი ცნობილია მისი გამოსვლები სხვადასხვა საზოგადო კრებებზე,
ზეიმებზე და იუბილეებზე. მუდამ შინაარსობრივად ღრმად, ახარტი პემო-
რით შეზავებული. ასეთი იყო მასი სიტყვა სემბაააშვილ-იფეცინზე პოსკოვ-
ში, სადაც სხვათა შორის, ასეთი სიტყვის თამამით მიმართა თურმე: „შე-
ნის „ღალატით“ გამოისყიდვ შენი ღალატი სამშობლოს წინაშე“ და ერმო-
ლოვის ქალს, რომელიც ზეინაბის როლს ასრულებდა, უთხრა, რომ „ღღეს
თქვენ რუსის ქალმა ქართული ცრემლები დაღვარეთო“.

ასეთავე მოხდენილი იყო მისი სიტყვა ლადო მესხიშვილის იუბილეზე.
მთელი სიტყვა შესდგებოდა იმ პიესების სახელებიდან, რომლებშიც კი ლა-
დოს მონაწილეობა მიუღია, მაგრამ იაგეთის ოსტატობით, რომ ლადოს
არტიისტული ბათვრადია გამოდითდა.

დაუფიქყარ კოტეს, ვარდა იმისა, რომ ის იყო საერთოდ ერთა მშვენება-
თაგანი ქართული სცენისა, დიდი ამაგი მიუძღვის ქუთაისში ქართული მულ-
შივი დასის შექმნაში. იგი პირდაპირ ფუძემდებელია იმ საქმისა. მან მთე-
ლი, ჩეგულარული სეზონები მოაწყო ქუთაისში და ვაამინა მუდმივი კადრი
მსახიობებისა. ასე რომ მისი თბილისში გადმოსვლის შემდეგაც უკვე ქუ-
თაისში მისგან დაწყებული საქმე არ შეწყვეტილა და, როგორც ვხედავთ,
ფლევანდელ ზმლავრ კოლექტივამდე მოვიდა.

მეც პირადად სწორედ ამ დროს გაეყვანი მას, როდესაც იგი ხელმძღვა-
ნელი იყო ქუთაისის დასისა. მაშინ 18-19 წლის კაბუჯს გადმოკეთებული
მქონდა ალფონს დოდეს ერთმოქმედებიანი პიესა: „ზამზახი“ და მიუტანე
მას დასადგმელად. მან გადაიკითხა და შემდეგ შემომთავაზა, რომ ამ პიესა-
ში ახალგაზრდა ვეებს ჩთავი ღე თვითონ შემესრულებინა. კარგა წარმოიდ-
გენს რა სიხარულს და თან რა შეკრთომას ვიგრძნობდა ამ წინადადების
გამო. მით უფრო, რომ მე უკვე მონატრული ვიყავ სცენაზე შესვლისა და
აი, კოტე გახდა ჩემი სასცენო ნათლია. მან გამაბედვინა ეს დიდი ნაბიჯი
გადავდგა, მან შემოაწყო ხელი, რომ ამ სარბიელზე ჩემი უნარის მაქსიმუმი
გამომეფლანა, მაგრამ შთავარი ის არის, რომ კოტეს ჰყავს სხვებიც, ჩვენი
სტენასათვის დიდად სასარგებლო მსახიობები გამოყვანილი და გაზრდილი
და მათ შორის ჩვენი სცენის სიქადული და მშვენება, ამჟამად რესპუბლი-
კის სახალხო არტისტი და ორდენოსანი ნინო ჩხეიძე, რომელიც 50 წლის
წინათ გამოვიდა ქუთაისის სცენაზე კოტე მესხის ხელმძღვანელობით.

დიდია, დიდო ღვაწლი კოტე მესხისა ქართული თეატრის წინაშე და ა.,
მადლიერი მისი მშობელა ხალხი დღესაც გულაბილად იგონებს მას, ვინაი-
დან ხალხს ახსოვს რუსთაველის ბრძნული სიტყვები:

„არ დავიწყება მოყვრისა, აროდეს გვიზანს ზინანს!“



დენის შენელება — „მერხული“

სახილბაში, 1944 წ. გვ. 36, ფ. 2 მ.

დენის შენელების მიერ სამშალო ომის თემაზე დაწერილ ნაწარმოებთა შორის ყველაზე მნიშვნელოვანსა და საინტერესოს წარმოადგენს „მერხული“ — პატარა მოთხრობა, რომელიც წერის მიხედვით, ლირიკულ განცდათა სტაბილური, მხატვრულ ფერებს სიუჟეტით უფრო პროზით დაწერილ ლექსს მოგვაგონებს.

დენის შენელება თანამედროვე ქართული პროზის მოწინავე ოსტატთა რიცხვს ეკუთვნის. მას აქვს თავისებური, ინდივიდუალური მანერა წერისა, მძაფრ თვალი და განსხვავებული ლინარი მოვლენების განცდასა, რაც განაპირობებს მისი სტილის თავისებურობასაც. დენის შენელება უფრო ლირიკოსია, ვიდრე ეპიკოსი, გულდასადატი, აუღვლელებელი მხატვრული ამბისა.

„მერხული“ დამახასიათებელი ნაწარმოებია დენის შენელებას შემოქმედებისათვის. ის დაწერილია ერთი მთლიანი პოეტური ამოსუნთქვით; ღრმა ლირიზმი ადამიანის განცდათა რთული ეპოპეიკის გადმოცემისა ნახად შეხამებულია ბუნების საღებავების მუქ და ბაცტონების ფერწერასთან. დიდი შინაგანი მღვლელობა ახასიათებს მოთხრობას. მისი წაოხების შემდეგ ისეთი განცდა ჩრება ადამიანს, თითქმის მან მოისმინა ნაწყვეტი, ან ერთი თავი დიდი ნაწარმოებისა.

მართლაც, „მერხული“ არ ხასიათდება ერთი მთლიანი სიუჟეტური კონცეპციით. აქ ეერ ნახავთ შინაგანად დამთავრებულ ფაბულურ წრეს, — აქ უფრო პარიზონტალურად გაშლილ სიუჟეტურ ნახაზთან გვაქვს საქმე. ეს უფრო მოვლენათა მხატვრული პანორამაა, სადაც ერთ სიბრტყეზე ერთმანეთს ენაცვლებიან ადგილისა და დროის მარწყვები სიუჟეტური მოტივები, ბუნების სურათები, ადამიანის ფაქტები და რეჰინისციკლის ძალით წარმოსახული ხელახალი განცდები ბავშვობის, ვადასული დროების, მშობლიური ხალხის ისტორიის.

მოთხრობის შინაგანი დაძაბულობა და ხაზგასმული მღვლელობა ემოციურობა მთლიანი ნაწარმოებისას სავსებით ეხამება ავტორის მიერ აღბუღლ თემას და ისტორიულ გარემოს.

„მერხული“-ს ანბავი ეხება 1942 წლის შემოდგომას, როცა ეეკავისის მთებს შოადგა დამსიტ-გერმანული ღრდობის ყვითელი ნიაღვარი, როცა ბტრის მოწინავე რაზმებმა აბა-ში მთის ვიწროებში უყვე შესაღეს შემოჭრა, როცა მთელი ქართული ხალხი, მრის-ბანე და შეუპოვარი, უყვე მზად იყო სამეფრო-სასიკოცხლოდ შებმოდა უბ მას თავდას-ხმელებს: „თერგ-უბანის მინდორ-გელებით ეეკავისონის მისადგომებზე გამოჭრალ ბტრის დასხვედრად ჭრდზე ეკეი გამოსულიყო. დენისა და პატარას ჩარალი აესბა. ყველანი სა-ტარეველოში გადმოსასვლელ უღელტეხილებში შესაქრავად გაქრფილიყვენი. მუღდროე-ბაში მოსსოდა დრონტის გუღნი“ (გვ. 30).

მოთხრობის დასაწყისშივე ავტორს შეეყავართ: იმ დიდი, მნიშვნელოვანი დღეების ვითარებაში და შეიხვედლი უყვე გრძნობის ისტორიული მომენტის სერიოზულობას: ლტოლვილები, ეამოტეკული ბტრის მიერ ოკუპირებულ რაიონებიდან, დრონტის ზანისკენ მიმქროლავი, სატურეველით და წითელარმიელებით დატვირთული სამხედრო მატარებლები, ლაფში მსურვილი საბარგულები, ხეიბარი მეზღვეური და მისი სეველიანი სანდერა — ყოველვე ეს მოკლე, მსუყე საღებავებითა მოცემული მოთხრობის თავნივე და ქნის საერთო განწყობილების დონის შემდეგე სათხრობისათვის. აქ ეი ნაწარმოების სიუჟეტში შე-მოდის მთავარი გმირი და შემდეგი მოვლენები მოთხრობის უყვე მის პიროვნებასთან, მის შინაგან სულიერ ვითარებასთან არის დაკავშირებული.

დენის შენელების მოთხრობის თემატიკურ მიზანდასახულებას წარმოადგენს გეოგრაფიკული საქართველო სამამულო ომის იმ მძაფრი დღეებისა, როდესაც ის წარმოადგენდა ბრძოლის

ხაზის უახლოეს ზურგს და უკვე გადაცედილი ერთ მთლიან სამხედრო ბანაკად, ზოველ წლის მზად იყო შემზოდა მტერს, საქართველო, რომელიც ომის დაძაბულ პერიოდში კანონიერად შეუნდებელ შრომას და გმირული თავდადებით უმჯობესდა მტერს წინააღმდეგ მებრძოდ წითელ არმიას, ცეცხლის ხაზზე გასულ მრავალ ასულ-აიას, თავის საცუთესო შეილებს.

მოთხოვნის მეორე და მთავარ თემს, ჩვენის აზრით, წარმოადგენს ჩვენება დიდი პოლიტიკური მოღვაწისა, რომელიც მოვიდა თავის სამშობლოში მისი ცხოვრების მრისხანე და მკაცრ მომენტში, რომ შეასრულოს დიდი ისტორიული მისია, დაკისრებული პარტიისა და ხალხის მიერ ავტორის დიდის მხატვრული ტაქტით და დამაჯერებლობით შეჰყავს მკითხველი თავისა ვნაბის შინაგან სამყაროში, განკუთვნილი და ფიქრებში, იგი თანდათანობით ხსნის ღრმა ფსიქოლოგიურ ამოცანას — მოთხოვნის გმირის პირადი ბედისა და ცხოვრების დაკავშირებისა მშობლიური ხალხის ბედთან, მის წარსულთან და აწმყო ცხოვრებასთან.

მთავარი გმირის გარდა ავტორს თავის მოთხოვნაში გამოავანილი ჰყავს მეორეხარისხოვანი პერსონაჟიც. მათ შორის ყველაზე მეტეორია მოხელე მეჯლის პეტე შელიას, სახე. შეიანიშნავია ახალგაზრდა ქალის — დედის სახე, რომელიც ავტორს აყავს დიდ ისტორიულ განზოგადობებში: „სამი თასი წლის მანძილზე ატარა მან თავისი მადლიანი კალთით ბედი ქართლისა. მან დაიცვა დიდება ქართველ ქალის ნაშუსისა, ის აწოგებდა, ის არწევდა, ის აწივებდა პირველ „აღუს“ ვაჟაკებს; ისლა დიდი სტალინის დამახილზე ერთად რომ ამდგარან და გმირულად იცავენ მისი მსუფე რაბი გაპოხილ მიწის“. სხვა პერსონაჟებიდან კოლორიტულია მეზღვაურის სახე, აგრეთვე მეოცნებე-მავნებელი. მკრთალია და პირობით ნიშანს უფრო წარმოადგენს, ვიდრე სისხლსავე სახეს — ინელიდი სიძე.

მოთხოვნაში მეორეა კარგი სამახსოვრო ადგილი, ასეთია მეზღვაურის შაინზე დაკვრისა და სიმღერის აღწერა (გვ. 9 — 10); მოგონება სამეგრელოს მრუმე დამებებისა (გვ. 11 — 12); შიმშიდგომის სურათი (გვ. 15); წვიმა სოფელში (გვ. 25); ძველი მუხა, — ღრმა და ქვეყიანური გააზრებით წარმოდგენილია, როგორც სიმბოლო ქართველი ხალხის გამძლეობისა (გვ. 27 — 28).

მოთხოვნაში გვხვდება აგრეთვე ზოგიერთი ადგილი, რომელიც იწვევს ეჭვებს. დემნა შენგელიას უყვარს (ეს განსაკუთრებით იგრძნობოდა ადრინდელ ნაწერებში) წინადადების შეღმეტი გადატვირთვა ენტიტებით, რაც აძნელებს სახის წარმოდგენას, ამძიებს ფრაზას, ასეთია მაგალ. მეზღვაურის სიმღერის პირველი აბზაცი: „მის სამურ ხმაში ზღვის უდაბურ სიგრცეთა განუხაზვრელი დარდა, მარილიანი ნოტიო ნიავის ნაზი სუნთქვა, უპირო წყლის ღურღუნკიან სიღრმედა უკუნეთი და ქტრაში შევრილი ქვეანახიოის მძაფრი სუნი ერთად იგრძნობოდა“ (გვ. 9), ცოტა ზემოდ ავტორი ავციწერს ფრონტისკენ მიმქროლავ საპურველით დატვირთულ სამხედრო ეშელონებს. ვერ დაეუყვრებთ ავტორს რაღაც ის სწერს, რომ მატარებლის ხმაურის ღრის შიგ მსხდომი „წითელარმიელები სინღერით იჭაურაბას აყრუბდნენ“, აგრეთვე ძნელი წარმოსადგენია, რომ კოდალას ნისყარტით შესძლებდეს ზღზე ასული ბაეშეის დაქტრა (გვ. 17), დაბოლოს არაბუნებრივად მიგვიანია, რომ ახალ ნაწიშირზე, თქეშისა და ნიაღვრის შემდეგ „შემოდგომის გამშხარი ფოთოლი ირგველვ შხაშტრით მიმოიფანტა“ (გვ. 29).

ამ რამდენიმე უხერხულობას თუ არ ნიცილებთ მხეველობაში, მოთხოვნა საერთოდ საუცხოვო სტილითაა დაწერილი, მოთხოვნის ფაქტურა, სიტყვიერი ქოვილი მდიდარია, ნაზი, ფერადოვანი — დემნა შენგელიას გრცელი ლექსიკონი აქვს და ეს შეადგენს მისი, როგორც მწერლის ერთ შესანიშნავ ღირსებათაგანს.

„მერხეული“ ვერ ამისწერავს დემნა შენგელიასი, როგორც შემოქმედის შესაძლებლობას, ჩვენი მკითხველი მოელის ამ მწერლისაგან უფრო დიდს, მნიშვნელოვანსა და ღირებულ ნაწარმოებებს სამშულო ომის ფრონტისა და ზურგის თემებზე.

დავით სულიაშვილი — „თავდროსი“ (ისტორიული ანგაჟი)

განმომცემლობა „საბავოთა მწიბარი“, 1944 წ. გვ. 31, *მეცნიერებათა*

ჭაოთულ მითაწეს და ხალხის მესხიერებას მოწვევლ თაობათათვის მარტო სახელგანთქმულ მეფეების, მეომრებისა და მოღვეწეების სახელი რადი შედნახავს, სჯარათველის გმირულ ისტორიას ამკობენ ავრთვედ სახელეუბი უსინარ ადამიანებისა, რომლებმაც ხალხის გულში მარადი უკვადებეა დაიმკვიდრეს სემშობლოსადმი უანგარო სამსახურით და თავგანწირვით.

ამ თავდადებულ გმირთა რიცხვს გეტუნის მოხუცი მღვდელი თვედორე — ეს კართველი ივანე სესანიანი, — რომელმაც ჭაოთლში მოულოდნელად შემოჭრილი მტრის უღრან ტყეებით და უღელ აწიოკების, სოფლების, გვა აუბნია, და ადსულაღმა მისცა ლტონის მედნისა და გიორგი სააკაშეს, ასწრაფოდ ჯვარი შეეკრიათ, თავხედ უცხო თავდასხმეველბისათვის წაშენელოვანი სამხედრო ძალა დაეპირბამირებინათ და საგსებით გაენადგურბინათ იგი.

დავით სულიაშვილი თავის მოთხრობის თვზად გამოიყენა ხალხური გადმოცემა მოხუცი მღვდლის თვედორეს შესახებ. ავტორი უბრალოდ და მარტივად გკობტავს ქარლის სოფლის პეიზაჟს მტრის შემოსევიმდე, შემდეგ ავტორს უცხოვლ უბდობის მოულოდნელ შემოჭრას, ხალხის აწიოკების, სოფლების გაძარცვას და აკლებას თავდასხმულთა მიერ. მოხუცი მღვდლის თვედორეს შებყრობა, მისი ტანჯვა და დამცირება თათრის ჯარისკაცების მიერ — რეალისტური დამაჯერებლობითაა გადმოცემული. საინტერესოა, რომ ავტორი ახეჩხებს საესებით ბუნებრივად გადმოგვეცს მოხუცი მღვდლის წინაგანი განცდები იმ მომენტში, როცა ის საბოლოოდ გადასწყვეტს მტრებისათვის გზაკვალის აბნევის, თვმცა ეს დაწმუნებულთა, რომ ამისთვის მის ტანჯვა და სიყველი არ ასკდება. თვედორეს გულში და ცრობიერებაში — საესებით ბუნებრივად ბრის შეხავებული ღრმა სიყვარული სამშობლო ქვეყნისა და რელიგიური რწმენა, მისი ლოცვა და ზავითაი თვისათვის პანაშვილის გადახდა იმ ღმოს, როცა ის ღამეული გზით წან მიუძღვის გზაკვალ აბნეულ მტრის ლაშქარს, დიდ პათეტურობას აღწევს და წრფელ თანაგრძნობას იწვევს ჰეითხველის გულში. ეს უსათლად ღმრსებად უნდა ჩიათვალოს სარეკეზიო მოთხრობის ავტორს. შედარებითი მერთალა ეპიზოდი ბრძოლისა ტანსიკართან. ბატალური სეროთი ზოგადი აღწერის გარდა მოითხვის „შახვილ პლანესაც“, სადაც ცალკე ნაჭრებად უნდა იყოს მოცემული დეტალები, დამახასიათებელი ბრძოლას სეროთი მასშტაბისათვის. თვმცა უნდა ითქვას, — ბატალური ეპიზოდების შატრული დამღევა რთულ პრობლემის წარმოადგენდა ისეთი ზუმბერაზი ოსტატებისათვისაც კი, როგორც იყვნენ სტენდალი და ლევ ტოლსტოი; ეხადია, ასეთ დიდ მოთხოვნას ვერ წავუყენებთ ამ ბატარა უბრეტენსიო ნაწარმოების ავტორსაც.

მოთხრობაში აღსანიშნავია ზოგერთი სტილისტური უბერბულობა. მაგ. „ტყვილებით სასესასა და დამაველ მოხუცს წინ გაიდგებენ...“ (გვ. 7), „ლოგინით გატენილ მატარაშებს ხურჯინებს, უნავირებს...“ (გვ. 7), — გერ ერთი სიტყვა „მაუთაში“ არ შეკვერტება აღწერილ ისტორიულ გარემოს, მეორე ის, რომ მოტანილ წინადადების მიხედვით გამოიღის თხოქსა ხურჯინება და უნავარებიც ლოგინით იყო გატენილი.

მე-1: გვერდზე — მოთხრობან ღამით მიმავალ შოი მედამდურეს არ შეიძლებოდა დენახა „მწეანე ხავერდებით დღეწილი მანდორი“. სწორად არ მიგვანიაა გამოთქმა: „თათბირის შთაბეჭდილების ქვეშ მყოფი“ (გვ. 15), „ღამარაკობდა ისეთი რბით და ენერგატულად“ (გვ. 15), „ღმერთი მოლტს მის ცოდიან ზულს...“ (გვ. 21).

დ. სულიაშვილი მოთხრობა ჩვენი ღმრისათვის შესაფერისა და სასარგებლო ნაწარმოებს წარმოადგენს: ის გამოთხრობა სამშობლოსადმი სიყვარულის ეთილშობილი გრანობით, მტრისადმი სიძულვილით, გმირული სულით. ავტორი მადლობის ღმრსაა, რადგან მის წიგნს თანახარი ინტერესით წაკითხავენ დიდებთან ერთად პატარებიც.

დასასრულ, რამდენმე სიტყვა წიგნის გაფორმების გამო, უბირველეს ყოვლისა წიგნში გვეხდება კორექტორული შეცდომები, გამსაღობრებით ეს გებეა პუნქტუაცია. ერთდორმან წიგნში შეიძლებოდა ან ნაკლებ თაქიდან აიდენა. მგარან რაც თვალში გეტყობთ — ეს არის წიგნის მერტიმეტად ღარიბი გაფორმება. კარგი იქნებოდა, რომ „საპოთო მწერლის“ გამოცემლობა ურადლებას მიატყვედეს წიგნის გაჩვენულ სიღამას და მიატოვბდეს ტყანსტელ სამი წლას მანძილზე დამკვიდრებულ სტანდარტულ შადლინს.

ლ. ა.

სოლომონ თაყაიძე — „კავკასიონი“



1943 წ. ბავშვთა „საბავშვო მხარაღი“.

სოლომონ თაყაიძის სარეცენზიო წიგნი „კავკასიონი“ გვიხატავს სამამულო ომის ხმა პერიოდს, როდესაც კავკასიონის ქვეს მოაწოდებენ მტრის გაბოროტებული ურდოები და ლაშქარები მის გადმოლაშქვას, მაგრამ მტრისათვის კავკასიონის ქედებით მოუდრეველი აღმოჩნდა წითელი არმიის სახელოვანი რიგები.

პოეტრი გვიხატავს ამ უბედულო ბრძოლის გმირებს, მათ თავგანწირვას მშობლიური ნაწი-წყლიანთვის.

ავტორი შეზნებარე ლექსებს უძღვნის კავკასიის გმირული დაცვის მონაწილეებს. ეს არის ციკლი ლექსებისა, რომელთაც აქვთ თავისებური კომპოზიცია.

„ფრონტილთა პორტრეტები“ მხატვრული თვალსაზრისით კარგადაა გააზრებული. ქართული ხალხი გულის, სიღრმეში აწახავს ამ გმირების სიბრძნის, რომლებმაც კავკასიისა და საქართველოს თავისუფლებისათვის გმირულ ბრძოლებში გვიწოდებენ უმაგალითო სამამულო და თავდაცობა. პოეტრი ამ ლექსებით ნათელს უფნს ცალკეულ გმირთა მამაცობას, საქმობ-ლოსათვის თავგანწირვას.

პოეტმა კარგად და მიმზიდველად დაგვიხატა ჩვენი სამშობლოს ეს თავდადებული შვილები, მათი წარმტაცი სახეები აღბეჭდა თავის წიგნში, ისინი ჩვენი ახლობლები არიან, საქართველოდან წასული ბიჭები, რომლებიც ბრძოლაში გახდნენ სახელოვანნი:

„აჰა, ეს ჩვენი ვარსკვლავებია,
ჩვენი რაშების ბრძოლა გმირული,
ჩვენი ლამაზი ვეჯაცებია
სამშობლოსათვის თავგანწირული“.

წიგნში თავისი პოეტური გააზრებით გამოირჩევა ლექსი „ქართველი დედა“: აქ არის მოცემული მეტად ნაზი, დაუბრალოდ გრძობა ქართველი ქალისა. რომელსაც სამი შვილი ფრონტზე გვუღვება. დედა ფიჭით, ოცნებით თავის შვილებთან არის მაშინაც კი, როცა სძინავს ოჯახს, სოფელს:

„დედის ფიჭი კი გამბედა ქველად
ქართლის მთებიდან დონის ველამდის“.

ერთი ვაჟი სტალინის ქალაქს იცავდა. დედა საკეთარ სოფელსაც კი არ გასცილებია, მაგრამ სტალინგრადთან ბრძოლებში იგი თავა ახლდა თავის შვილს, უფროდ ამხნევებდა, ძალას მატებდა. მშობლიურ სიბრძნის ავრწობინებდა. შეხვედრები რომ დამარცხდა დონთან, — გმირი შვილი კვლავ წინ მიიწეოდა, მტრის ანადგურებდა და მუსარავდა. ამ ბრძო-ლებში დედა შვილთან იყო, მოხვედობდა შვილის მიერ ვაჟილ ნათელ გზას და ბრძოლის შორეულ გუგუნს. ისეთი იყო ის შვილთან განუწყვეტელ, ტკბილი, ალერსიანი, კეთილი გზის დამლოცველი, რადგან დიდი სამშობლოს ყოველი კუთხე მისი გულის ნაწილია და მის და-საცავად გაგზავნა შვილები.

„თუმც მთებს აროდეს გასცილებია,
არ იცის ოონი სათი სად უხვევს,
მაგრამ სულსიდგმის ნაწილებია
საბჭოთა ქვეყნის ყოველი კუთხე“.

ერთი შვილიც ფრონტზე მკვას რედას. ოჯახი დიპრა დედის იმედი. ახლაც ფრონტ-ზედა „შორსაა, როგორც ტკბილი ოცნება“. ნესამე ვეცხსავან წერტილი არ მიღვია დიდი ხა-ნია და დედა სწებს, ანბობს:

„ევი თუ სიცივე გყინავს,
მტრის ხელში ხარ და გული არ ღვივს.
ევი შენს დედას, იქნებ არ ბრწყინავს
შენი ლამაზი თვალების სხივი“.

პოეტი გადმოგვიცემს დედის გულისწებილს და ეხმაურება საყვარელ აკაკის ლექსის სტრიქონებს. მაგრამ დედა მარტო როდია, როცა მზე დასწევას ღამის წყვეტილს

„ღილასთან ერთად შემოღის წყნარად
სიბრძნე, იმედი, მზის ძალთაძალი,
აღიშორება მთელ ქვეყნის ფარად
და ქალს ზელს უწეღის მთავარსარდალი“.

აღნიშნული ლექსი უთუოდ ერთერთი კარგი ლექსია სარციენზიო წიგნში.

ს. თავაძის ლექსების წიგნში მკითხველი გრძნობს პოეტის შტაკიც რწმენას, რომ თავდადებული ბრძოლით ჩვენი ქვეყანა მოიპოვეს სრულ გამარჯვებას საქულველ შტერზე. პოეტი მთელი თავისი ხმით უმღერის დიდ მხედართმთავარს, საბჭოთა კავშირის მარშალს ანზანავ სტალინს, რომელსაც მიჰყავს ჩვენი ქვეყანა გამარჯვებიდან გამარჯვებისაკენ. ასეთია ლექსები „სტალინის დროშა“, „მოსკოვს“, „დაქარ შემუსრე“, „კავკასიონი“. აგრეთვე თავისი აქტუალობით, კონკრეტული საბრძოლო ეპიზოდებით, პატრიოტული ალტკინებით, ჩვენი ზრუნვისა და ფრონტის მებრძოლ ადამიანთა სახეების ჩვენებით გამოირჩევიან ლექსები: „ჩეგმის ხეობაში“, „ფაქობი“, „მოკონება“, „ვარსკვლავები“.

ამ ღირსებებთან ერთად უნდა აღინიშნოს ნაკლიც, ზოგი ლექსი მხატვრულად სუსტია, არ იგრძნობა ისეთი ძლიერი სიკაბო, როგორც ზემოთ/ დასახელებულ ლექსებში. ფორმის მხრივაც ერთდეროვანია. ნაკლებად იგრძნობა სიახლე. ზოგიერთი სტრიქონი გაუგებარია, მხატვრულად გაუმართავი. მაგალითად, მთელი ტიპი:

„თოვს, ქარბუქია, ვაგონში ბიჭებს
სახებს უშვენებთ მანგი ქართული. (?)
მათ სიმღერაში ვარსკვლავებს იჭერს
კავკასიონის მზე და ზაფხული“. (?)

გასაგებია, რომ მღერიან ახალგაზრდები, მაგრამ სინტერესთა როგორ უშვენებთ სახებს მანგი. ან კიდევ მათ სიმღერაში როგორ იჭერს ვარსკვლავებს კავკასიონის მზე და ზაფხული. შესაძლოა გვიპასუხოთ, ეს პოეტური თქმააო. მაგრამ პოეტური თქმა უნდა იძლეოდეს რაიმე აზრს, ისე მის არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. აქ არავითარ კონტაქტში არ არიან სიტყვები. შეიძლება მოვიფიქროთ ასეთი მაგალითიც:

„მიტომ სვეტს მათი ყოყინა
ელვასავით და მებურად“.

ელვასავით არ შეიძლება სვეტდეს რაიმე. ელვა ხმას როდი გამოსცემს. მდარეა მხატვრულად ასეთი თქმები:

„ვით დღეთა ქროლკის ნორჩი ფესვები“.

ან კიდევ:

„პაი, დედისა! რა ზედური
ქედება უსიტყვო სევდით ავსილა“.

საერთოდ ს. თავაძის ლექსების წიგნი კარგ შთაბეჭდილებას ახდენს მკითხველზე.

დავით შაგათაია

ბ. ვოლინი — „საყოველთაო-სახალხო პარტიზანული ომი“

სახელგანი, თბილისი, 1943 წ.

ქართული
ბიბლიოთეკა

პარტიზანულ ბრძოლას მარქსი უწოდებს „ნაციონალურ აჯანყებას“, ენგელსი — „სახალხო წინააღმდეგობა“, ლენინი და სტალინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ პარტიზანულ ბრძოლას, რადგორც სახალხო მოძრაობას და შერისპყვობის დამპყრობლების წინააღმდეგ-ამჟამად უველგან ირსებობს სახალხო წინააღმდეგობა და ყოველდღიურად ფართოვდება ნაციონალური აჯანყება ევროპის ვრცელ ტერიტორიაზე, სადაც პიტლერულმა, გერმანიამ დაიშინა თავისუფლებისმოყვარე ხალხები.

ფაშისტურა გერმანიის წინააღმდეგ ჩვენი დიდი სამაბულო ომის დაწყებისთანავე დიდმა სტალინმა დაგვისახა პარტიზანული რაზმების შექმნის საჭიროება და მათი მოქმედების პროგრამა.

ბელადის მოწოდებაზე მთელი საბჭოთა ხალხი აღსდგა გერმანულ დამპყრობთა წინააღმდეგ საბრძოლველად. გაჩაღდა მტრის ზურგში საყოველთაო-სახალხო პარტიზანული ომი.

გერმანულ დამპყრობთა წინააღმდეგ საყოველთაო-სახალხო პარტიზანულ ომში, რომელიც ყოველდღე ძლიერდება, მონაწილეობას იღებს ასი ათასობით საბჭოთა პარტიოტი, შამაკაცი და ქალი, რომლებიც სისტემატად იძიებენ შერს მტრზე, უდიდეს ზარალს აყენებენ ფაშისტ მტარვალებს.

„ლენინგრადის პარტიზანებმა — ეკთხელობით სარეცენზიო წიგნში, — საბრძოლო მოქმედების ერთ წელზე ნაკლები ხნის განმავლობაში, მეტად არასრული ცნობებით, გაუღიტეს 24 ათასზე მეტი ოკუპანტი, მათ შორის 677 ოფიცერი, 12 ბოლკოვნიკი და პოდპოლკოვნიკი, 3 გენერალი, 67 გესტაპოს აგენტი, 197 მოღალატე და ჯაშუსი, დაატყვევეს 124 ჯარისკაცი და 7 ოფიცერი... ინჯარში პარტიზანებმა მოკლეს 1450 ოკუპანტი, ოებერვალში — 1975, მარტში — 2236, აპრილში — 2872 ოკუპანტი... ოკუპანტების ზურგში გაბედული საბრძოლო მოქმედების არასრული ცნობით წლის განმავლობაში ჩვენმა ლენინგრადელმა მებრძოლმა იმხანავებმა ლიანდაგიდან გადაადგეს 141 მატარებელი, აფეთქეს ერთი ჯაგშინანი მატარებელი, მოსპეს 131 ტანკი, 83 თვითმფრინავი, 54 ჯაგშინანი მანქანა, 1710 სატვირთო მანქანა, 99 საწვავიანი ცისტერნი, მრავალი ასრული მორტარკალი, ველოსიპედი, ტრაქტორი, სურსათიანი და საომარ მასალიანი სახიდრები. ამავე ხნის განმავლობაში ლენინგრადის პარტიზანებმა აიფეთქეს და დასწვეს მტრის 146 საწყობი, 5 რკინიგზის სადგური, 405 რკინიგზისა და ვაზატკეცილის ხიდი, ცუხლა წუთიღეს ოკუპანტების შიერ დაკავებულ 18 სოფელს“ (გვ. 73 — 74).

პარტიზანების ეს ძლიერი დარტყმა ნაწილია იმ გმირული ბრძოლისა, რომელსაც საბჭოთა ხალხი ეწევა გერმანულ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ.

„მოსკოვის ოლქში, სადაც მტრმა ბელთ იგდო 17 რაიონი, გერმანელებს დიდხანს არ უპარპაწნიათ. მავრამ იქაც ექვსი კვირის განმავლობაში საბელეოვანმა მოსკოველმა პარტიზანებმა ვაუღიტეს 3 ათასზე მეტი ოკუპანტი, მოსპეს ათობით ტანკი, საომარ მასალიანი სატვირთო მანქანები, საწვავიანი ცისტერნები“.

ყოველდღიურად იზრდება აგრეთვე უკრაინელი და ბელორუსი ხალხის ბრძოლა გერმანულ დამპყრობთა წინააღმდეგ.

იმ ოლქებსა და რაიონებში, რომლებიც დროებით ბელთ იგდეს გერმანელმა ჯალათებმა, ყველგან გაჩაღებულია მძლეერი პარტიზანული ბრძოლა მტრის შესამუსრავად. ფაშისტებს არ შეეძლოთ არ ელიარებინათ პარტიზანული ომის დრმა სახალხო ხასიათი. გერმანელი გენერალი როვესი თავის საიდუმლო ბრძანებაში სწერს: „რუსი პარტიზანების სახით, ჩვენ ვხვდებით მეტად მოქმედ, მოხერხებულ, მოძრავ და გაბედულ ზოწინააღმდეგებს, რომელმაც საუბრაოდ იცის ადგილმდებარეობის გამოყენება, თავისი ომტრაციების რატარება უმოთაურესად ღამით, და რომელსაც, თავის საკუთარ ქვეყანაში მოქმედს, უმრავლეს შემთხვევაში მხარს უჭერს და ეხმარება მოსახლეობა“ (გვ. 13 — 14).

პარტიზანული ომი, რომელსაც საბჭოთა იდამიანები გერმანელი ფაშისტების ზურგში ეწევიან, მთელი მოწინავე კაცობრიობის აღტაცებას იწვევს. პარტიზანთა დარტყმა მტრის წინააღმდეგ ეს არის წარმატება ხალხთა მასებისა, რომლებიც წმიდათა-წმიდა ომის საწარმოებლად აღსდგენენ ფაშისტ დამპყრობთა განადგურებისთვის, მტრის ზურგში ვიწილებუ-

ლ პარტიზანული ომი, წითელ არმიასთან ურთიერთმოქმედებით სპონსორირებული კოცხალ ქალის და ტეფიკას, ანგრეის პიტლერელთა კომუნიკაციებს, ახლანდელი წითელი არმიის და მხარეთმცოდნეობის ინსტიტუტის მიერ გამოქვეყნდა.

ბ. ვოლანის წიგნი „საყოველთაო-სახალხო პარტიზანული ომი“ არ შემოიფარგლება მარტო თანამედროვე პარტიზანული ომის მახასიათებლებს აღნუსხებით. წიგნში განხილულია აგრეთვე სხვა სახელმწიფოების ხალხთა ომები უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ. მკვლევარად, 1870 წელს დრანგი პატრიოტების ბრძოლა გერმანელ დამპყრობლებთან, ამერიკის ჩრდილოეთ შტატებისა სამხრეთის მონათმფლობელური შტატების წინააღმდეგ (1861—1865 წ.); ესპანეთის ხალხის ბრძოლა ნაპოლეონთან, 1812 წლის სამამულო ომი, 1918—20 წლებში სამკოთა ხალხების ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ და მრავალი სხვა. სარეცენზიო წიგნში ავტორს ძსტორიკლად განვიხილული აქვს სხვადასხვა ხალხის პროგრესული აჯანყებანი და ბრძოლა, მათი მნიშვნელობა საყოველთაო-სახალხო ომების ისტორიაში.

წიგნში მოცემულია მარსის, ენგელსის, ლენინის, სტალინის შეხედულებანი სახალხო მოძრაობაზე.

ამ წიგნის გამოცემა დროული და მიზანშეწონილია, იგი დაეხმარება ავტორტორებსა და პროპაგანდისტებს სახალხო პარტიზანული მოძრაობის შესწავლაში.

მ. მ.



შინაარსი:

ნიკო ლორთქიფანიძე — ქედუხრელნი (მოთხრობა, გაგრძელება)	38-3
ხარიტონ ვარდოშვილი — სამი ლექსი	10
ი. ლისაშვილი — შერმადინი (მოთხრობა)	13
გ. შატბერაშვილი — ერეკლე მეფის ანდერძი (ლექსი)	30
კლ. დევდარიანი — ზარი (მოთხრობა)	31
აკ. გეწაძე — გმირის სიკვდილი (ლექსი)	34
ან. ლომიძე — ახალი გრძნობა (მოთხრობა)	35
ჰამზატ ცადასა — სამამულო ომის მებრძოლეებს (ლექსი) (თარგმანი ვ. გორგაძისა)	38
სოლ. თავაძე — კავკასიონის კარებთან (რომანი, გაგრძელება)	39

უცხოეთის ლიტერატურა



ჰანს გაბე — ათასნი დაეცემიან (გაგრძელება)	58
---	----

ქრიტიკა, ლიტერატურის ისტორია და თეორია

ვ. გორგაძე — ჰამზატ ცადასა	83
გ. გაჩეჩილაძე — გოლსუორთის „ფორსაიტების ქრონიკები“	87
ს. ჭილაია — გრ. ორბელიანი და ნიკ. ბარათაშვილი	99
ვლ. ნორაკიძე — ადამიანობის იდეის დახასიათებისათვის „ვეფხისტყაოსანში“	117
პ. ბერაძე — ქართული ლექსის ბუნებისათვის	137

ხელოვნება

შალვა დადიანი — კოტე მესხი	151
--------------------------------------	-----

ბიბლიოგრაფია

ლ. ა. — დემნა შენგელაია — „მერხეული“	154
ლ. ა. — დ. სულიაშვილი — „თევდორე“	156
დ. შამათავა — ს. თავაძის „კავკასიონი“	157
ვ. გ. — ბ. ეოლინი — „საყოველთაო სახალხო პარტიზანული ომი“	159

3260 8 826.

44
საქართველოს
საბჭოთაო
კულტურის
მინისტროს
ბიბლიოთეკა

32



ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ХУДОЖЕСТВЕННО-
ЛИТЕРАТУРНЫЙ ЖУРНАЛ

„შ ნ ა თ ბ ი“

ГОСИЗДАТ ГРУЗИИ